

766 |  
1973 | 2  
III


# ქართული რევალტაუი

III

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



ბ. გვახლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМ. К. С. КЕКЕЛИДZE



1973

# МРАВАЛТАВИ

Историко-филологические  
разыскания

III

Издательство «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ • 1973



266/1  
1973/2  
საქართველოს  
საბჭოთაო მკვლევართა  
კავშირების  
საერთაშორისო  
კავშირების  
საბჭო

# ქართული რაეალთაეი

ფილოლოგიურ-ისტორიული  
ძიებანი



12390

გამოქვეყნდა «მეცნიერება»

თბილისი • 1973

ქ. შარტის საბ. საქ. სსრ  
საბჭოთაო რესპუბლიკა  
თბილისი  
ლითონი



„მრავალთავის“ III ტომი ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომების კრებულია. მასში მოცემულია ძველი ქართული ენის ძეგლების ფილოლოგიური და ენათმეცნიერული ანალიზი, ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიული შესწავლის შედეგები. სტატიების ერთ ნაწილში განხილულია „დიდი სჯულისკანონისა“ და ძველი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული საკითხები. ვეცნობით აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათალიკოსის, თეიმურაზ ბატონიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედების ზოგიერთ საკითხს. კრებულში წარმოდგენილია ალ. ყიფშიძის მეტად საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

სარედაქციო კოლეგია: *ც. აბულაძე*, *ც. კახაბრიშვილი* (მდივანი), *ე. მეტრეველი* (მთავარი რედაქტორი), *ც. ქურციკიძე*, *მ. შანიძე*, *ე. ხოშტარია*, *ნ. ჯანაშია*.

ტომის რედაქტორი *ც. ქურციკიძე*

7—2—2  
83—72 ადგ.



გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973

ილია აბულაძე

ქართული ფილოლოგია დასავლეთში\*

მეორე მსოფლიო ომის წინ ორიოდ პიროვნება მოღვაწეობდა დასავლეთის ქართულ ფილოლოგიაში. რომ ვამბობთ, ფილოლოგიაში, მხედველობაში გვაქვს ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლა. ჩვენი წარსული მწერლობის მეკვიდრეობაზე ამ მიმართულებით მუშაობდნენ: ცნობილი პ. პეტერსი — ბელგიელი ორიენტალისტი, რ. ბლეიკი — პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მ. ბრიერი — პარიზელი მკვლევარი.

პ. პეტერსი იმდენად ქართულ ტექსტებს არ აქვეყნებდა, რამდენადაც უკვე გამოცემულთა შესახებ ეწეოდა კვლევა-ძიებას და ევროპელ მკვლევართა ფართო წრეებს აწვდიდა საფუძვლიან გამოკვლევებთან ერთად ძეგლების ლათინურ თარგმანს.

რ. ბლეიკი უმეტესად ბიბლიურ ტექსტებს იკვლევდა, ძველისა და ახალი აღთქმის წიგნებს (ერთი მხრით, ოთხთავსა და მეორე მხრით, წინასწარმეტყველებს). იგი თანაბრად იყო დაინტერესებული როგორც ტექსტების გამოკვეყნებით, სათანადო თარგმანითურთ დასავლურ ენებზე, ისე მათი შესწავლითაც. ამ მხრივ, ბიბლიურ წიგნთა გარდა, აღნიშვნის ღირსია მის მიერ ლონდონს 1934 წ. გამოცემული ქართული თარგმანი ეპიფანე კვიპრელის ნაწარმოებისა „პატიოსან თუალთათჳს“, რომელიც სრული სახით ქართულს აქვს შემონახული.

მ. ბრიერი ბიბლიურ ტექსტებთან ერთად ყურადღებას აპყრობდა ეგზეგეტიკური მწერლობის ძეგლების დამუშავებასა და სათანადო ნაკვლევებთან ერთად გამოკვეყნებას.

დასახელებული პირნი ზოგიერთი ამოცანის გადასაწყვეტად ზოგჯერ ერთადაც იღვწოდნენ, ახლო თანამშრომლობას ეწეოდნენ ტექსტების გამოსაცემად.

მოკლედ, ასეთი იყო ზოგადი სურათი მეორე მსოფლიო ომამდის. ულმობელი ომის დროსა და მის შემდეგ მდგომარეობა იცვალა. ჯერ ერთი, ძველი თაობის წარმომადგენლები დასავლელი ქართველოლოგებისა გადავიდნენ: 1950 წ. გარდაიცვალნენ რ. ბლეიკი და პ. პეტერსი, ხოლო შემდეგ, 1960 წ. — მ. ბრიერი. მერმე ახალი მკვლევრები გამოჩნდნენ. სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ: ე. გარიტი — ბელგიაში, დ. ლანგი — ინგლისში, შ. მერსიე — საფრანგეთში, ი. ასფალგი და ი. მოლიტორი — დასავლეთ გერმანიაში, ი. ედლიჩკა — ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. დასახელებული მეცნიერები დიდ შრომას ეწევიან ქართული ფილოლოგიის ხაზით.

\* წაითხულია მოხსენებად მწერალთა კავშირში 1964 წელს.



ყველაზე ნაყოფიერი ამათ შორის ბელგიელი ორიენტალისტი ე. გარიტია. იგი ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორია. როგორც მის მიერ გამოცემული ერთი ძველი ქართული ტექსტისათვის დართული საკუთარი ანდერძიდან ჩანს, ერთ ხანს მას მ. თარხნიშვილთან უსწავლია. მასთან ქართული უნდა ესწავლა, თუმცა, შეიძლება, სხვა რამეც გაიკვეთა მან მისგან. მიქაელ თარხნიშვილის მიმართ ხსენებულ ანდერძში ნახმარია ძველი ქართული სიტყვა — „მოძღვარი“, რაც დღევანდელ „მასწავლებელს“ ნიშნავს. რას ასწავლიდა კონკრეტულად, ავტორის მოკლე ანდერძიდან, ანუ ბოლოსიტყვაობიდან, არა ჩანს. მ. თარხნიშვილთან ერთად მოძღვრად იქვე დასახელებულია სტანისლაოზ ლიონეც. ეს კი ცნობილი არმენისტია. ამიტომ გვგონია, რომ ამისაგან ე. გარიტს სომხური უნდა შეესწავლა, ხოლო მ. თარხნიშვილისაგან — ქართული (აი, ანდერძის სათანადო ადგილი: „ქრისტე, შეიწყალე... ყოველნი მოძღუარნი მისნი (ამბობს თავის თავზე) და უფრომასად პატიოსანნი მამანი სტანისლაოზ ლიონე და მიქაელ თარხნიშვილი“).

სკოლა ე. გარიტს ბელგიაში აქვს გავლილი. 1926-31 წწ-ში ერთ-ერთი პროვინციის კოლეჯშია, 1932-36 წწ-ში — ლუვენის უნივერსიტეტში, სადაც კლასიკურ ფილოლოგიას ეუფლება. სწავლობს აღმოსავლურ ენებს დაწაფებით, ჯერ არაბულს, მერმე — სირიულს, სირიულის შემდეგ — სომხურს და ბოლოს ქართულს.

სამეცნიერო პროდუქციას ე. გარიტი 1939 წლიდან აქვეყნებს. ვრცელ, სქელტანიან წიგნებს 1946 წლიდან ამზევებს. ე. გარიტი ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორია 1950 წლიდან. ამავე დროიდან ის მდივანია ლუვენის გამომავალი სამეცნიერო ჟურნალისა Le Muséon. აწ უკვე ის ამ ჟურნალის რედაქტორია. მასში ის სისტემურად ათავსებს თავის ქართვლოლოგიურ შრომებს — გამოკვლევებსა და მოკლე მოცულობის ტექსტებს.

1952 წლიდან ე. გარიტი ლუვენს გამომავალი და ფართოდ ცნობილი სერიის: Corpus Scriptorum Christianorum Orientalium-ის სომხური სექციის გაბგეა (ქართულისა მ. თარხნიშვილი იყო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ი. მოლიტორია).

ე. გარიტის მოღვაწეობიდან ღირსშესანიშნავი მოვლენაა უთუოდ მისი მონაწილეობა იმ ექსპედიციაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკამ მოაწყო სინას მთაზე, ეგვიპტეში, მიკროფირებზე გადასაღებად იქ დაცული ხელნაწერებისა, რომელთა შორის მთლიანად გადაიღეს ქართული ხელნაწერების კოლექცია. ე. გარიტი ამ ექსპედიციაში მიწვეული იყო კონსულტანტად, როგორც ქართული ენის სპეციალისტი.

სინაზე ე. გარიტს მეორეჯერაც მოუხდა გამგზავრება. 1957 წელს ის იქ მიავლინა იუნესკომ შესამოწმებლად იმისა, თუ რა ბედი ეწია ხელნაწერებს ისრაელთა ოკუპაციის დროს.

სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვისას აქ გვერდს ვუვლით ე. გარიტის წმინდა ბიზანტინოლოგიური შრომების დაწვრილებით მიმოხილვას. შევჩერდებით მხოლოდ მის ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომზე, როგორიცაა: „დოკუმენტები აგათანგელოზის წიგნის შესწავლისათვის“, რომელიც მის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა.



აგათանგელოზი სახელწოდებაა სომხური საისტორიო წყაროს, რომელიც „სომხეთის მოქცევას“ მოგვითხრობს. ეს ძეგლი სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში V ს-ისად მიიჩნევა. აკად. ნ. მარისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ის სახე, რომელიც ამ ძეგლს ჩვენამდის მოპყლია, VIII ს-ის ნაყოფია რედაქციულად. აკად. ნ. მარის აზრით, ამაზე ადრე, VII ს-ისათვის, ეს ძეგლი შედარებით უფრო მოკლე და რედაქციულად განსხვავებული ფორმისა უნდა ყოფილიყო. იგი სომეხ დიოფიზიტთა წრეში უნდა აღმოცენებულიყო, ამტკიცებდა ნ. მარი. მისი ვარაუდით, ეს რედაქცია სომხურიდან ბერძნულად უნდა თარგმნილიყო, საიდანაც ნ. მარის მტკიცებით ნათარგმნია მის მიერ არაბულ ენაზე მიკვლეული ვერსია, რომელიც მან მის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანთან ერთად 1905 წელს გამოაქვეყნა. ე. გარიტს ბედმა გაუღიმა და XII ს-ის დამდეგის (1107 წლის) ერთ-ერთ ხელნაწერში მიაკვლია აგათანგელოზის ახალ ტექსტს, ჯერეთ უცნობს, რომელიც არაბული ვერსიის წყარო (დედანი) გამოდგა. ეს ძეგლი ე. გარიტმა გამოაქვეყნა ვატიკანს გამომავალ ცნობილ სერიაში, *Studie e Testi*-ს 127-ე წიგნად. ე. გარიტის აღნიშნული ნაშრომი, რომელიც გარდა ბერძნული ტექსტისა შეიცავს დაწვრილებით მიმოხილვას, ჯერ ერთი, აგათანგელოზის წიგნის სხვადასხვა ენაზე დაცული ვერსიებისას და, მეორე, ფილოლოგიურ ანალიზს გამოქვეყნებული ტექსტისას, შემკულია ძვირფასი, ვრცელი კომენტარებით ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა.

სხვათა შორის, აქ საუბარია აგათანგელოზის შემადგენელი ერთი ნაწილის — „რიფსიმიათა მარტილობის“ — ერთი ქართული ფრაგმენტის შესახებაც, რომელიც ინგლისში მიაკვლია რ. ბლეიკმა. სრულად ეს ძეგლი ჩვენთან აღმოჩნდა დაცული. იგი გარკვეული ნუსხების მიხედვით ჩვენ გამოვაქვეყნეთ 1960 წელს, რაც იმავე წელს თარგმნა ლათინურად და დაბეჭდა „Muséon“-ის ფურცლებზე ე. გარიტმა.

აგათანგელოზის გარიტისეული გამოცემა სანიმუშოა. ბერძნულ ტექსტს ახლავს ლათინური თარგმანი (მის მიერ შესრულებული) და ერთვის გამოკვლევა 300 გვერდზე მეტი. ახალ-ახალი მასალების გამოვლინებას აგათანგელოზთან დაკავშირებით შემდეგ დროსაც ის ცალკე სტატიებით ეხმაურება ამა თუ იმ სამეცნიერო ორგანოს ფურცლებზე.

მეორე კაპიტალური შრომა, რომელიც 1952 წ. აგრეთვე ცალკე წიგნად გამოსცა ე. გარიტმა, არის *Narratio de rebus Armeniae*. ბერძნულ ენაზე დაცული ეს ძეგლი კრიტიკულად არის გამოცემული. ის ეხება სომხეთისა და საქართველოს ისტორიას. ეს ძეგლი, ისე როგორც პირველი, სომეხ დიოფიზიტთა წრეში ითვლება ჩამოყალიბებულად VII ს.-ში. გამოცემისას გამოყენებულია ძველი ქართული მწერლობის ის ნიმუშები, რომლებიც დასახელებულ ბერძნულ წყაროს ეხმაურება (არსენ საფარელი და სხვ.). შრომა 500-მდე გვერდს შეიცავს და უაღრესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის. ეს ნაშრომი ე. გარიტმა იმ სერიაში გამოაქვეყნა, რომელიც ლუვენში გამოდის სათაურით: *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*.

1955 წლიდან თითქმის ყოველწლიურად ქართულად და ლათინურად ე. გარიტი აქვეყნებს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, რომელთაც უკლებლივ აახლებს თავის საკუთარ ლათინურ თარგმანს. ასე მაგ.: ა) 1955



წელს Corpus-ში გამოდის ორ წიგნად (ქართულად და ლათინურად) ანტონის წერილები. ბ) ამავე წელს იქვე, ლუვენში, ოლონდ „Muséon-ის ბიბლიოთეკაში“ ქვეყნდება „საქმე მოციქულთაჲ“ სინური ორი ძველი ნუსხის მიხედვით. გ) 1956 წ. Corpus-ის სერიით იბეჭდება „სინას მთის ქართული ლიტერატურული ხელნაწერების აღწერილობა“, რომელშიც დაწვრილებით არის მიმოხილული 36 ხელნაწერი (უმთავრესად X—XI სს.-ისა) ვრცელი ბიბლიოგრაფიული შენიშვნების დართვით. დ) 1957 წელს იმავე სერიაში ისტამბება „სვიმეონ მესვეტისა და ეფრემ ასურის ცხოვრებანი“ ორ წიგნად (ქართულად და ლათინურად). ე) 1958 წელს ბრიუსელში იბეჭდება (სერიაში Subsidia hagiographica, 30) ე. გარიტის 480 გვერდიანი ნაშრომი „პალესტინურ-ქართული კალენდარი Sina—34-ის (X სს-ის) მიხედვით“, რომელმაც სახელგანთქმულ ორიენტალისტს მოუპოვა სახელმწიფო პრემია (prix Franequi). 3) 1960 წელს ე. გარიტი Corpus-შივე აქვეყნებს ქართულად და ლათინურად ანტიოქე სტრატიგის ცნობილ ნაწარმოებს „წარტყუნევაჲ იერუსალემისაჲს“ საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერების მიხედვით. როგორც ცნობილია, 1912 წელს ეს ძველი ჩვენი ნუსხებისა და იერუსალიმური ერთი ხელნაწერის მიხედვით ნ. მარმა გამოსცა.

გარდა ჩამოთვლილი შრომებისა, რომელნიც ცალკე წიგნებად არის გამოცემული, დაახლოებით 9 ათეული სამეცნიერო სტატიის ავტორიცაა პროფ. ე. გარიტი. ამათგან თითქმის ოთხი ათეული ნაშრომისა ქართულ თემატიკას ეხება. ამ თემების დიდი ნაწილი (თითქმის ნახევარი) მცირე მოცულობის ტექსტებია, უმთავრესად ავთოგრაფიული შინაარსისა, დანარჩენი ცალკეულ ქართულ ხელნაწერებს, ბიბლიოგრაფიასა და ლიტერატურულ საკითხებს ეხება.

როგორც ვხედავთ, ე. გარიტი ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც ფართო ინტერესების მქონე ფილოლოგი და ტექსტოლოგი, განსაკუთრებით ავთოგრაფიული მწერლობის დარგში. იგი საგანგებოდ ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლით არის გართული. სწავლობს მათ ის ყოველმხრივ, იკვლევს როგორც ენობრივად, ისე შინაარსობრივად. უძებნის შესასწავლ ძეგლებს პარალელებს უცხო მწერლობაში და მათთან მიმართებით აშუქებს თითოეულ მათგანს.

დიდი ერუდიციის მკვლევარი შესასწავლი საგნის გარშემო არსებულ ლიტერატურასა და მასალებს ამომწურავად იყენებს. არ უშვებს მხედველობიდან მცირეოდენ შენიშვნასაც კი. ზედმიწევნით იცნობს სამეცნიერო ლიტერატურას ქართულ ენაზე და, სადაც საჭიროა, კრიტიკულადაც ეკიდება მას. ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი გულმოდგინედ აღევნებს თვალს ჩვენში წარმოებულ მუშაობას და სათანადოდ ეხმაურება კიდევაც მას — ცალკე წერილების, რეცენზიებისა თუ ცალკეული ბიბლიოგრაფიული შენიშვნა-მიმოხილვების სახით. ამ მხრივ არ შეიძლება არ მოვიგონოთ მისი ვრცელი მიმოხილვა სერიისა: „ძველი ქართული ენის ძეგლები“, რომელიც აკად. ა. შანიძის რედაქციით გამოდის ჩვენში, „აღწერილობანი ქართული ხელნაწერებისა“, რომელთაც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი აქვეყნებს, და იტალიაში ახლად გამოქვეყნებული ნაკვლევი: „ქართული ვერსია ი. მოსხის ლიმონარისა“.



დავით ლანგი ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორია. იგი მრავალ-მხრივი მკვლევარია. ცნობილია უფრო მეტად როგორც ისტორიკოსი, კერძოდ, — ნუმიზმატიკოსი. დიდ ინტერესს იჩენს ქართული მწერლობის ისტორიის მიმართ, განსაკუთრებით ძველი ქართული belles lettres-ისა. ამ დარგში მას მოეპოვება როგორც გამოკვლევები, ისე საკუთარი თარგმანები ქართული ძეგლებისა. გამოკვლევებიდან აღსანიშნავია მისი წერილები (რომელთაგან ზოგი ქართულადაც გამოქვეყნდა) ექვთიმე ათონელის შესახებ, სახელდობრ, ის მკაცრი შეტევა, რომლითაც მან გაილაშქრა დელგერის წინააღმდეგ. უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ზერძნული „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრების“ ავტორად მიიჩნეოდა არა ექვთიმე ქართველს, როგორც ეს იმ დროისათვის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკვლევართაგან იყო შეწყნარებული, არამედ იოანე დამასკელს. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლელ მკვლევართაგან დავით ლანგია ის პირი, რომელმაც იერუსალიმური ქართული ხელნაწერების კოლექციაში (მიკროფილმითა შორის) მიაგნო ქართული „ბალავარიანის“ ახალ ნუსხას და მანამდე ცნობილ „სიბრძნე ბალავარიანისთან“ მიმართებით იგი, რომელიც 2-ჯერ მეტია „სიბრძნე ბალავარიანისაზე“, ვრცელ რედაქციად აღიარა, ხოლო „სიბრძნე ბალავარიანი“ — მის შემოკლებულ ნაწარმოებად.

დ. ლანგის მიერ ქართულიდან შესრულებულ თარგმანთაგან ინგლისურ ენაზე აღსანიშნავია ცალკე წიგნებად გამოსული შემოკლებული თარგმანები ქართული აგიოგრაფიის ზოგიერთი ნაწარმოებისა და „სიბრძნე ბალავარიანისა“.

დასავლეთ გერმანიის მკვლევართაგან ქართული ფილოლოგიის ხაზით სამეცნიერო მუშაობას ეწევიან პროფესორები ი. მოლიტორი და ი. ასფალგი. ი. მოლიტორი ბიბლიურ ტექსტებზე მუშაობს. იკვლევს როგორც ახალ აღთქმას, ისე ძველი აღთქმის წიგნებს. თარგმნის ხელახლა ქართულ უძველეს ოთხთავს (ადიშისას, 897 წლისა) და უდგენს ლექსიკონებს ახალი აღთქმის წიგნებს. ჯერჯერობით გამოაქვეყნა ლუვენის სერიაში (Corpus Scriptorum), რომლის ქართული სექციის გამგე მ. თარხნიშვილის გარდაცვალების შემდეგ ის არის, ოთხთავის, საქმე მოციქულთასა და ხანმეტი ტექსტებისათვის შედგენილი ლექსიკონი ორ წიგნად. მუშაობს ამჟამად ახალი აღთქმის სხვა წიგნებზედაც და მათაც ლექსიკონს უდგენს. მისი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მას ამ მხრივ საგანგებოდ აინტერესებს ქართული ბიბლიის წარმომავლობის საკითხი.

პროფ ი. ასფალგი მიუნხენის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. მასაც პირველ რიგში ქართული ბიბლიის ტექსტები აინტერესებს, ჩოლო შემდეგ ძველი ქართული მწერლობის ადრინდელი თარგმნითი ძეგლები (ბასილი კესარიელი, გრ. ნოსელი და სხვ.). სწავლობს ქართულ ტექსტებს უცხო ენებზე დაცულ ვერსიებთან დაკავშირებით. ამ ენებს კი (ბერძნულს, სომხურს, სირიულსა და არაბულს) ის კარგად ფლობს. ლუვენის Corpus Scriptorum Christianorum Orientalium-ის სერიის არაბული სექციის გამგეა ამჟამად. იულიუს ასფალგმა ბოლო ხანს გამოსცა გერმანიის სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობა. გამოცემა სანიმუშოა. ამ ნაშრომის გამოცემისას ის დაკავშირებული იყო თბილისთანაც. აკად. ვ. შანიძე და ხელნაწერთა ინსტიტუტის თნამშრომლები მას სათანადო დახმარე-



ბას ვუწევდით. სხვათა შორის, ამ შრომის წინასიტყვაობაში მან, ჩვენს ამ დახმარებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დღეს დასავლეთში ქართული მწერლობის ისტორიაზე მუშაობა შეუძლებელია ხელნაწერთა ინსტიტუტის გარეშე. ი. ასფალგი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართაც დიდ გულისყურს იჩენს. მ. თარხნიშვილთან თანამშრომლობით მან 1955 წ. გერმანულ ენაზე გადაიღო კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორიის I წიგნი, ე. წ. სასულიერო მწერლობა. მოეპოვება მას რამდენიმე წერილიც ქართული მწერლობის ზოგ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხზე.

მ. მერსიე კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორია პარიზში. იგი ქართულსა და სომხურს ასწავლის. მ. ბრიერთან და ლ. მარიესთან ერთად მან 1954 წელს *Patrologia Orientalis*-ის სერიის XXVII ტ. 1—2 ნაკვეთად გამოსცა შატბერდის კრებულში დაცული იპოლიტე რომაელის ნაწერები: „კურთხევათა მათთვის იაკობისთა“ და „კურთხევათა მათთვის მოსესთა“ ბერძნულ და სომხურ ვერსიებთან ერთად. მისი მონაწილეობით დამთავრდა რ. ბლეიკისა და მ. ბრიერის მიერ აღნიშნულ სერიაში შემავალი ქართული ბიბლიის „წინასწარმეტყველთა წიგნების“ გამოცემაც, რომელიც 5 წიგნისაგან შედგება და რომელთა გამოქვეყნება 1961—63 წწ-ში განხორციელდა.

პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი იერომირ ედლიჩკაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოჩნდა სამეცნიერო ასპარეზზე თავისი ქართველოლოგიური შრომებით. ის უმთავრესად ლიტერატორია; თარგმნის ქართული ლიტერატურის ძეგლებს, უფრო საერო ლიტერატურის ნიმუშებს ჩეხურ ენაზე (პირველ რიგში „ვეფხისტყაოსანს“). ფილოლოგიური ნაშრომებიდან აღსანიშნავია მისი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა „ძველი ქართული ენის შესწავლა საქართველოში“ (გამოქვეყნებულია ლუვენის ორგანოში *Le Muséon*, 1958 წელს) და 1961 წელს *Archiv Orientalni*-ში დაბეჭდილი „Das Prager Fragment der altgeorgischen Iakobus Liturgie“ (პრაღის ფრაგმენტი იაკობის ჟამისწირვისა ძველ ქართულზე).

ლუვენს, *Muséon*-ის ფურცლებზე, მიმდინარე წელს კიდევ ერთი ახალი ქართველოლოგი გამოჩნდა. ეს არის *André Iacob*, რომელიც აქვეყნებს იოანე ოქროპირის ჟამის წირვას მის მიერ შესრულებულ ლათინურ თარგმანთან და სათანადო ნაკვლევთან ერთად (*A. Iacob, Une Version géorgienne inédite de la Liturgie de Saint Jean Chrysostome, Le Muséon, 77, 1—2, pp. 65—119*).

ცნობილია აგრეთვე, რომ როგორც პარიზში, ისე დასავლეთ გერმანიაში, სხვებიც ემზადებიან ქართულ ფილოლოგიაში, ზოგიერთები საკვალიფიკაციო შრომად იღებენ ძველ ბიზანტიელ ავტორებს, რომელთა შრომების თარგმანები ძველ ქართულს დაუცავს. ამათთვის სწორედ დასავლელი ქართველოლოგები, ან ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება დასავლეთისა, მომართავენ ხოლმე ჩვენს ინსტიტუტს ხელნაწერებისათვის.

სამეცნიერო დაწესებულებათაგან ქართული ფილოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრებთან ყველაზე უწინარეს კონტაქტი აქვს დამყარებული *Institut de Recherche et d'Histoire des Textes* (ტიქსტების ისტორიისა და შესწავლის ინსტიტუტი, პარიზში). ეს დაწესებულება ყველაზე მეტ ყურადღებას ბიზანტინოლოგიურ ძიებას უთმობს. რომ სრულად იქმნეს გამოყენებუ-

ლი ძეგლების გამოცემისას მსოფლიოში დაცული ბერძნული ხელნაწერები, ეს ინსტიტუტი აწარმოებს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული ხელნაწერების აღრიცხვას, ადგენს მათ შემაჯამებელ კატალოგებს და სათანადო დახმარებას უწევს მკვლევარებს მიკროფილმების მოპოვების საქმეში. დღეს ახალი ტექსტების გამოცემა დასავლეთში ითვალისწინებს არა მარტო ორიგინალის ენაზე დაცული ნუსხების მიხედვით ძეგლთა პუბლიკაციას, არამედ იმასაც, რომ აგრეთვე მოხმობილი იქნეს ამ ტექსტთა ძველი თარგმანები სხვა ენებზედაც. ამიტომაც, რომ დასავლეთი დიდ ყურადღებას აქცევს ქართულ ძველ მწერლობას, რადგან ამ უკანასკნელს მოეპოვება ადრინდელ საუკუნეებში სხვადასხვა ენიდან შესრულებული თარგმანები, რომელთაც ხშირად თავისი თვისების გამო დედნის დადგენისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ორიგინალის ენაზე დაცულ ვარიანტებს.

ამიტომვეა სწორედ, რომ დასავლეთში დღეს ფილოლოგიურ კვლევა-ძიებას, კერძოდ, ტექსტების გამოქვეყნებას, მაღალ მოთხოვნილებებს უყენებენ. აღარაა საკმარისი მარტო ძეგლის დედნის ენის ცოდნა ტექსტის გამოსაცემად. კრიტიკულად გამოცემული ტექსტი მრავალი სხვა ენის ცოდნასაც მოითხოვს. ასეთი აუცილებლობით იბადება მათთვის საჭიროებაც ქართული ენის დაუფლებიანა.

აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, ჩვენც ახალ მოთხოვნილებებს გვიყენებს. თუ გვინდა ჩვენი ძეგლების კრიტიკულ გამოცემას მივალწიოთ, ამიერიდან, თარგმნილ ძეგლებთან თუ გვაქვს საქმე, გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ წერილობით ძეგლთა უცხო ვერსიებსაც და მათთან შეჯერებით უნდა ვადგენდეთ საიმედო ტექსტებს.

ასეთია მოკლედ სურათი, თუ რას წარმოადგენს დღეს ქართული ფილოლოგია დასავლეთში.

---



გულნარა ნინუა

დიდი სჯულისკანონის სისტემატური ნაწილი

საეკლესიო კანონთა კრებულებად გაერთიანება მეექვსე საუკუნეში დაიწყო. კრებულებში შექმნდათ მსოფლიო და ზოგი ადგილობრივი კრებების დადგენილებანი და ეკლესიის განსაკუთრებით პოპულარულ ლიდერთა კანონები. ეს მასალა დალაგებული იყო გარკვეული რიგით და დროთა განმავლობაში იცვებოდა: ემატებოდა შემდეგდროინდელ საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და საეკლესიო მოღვაწეთა ახალი კანონები.

საეკლესიო სამართლის კრებულთაგან ყველაზე ადრინდელია 535 წელს უცნობი ავტორის მიერ შედგენილი 60 ტიტლოვანი (60 ნაწილიანი) კრებულის 550 წელს შეიქმნა მეორე რედაქცია — 50 ტიტლოვანი სინტაგმა, რომლის რედაქტორია იოანე სქოლასტიკოსი. შემდგომში ეს რედაქცია შეცვალა 14 ტიტლოვანმა კრებულმა<sup>1</sup>.

საეკლესიო სამართლის კრებულების წარმოშობა ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერების, მისი უფლებებისა და გავლენის სფეროს ზრდის შედეგია, თუმცა მათ შექმნას საერო სამართლის როლი ეკლესიის განგების საკითხში არ უკუუგდია (ცნობილია 536 წელს შეკრებილი საეკლესიო კრების დადგენილება, რომლის თანახმადაც იუსტინიანე დიდის ნების გარეშე არაფერი არ უნდა ხდებოდეს ეკლესიაში).

საეკლესიო კანონთა კრებულებში თავიდანვე პარალელების სახით სამოქალაქო სამართლის ძირითადი სახელმძღვანელოებიდან ამოკრებილი შესაბამისი თავები, ციტატები, მუხლები ან მათი შემოკლებული ვარიანტები შედის. ასეთი შერწყმის შედეგად წარმოიშვა საეკლესიო სამართლის კრებულთა გარკვეული ტიპი — ნომოკანონი. პირველი ნომოკანონი შეიქმნა იოანე სქოლასტიკოსის სინტაგმის საფუძველზე: შენარჩუნებულია კანონთა დაყოფა 50 ნაწილად და შეტანილია შესატყვისი ტექსტი სამოქალაქო სჯულიდან. ნომოკანონის მეორე რედაქცია ემყარება 14 ტიტლოვან სინტაგმას. ვ. ნარბეკოვის აზრით, პირველი 14 ტიტლოვანი ნომოკანონი შეიქმნა 612 წლამდე<sup>2</sup>.

ოთხმეტტიტლოვანი ნომოკანონის მეორე რედაქცია შეიქმნა 883 წელს. პირველი რედაქციისაგან განსხვავებით, იგი შეიცავს ახალ დადგენილებებს: დაემატა ტრულის (692 წ.), ნიკიის II (787 წ.) და კონსტანტინოპოლის ორი კრების კანონები.

<sup>1</sup> Geschichte der byzantinischen Literatur, von Karl Krumbacher, I, München, 1897, გვ. 607.

<sup>2</sup> В. Нарбеков, Номоканон Константинопольского патриарха Фотия с толкованием Вальсамона, ч. I, Казань, 1899 г.



883 წლის რედაქციას, რომელიც იმდენად მოხერხებული და სრული გამოდგა, რომ ხმარებიდან განდევნა მანამდე არსებული კრებულები, თვლიან კონსტანტინოპოლის პატრიარქის ფოტის მიერ შედგენილად<sup>3</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი აზრიც: ავტორთა ერთი ნაწილი უარყოფს ფოტის რედაქტორობას და თოთხმეტმარცვლოვანი ნომოკანონის მეორე რედაქციის შექმნას უკავშირებს სხვა ეპოქას<sup>4</sup>.

თოთხმეტმარცვლოვანი კრებულის მეორე, 883 წლით დათარიღებული, რედაქციის თარგმანს წარმოადგენს ქართული სჯულისკანონი, რომელიც შეიცავს განწესებებს პავლესას, პეტრესა და პავლესას, სისტემატურ ნაწილს, ძოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ზოგი ადგილობრივი კრებების დადგენილებებს და ეკლესიის განსაკუთრებით პოპულარულ ლიდერთა კანონებს. ქართულ ვერსიას სჯულისკანონისას ემატება აგრეთვე რუის-ურბნისის (საქართველოს საეკლესიო კრების) ძეგლისწერა და ბოლოს ამავე კრებულში შეტანილია დამატებითი სტატიები, თარგმნილი ბერძნულიდან.

არსებობს დიდი სჯულისკანონის რამდენიმე ნუსხა, ამათგან უფრო მნიშვნელოვანია A 76—XII ს., A 171—XII-XIII სს., A 124—XI-XII სს., A 1202—XIII-XIV ს., H—1670—XIII ს., ქუთ. 17—XIII ს., ქუთ. 25—XIII ს.

ქართულ ტერმინს „სჯულისკანონი“ ხმარობს ექვთიმე მთაწმიდელი თავის მცირე სჯულისკანონის თარგმანის ანდერაშში. იგივე ტერმინი გვხვდება მელქისედეკ კათალიკოსის მიერ კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილ წიგნთა სიაში<sup>5</sup>.

ჩვენი ძეგლის მიმართ სახელწოდება „დიდი სჯულისკანონი“ პირველად გვხვდება XIII ს. ნუსხაზე — ქუთ. № 25 დართულ ჩახრახაძის ანდერაშში: „გულისმოდგინებით გადავწერე თვისთა ჯელითა ქრისტიანეთა წინამძღუარი დიდი ესე სჯულისკანონი, საუკუნოდ მოსაქსენებელისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრიად ჭირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელის თარგმნილი“.

ტერმინი „სჯულისკანონი“ საეკლესიო კანონთა ამ ორი მცირე და დიდი კრებულის სახელწოდებად, როგორც ჩანს, გააზრებულია სარწმუნოების კანონად, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვას „სჯული“, გარდა ცნობილი მნიშვნელობებისა — „სარწმუნოება“, „დოგმა“, „წესი“, ჩვენი ტექსტის ფარგლებში აქვს ასეთი მნიშვნელობაც: საეკლესიო სამართლის მუხლს ჰქვია კანონი (შდრ. — ო *κανὼνας*), ხოლო საერო სამართლისას — სჯული, რაც ბერძნული ო *νόμος*-ის შესატყვისს წარმოადგენს. ძეგლის დასაწყისშივე მოცე-

<sup>3</sup> ა) კ. კ. ე. ე. ლ. ი. ძ. ე., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960 გვ. 559-ბ) ვ. ნარბეკოვის დასახელებული ნაშრომი. გ) В. Бенешевич, Грузинский Великий Номоканон по спискам Тифлисского церковного музея, Христианский Восток, т. II.

<sup>4</sup> ა) Die griechischen Nomokanones, von E. Zachariä von Lingenthal, Mémoires de l'Académie imperiale..., VIIe série, T. XXIII. № 7, st. Péterbourg, 1877. ბ) Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, von H. G. Beck, München, 1959.

<sup>5</sup> В. Н. Бенешевич, Грузинский Великий Номоканон по спискам Тифлисского церковного музея, Христианский Восток, т. II.

მულია განმარტება, თუ რა წესით უნდა შეუერთდნენ ერთმანეთს კანონნი და სჯულნი (საეკლესიო და საერო სამართალი): „მეოთხესა განწესებასა პირველისა თავისა ნეარონთადასა თქუმილ არს: ოდესმე, ვითარმედ — კანონთა შეუდგან სჯულნი და წიგნისა პირველისა თავი მეორე, განწესებაჲ მეთორმეტე იტყვს, ვითარმედ — წინააღმდეგომნი კანონთანი საერონი ბჭობანი დაუმტკიცებელ არიან“ (A 76, 16r). ამგვარადვე უპირისპირდება ერთმანეთს ეს ორი ტერმინი სხვა კონტექსტშიაც: „...რამეთუ სჯულნიცა და კანონნი აყენებენ მოყუასთა ფიცისაგან“ (H 1670, 29v).

შდრ.: *καὶ οἱ νόμοι γὰρ καὶ οἱ κανόνες ἰσότησαι κληρίκων βύσσαι* (Pitra, 176), მაგრამ ტერმინს სჯული ჩვენს ტექსტებშიც აქვს სხვა, საყოველთაოდ ცნობილი, მნიშვნელობები — სარწმუნოება, წესი, დოგმა: „და რამეთუ სარწმუნოებითნი უკუე სჯულნი დაიდუმებთან, ხოლო ქადაგებანი განიხილებიან“ (A 76, 217r). „რამეთუ სხუაჲ, არს სარწმუნოებითი სჯული და სხუაჲ — ქადაგებაჲ“ (A 76, 217v); „ეკლესიასა შინა დაცვულთა სჯულთა ქადაგებათაგანნი“... (A 76, 216v). შდრ.

*Τὸν ἐν τῇ ἐκκλησίᾳ πεφύγμένον δογματῶν καὶ κηρυγμάτων* (Pitra, 609). შეადარეთ: „წიგნი დივესტონთა, ესე იგი არს სამოქალაქოთა სჯულთა ყოველთა შესაკრებელი ნაწილი“ (A 76, 9r). „ხოლო სამოქალაქოთა სჯულთა განწესებაჲ იტყვს“ (A 76, 7v).

მაშასადამე, ძეგლის ფარგლებში ტერმინი სჯული ყველა შესაბამის კონტექსტში იხმარება ბერძნული *ὁ νόμος*-ის შესატყვისად (სამოქალაქო სამართლის მონაკვეთებს, შესულს დიდი სჯულისკანონის სისტემატურ ნაწილში, ქართულად სხვა სახელწოდება არ გააჩნია) და უპირისპირდება ტერმინს კანონი, რაც უდრის ბერძნულ *ὁ κανὼν*-ს — საეკლესიო სამართლის მუხლს.

სისტემატური ნაწილი (ეს ნაწილი წარმოადგენს საეკლესიო სამართლის კანონთა საძიებელს, რომელსაც ერთვის ციტატები, შერჩეული სამოქალაქო სამართლის ძეგლებიდან) აქვს დიდი სჯულისკანონის თითქმის ყველა ნუსხას, ოღონდ ნომოსების (სამოქალაქო კანონების მუხლთა) რაოდენობა ყველგან ერთნაირი არაა: ამ თვალსაზრისით ხელნაწერები ქმნიან ორ ჯგუფს. პირველ ჯგუფში შედის შემდეგი ნუსხები: A 76, ქუთ. № 25, A 171, A 124, A 1202; მეორე ჯგუფი წარმოდგენილია ორი ხელნაწერით — H 1670 და ქუთ. № 17. სხვაობა, რომელსაც ამ ორი ჯგუფის ხელნაწერების სისტემატური ნაწილი აჩვენებს, გვაძლევს საშუალებას ამ ნაწილის ფარგლებში გამოვყოთ ორი რედაქცია.

ვ. ბენეშევიჩის აღწერილობის მიხედვით, ნომოკანონის ბერძნული ხელნაწერებიც ორ რედაქციას ქმნის<sup>6</sup>. პირველი რედაქციის ნომოკანონი სრულია: სისტემატური ნაწილის თავებს ახლავს პარალელები სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან — ნომოსები, ნაწილს თავებისას კი — მითითებანი (*ἀνάγκη*: — აღმოიკითხეთ) შინაარსით მსგავს დადგენილებაზე, რომელიც სხვა თავთანაა პარალელის სახით მოტანილი. მეორე რედაქციის ნომოკანონი შეიცავს სამოქალაქო სამართლის დადგენილებათა ვაცილებით ნაკ-

<sup>6</sup> В. Н. Бенешевич, Канонический сборник XIV титулов со второй четверти VII века до 883 г., Петербург, 1905, стр. 130—158, 295—301.



ლებ რაოდენობას, ამათგან ნაწილი შემოკლებულია პირველი რედაქციის ნომოკანონთან შედარებით. მითითებანი არ არის საერთოდ. შეტანილია სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან ისეთი მუხლები, რომლებიც არ არის პირველი რედაქციის ნომოკანონში.

ქართულ I რედაქციის ნომოკანონში ნომოსების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ბერძნულ ორივე რედაქციასთან შედარებით. ქართული I რედაქციის სჯულისკანონი დასაწყისში მისდევს ბერძნულ II რედაქციას, მაგრამ შემდეგ ქართული სცილდება ბერძნულ ტექსტს და მისი მსგავსი შედგენილობის ნომოკანონი ჯერჯერობით არ ჩანს. ამ რედაქციას აკლია სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან მოტანილი პარალელები — ნომოსები როგორც ბერძნულ ორივე, ისე ქართულ II რედაქციებთან შედარებით. იგი უფრო მოკლეა, ვიდრე ბერძნული მეორე (მოკლე) რედაქცია და ამავე დროს, არაფერს არ შეიცავს ქართული II (ვრცელი) რედაქციისაგან განსხვავებულს. ვფიქრობთ, რომ მეორე (ვრცელი) რედაქცია შეიქმნა უფრო გვიან. ნომოკანონის უკვე არსებული ქართული თარგმანი (ჩვენ მიერ პირველ რედაქციად წოდებული) შეუდარეს დედანს, დაახუხტეს და თარგმნეს ის ნაწილები, რომლებიც მას აკლდა. ქართული მეორე რედაქციის დედნად უნდა მივიჩნიოთ ბერძნული I სრული რედაქცია, რადგან შემადგენლობის მიხედვით ისინი ერთმანეთს სავსებით ემთხვევიან<sup>7</sup>.

II რედაქციაში შესულ სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან მოხმობილი ტექსტების თარგმანის გვიანდლობას ადასტურებს მძიმე, ქართულისათვის არაბუნებრივი კონსტრუქციებით გადატვირთული ენა, საგრძნობლად განსხვავებული ტექსტის იმ ნაწილისაგან, რომელიც პირველ რედაქციას მისდევს და ემთხვევა.

ახალი თარგმანის თავისებურებანია:

1. მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტით ნაწარმოებ: სიტყვათა ხშირი ხმარება: „იავარ-ქმნაჲ მისთაჲ ს რ უ ლ ე ბ ი თ ი“ (H 1670, 37r), „უფროჲ არს წამლითა მკლველობაჲ მ ა ხ კ ლ ი თ ი ს ა ს ა“ (H 1670, 34v).

2. ძალზე ხშირია მიმღეობათაგან განყენებულ ცნებათა წარმოების შემთხვევები: „ხოლო ვითარმედ კონსტანტინუპოლელსა აქუს განმგებლობაჲ პირველისა ჰრომისაჲ“ (H 1670 25v). „დოგესტონი მეექუსე და სამეოცდამეორე იტყვს, ვითარმედ სამღდელოჲსა საქმრისა მ ვ ა კ რ ე ბ ე ლ ო ბ ა ჲ ვერვისგან დამტკიცების“ (H 1670 15v)...

3. მიმღეობისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები: „რომლისამე მთავრისა მიმართ აქუნდა მოწლეობაჲ, გინა ჯშირად მიმავალობდა მუნ, საგონებელ არს მისდა დამტევებელობაჲ“ (H 1760. 18r). „არა კეთილად ვინმე ხ ა რ კ ი ს - მ ი მ კ დ ე ლ ო ბ ს , არა განმწმედელი თვისისა ადგილისაჲ“ (H 1670, 15r). „კჳალად მოვალეთა მ ყ ვ ა ნ ე ბ ლ ო ბ ე ნ სამსჯავროდ“ (H 1670, 18v).

4. სახელთა და მიმღეობათაგან ახალი, უჩვეულო ფორმების წარმოება: „ხოლო ჯერ-არს მათდა მეწიგნისა მიერ დიდისა ეკლესიისაჲსა ანუ პატრიარქისა მათისა მოციქულის მიერ მოთხრობაჲ მეფისა“ (H 1670, 26r).

<sup>7</sup> მხოლოდ ორ ადგილას (I ნაწ. VI თავი, II ნაწ. II თავი) ქართულს აკლია ორ-სამ სტრიქონიანი ნომოსი. აგრეთვე რამდენიმე ადგილას *ἀπόροι* — აღმოიკითხეთ — მითითება სხვა, წინა თავებთან მოტანილ შინაარსობრივად მსგავს დადგენილებაზე, რაც შეიძლება გადამწერის შეცოდებად ჩაითვალოს.



„ხოლო ესევეთარისა ვაჭარი, კკონომოსი ანუ წინამძღუარი, ანუ უცხრბ-  
მე შემწყნარებლე ანუ მესნეულე...“ (H 1670, 19v).

5. მიმღებობური კონსტრუქციების ჭარბი ხმარება: „ხოლო უკუეთუ ნა-  
ყოფთ-მრთუმელი იგი აღესრულოს, არგანმყოფელი მათი თვისა-  
გან, თანამდებობენ დამამკვდრებელნი მისთანი, რამეთუ მემამულეთამდე  
გარდავალს თანამდებობაჲ ნაყოფთმრთუმელობისაჲ“ (H 1670, 17r). „და  
განაბნევენ აღმოსაწოდებელად ტყუეთა ანუ საფასეთა საქონელთასა, ანუ  
შემოსავლსა უძრავთასა, არასადა დამჭირველნი ფალკიდო-  
ნისანი, და კუალად მოვალეთა მყვანებლობენ სამსჯავროდ“ (H 1670,  
18v). „ხოლო უვარყოფელნი და მამხილებელნი წინააღმდეგომნი — ისუეტე-  
ბიან, არა შემძლებელნი სამართლიანობისა რაჲსმე  
ქონებისანი“ (H 1670, 20r).

სისტემატური ნაწილის მთელ ტექსტში სულ რამდენიმე პატარა მონაკ-  
ვეთი არის ისეთი პირველ რედაქციაში, რომელიც მეორე რედაქციის  
შემქმნელს ხელახლა უთარგმნია. სწორედ ეს მონაკვეთები წარმოადგენს  
ენობრივ და სტილისტურ განსხვავებათა ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრა-  
ციას. ნათლად ჩანს აგრეთვე, რომ მეორე რედაქცია მეტი სიზუსტით მიჰ-  
ყვება დედანს. მოვიყვანთ პარალელურ ტექსტებს:

A 76

H 1670

(პირველი რედაქცია)

(მეორე რედაქცია)

ხოლო სამოქალაქოთა სჯულთა  
განწესებაჲ იტყვს, ვითარმედ მო-  
ნანი, რომელნი თანა-სათნო-ყო-  
ფითა უფალთა მათთაჲთა მონა-  
ზონ იქმნენ, განთავისუ-  
ფლდებიან მონებისაგან. ხო-  
ლო უკუეთუ დაუტეონ მონაზონე-  
ბაჲ და სხვსა ცხორებისა მიმართ  
მიიქცენ, მონა იქმნებიან კუალად  
(28v).

ხოლო ჟამი ქმნისა ანუ მიცემისაჲ  
დანატეობისაჲ მის ეგერა ზემო-  
მოკსენებულ არს, რომლისა შინა-  
გან ჯერ-არს ქმნაჲ და შენებაჲ ანუ  
სხვსა შემძლებელისა და მიცემაჲ მი-  
სი. ხოლო მთავარნი ადგილთანი  
აიძულებდენ ამისა ქმნად (22v).

ხოლო სამოქალაქოთა სჯულთა  
განწესებაჲ იტყვს, ვითარმედ ყოვ-  
ლისავე გარემისა საქმისათვის უქმნი  
არიან შკდნი დღენი უწინარეს აღვ-  
სებისა (25r).

ხოლო ოცდამათშვდმეტე განწყ-  
სებაჲ მესამისა ნაწილისა პირველი-  
სა წიგნისა კოდიკოჲსა იტყვს, ვი-  
თარმედ მონანი ჯერ-ჩინებითა  
თვსთა უფალთაჲთა მონაზონ-  
ქმნილი, თავისუფალ იქ-  
მნებიან. ხოლო უკუეთუ დამ-  
ტევებელთა მოღუაწებისათა  
სხვსა ქცევისა მიმართ გარდავიდენ,  
კუალად დაიმონებიან (41v).

ხოლო უკუეთუ მემამულენი  
ბრძანებულ იქმნენ შემდგომად აღ-  
სრულებისა მისისა ყოფად ანდერ-  
ჩისა ანუ მიცემად, ზემოთქმული  
ჟამი აღირიცხვოდენ შემდგომად  
ცხორებისაგან განსლვისა მისისა აღ-  
სრულებად საქმისა მის და მთავარ-  
ნიცა აიძულებდენ მათ აღსრულე-  
ბად (14v).

ხოლო მეხუთე განწესებაჲ მე-  
თორმეტისა ნაწილისა, მესამისა  
წიგნისა კოდიკოჲსაჲ იტყვს, ვითარ-  
მედ აღვსებისა უწინარესთა ორმე-  
ოცთა დღეთა ყოველი საძიებელი





ბრალებულია პატივისა და უქმობის  
და მეექუსე განწესება — ვითარ-  
მედ უქმნი არიან შვდნი დღენი  
უწინარეს აღესებისა (24r).

ხოლო სამოქალაქოთა სჯულთა  
განწესება იტყვს...

ხოლო ოცდამეათშვდმეტე განწე-  
სება, მესამისა ნაწილისა წირველი-  
სა წიგნისა კოდიკოასა იტყვს ..

(29v).

(41v)

სისტემატური ნაწილი იწყება შესავლით — „შეკრება კანონთა საეკლესიოთა, განყოფილი თოთხმეტ ნაწილად, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო“. შესავალში ავტორი შემდეგნაირად ასაბუთებს საეკლესიო კანონთა შექმნის აუცილებლობას: სამოქალაქო სჯული „გუეით სტანჯიდეს შეცოდებულთა“ და წმინდა მამებსა და მოციქულებს კი „ყოვლითურთ სისულოედ და ფრიად უჯეროდ შეერაცხათ ამისი ქმნაჲ, არამედ უფროასლა მათ თანა ვნებად მზა იყვნეს, რომელი-იგი პირველსავე ცთომათა მიმართ კულაძკეულთა მოქცევად მოსწრაფე იყვნეს“ და ცოდვილთა და გზიდან ამცდართ ამ თავისი კანონებით „პირველისა მის სიმართლისა მიმართ კულადა-აგებდეს“.

კრებულის შემდგენელის (შესავლის ავტორის) მიზანია, მასალა დაა-  
ლაგოს მსგავსების მიხედვით. შესავალშივე ჩამოთვლის, თუ რომელი კანონები შეაქვს თავის კრებულში. ესენია: ათი კრების (ნიკეის — 20, ახკვრის — 24, ნეოკესარიის — 25, სარდიკის — 21, ლანგრის — 20, ანტიოქიის — 25, ლაოდიკის — 54, კონსტანტინოპოლის — 7, ეფესოს — 9, ქალკედონის — 29, მოციქულთა — 85 და ბასილი დიდის — 84 კანონი.

19390  
ეს არის იოანე სქოლასტიკოსის მიერ შედგენილი 50 ტიტლოვანი ნომოკანონის შესავალი, რომელიც, როგორც ვ. ბენეშევიჩი აღნიშნავს, თოთხმეტტიტლოვანი ნომოკანონში გადმოიტანეს მოციქულთა განწესებებთან ერთად. პიტრას გამოცემაში ეს შესავალი მოსდევს XIV ტიტლოვანი ნომოკანონს (ტ. II, გვ. 375—378). ქართულში კი წინ უსწრებს სისტემატურ ნაწილს და მოსდევს პეტრესა და პავლეს განწესებებს. ქართულში 50 ნაწილის მაგიერ ყველგან შეტანილია თოთხმეტი. რადგან 50 ნაწილად გაყოფილი სისტემატური ნაწილი ქართულად საერთოდ არ ყოფილა თარგმნილი, როგორც ჩანს, შესავალიც შეათანხმეს რეალურ ვითარებასთან.

პირველ შესავალს მოსდევს უკვე 14 ტიტლოვანი კრებულის შესავალი, რომლის ავტორიც ლაპარაკობს კრებულის შედგენის პრინციპებსა და მასში შესულ მასალაზე. სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან მოტანილი პარალელების კრებულში შეტანისა და შინაარსობრივი განაწილების შესახებ შესავალში ნათქვამია: „ამათ თანა (საეკლესიო კრებათა დადგენილებებთან და წმინდა მამების კანონებთან ერთად, ვ. ნ.) სამოქალაქო სჯულთაგანცა თანა-მოწამენი რაჲმე საღმრთოთა კანონთა განწესებანი ზანდუკსა შინა წიგნისასა რომელთამე თავთა თანა გამოგკრიბენ და დავსხენ და რაოდენი-რაჲ ვპოვე მოწამე საეკლესიოასა კეთილად წესიერებისაჲ სამეფოთაცა შინა განწესებათა და ბრძენთა კაცთა მიერთა თარგმანებათა, შემოკლებულად ვყავ აღწერაჲ მათი თანად უკუე მოსაქსენებულად და დაუვიწყებელისა ქსენებისა დამმარხველად ესევითართა ამათ პირთათჳს“... A 76,7.

საქმის საბ. საქ. სსრ  
საქმის საბ. საქ. სსრ  
საქმის საბ. საქ. სსრ



შემდეგ მოდის ჩამოთვლა, „თუ რომელთა კრებათაგან და პირთა, ანუ რაოდენნი კანონნი შეკრებულ არიან აწინდელსა ამას შინა წიგნსა“. რასაც დევს პირველი დაყოფა თითხმეტ ნაწილად: „ნაწილნი კანონებრივთა განწესებათანი და თითოეულისა ნაწილისადა შესატყვისთა თავთანი“. ეს დაყოფა მოუხდენიათ კანონთა შინაარსობრივი დაჯგუფების მიზნით. შემდეგ ავტორი იგივე ჯგუფებს ხელახლა ჩამოწერს, ურთავს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული კანონის სახელდებას (ვისია ან რომელ კრებაზე ჩამოყალიბებულა კანონი) და რიცხვს და აქვე მოჰყავს შესაბამისი პარალელი სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან ციტატის, მთელი მუხლის, ან მონაკვეთის სახით.

ქართული ნომოკანონი 883 წლის (ფოტის) რედაქციის შემდეგდროინდელ დამატებებს და ცვლილებებს არ იმეორებს: სახელდობრ, მასში არ ასახულა ბასილი პირველის, ლევ მეექვსის, ალექსი კომნენის და შემდეგდროინდელი იმპერატორების მიერ სამოქალაქო სამართალში შეტანილი სიახლენი<sup>8</sup>.

ქართულ ნუსხეებში მოხსენიებულია იუსტინიანე დიდის ეპოქის სამოქალაქო სამართლის შემდეგი წყაროები: 1. ნეარონი||ნიარონი||ნეარუნი — იუსტინიანე დიდის ნოველების კრებული, 2. კოდინო||კოდინო — იუსტინიანეს კოდექსი. 3. დიგესტონი (Digestae) და 4. ინსტიტუტონი (Institutionae). ეს ორი უკანასკნელიც იუსტინიანეს ეპოქის ძეგლებია.

სამოქალაქო სამართლის წყაროები ქართულ ტექსტებში ზოგჯერ ერთი განზოგადებული სახელით არის მოხსენიებული: „სჯული“, „სამოქალაქო სჯული“, ან „სამოქალაქო სჯულთა განწესებანი“, ან „სამოქალაქო სჯულთა წესი“.

ქართული ტექსტი (II რედაქციის ნუსხები), როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად მიჰყვება ბერძნულ I რედაქციას. არის შემდეგი ხასიათის ცვლილებები და ჩამატებანი:

1. ქართველი მთარგმნელი იძლევა თავისი მკითხველისათვის საჭირო განმარტებას:

<sup>8</sup> გვიანდელი წყარო სამოქალაქო სამართლისა ნახსენებია ერთ მინაწერში, რომელიც აქვს H—1670 -ს, მეორე რედაქციის ხელნაწერს: „ხოლო ნეარონ პრქვან განგებულებასა რასმე ძუელსა ანუ აწლა ახლად განჩინებულსა, რამეთუ მიწუება აქუს მეფეთა ძუელთა რათმე შეუტყუებულთა მოქალაქობისა და სჯულისა ანუ თვს სამეფოასთა განახლებად, ვითარ-იგი ყო ბასილი მეფემან მეფობისა შეუტყუებულთათვს, რამეთუ წერილ იყო პირველთა მეფეთა მიერ, ვითარმედ სამეფო საქონელთაგანი უკუეთუ ვისმე დასწამოს ქონება და განაჩინოს მქონებელმან, ვითარმედ პირველ ორმოცისა წლისა რაოდენითაჲ აქუნდა, აქუნდინ დაუკლებელად. ხოლო მან განახლა სჯული იგი მეფეთა მიერ პირველთა დადებული ესრეთ სჯულის-დადებითა, ვითარმედ დაღათუ პირველ ორასთა წელთაჲსა გამოაჩინოს მქონებლობაჲ არა მამულისა მის მისისაჲ, არამედ სამეფოასა ადგილისაჲ, მყის თანად წარედოს. და კუალად ვითარ სასჯულოა განახლება ყო მეფემან ალექსი კომნენოსმან, რამეთუ ძუელთა მიერ სჯულდებულ იყო, რაჲთა არა თუ ეთნებოდის დაწინდებულთა ქორწინებაჲ, თითოეული გასაყრელსა შესატყვისსა თვისსა ძალისასა მისცემდეს, მნებებელი განუღღვისაჲ და განიყრებოდინ. ხოლო ალექსი უჯერობედ შემრაცხველ ამისამან განახლა სჯული რგი სჯულისმდებელმან, ვითარმედ ვერ რომლითა სახითა შეენდოს განყრაჲ ერთგზის ლოცვისა მიერ დაწინდებულთა თვნიერ სჯულისა გარეგანისა რაჲსმე მოზგისისა. და სამოქალაქონიჲ ყენა ამან განახლებანი: რამეთუ სჯული იყო პირველითგანი, რაჲთა ქალაქის ზღუდე არეწით ზღვს პირისა მოსახლეთა სახლების დამართებითი ყოველივე ზღუდა დაუყენებლად აქუნდეს სანადირებელად, არამედ ამან განახლა მბრძანებელმან, ვითარმედ ყოველივე ზღუდა სამეფო და უშინაჲნეს ზღვსა პირისა ყოველი მონადირე მოხარეჲ მეფისა, არათუ სამეფოთა წამით ათავისუფლებდეს. ესე და ესე ვითარნი არიან თითოეულთა პირთათვს ესრე სახედ ქმნილნი განახლებანი მეფეთანი და ამათსა მქონებელსა წიგნსა ნეარონთაჲ ეწოდების და არიან ახალნი ესე განწესებანი მეფეთანი მრავალ ნაწილ მსგავსად პირთა მათთაჲს ა“ (H—1670 13v—14r). მინაწერი აშკარად გვიანდელია.



„კჳალად მიტროპოლიტმან, ესე იგი არს დედაქალაქელ-  
მან, გამოიძიენ“ (H 1670,3v).

„წიგნი დიგესტონთა, ესე იგი არს სამოქალაქოთა სჯულთა ყოველთა  
შესაკრებელი ნაწილი“ (H 76,9r).

„ხოლო იტყვს პირველ ყოველთა შესაკრებელი წიგ-  
ნი, ნაწილი მეორე, ამის ყოველთა შესაკრებელისაჲ, რომელ  
არს დიგესტონი“ (A 76,39r).

„ხოლო ანკანაკობით, ესე იგი არს მიღებელობით მკლვე-  
ლობისათვის ხუთ წელ ექსორიობაჲ“ (H 1670,9v).

„და მერვე წიგნი კოდიკოსაჲ, რომელ არს სამეფოთა ყო-  
ველთა განწესებათა საუნჯე...“ (A 76,9r).

2. მთარგმნელს სურს ზოგადობა მიანიჭოს კანონს და ამიტომ იღებს  
ბერძნულში მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახელს და მის ნაცვლად სვამს სა-  
მეფოს ან სამთავროს:

„ხოლო უკუეთუ განველტნენ, ეძიებდედ მათ სამეფოსა ვიდრემე ში-  
ნა მთავარნი“ (H 1670,40r). ბერძნულში სამეფოს ნაცვლად არის — *ἐν μὲν  
βασιλείῃ*.

„ხოლო უკუეთუ განველტნენ, იძიენ იგინი სამეფოთა შინა მთა-  
ვართა და ეპარქოზთა მიერ“... ბერძნულში — *ἐν κωνσταντινουπόλει*.

„და მოყუასნი და მონაზონნი არბჭობილ იქმნებიან თვსგან გარე, არამედ  
სამთავროთა მათთა მთავრობათამი მიიყვანებიან, სადა-იგი პატივი მათი დაც-  
ვულ იქმნების და ვაქილთაჲ მიიყვანებენ (H 1670; 29r). *ὅτι οἱ... κλη-  
ρικοί καὶ οἱ μοναχοὶ δεῖξιμοὶ οὐ γίνονται, ἀλλὰ παρὰ τοῖς ἄρχουσιν τῶν ἐπαρ-  
χίδων ἀπὸ τῶν ἐνάγονται, ἐν Κωνσταντινουπόλει δὲ εὐρισκόμενοι παρὰ μόνους τοῖς  
ἐπάρχους ἐνάγονται, ἐνθα καὶ ἡ τιμὴ ἀπὸ τοῖς φυλάττεται καὶ συνηγόρους λαμβά-  
νουσιν.*

ქართულში გამოტოვებულია — „აღმოჩენილი კონსტანტინოპოლში ეპარ-  
ქიაში მიიყვანება მხოლოდ“. ეს პრინციპი ყოველთვის არაა დაცული. ზოგ-  
ჯერ დედანში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელი გადმოტანილია ქართულ  
თარგმანშიც.

3. ზოგჯერ შეცდომითაა საეკლესიო კანონის რიგითი ნომერი. I რედაქ-  
ცია ხანდახან არ მიუთითებს სამოქალაქო სამართლის მოტიანილი ტექსტის  
წყაროს და უბრალოდ აცხადებს: „...სამოქალაქოთა სჯულთა განწესებაჲ  
იტყვს“, რასაც II რედაქცია ასწორებს ზუსტი მითითებით, რომელიც დე-  
დანს ეყრდნობა.

ამრიგად, „დიდი სჯულისკანონის“ ქართული ნუსხების სისტემატური  
ნაწილის ორი — მოკლე და ვრცელი — რედაქცია გვაქვს. მოკლე (I რედაქ-  
ცია) უფრო ძველი ჩანს, ვრცელი კი (II რედაქცია) თარგმანზე შემდგომში  
შეშაობის ეტაპია.

Г. А. НИНУА

## СИСТЕМАТИЧЕСКАЯ ЧАСТЬ «ВЕЛИКОГО НОМОКАНОНА»

(Резюме)

Грузинские списки «Великого номоканона» создают две группы. Ввиду того, что в подобном каноническом сборнике редакционная раз-

ნიца проявляется в систематизации и изменении порядка материала, эти две группы рассматриваются нами как две редакции.

II редакция полная, она представлена двумя списками и совпадает с I редакцией греческого «Номоканона».

Остальные грузинские списки, названные нами I редакцией, кратки, соответствующую редакцию которой нам не удалось разыскать среди греческих списков.

---



უჩა ცინდელიანი

„რუთის“ წიგნის ქართული რედაქციები

I. შინაარსი: ელიმელექ ბეთლემელი თავის ოჯახთან ერთად (ცოლი ნოომინი და ორი ვაჟიშვილი) მოაბის ქვეყანაში გადასახლდება. ელიმელექი მალევე მოკვდება; მის ვაჟიშვილებს ცოლებად მოაბელი ქალები მოჰყავთ, — ორფა და რუთი. მოკლე ხანში ელიმელექის ვაჟიშვილებიც იხოცებიან. ნოომინი ბეთლემს ბრუნდება, მას თან მოჰყვება რუთიც.

მალე რუთი, დედამთილის რჩევით, მუშაობას იწყებს ბოოსის ყანაში (ბოოსი ნოომინის ქმრის ნათესავია). რუთმა თავისი მუყაითი შრომით ბოოსის ყურადღება დაიმსახურა. ნოომინი, ზრუნავს რა რუთის მომავალზე, შთააგონებს მას ცოლად გაჰყვეს ბოოსს, გაელენიან და მატერიალურად უზრუნველყოფილ კაცს. ამ მიზნით რუთი დედამთილისაგან ასეთ რჩევას ღებულობს: ღამე რუთი ჩუმად უნდა მივიდეს ბოოსის კარავში და მის ფერხთით დაწვეს. რუთი, მართლაც, ასე მოიქცევა და როცა ღამით ბოოსი თავის კარავში მწოლარე ქალს შენიშნავს, ეკითხება: „ვინ ხარო“. ქალი პასუხობს: „მე ვარ რუთ, მჭევალი შენი და გარდამომდეგ სამოსელი შენი, რამეთუ შენ ნათესავ ჩემდა ხარ“ (რუთი 3,9).

ძველი ებრაული ტრადიციის მიხედვით სამოსელის გარდამოდება (простеять кышло) არამარტო ერთი პირის მიერ მეორის დაცვას ნიშნავს, არამედ იგი პირდაპირ შეუღლების სიმბოლოც არის<sup>1</sup>.

რუთი თავისი სიტყვებით, „გარდამომდეგ სამოსელი შენი“, პირდაპირ სთხოვს ბოოსს ცოლად შერთვას. რუთის ეს მოთხოვნა მოტივირებულია თვით რუთისავე პასუხში: „რამეთუ შენ ნათესავ ჩემდა ხარ“, ე. ი. ებრაული ტრადიციის მიხედვით ნათესავს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის მორალური თუ მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს თავის ახლობელს.

ბოოსი რუთის წინადადებას მიიღებს და მასზე საზეიმოდ ჯვარს დაიწერს. რუთსა და ბოოსს ეყოლებათ შვილი, სახელი მისი იობეთ: „ესე არს მამაჲ იესესი, მამისა დავითისი“ (4,17).

„რუთის“ წიგნის ბოლო 4,17a—4,22<sup>3</sup> მუხლები სწორედ დავით მეფის გენეალოგიას წარმოგვიდგენს.

<sup>1</sup> „რუთის“ წიგნის ქართული ტექსტი 978 წლის ათონური ნუსხის მიხედვით გამოსცა აკ. შანიძემ. იხ. მისი: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, 1948.

<sup>2</sup> А. П. Лопухин, Толковая Библия или комментарии на все книги святого писания Ветхого и Нового завета, т. II, Петербург, 1905, стр. 219.

<sup>3</sup> „რუთის“ წიგნის შედგენილობიდან კამათს იწვევს მხოლოდ 4, 17a—4,22 მუხლები, რომლებიც გვიანდელ ჩანაბატად მიიჩნიათ „რუთის“ ტექსტში: O. Eissfeldt, Einleitung in das Alte Testament, Tübingen, 1964, გვ. 648—650.

როგორც ვხედავთ, „რუთის“ წიგნი ოჯახურ ურთიერთობას ეძღვნება. წიგნის ბოლოს ვგებულობთ, რომ რუთი და ბოოსი დავითის წინაპრები ყოფილან. გამომდინარე აქედან, ავტორების უმრავლესობა ერთხმად ასკვნის, რომ წიგნის მთავარ მიზანს დავითის გენეალოგია წარმოადგენს. წიგნის თხრობა იდილიურ ხასიათს ატარებს და იგი არ წარმოადგენს მკაცრი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებს. მასში მოგვეპოვება მრავალი წმინდაპოეტური ადგილი; თვით სახელები მაღონ და ქელეონ („სისუსტე“ და „არარაობა“) არ ჟღერენ როგორც ისტორიული ხასიათის სახელები.

II. „რუთის“ წიგნის ადგილი. უძველესი ცნობების მიხედვით „რუთის“ წიგნი უშუალოდ „მსაჯულთა“ წიგნს მოსდევდა. ავტორების ერთი ნაწილი (იოსებ ფლაბიოსი, ორიგენი) „რუთისა“ და „მსაჯულთა“ წიგნებს ერთ წიგნადაც თვლიან. ორიგენის აზრი შემდგომში ბერძენმა საეკლესიო მამებმაც გაიმეორეს, მაგრამ იერონიმუსთან უკვე „მსაჯულთა“ და „რუთის“ წიგნები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

ებრაული მასორეტული ტექსტის მიხედვით „რუთი“ შედიოდა ე. წ. ჰაგიოგრაფიულ წიგნთა შემადგენლობაში. სულ გვექონდა თერთმეტი ჰაგიოგრაფიული წიგნი შემდეგი თანამიმდევრობით: „ფსალმუნი“, „იობი“, „სიბრძნე სოლომონისი“, „რუთი“, „ქებაჲ ქებათაჲ“ და სხვა. ჰაგიოგრაფიულ წიგნებში „რუთის“ მოხვედრა გვიანდელი ფაქტი ჩანს. ალბათ ამან გამოიწვია ის დიდი სხვაობა ძველი აღთქმის წიგნთა თანამიმდევრობაში, რომელსაც ამჟამად ებრაულში ვხედავთ<sup>4</sup>.

ავტორების უმრავლესობის აზრით<sup>5</sup>, „რუთის“ წიგნის კანონიერი ადგილი „მსაჯულთასა“ და „სამოელის“ წიგნებს შორის უნდა ვეძებოთ. საგულისხმოა, რომ ყველა ქართული ნუსხა „რუთის“ წიგნს სწორედ დასახელებულ ადგილას ათავსებს.

III. „რუთის“ წიგნის ქართული რედაქციების ურთიერთმიმართებისათვის. „რუთის“ ქართული თარგმანი დაცულია ხუთ ნუსხაში, რომელთაც აღვნიშნავთ ლიტერებით BDOS<sup>6</sup>. ამ ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტი ორ რედაქციად იყოფა: BDOS ნუსხები გაერთიანებულია C რედაქციაში. მას საფუძვლად დაედო O ნუსხაში დაცული ტექსტი.

ღ რედაქცია<sup>7</sup> მხოლოდ გ ხელნაწერის შემცველია. ეს არის სამეცნიერო ლიტერატურაში გელათური ვერსიის სახელით ცნობილი ნუსხა<sup>8</sup>, რომელიც აღ-

<sup>4</sup> O. Eissfeldt, Einleitung... გვ. 599. А. П. Лопухин, Толковая библия..., т. II, стр. 209.

<sup>5</sup> O. Eissfeldt, დასახ. ნაშრომი, გვ. 646.

<sup>6</sup> ლიტერების მნიშვნელობა:

O=ათონური ნუსხა 978 წლისა, ოშკს გადაწერილი.

G= A—1108 და Q—1152, XII ს. გელათური ბიბლია.

D= H—885.

S= A—51, ე. წ. მცხეთური, საბას მიერ რედაქტირებული ბიბლია.

B=ბაქარის მიერ 1743 წელს მოსკოვს გამოცემული ქართ. ბიბლია.

<sup>7</sup> ლიტერით პირობით აღინიშნება გელათური ვერსიის ტექსტი, რომელიც ჩვეულებრივ უპირისპირდება C-სა და მის მიმყოფ ლ რედაქციებს.

<sup>8</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 420. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: „მნათობი“, 1939, № 4.



მოჩენილ იქნა ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში<sup>9</sup>. ამ ვერსიის შესახებ, კერძოდ, „რუთის“ წიგნზე, დაწვრილებით ლაპარაკობს რ. ბლეიკი<sup>10</sup>.

გელათური ვერსია, როგორც ამას ქვემოთ განხილული ფაქტობრივი მასალის ანალიზიც დაგვანახვებს, ცდილობს ზედმიწევნით მისდევდეს ბერძნული ბიბლიის LXX-სეულ თარგმანს<sup>11</sup>. გელათური ვერსიის ამგვარი მიდრეკილება თავს იჩენს ყველგან, იქნება ეს ტექსტუალურ-ლექსიკური სფერო, თუ სტილისტური თავისებურებანი.

მოგვყავს ორიოდ ნიმუში, საიდანაც ნათლად გამოჩნდება არსებითი სხვაობა **ჯ** და **ღ** რედაქციებს შორის.

**ჯ**

**ღ**

4,6: ჰრქუა ნათესავმან მან: ვერ კელ-მეწიფეების მე თავისა ჩემისა შეილებად მისა, ნუჟუჟე განვრყუნე სამკვდრებელი ჩემი. და ეშვილე შენ სამკვდრებელსა მას ჩემსა ზედა, რამეთუ მე ვერ ძალ-მიც შეილებად.

და ჰრქუა სასუმელმან: ვერ ძალ-მიც სასუმლობად ყოფად თავისა ჩემისა, ნუსადა განვხრწნე სამკვდრებელი ჩემი. ისასუმლე თავი შენი სასუმელსა ჩემსა, რამეთუ ვერ ძალ-მიც.

4,7: და ესე სამართალი იყო პირველად ისრაჴლსა შორის საშვილებელსა ზედა და ცვალებასა ზედა, რადთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ: განიძარცვს კაცმან ჭამლი თვისი და მისცის მოყუასსა თვისსა, რომელი იშვილებინ საშვილებელსა თვისსა ზედა. და ესე იყო საწამებელ ისრაჴლსა შორის.

და ესე სამართალი იყო წინაწარ ისრაელსა შორის სასუმლობასა ზედა და ცვალებასა ზედა დამტკიცებლად სიტყუსა: განიჭდიდა კაცი ჭამლსა თვისსა და მოსცემდა მოყუასსა თვისსა მესასუმლესა სასუმლომას მისისასა. და ესე იყო საწამებელ ისრაელსა შორის.

შდრ.: 4, 6: και ειπεν ο ἀγγιστεὺς Οὐ δυνήσομαι ἀγγιστεῖνσαι ἐμαυτῶ, μήποτε διαφθείρω τὴν κληρονομίαν μου· ἀγγίστευσον σεαυτῶ τὴν ἀγγιστεῖαν μου, ὅτι οὐ δυνήσομαι ἀγγιστεῖνσαι.

4, 7: και τοῦτο τὸ δικαίωμα ἐμπροσθεν ἐν τῶ Ἰσραηλ ἐπὶ τὴν ἀγγιστεῖαν και ἐπὶ τὸ ἀντάλλαγμα τοῦ στήσαι πᾶν λόγον, και ἵπελῦστο ὁ ἀνὴρ τὸ ἵπῶδημα αὐτοῦ και ἐδῆμου τῶ πλησίον αὐτοῦ τῶ ἀγγιστεῖοντι τὴν ἀγγιστεῖαν αὐτοῦ, και τοῦτο ἦν μαρτύριον ἐν Ἰσραηλ.

**ღ** რედაქციის თვალსაჩინო სიახლოვე ბერძნულთან, პირველ ყოვლისა, თავს იჩენს ამ რედაქციის მიერ მიმღეობური და ინფინიტიური კონსტრუქციების გამოყენებაში:

<sup>9</sup> თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები. წიგნი მეორე, ტფილისი, 1897, გვ. 36.  
<sup>10</sup> Р. П. Б л э й к, О древне - грузинских версиях Ветхого завета: Известия кавказского Отделения Московского археологического общества, вып. VI, 1921, стр. 23—28.  
<sup>11</sup> ვიყენებთ LXX რალფისეულ გამოცემას: Septuaginta id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes edidit Alfred Rahlfs, Stuttgart, 1952. Librorum Veteris Testamenti Canoniorum pars prior graece Pauli De Lagarde studio et sumptibus edita, Gottingae, 1883.



1, 18: *ἰδούσα δὲ Νοομι:* ხოლო მხილველი გ| ხოლო მან ვითარცა იხილა  
DOS, ხოლო იხილა ნოოემინ B.

2, 3: *καὶ 2<sup>0</sup>]+ἐλθοῖσα A:* და მოხრული გ| და მოვიდა BOS.

2, 15: *λέγων:* მეტყუელმან გ| და ჰრქუა BOS.

2, 16: *καὶ βασιτάζοντες βασιτάξατε αὐτῇ καὶ γε παραβάλλοντες παραβα-  
λεῖτε:* და მტვრთველთა იტვრთეთ ეგე და მკამველნი აჭამებდით მას გ| არამედ  
თავსდებით თავს იდევით ეგე და მისციით მას საკმლისაგან თქუენისა BDOS.

2, 18: *ἐξενέγκασα:* მრთულმან გ| გამოიღო DOS, მოიღო B.

3, 3: *μὴ γυρωσῶμαι:* არა გამომეცნიერებელი გ| ნუ გამოეცხადები BDOS.

3, 7: *κοιμηθῆναι:* დაწოლად გ| დაწვა BDOS.

3, 10: *μὴ πορευθῆναι:* არა სლვათა შენთა გ| არა მოხუედ შენ BDOS.

4, 1: *ἐκκλίνας κάμισον:* მიმქცეველი დაჯედ გ| მოაქციე და დაჯედ აქა DOS,  
მოაქციე აქა და დაჯედ B.

4, 11: *τῆν εἰς πορευομένην:* შემომავალსა გ| რომელი შევალს BDOS.

4, 15: *ἡ ἀγαπήσασά σε:* შემეუარებელმან შენმან გ| რომელმან შეგიუარა  
შენ BDS.

გელათური ვერსიის მისწრაფება, სიტყვასიტყვით გადმოსცეს ბერძნული  
დედანი, იმდენად პედანტურია, რომ მასში **Σ** რედაქციისათვის დამახასიათებელი  
ბუნებრივი თხრობა აშკარად ხელოვნურ, ქართული სინტაქსისათვის  
უჩვეულო სახეს ღებულობს:

1, 12: *γεγῆρακα τὸν μὴ εἶναι ἀνδρῖ:* დავბერდი არლა ყოფად ქმრისად გ|  
დავბერდი და არლარა შეძლებელ ვარ მე ქმრისა სუმაღ BDOS.

აქვე: *ἔστιν μοι νόστοςαις τὸν γενηθῆναι με ἀνδρῖ:* არს ჩემ თანა ძალი, რაა-  
თა ვექმნე მე ქმრისად გ| შემძლებელ ვარლა და შევეყო ქმარსა BDOS.

1, 16: *ἀποστρέψαι ὤπισθεν σου:* უკუნქცევაა უკუნანაგან შენსა გ| მივიქცე  
და წარვდ შენგან BDS.

2, 20: *ἐγγίξει ἡμῖν ὁ ἀνῆρ:* გუახს ჩუენ კაცი გ| მახლობელ არს კაცი იგი  
ჩუენდა BDCS.

3, 2: *ἰδὸν αὐτὸς λιμυρὸν τὸν ἄλωνα τὸν κριμὸν τὰντῇ:* აჰა იგი ჰვაწლავს  
კალოსა ქრთილთასა გ| იგი შეპკრებს ქრთილსა კალოსა თვსსა BDOS.

3, 7: *ἀπεκάλυψεν τὰ πρὸς ποδὸν αὐτοῦ καὶ ἐκοιμήθη:* აღჰსაბურველნა  
ფერჯითნი მისნი და დაწვა მუნ გ| დაწვა იგი მახლობელად ფერჯთა თანა მისთა  
BDCS.

3, 16: *καὶ εἶπεν αὐτῇ πάντα, ὅσα ἐποίησεν αὐτῇ ὁ ἀνῆρ:* და უთხრნა მან  
ყოველნი, რაოდენნი უყვნა მას კაცმან გ| ხოლო მან უთხრა ყოველივე, რაა უყო  
კაცმან მან BDCS.

სხვაობა **Σ** და **Λ** რედაქციებს შორის დაჩნდება სინონიმთა გამოყენება-  
შიც. გელათური ვერსია, როგორც წესი, სხვა სინონიმს ხმარობს, **Σ** — სხვას.  
გელათური ამ შემთხვევაშიც ზედმიწევნით ცდილობს შესაბამისი ბერძნული  
სიტყვის თარგმნას:

1, 1: *παρουήσασαι:* მსხემობად გ| მწირობად S, მწირობდა BDO.

1, 4: *κατήκησαν:* დაემკვდრნეს გ| იყოფოდეს BDOS.

1, 7: *αἰ... ὑμῶμαι:* სძალნი გ| ძის ცოლნი BDCS.

1, 13: *ἀνδρυσώσιν:* განმამაკაცნენ გ| განორძინდენ BDOS.



- 2, 7: **ξας ἐσπέρας**: მწუხრამდე გ| აქამომდე BDCS,  
 აქვე: **κατέπαυσεν**: დასცხრა გ| განისუენა BDCS.  
 2, 8: **μετὰ τῶν κορασίων**: ქალთა ... თანა გ| მკვეალთა ... თანა BDOS.  
 2, 9: **ἐνετελέμην**: მიმცნეს გ| მიბრძანებეს BDCS.  
 2, 15: **μη καταισχύνητε**: ნუ არცხუნთ გ| ნუ ჰკლემთ BDOS.  
 3, 9: **ἀγχιεστές**: სასუმელი გ| ნათესავ BDCS (შდრ. 3, 12).  
 3, 11: **φσλή**: ტომი გ| ნათესავი BDOS.  
 3,13 **ἀβλίσθητι**: დაისადგურე გ| იყავ O, იქცეოდე DS, იწვევ B.  
 3, 18: **μη ἦσυχάσῃ**: არა დაყუდნეს გ| არა დაიღუმოს BDCS.  
 4, 1: **κρψιε**: დაფარულო გ| საიდუმლოჲა O, საიდუმლოთ DS.  
 4, 15: **τῆν παλιάν**: მკცოვანებასა გ| სიბერესა BDCS.

ხშირია შესაბამისი ბერძნული სიტყვის კალკირების შემთხვევები:

- 1, 15: **ἡ σνγνυμφός σου**: **თანახალმან** შენმან გ| მოყუასი შენი BDCS.  
 2, 14: **ἐβόνησεν**: შეუბორცუა გ| შეუსუარა CS. გელათური ვერსიის წაკითხვა „შეუბორცუა“ წარმოდგება **ἐβόνησεν** ზმნიდან **βόνησις**<sup>12</sup> ფუძის გამოყოფის ნიადაგზე. კონტექსტში აქ ლაპარაკია „ჯალის“ მოზღვავზე და „ბორცვი“, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია. ანალოგიური სურათია 2, 17 მუხლშიც, სადაც გელათური ნუსხა ბერძნული **ἐργάζεσθαι**-ის შესატყვისად „განარგნას“-ს ხმარობს. „განარგნა“ მომდინარეობს „არგან“ სიტყვიდან (შდრ. **ἄργεζ** — быть палкой, сечь), სხვა რედაქცია აქ შინაარსობრივ თარგმანს ამჯობინებს: „გამოწმიდა || გამოკრიბა“ (კონტექსტში ლაპარაკია მარცვლის გამორჩევაზე თავივე ბედნი).

საყურადღებოა აგრეთვე 1, 22 მუხლში **τ** რედაქციის „მოაბელის“ ნაცვლად „**მოაბიტის**“ ხმარება, რაც აგრეთვე ბერძნულის **ἡ μααβιτις**-ის ზედმიწევნითი გადმოცემის ცდაა. ეგვევ ტენდენცია გატარებულია საკუთარ სახელთა გადმოცემაშიც, თუმცა იგი ბოლომდე დაცული არაა:

- 1, 2: **Ἐλιμελεχ**: **ელიმელეხ** გ|; ასევე 1, 3-შიც, მაგრამ 2, 1-ში გელათური ვერსიაც, **τ** რედაქციის მსგავსად, „**ელიმელექისსა**“-ს ხმარობს.

აქვე: **Μααλων και χελκισων**: მალონ და ქელლონ გ. (ასევე 1,5-შიც, მაგრამ 4, 9-ში გელათურშიც, **τ** რედაქციის მსგავსად „მალონისნი და ქელლონისნი“ ვვაქვს.

აქვე: **Νοεμειν**: ნოემინ გ. და სხვა.

შეინიშნება გრამატიკული სქესის გამოხატვის ტენდენცია; ამ მიზნით გელათური ვერსია იყენებს -ა და -იდ სუფიქსებს:

- 2, 5: და ჰრქუა ბოთსმან ყრმასა მისსა, ზედამდგომსა მომკალთასა: ვინ არს **ჰაბუკიდი** ისი გ; შდრ. აგრეთვე: ჰაბუკა BS.

- 2, 6: და მიუგო ყრმამან...: მოაბელი არს **ყრმიდი** მოქცეული ნოომინის თანა ველით მოაბისადთ გ; შდრ. აგრეთვე 1,8: „...უკუნ იქეცით **თვთოელიდი**“ და 1,9: „...ჰპოთ განსუენებაჲ **თვთოელიდმან**“ გ.

გელათური ვერსია ენობრივი თვალსაზრისითაც ბევრ საყურადღებო სიახლეს იძლევა. ამ საკითხზე უკვე არსებობს გამოკვლევა<sup>13</sup>, რომელშიც წარმოდგენილია გელათურ ვერსიაში დადასტურებულ სიახლეთა ზოგადი სურათი

<sup>12</sup> **ὁ βόνησις**—ბორცვი, გორა.  
<sup>13</sup> ბ. გ. ი. გ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ც. კ. ი. კ. ვ. ი. ძ. ე. რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია). შ. რუსთაველის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი ხელნაწ. ინსტიტუტის კრებული „ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 1966, გვ. 153—159. გელათური ვერსიის ენობრივ სიახლევებს ეხება რ. ბ. ლ. ე. ი. კ. ი. ც., დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

და ამდენად ცალკეულ წიგნებზე ყურადღების გამახვილების საჭიროება უკვე აღარ იგრძნობა.

IV. **ტ** რედაქციის ნუსხათა ურთიერთდამოკიდებულებებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ტ** რედაქცია შეიცავს BDOS ნუსხებს. სწორედ ეს ნუსხები ჰქონდა რ. ბლეიკს მხედველობაში, როცა ამბობდა: «Они составляют в общем родственную между собою группу, к которой примыкает также и М; но все они немного различаются друг от друга и мне пока еще не удалось точно определить их взаимные отношения»<sup>14</sup>.

უნდა აღვნიშნოს, რომ დასახელებული ნუსხებიდან ძირითადი ტექსტის მიმართ რამდენადმე თავისებურ დამოკიდებულებას B და D ხელნაწერები ამჟღავნებს.

ცნობილია, რომ B ნუსხა, ე. წ. ბაქარის ბიბლია, არც თუ იშვიათად ცალკე რედაქციად გამოიყოფა. მართალია, ბაქართან „რუთის“ ტექსტსაც განუყვლია ზოგიერთი ცვლილება, მაგრამ არა იმდენად, რომ ამ ცვლილებებმა მისი ცალკე რედაქციად გამოყოფის საფუძველი მოგვეცეს. აქვე უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ის ფაქტიც, რომ ბაქარის ტექსტში დადასტურებული ცვლილებების უმრავლესობა ან გელათური ვერსიის წაკითხვებს ემთხვევა, ანდა მათ უჭერს მხარს.

სხვაობის ერთი ნაწილი ლექსიკურ სინონიმებზე მოდის. ასეთ შემთხვევებში ბაქარის ნუსხაც, მსგავსად გელათური ვერსიისა, ცდილობს შესაბამისი უცხო ტექსტის ზედმიწევნით გადმოცემას:

1, 2: ქუეყანასა DOS] აგარაკსა B, ველსა გ.

1, 6: ნაყოფისა DOS] პურისა Bg.

1,7: ქუეყანით DOS] ადგილით Bg.

აქვე: ძის ცოლნი DOS] საქალნი Bg.

3, 14: დაიძინა DOS] დაწვა Bg.

31, 6: და DOS] ხოლო მან Bg.

4, 5: მკვდრი DOS] სახელი Bg.

4, 12: ნათესავისაგან DOS] თესლისაგან Bg.

გელათური და ბაქარის ტექსტების მოწმობას დროდადრო გვერდში ამოუდგება ხოლმე DS ნუსხებიც:

1, 4: ათ წელ O] ათ (ათად S) წლამდე BDgS.

2, 10: რაჲ O] რაჲ არს, რამეთუ BDgS და სხვა.

გვაქვს მინიმალური განსხვავება ტექსტუალურადაც, რაც B ნუსხაში მატება-კლების სახით გვევლინება. დამატებული და დაკლებული ადგილები ამჭერადაც შესაბამისი უცხო ტექსტის კარნახს ექვემდებარება უმთავრესად:

1, 5; ქმრისაგან] +თვისაBgS.

1, 6: მიცემად] +მათდა Bg.

1, 7: ქუეყანით] +სადაცა იყვნენ იგინი B, სადა იყო მუნ გ.

1, 8: მოიქცით] +თვთეული B, თვთოეულიდი გ.

1, 11: და] +ვითარ Bg.

2, 2: ვპოვო] +მადლი Bg.

2, 6: მოვიდა] +ნომინის თანა BDgS.

2, 23: ქრთლისაჲ] +და იფქლისა (იფქლთაჲ გ) Bg.

<sup>14</sup> P. П. Б л э й к, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.



3, 7: ფარულად] + და აღხადა B, და აღჰსაბურველნა გ.  
3, 11: აწ] + ასულო Bg.

კლება:

- 1, 7: იგინი OS] — BDg.  
1, 9: და უჯმნიდა OS, და უჯმნა D] — Bg.  
აქვე: კეთილისა მაგის წილ DOS] — Bg.  
1, 11: და წარვედით DOS] — Bg.  
2, 6: ბოსს DOS] — Bg.  
2, 14: და მისცა O] — BDgS.  
3, 8: ოდენ განიღვძა DOS] — Bg.

სტილისტური თავისებურებებიდან ბაქართანაც ინფინიტიური და მიმდებარე კონსტრუქციები იქცევეს ყურადღებას. სულ რამდენიმე მაგალითი დადასტურდა, მათ შორის მხოლოდ ერთია საერთო ბაქარისა და გელათური ტექსტებისათვის, დანარჩენში ბაქარი განმარტოებით დგას:

2, 10: ჭამდეს და კრებდეს თავსა და ნუ ჰრისხავთ მაგას DOS] შეკრებად და ჭამად და ნუ განაყენებთ მას B; მაგრამ: ჭამოს და კრიბოს და არა შეჰრისხნეთ მას გ.

1, 9: ჰპოთ თქვენ განსუენებაჲ DOS] პოვნად განსუენებისა თვთულსა B; მაგრამ: ჰპოთ განსუენებაჲ თვთოეულიდმან გ.

2, 6: რომელი-იგი ზედა ადგა მომკალთა მათ DOS] მდგომელმან სამკალსა ზედა B: ზედამდგომმან მომკალთამან გ.

B ნუსხისათვის დამახასიათებელი ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ბაქარის გამოცემაში რედაქტირება უმთავრესად გულისხმობდა ქართული თარგმანის სტანდარტულ ტექსტთან (ამჯერად ბერძნულ LXX-თან) დაახლოებას. გაუთვალისწინებელი, სლავურ თარგმანთან ერთად<sup>15</sup>, როგორც ჩანს, არც გელათური ვერსიის ჩვენება დარჩენილა<sup>16</sup>.

რაც შეეხება D ნუსხას, იგი გამოირჩევა ტექსტისადმი თავისუფალი დამოკიდებულებით; იგულისხმება D ნუსხაში დადასტურებული მასიური კლება, საპირისპიროდ შესაბამისი ბერძნულ-სომხური და ქართული ტექსტებისა:

2, 12: ἵπὸ τῆς πτέρυγας αὐτοῦ: ἦν ἡ [ψιλορ] ἡ ἰορα: ქუეშე ფრთეთა მისთა BOS]—D

2, 10: ἐπὶ τῆν γῆν: ქრქიქრ: ქუეყანასა ზედა OS, მიწამდე B]—D.

2, 9: εἰς τὰ σῆσῆ: ქამანან: ჭურჭრად BOS]—D.

2, 8: οὐ πορεύσῃ: ძი მნაღ: ნუცა განეშორები BOS]—D.

აქვე: σὺ λῆξαι: გრაქი: კრებად BOS]—D.

2, 14: καὶ φάξεται τὸν ἄρταν: ხს ჯხრ ხ ნაყქე: და ჭამე პური BOS]—D.

2, 21: Ἢς ἰπάρχει μισ: ირჯაჲ ჩეხს ხამ: რავდენიცა არს ჩემი BOS]—D.

3, 9: ἐπὶ τῆν θιάλην σσα: გაყაქანიოქ გიქ: მკვეალსა შენსა BOS]—D.

<sup>15</sup> როგორც ცნობილია, ბაქარის გამოცემა ჯერ არჩილ მეფის მიერ, შემდეგ თვით ბაქარის მონაწილეობით სწორდებოდა სლავურ (შესაძლებელია რუსულ) თარგმანთა მიხედვით. იხ. ბაქარის გამოცემის ბოლოსიტყვაობა.

<sup>16</sup> ზოგიერთ წიგნში საერთო ტექსტსაც კი წარმოგვიდგენენ. ამის შესახებ: P. II. Б л э ѱ к, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—37.

დამახასიათებელია აგრეთვე „და“ კავშირის სისტემატური კლება. შეიმ-  
ლება ითქვას, რომ „და“ კავშირის გამოყენება ამ ნუსხაში მინიმუმამდეა დაყ-  
ვანილი.

შემოკლებისაკენ მისწრაფება ჩანს შემდეგ ფაქტშიც: იქ სადაც BDOS  
ნუსხები და ბერძნულ-სომხური პარანომაზიის ხერხს იყენებს, D ნუსხა  
ერიდება მას და პარანომაზიურ წყვილს, როგორც წესი, კენტად წარმოგვიდ-  
გენს<sup>17</sup>:

2, 3: *και περιέπεσεν περιπτώματι τῆ μερίδι: ხე ღიჟილი ღიჟიგოა ქინა-  
ჟი:* და მიემთხვა მიმთხვევით ნაწილსა მას BOS] და მიემთხვა D.

2, 16: *βαστάζοντες βαστάζατε: բանալով բարձուսჯիք:* თავსდებით თავს  
იღვეით BOS] თავს იღვეით D.

2, 11: *ἀπαγγέλια ἀπηγγέλθη: պատմելով պատմեցաւ:* თხრობით მითხრეს  
(მითხარ B) BOS] მითხარ D და სხვ.

რაც შეეხება ქართული ტექსტის წარმომავლობის საკითხს, „რუთის“  
წიგნი ამასთან დაკავშირებით არ იძლევა გარკვევით რაიმეს თქმის უფლ-  
ბას. ერთადერთი, რაზეც „რუთის“ ქართული ტექსტის მიხედვით მსჯელო-  
ბა შეიძლება, შემდეგია: ქართული თარგმანი მეტ სიახლოვეს იჩენს ე. წ.  
ალექსანდრიულ ტექსტთან, რომელსაც, თავის მხრივ, ემხრობა აგრეთვე  
სომხური ვულგატაც:

1, 1: *και ἐγένετο ἐν τῷ κρίνειν| και ἐγένετο ἐν ταῖς ἡμέραις ἐν τῷ κρί-  
νειν A: ხე ხეი ქისა აკიორიქ ქაორა ღათილიქ ღათათორაგნ:* და იყო ღღე-  
თა მათ მსაჯულთა სჯასა BDOS.

1, 2: *και ὄνομα 2<sup>o</sup>| και ὄνομα τῆ γυναικί αὐτοῦ Νοομι (Νωεμιν A) AL:  
ხე ანონ ღინი ღორა ნიონინ:* და სახელი ცოლისა მისისაჲ ნოომინ (ნოემინ B)  
BDOS.

1, 8: *μητρὸς BL| πάτρως A: სორ:* მამისა BDOS.

1, 11: *μου 1<sup>o</sup>|+πορενύητε A:* და წარვედით DCS]—BArm.

3, 7: *βουσι|+και ἔπιεν AL: ხე არრ:* და სუა BDOS.

ამასვე უნდა უჭერდეს მხარს საკუთარ სახელთა გადმოცემა ქართულში:

1, 2: *Κελαων B| Χελλαων L: Χελεων A:* ქელეონ DS, მაგრამ: *ჩხილინ:* ქე-  
ლონ B.

აქვე: *Ἀβειμελεχ| Αλιμελεχ A: Ελιμελεχ L: სქიჩიქიქ:* ელიმელექ O: ელი-  
მელიქ BDS.

4, 18: *Ἑσρων| Ἑσρομ A: ეხარიმ:* ესრომ BDOS.

4, 19: *Ἄραυ| Ἄραμ AL: არამ:* არამ BDCS.

4, 21: *აჟიჲ| აჟიჲ A: ირქიქ:* იობეთ DO, მაგრამ: იობელ BS.

აქვე: *βουσι| βουσι || βουσι A: βουσι L: ბოთი:* ბოთს<sup>18</sup> BDOS.

<sup>17</sup> შემოკლების ტენდენცია D ნუსხაში დატულ სხვა წიგნებშიც შეინიშნება: „ნემტთა“, „ისუ ნა-  
ვე“ და სხვ. ეგვევ ტენდენცია, ოღონდ უფრო ინტენსიურად. „მეფეთა“ წიგნების იერუსალიმურ  
ნუსხაშიც ვლინდება. ამან აღძრა კითხვა: აქვს თუ არა შემოკლებას D ნუსხასა და J—113-ში  
ერთნაირი ხასიათი? რადგან ამ ნუსხებს საერთო ტექსტი არ დაუცავთ, შესაძარებლად ავიღეთ  
A—570-ში დატული „მეფეთა“ წიგნები (D ნუსხა, როგორც ცნობილია, A—570-ის ასლია). შედარე-  
ბამ ცხადყო, რომ შემოკლება ამ ნუსხებში ერთი და იმავე პრინციპით არ ჩატარებულა (J—113  
ნუსხაში დატულ შემოკლებულ ტექსტზე დაწვრილებით ვლამარაკობთ ჩვენს სადისერტაციო ნა-  
შრომში „მეფეთა პირველი ორი წიგნის ძვ. ქართ. რედაქციები“, 1967, გვ. 14—30).

<sup>18</sup> ამ საკუთარ სახელთან დაკავშირებით საინტერესოა S ნუსხის ჩვენება: ოგი მთელი ტექსტის  
მანძილზე მხოლოდ „ბოთი“ ფორმას ხმარობს; გამოწკლისია 4,21 მუხლი, სადაც S ნუსხაში გააბ-



აქვე დავუმატებთ, რომ ქართული **ტ** რედაქციის ზოგიერთი ტექსტუალური თავისებურება მხოლოდ სომხურთან შეპირისპირებით აიხსნება:

2, 23: *სულგეჲ: კრებად გ| **բաղի** հասկ: კრებად თავისა BDOS.*

3, 4: *ἐλεσθη και ἀποκαλύψεις τὰ πρὸς ποδῶν αὐτῶν και ἰοικημήθη: მიხვდე და აღჰსაბურველნე ფერკითნი მისნი და დასწვე გ| **երկիցისა** **և** **բացვის** **კითხვ** **კი** **ი** **მ** **ან** **ს** **և** **ზნუცისა:** მივედ მახლობელად მისა და დაწვე ფერკითათნა მისთა BDOS. შდრ. აგრეთვე:*

3, 7: *ἀπεκάλυψεν τὰ πρὸς ποδῶν αὐτῶν και ἔιοικημήθη: აღჰსაბურველნა ფერკითნი მისნი და დაწვა მუნ გ| **մերկացուց** **კითხვ** **კი** **ი** **მ** **ან** **ს** **և** **ზნუცისა:** დაწვა იგი მახლობელად ფერკითათნა მისთა BDOS. ორივე შემთხვევაში **ტ** რედაქციის წაკითხვა „**მახლობელად**“ წარმოადგენს სომხური **კი** **ი** **მ** **ან** (**კი** **ი** **მ** **ან**) სიტყვის შინაარსობრივ თარგმანს<sup>19</sup>.*

3, 17: *τὰ ἕξ τῶν κριμῶν ταῦτα ἕδωκέν μοι: ექუსიცა ესე ქრთილთა მამცა მე გ| **գալս վից** **չափ** **գարույ** **և** **ինձ:** ექუსი ესე საწყაული ქრთლისა მამცა მე BDOS.*

აქვე უნდა მოვიყვანოთ S ნუსხაში დადასტურებული, ალბათ გვიან გაჩენილი<sup>20</sup>, მაგრამ მხოლოდ სომხურისათვის ცნობილი წაკითხვა:

2, 1: *բոսս|+և* **և** **նոս** **მ** **ჩ** **ნ** **այ** **თ** **ონ** **ა** **კ** **ր** **ი** **მ** **ჩ** **ხ** **ან** **բ** **ნ** **ა** **ს** **ի** **կ** **ი** **լ** **ի** **ნ** **ա**: და მისცა ნოთმინს სახლი ქვრიობისა საყოფლად მისსა S.

მოკლედ შევეხოთ **ტ** რედაქციის ზოგიერთ თავისებურებას. მხედველობაში გვაქვს ისეთი ფაქტები, როცა ბერძნულ-სომხურთან შედარებით ქართული უფრო აზუსტებს ამა თუ იმ კონტექსტს. ძნელია თქმა, ეს მონაკვეთები მხოლოდ ქართულის თავისებურებაა, თუ ისინი რომელიმე ჩვენთვის უცნობი წყაროს ანარეკლს წარმოადგენენ. ერთი ცხადია: ეს მონაკვეთები ამკარად თარგუმისებურ<sup>21</sup> ხასიათს ატარებენ:

1, 4: *και ἐλάβισαν ἔαυταις γυαλίνας: **և** **ააქნ** **ჩ** **რ** **ხ** **ან** **ე** **კ** **ან** **ა** **ა**: და მოიყვანეს თავისა თვისა ცოლნი B, და მოიყვანეს თავთა თვსთად მოაბელნი G. DOS ნუსხები აქ უმატებენ: და მოიყვანეს (+*ძეთა მათ მისთა*) თავისა თვისა ცოლნი DOS.*

1, 6: *και ἀνέστη αὐτή: **և** **იარხა** **ჩ** **ნ** **გ** **ნ**: და აღდგა იგი G| და აღდგა (+*დღედაცა*) იგი BDOS.*

3, 5: *εἶπεν δὲ Πυθ πρὸς αὐτήν: **և** **ააქ** **ყ** **ნ** **ა** **ნ** **ო** **მ**: და თქუა რუთმან მისდამი G| ჰრქუა რუთ დედამთილსა თვსსა BDOS. **ტ** რედაქცია „მისდამი“-ს*

რულია „ბოოს“ ფორმა. დანარჩენი ქართული ნუსხები მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელ ფორმას იყენებენ, თუ არ ჩავთვლით ასევე ერთ გამოჩაყლის: 2, 4 მუხლში გელათურ ვერსიაში გაპარულა „ბოოზ“ ფორმა. უცხო ტექსტებიდან სომხურში **բոսս**, ბერძნულის ალექსანდრიულ რედაქციაში *βωα II βωδ*, ხოლო ლუკიანეს რეცენზიაში სისტემატურად *βωδ* გვხვდება.

<sup>19</sup> **კი** **ი** **მ** **ან** (**მ** **ან**) — მხარე, ნაპირი; გვერდი, ნაწილი.

<sup>20</sup> როგორც ირკვევა, საბა მცხეთური ბიბლიის რედაქტირების დროს სომხურ ვულგატასაც იყენებდა. ამის შესახებ: ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები; ისუ შრომები, III, 1936, გვ. 258—363; უ. ც. ი. ნ. დ. ე. ლ. ი. ა. ნ. ი, მეფეთა პირველი ორი წიგნის ძველი ქართ. რედაქციები, „მრავალთავი“, I, 1971, გვ. 58.

<sup>21</sup> საკითხის დასმისთვის იხ.: Н. Я. М а р р, Заметки по текстам Святого писания в древних переводах армян и грузин: ХВ, т. II, вып. III, стр. 265; О кавказской версии библии в грузинских полим্পестных фрагментах: ТР по кавказской филологии, 1925, т. I, Ленинград, стр. 50—65.

ნაცვლად ხმარობს: „დედამთილსა თჳსსა“. იგი თითქოს განმარტავს (თარგმნის) „მისდამის“ შინაარსს.

ანალოგიური სურათი გვაქვს 3,7 მუხლშიც: *και ηλθεν και ημενην εν με-  
ριδι της σαρδης: κα εταρα ενεκαυ αα ηληρη φαυλιν*; და მოვიდა დაწოლად  
ნაწილსა გარდაგებულისასა ექ მოვიდა და დაწვა იგი ზვსნა მას წერულისა<sup>22</sup> (წე-  
რულისა DCS) მისისასა BDCS.

ტ რედაქცია კვლავ უმატებს: „წერულისა მისისასა“ (ეს სიტყვა ქარ-  
თულ დიალექტებში დღესაც ცოცხალია; იგი გვხვდება რაჭულში, მონღურსა  
და ხევსურულში „წერილწერილა“-ს სახით და ნიშნავს ძნის ზვინს, რომე-  
ლიც ძნების გარკვეულ რაოდენობას შეიცავს)<sup>23</sup>. „წერულის“ ჩამატებით  
ქართულმა დააკონკრეტა, რომ ესაა სწორედ ძნის ზვინი.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

## ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ КНИГИ РУФЬ

(Резюме)

Текст Книги Руфь в грузинском переводе представлен в двух редакциях: **Т** и **Л**. Редакция **Т**, в основе которой лежит текст Афонского списка 978 года, более древнего происхождения, а редакция **Л** является новым переводом грузинской библии в XII веке.

В ходе сличения этих редакций выяснилось особая приверженность редакции **Л** к греческому тексту LXX.

<sup>22</sup> „წერული“ ო ნუსხაშია მხოლოდ, სხვებში „წერული“ იხმარება ყველგან. საბასთან ს უკანასკნელია განმარტებული: წერული—ყანის ნაკრები შეკონვილი (მიუთითებს: რუთი 3, 7).

<sup>23</sup> ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 558, 565, 691.



ცილა ჰარცივიძი

„გოდებად იერემიადის“ ქართული რედაქციები

„გოდებად იერემიადის“ ელევგიური ხასიათის ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი ელევგის ის სახეობაა, რომელიც განვითარდა ებრაელებში წესიდან — საზეიმოდ დაეტირათ მიცვალებულები.

გოდების საგანია იერუსალიმისა და ტაძრის დანგრევა ქალდეველთა მიერ იუდეველთა უკანასკნელი მეფის სედეკიას დროს. წიგნის ავტორი ტირის იუდეველთა როგორც პოლიტიკური სიკვდილის გამო, ისე იმას, რითიც იყო შემზადებული ეს სამწუხარო ბედი ხალხისა — მათ მიერ ღმერთთან დადებული აღთქმის დარღვევას.

ბიბლიოლოგთა უმეტესობა „გოდებას“ ერთი პირის კუთვნილებად მიიჩნევს და ავტორად იერემია წინასწარმეტყველს ასახელებს, სხვები კი არ გამორიცხავენ შესაძლებლობას რამდენიმე ავტორის დაშვებისას.

დაწერის დროდ ძვ. წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის შუა წლები ივარაუდება — იერუსალიმის დანგრევის (586 წ.) ახლო ხანა<sup>1</sup>.

„გოდების“ წიგნი თავისებურია თავისი ფორმით: შედგება ხუთი თავისაგან, თითოეული თავი შეიცავს 22 მუხლს, ე. ი. იმდენს, რამდენი ასოცაა ებრაულ ანბანში; I—IV თავებში ეს მუხლები ანბანის რიგითაცაა განლაგებული.

რაც შეეხება V თავს, მუხლთა რაოდენობა აქაც 22-ია, მხოლოდ მუხლები აქ ანბანის რიგზე არაა განლაგებული, ამ თავს ამიტომ აღფაბეტიზირებულ თავს უწოდებენ.

I, II, IV თავებში თითოეული მუხლი იწყება საგანგებო, ანბანის რიგის შესაბამისი ასოთი, III თავში კი თითოეული მუხლი თავის მხრივ სამ ნაწილადაა გაყოფილი და მუხლის შიგნით ყოველი ეს ნაწილი ერთი და იმავე ასოთი იწყება.

ამგვარად, „გოდებაში“ ტექსტი დაყოფილია ებრაული ანბანის რიგით შეიღვზის.

„გოდების“ წიგნის ანბანურ დაყოფას სხვადასხვა ახსნას აძლევენ: რაბინთა აზრით, წინასწარმეტყველს სურდა ეჩვენებინა ებრაელთათვის, რომ მათ დაარღვიეს იელოვას მთელი კანონი ალეფი-დან თავ-ამდე, ანბანის შეიღვზისი გამოყენება კი ხალხის შეიდ ცოდვაზე უნდა მიუთითებდეს — ეს მოსაზრება არამეცნიერულია.

<sup>1</sup> Книга Плач, опыт исследования исагогико-экзегетического М. Благовещенского, Киев, 1899, гл. 83—113.



ბიბლიოლოგთა ერთი აწილი თვლის, რომ ანბანური ფორმა გამოყენებულია იმ მიზნით, რომ ეს პოეტური ნაწარმოები უკეთესი დასამახსოვრებელი ყოფილიყო მათთვის, ვინც მას მღეროდა; ზოგს ანბანური ფორმა ხელოვნურ მორთულობად მიაჩნია, რომელიც თითქოს უცხოა ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოებისათვის; სხვების აზრით კი „გოდების“ წიგნის ანბანურ ფორმას არსებითი კავშირი უნდა ჰქონდეს „გოდების“ ხასიათსა და დანიშნულებასთან.

II, III, IV თავებში ანბანური რიგი თითოჯერ დარღვეულია, მათში ყაინ-ის წინ არის ფე-თი აღნიშნული მუხლი (საქმე ეხება რიგით მე-16 და მე-17 მუხლებს), იმ დროს, როდესაც I თავში ფე და ყაინი ჩვეულებრივ რიგით მისდევენ ერთმანეთს<sup>2</sup>. მიზეზი აღნიშნული მუხლების გადანაცვლებისა უცნობია.

რაც შეეხება V თავის თავისებურებას, სადაც ანბანური ფორმა უგულებელყოფილია, ამ თავისებურების მიზეზად თვითონ V თავის შინაარსს ასახელებენ: V თავში გოდება გადადის ლოცვაში, გაბმული ლოცვისათვის კი ანბანური ფორმა დაბრკოლება იქნებოდაო.

I, II და III თავებში თითოეული მუხლი სამ სალექსო სტროფად იყოფა, IV თავში — ორად. III თავში სამი სალექსო სტროფიდან რაკი ანბანური რიგი დაცული აქვს არა მარტო პირველს, არამედ სამივეს, ამიტომ III თავს მასორეტები შეცდომით ჰყოფდნენ არა 22, არამედ 66 მუხლად.

„გოდების“ წიგნი ქართულ ენაზე ოთხ ნუსხაშია დაცული — ოშკის, იერუსალიმის, მცხეთისა და ბაქარის ბიბლიის კრებულებში.

მცხეთურ ბიბლიაში „გოდების“ ტექსტი წინასწარმეტყველთა წიგნებთან ერთად ჩაყინებულია 1710 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიიდან, ამავე ბიბლიიდანაა გადმობეჭდილი ეს ტექსტი ბაქარის ბიბლიაშიც.

ოშკისა და იერუსალიმის ნუსხების ტექსტები ერთ ძირითად რედაქციას ქმნიან, მცხეთისა და ბაქარის ბიბლიათა ტექსტები კი — მეორე რედაქციას (პირველი აღნიშნება ასომთავრული T-ით, მეორე — L-ით).

T და L რედაქციების შესაპირისპირებლად მოვიტანთ ორიოდ ნიმუშს:

**T**

„გულის-იდგინა უფალმან დამდაბლებამა ზღუდეთა ასულისა სიონისათაჲ, წარჰმატა საზომი და არა კუალად-აქცია ჯელი მისი დაცემისაგან, იგლოვდა ძლიერებამა და ზღუდენი მოუძღურდეს“ — II ხეთ.

„არა ჰრწმენა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა მკვდრთა სოფლისათა, რამეთუ შევიდოდა მტერი და მაჭირებელი ბჭეთა იერუსალემისათა“ — IV ლამედ.

**L**

„იგულის-სიტყუა უფალმან განხრწნაჲ ზღუდესა ასულისა სიონისასა საზომიერად და არ გარე-აქცია ჯელი თჳსი დასათრგუნველობისაგან მისისა, და იგლოვა წინმოზღუდვილობამან და ზღუდე ერთბამად მოუძღურდა“.

არა ირწმუნეს მეფეთა ქუეყანისათა, ყოველთა დამკვდრებულთა მკვდროვნისათა, ვითარმედ შევალს მაჭირებელი ბჭეთა მიერ იერუსალემისათა.

<sup>2</sup> ყაინ-ისა და ფე-ს რიგი დარღვეული არ ყოფილა მხოლოდ სირიულ თარგმანსა და ოთხ ებრაულ ხელნაწერში. ანბანის გადანაცვლებას ადგილი ჰქონია აღნიშნული ოთხის გარდა ყველა ებრაულ ხელნაწერში, სეპტანტაში, არაბულ და ეთიოპურ თარგმანებში.



ოშკის ნუსხაში ბიბლიის ამ წიგნს ეწოდება „გოდებაჲ იერემიასი“, იერუსალიმის ნუსხაში „გოდებანი იერემიასნი“, მცხეთისა და ბაქარის ბიბლიებში: „გოდებანი იერემია წინასწარმეტყუელისანი“.

ამ წიგნის სათაური იერუსალიმის ნუსხაში სეპტანტიკურია (Θρησι 'Ιερειμια), Ⴆ რედაქციისა—ვულგატას მისდევს (Lamentationes Ieremiae prophetae), Ⴆშკის ნუსხისეული კი ვერსად ვერ პოულობს შესატყვისს.

„გოდების“ ქართულ თარგმანებში ცალკეა დასათაურებული მე-5 თავი: Ⴆშკის ნუსხაში მას ეწოდება „ლოცვაჲ-გოდებანი“, იერუსალიმისაში — „ლოცვაჲ“, Ⴆ რედაქციაში — „ლოცვა წმიდისა იერემიასი“. აქაც იერუსალიმის ნუსხისეული სათაური სეპტანტიკურია, Ⴆ რედაქციისა (მცხეთისა და ბაქარის ბიბლიისა) სომხურ ვულგატას მიჰყვება, Ⴆშკის ნუსხაში დაცული სათაური კი ყველასაგან განსხვავებულია და ცალკე დგას.

ქართულ თარგმანებშიც ებრაული ანბანის მიხედვითაა დამუხლული პირველი Ⴆთხი თავი.

Ⴆშკისა და იერუსალიმის ხელნაწერებში მე-5 თავი მუხლებად დაყოფილი არ არის, გარდა ამისა ეს ხელნაწერები არც მე-3 თავის სამოცდაექვს მუხლად დაყოფას ცნობენ.

აღსანიშნავია, რომ ებრაული ანბანის სახელწოდებები Ⴆ და Ⴆ რედაქციებში ერთმანეთისაგან სხვაობს: Ⴆ რედაქციაში ისინი იმეორებენ სეპტანტაში დაცულ სახელწოდებებს (აღიფ — ალფ; ბეთ — ბეთ; გიმელ — გამელ; დალეთ — ბალეთ; Ⴆ — Ⴆ; Ⴆავ — Ⴆავ; ზაინ — ზაინ; ეთ — ეთ; ტეთ — ტეთ; ით — ით; ხეთ — ხეთ; ლამელ — ლამელ; მემ — მემ; ნუნ — ნუნ; სამებ — სამეჰ; Ⴆინ — Ⴆინ; ზე — ზე; სადე — სადე; კოფ — კოფ; რეს — რეს; სენ — სენ; Ⴆავ — Ⴆავ). Ⴆ რედაქციაში კი ამ სახელწოდებებს (მათ გარკვეულ ნაწილს) განსხვავებული ფონეტიკური სახე აქვს: გამელ—ნაცვლად გიმელ-ისა; ზმ (თ)—ზაინ-ისა; ხეთ—ეთ-ისა (დღეს: ხე); სამქათ—სამებ-ისა; წადე—სადე-სი (დღეს: ცადე). „გოდების“ Ⴆ რედაქციაში დაცულ ამ ფორმებს იქნებ რაიმე ღირებულება ჰქონდეთ ებრაული ანბანის სახელწოდებათა ისტორიისათვის.

იერუსალიმის ნუსხაში „გოდების“ ტექსტს პირველი Ⴆთხი თავის ფარგლებში აქვს მუხლების ქართული ანბანური სათვალავიც: ა-დან 35-მდე; ე. Ⴆ. 88. აქვე მე-4 თავის ბოლოს მიწერილია: „გოდებაჲ, თავი 35, მუხლი 88“, და შემდეგ: „ლოცვაჲ, ქე შე პრ რმ“. მე-5 თავის, ე. Ⴆ. „ლოცვის“ ბოლოს Ⴆშკის ნუსხაში მიწერილია: „მუხლი 88, ლოცვაჲ“, იერუსალიმისაში კი — „მუხლი 88“. ამ მინაწერებიდან ჩანს, რომ Ⴆშკის ნუსხისათვის „ლოცვა“ ანუ მე-5 თავი „გოდების“ ნაწილია, იერუსალიმის ნუსხისათვის კი იგი ცალკე დგას.

ბლაგოვეშენსკის, „გოდების“ წიგნზე ვრცელი მონოგრაფიის ავტორს, ბიბლიის ამ წიგნის ყველა სხვა ვერსიებთან ერთად (ებრაული, ბერძნული, ვულგატა, სირიული, ქალდეური პარაფრაზი ანუ თარგუმი, არაბული, ეთიოპური, სლავური) შეუხსწავლია და საგანგებოდ გამოუქველევია „გოდების“

<sup>3</sup> Ⴆშკისა და იერუსალიმის ნუსხებში თითქმის ყველა წიგნის ბოლოს გვაქვს მითითება, რამდენი თავისა და მუხლის შემცველია ეს წიგნი. ესა ძველი სათვალავი, რომელიც დღეს აღარ იხმარება. იერუსალიმის ნუსხის ამ მინაწერიდან ჩანს, რომ მისი გადამწერისათვის აქ „თავი“ ჩვენებური მუხლია, რომელიც „გოდებაში“ 35 რაოდენობისაა.



ძველი ქართული თარგმანიც ოშკის ბიბლიის მიხედვით. მას უსარგებლია კის ბიბლიის გადმონაწერით, რომელიც სიონის ტაძრისათვის იყო განკუთვნილი, ე. ი. A—471 ხელნაწერით<sup>4</sup>.

ბლაგოვეშენსკი ამ წიგნის ქართულ თარგმანს უდარებს სეპტანტის ვატიკანურ კოდექსს, აღნუსხავს ყოველგვარ, თვით წვრილმან განსხვავებებსაც, ჩამოთვლის ყველა იმ თავისებურებას, რაც აქვს ამ ტექსტს ვატიკანურ კოდექსთან მიმართებით, იძლევა ზუსტ სიას, ქართული თარგმანის ესა თუ ის წაკითხვა რომელ ენაზე, რომელ ვერსიაში პოულობს შესატყვისს და ასკვნის: **თუ ვიმსჯელებთ ყველა ნიშნების მიხედვით, ქართული თარგმანის სახით საქმე გვაქვს ე. წ. ლუკიანეს რეცენზიასთანო** (ხაზი ბლაგოვეშენსკისაა)<sup>5</sup>.

ქართული თარგმანის ლუკიანეს რეცენზიიდან მომდინარეობას ბლაგოვეშენსკი შემდეგნაირად ასაბუთებს:

1. ლუკიანეს რეცენზიის აღდგენისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ იოანე ოქროპირისა და ნეტარი თეოდორიტეს ნაშრომებში დამოწმებულ ციტატებს: იოანე ოქროპირთან „გოდების“ წიგნიდან მხოლოდ სამიოთხი ციტატაა დამოწმებული, ქართული თარგმანი ორ მათგანს ხვდება. ნეტარ თეოდორიტესთან დამოწმებულ ციტატებს ქართული თარგმანი ხვდება თითქმის 50 შემთხვევაში.

2. ბიბლიოლოგი ფილდი თვლის, რომ ლუკიანეს რეცენზია წინასწარმეტყველთა წიგნებისა დაკულია შემდეგ 11 კოდექსში: 22, 36, 48, 51, 62, 90, 96, 144, 147, 233, 308. ქართული თარგმანი იმ გადახვევებით, რომელიც აქვს მას სეპტანტის ვატიკანური კოდექსისაგან, ხვდება ამ 11 კოდექსიდან უმეტესს.

3. ამ მოსაზრებას, ამბობს ბლაგოვეშენსკი, ის აპრიორული საბუთიც ამაგრებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა ანტიოქიიდანაა შემოსული, ანტიოქიის ეკლესიაში კი ამ პერიოდისათვის სწორედ ლუკიანეს რეცენზია იყო გაბატონებული<sup>6</sup>.

„გოდების“ ქართული ტექსტის ლუკიანეს რეცენზიისაგან მომდინარეობა დაუჭერებელი არ უნდა იყოს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლუკიანეს რეცენზიისაგან დავალებული არიან ქართული ბიბლიის სხვა წიგნებიც<sup>7</sup>.

„გოდების“ ქართულ ტექსტში ლუკიანეს რეცენზიისეულადაა ნავარაუდები ვატიკანური კოდექსისაგან განსხვავებული ისეთი წაკითხვები, როგორცაა:

„დაეცა საკვრველად“ — *πένταχαι ψαμαστῶς* (კოდ. 22, 48, 51, 62, 96, 231, Ald. და თეოდორიტე)—ვატ. *καὶ κατεψίχασεν πέριχαα* I, ხეთ.

„გარდამოავლინა იგი ჩემ ზედა“ — „ჩემ ზედა“-ს ვატიკანური კოდექსისაგან განსხვავებით (*κατήγαγεν αὐτὸς*) უმატებს ქართული თარგმანი და ესეც

<sup>4</sup> ქართული ენის არცოდნის გამო მისთვის დაუმზადებიათ რუსული სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელიც შეუმოწმებია და მოუწონებია პროფ. ალ. ცაგარელს (გვ. 195, სქ. 3).

<sup>5</sup> Книга Плач... გვ. 196—217.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 217—219.

<sup>7</sup> იხ. უ. ცინდელიანი, მეფეთა პირველი ორი წიგნის ძველი ქართული რედაქციების მიმართებისათვის ბერძნულთან, მაცნე, 2, 1967.



თანხვედნილია კოდექსებისა: 22, 36, 48, 51, 62, 96, 231, სირო-პეგზაპლე-  
ბისა და თეოდორიტესი.

„თუალთა ჩემთა გარდამოადინეს“ — ვატ. ἡ ὁφθαλμὸς μου κατήγαγεν  
— ქართული თარგმანის მრ. რიცხვი თანხედება კოდექსებს 26, 51, 62, 229  
და თეოდორიტეს ციტატებს.

„მეფენი მისნი“ — ვატიკ. βασιλέα ἀπ’ ἡς — II ბეთ (2).

„ჯმა-სცა ბრძოლის“ — ვატიკ. φωνήν; ლუკ. φωνήν πικέμου II №0 (7).

„ვითარცა ვალობაა ლევიტელთაა დღესა შინა უქმებისასა“ —  
ვატიკ. ἄς ἐν ἡμέρᾳ ἔορτῆς; ლუკ. ἄς ψαλμὸν λευίτων ἐν ἡμέρᾳ ἔορτῆς — II  
№0 (7).

„შეძრწუნდა მუცელი ჩემი“ — ვატიკ. ἐταράχθη ἡ καρδία μου; — ლუკ.  
ἐταράχθη ἡ καρδία μου — II ქაფ. (11).

„მოუწოდე ვითარცა დღესა უქმელებისასა“ — ვატიკ. ἐκάλεσεν ἡμέραν  
ἔορτῆς; ლუკ. ἐκάλεσας ἄς ἡμέραν ἔορτῆς — II თავ (22). და სხვ.

ბლაგოვეშენსკი „გოდების“ ქართულ თარგმანზე სომხურის გავლენასაც  
არ გამოორიცხავს. იგი წერს: „სხვა თარგმანებიდან ქართულ ტექსტზე  
ჰქონდა უთუო გავლენა სომხურს. კვალი სომხური ბიბლიის გავლენისა აღ-  
ნიშნულია შენიშვნებში 6, 7, 33, 92, 156, 208, (განსაკუთრებით 156, 208).  
მითითებულ ადგილებში ქართული თარგმანი მისდევს მხოლოდ სომხურ  
ბიბლიას. სხვა შემთხვევებში სომხური ბიბლია სხვა კოდექსებთან ერთად  
დგება“<sup>8</sup>.

ქართული ტექსტი მხოლოდ სომხურთან დგას ბლაგოვეშენსკის აზრით:

1. (შენ. 6) — წარიტყუნა იუდაა — I გამელ, μετὰκίσθη ἡ Ἰουδαία;  
ქარხეაუ ჩ ყერიქჩინ ჯიჯაქ.

2 (შენ. 7) — სიმრავლითა ურვისა თვისისაათა — I გამელ, ἀπὸ πλῆθους  
ἄσπασα ἀπ’ ἡς (მონებისა); ჩ ყაყიამ თაათაჟანს ჩ ნიჟიქჩანს თრამიქჩანს  
ბათაქიქჩანს ...

3. (შენ. 33) — რომელ შემემთხვა მე — I ლამელ, ἃ ἐγενήθη; ირე ჩ ყირაქ  
ჩამ ზაიჩინ.

4. (შენ. 92) — იგლოვდა ძლიერებაა — II ხეთ, καὶ ἐπεινήθη τὸ πρῶτον-  
χισμα; ათე თიჩინ მანარბანე.

5. (შენ. 156) — განმავსო მე, ვითარცა განი ისრიოთა — III დალეთ, ἔσθη-  
λυσέν με, ἄς σιοπὸν εἰς βῆλιν; ჩიჩე ყის ნიხაქე ენაჟათაქ.

6. (შენ 208) — და იხილე საშველი ჩემი — III რეშ, ... კრისენ მუს  
თხისერ ჟამ ჩრათონს ჩამ.

ამ ექვს შემთხვევაში ქართული და სომხური ტექსტები სხვებისაგან გან-  
ცალკევებით, კიდევ რომ ერთად იდგნენ, ამით ქართულ ტექსტზე სომხურ-  
ის გავლენას ვერ დავამტკიცებდით, მით უფრო, რომ ჩამოთვლილი მა-  
გალითებით მათი მსგავსება არც მტკიცდება: იუდეველთა აღსანიშნავად ძვ-  
ქართული ენის ძეგლებში „იუდა“ იხმარება სხვა შემთხვევებშიც, სომხური  
ენის გავლენის გარეშე; მე-2 მაგალითში „ურვა“ ბერძნული ἄσπασ-ს

<sup>8</sup> Книга Плач... გვ. 221.



შესატყვისი უფრო შეიძლება იყოს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი სტრუქტურული ფრაზისა.

მე-4 შემთხვევაში ქართული ტექსტის სომხურთან მსგავსება იმ ნიშნით ცხადდება, რომ ორივეს „და“ კავშირი აკლია. „და“ კავშირის მექანიკურად ჩაყარვის ნიმუშები ძვ. ტექსტებში უამრავია; მე-5— ქართული „განმავსო“ არ გადმოსცემს ბერძნულ *ἐσθήλασεν*-ს, მაგრამ არც სომხურთან დგას, რადგან სომხ. *կից լուս*-ის წყვეტილის ფორმა კი არ არის, როგორც ბლაგოვეშენსკის მიუჩნევია, არამედ *կանს*-ის II კავშირებით; მე-6 — III თავის მე-20 მუხლში, იმ ადგილას, სადაც ბლაგოვეშენსკი ქართულ ტექსტს სომხურის მიმყოლად და ბერძნულისაგან განსხვავებულად მიიჩნევს, სინამდვილეში სამივე ენის ტექსტებში ერთნაირი სურათი გვაქვს: „იხილენ, უფალო, შერყევანი ჩემნი; განამართლე საშველი ჩემი — III რემ (20) I: *εἶπεν, ἄραγε, τὰς ταραχὰς μᾶς, ἔχρισται τῆς κρίσεως μᾶς; ἰσῆντο, ἰσῆρ, ἑλπίσθησαν ἡμῖν, ἡσῆσθη, ἰσῆρ, ἑλπίσθησαν ἡμῖν.*

ქართული ტექსტის ოშკის ნუსხაში ამ ფრაზას მიმატებული აქვს: „და იხილე საშველი ჩემი“, რომელიც ამ ნუსხის კუთვნილებაა მხოლოდ და სხვა ნუსხებში არ დასტურდება.

ამგვარად, შეიძლება დავეთანხმოთ ბლაგოვეშენსკის, რომ „გოდებს“ ძველი ქართული თარგმანი ბერძნული ლუკიანეს რეცენზიიდან მომდინარეობს, მაგრამ ტექსტების შედარებით და მის მიერ მოხმობილი საბუთებით არ მტკიცდება ვარაუდი, თითქოს ქართულ თარგმანს სომხურის გავლენაც განეცადოს.

„გოდების“ წიგნის უძველეს თარგმანს, რომელიც ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებშია დაცული, მთარგმნელის ხელიდან გამოსვლის შემდეგ აღნიშნულ ნუსხებში მოხვედრამდე მრავალი ცვლილება უნდა განეცადა; ამაზე მიგვანიშნებს განსხვავებულ წაკითხვათა სიმრავლე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გოდების“ წიგნის ქართული, ოშკის ნუსხისეული ტექსტი ბლაგოვეშენსკიმ შეუდარა ამ წიგნის ყველა არსებულ ვერსიას, ოშკის ნუსხაში დაცულ ბევრ წაკითხვას მან ვერცერთ ენაზე შესატყვისი ვერ დაუძებნა, და ყველა ისინი თარგმანის თავისებურებად და ნაკლოვანებად ჩათვალა.

ოშკის ნუსხის ტექსტთან იერუსალიმურის შეპირისპირებამ ამგვარი ადგილების უმეტესი ნაწილი გაასწორა, მთარგმნელისეული წაკითხვები აღადგინა. მხედველობაში გვაქვს შემდეგი შემთხვევები:

1. ოშკშია: „განიღძა უღმრთოებასა ზედა ჩუენსა“ — I<sub>14</sub>, იერუსალიმურშია: „განიღძა უღმრთოებათა ზედა ჩემთა“, შდრ. ბერძნ. *ἐξηγῶσιν ἡμῖν τὸν ἐξουθενῆσαι μᾶς.*
2. 0: „მომიცვა მე მახვლმან, ვითარცა სიკუდილმან“ — I<sub>20</sub>, I: „მომიცვა მე მახვლმან, ვითარცა სიკუდილმან *სახლსა შინა*“, *ἤπεστις μὲ μᾶχαιρα ἄσπερ θάνατος ἐν ἡμῖν.*
3. 0: „შეიმუხრა... ყოველი რქაჲ ისრაელისაჲ“ — II<sub>3</sub>, I: „შემუხრა... ყოველი რქაჲ იშ-მისაჲ“, *συνέχλασεν ... πᾶν κέρας Ἰσραηλ.*
4. 0: „გარე-მოაქცია პირისაგან მტერთაჲსა“ — II<sub>3</sub>, I: *გარე-მოაქცია პირისაგან, მტერისაჲსა*. ... *ἀπὸ προσώπου ἐχθρῶν.*



5. 0: თქუეს — II<sub>17</sub>, I: და თქუეს, και εἶπαυ.

6. 0: „მაჭირებელთა მისთაჲ“ — II<sub>16</sub>, I: „მაჭირვებელთა შენთაჲ“, მღ [βοντῆς σε.

7. 0: და ზღუდემან — II<sub>18</sub>, I: ზღუდემან, τείχη.

8. 0: „ქალწულნი ჩემნი“ — II<sub>21</sub>, I: „ქალწულნი ჩემნი და ჰაპუენი ჩემნი“, παρθένοι μου και νεανίσκοι μου.

9. 0: „არავინ იყო განრინებულ დღესა რისხვისა უფლისასა, დაშთომილნი განვზარდენ და განვამტკიცენ“ — II<sub>22</sub>. I: „არავინ იყო განრინებულ დღესა რისხვისა უფლისასა და დაშთომილ, განვზარდენ და განვამტკიცენ“... ὁυκ ἐγένοντο ἐν ἡμέρᾳ ἁγίῃς κυρίου ἀνασφᾶνθῆμενος και καταλειμμένος, ἀς ἐπεκράτησα.

10. 0: „შემაპყრა მე“ — III<sub>1</sub>, I: „შემიწყნარა მე და მიმიყვანა“ παρέλαβέν με και ἀπηγάγευ.

11. 0: „ქსენებით მოვიკსენენ და განკვდასული ჩემი“ — III<sub>7</sub>, I: ქსენებით მოვიკსენენ და განკვდეს სული ჩემი“ ... μνηστῆρσεται και καταδοιλεσχησει... ἡ ψυχῆ μου.

12. 0: „განიშოროს უფალმან ერის თვისი“ — III<sub>11</sub>, I: „განიშოროს უფალმან“, ἀπῶσεται κύριος.

13. 0: „ყოველნი ქუეყანის მყოფნი“ — III<sub>12</sub>, I: „ყოველნი კრულნი ქუეყანისანი“, πάντας ὁσμίους γῆς და სხვ.

ამ მაგალითების მიხედვით ირკვევა, რომ რაც მთარგმნელის კუთვნილებად და მის კაპრიზად მიაჩნდა ბლაგოვეშენსკის, ოშკის ნუსხაში დაცული ტექსტის რედაქტორის ყოფილა (ამ რიგისა უნდა იყოს „გოდების“ და „ლოცვის“ ყველასაგან განსხვავებული დასათაურებაც ოშკის ნუსხაში).

ჩვენთვის აქ სხვა გარემოებაცაა საგულისხმო: ოშკის ბიბლიაში სხვა წიგნებიც იქცევენ ყურადღებას თავისებური, ბიბლიის სხვა ნუსხებისაგან განსხვავებული წაკითხვებით, რომელთაც ვერსად შესატყვისს ვერ ვუძებნით და ვთვლით, რომ აქ საქმე გვქონდა ჩვენთვის უცნობი რედაქციებიდან ნასესხებ წაკითხვებთან, „გოდების“ წიგნის მაგალითზე შესაძლებელი ხდება ვარაუდის დაშვება, რომ ოშკის ნუსხის ეს თავისებურებები ქართველი რედაქტორის კუთვნილებაა.

„გოდების“ წიგნის მცხეთურსა და ბაქარის ბიბლიებში დაცული ტექსტი გელათური რედაქციისა აღმოჩნდა, ისევე როგორც ამავე ნუსხების ბარუქის წიგნის ბოლო ნაწილი (IV თავის მე-17 მუხლიდან), დანიელის წიგნისა და „ეპისტოლე იერემიასის“ 7. რედაქცია.

ეს წიგნები ჰქონდა მხედველობაში პ. ინგოროყვას, როდესაც წერდა: „ტფილისურსა და ბაქარისეულ გამოცემებს მნიშვნელობა ენიჭებათ გელათელი ანონიმის წინასწარმეტყველთა ტექსტის სრულად აღდგენაში (გელათურ ბიბლიაში წინასწარმეტყველთა წიგნების მთარგმნელად პ. ინგოროყვა გელათელ ანონიმს თვლის — ც. ქ.), რადგან მე-18 საუკუნის შემდეგ ავტო-

გრაფული ხელნაწერის ცალკეული ნაწილები დაკარგულა და ამჟამად გრაფში ტექსტი ნაკლულევანად არის დაცული<sup>9</sup>.

„გოდების“ წიგნის **ღ** რედაქცია იმავე ენობრივი ნიშნებით ხასიათდება, რითაც გელათური ბიბლიის ჩვენამდე მოღწეული სხვა ნაწილები:

ა) იგივე მიმღობური და მასდარული კონსტრუქციები:

„... არა ჰპოებდეს საძოვარსა“ — I ვავ, **ჯ**.

„... ვერ მპოვნელნი საძოვარსა“ — **ღ**.

„მე კაცი, რომელი ვხედვედ უპოვარებასა — III ალფ, **ჯ**.

„მე კაცი, მხედველი სიგლახაკისა“ — **ღ**.

„მონადირნეს ყრმანი ჩემნი, რაათა არა შევიდოდიან უბნებსა“ —

IV წადე, **ჯ**.

მოვინადირნით მცირენი ჩუენნი არა სლვად უბანთა ზედა“ — **ღ**.

ბ) იგივე ასუფიქსის გამოყენება დედრობითი სქესისათვის:

„განამრავლა ასულისა იუდაას დამდაბლებული და დამდაბლებულა“ — II ეე.

გ) მიმართ და მომართ თანდებულების — მი-დ და-მო-დ გამარტივება და წინამავალ სახელთან შერწყმა:

„ქალწულნი ჩემნი და ქაბუკნი ჩემნი წარვიდეს ტყუეობადმი“ — I წადე.

„ალაქუნა იგინი ქუეყანადმი“ — II ბეთ.

„ნუ დაჰფარავ ყურთა შენთა ვედრებისამო ჩემისა და ლალადებისა“ — III კოფ.

დ) ნასახელარი ზმნები, რომლებიც ნაწარმოებია ისეთი სახელური ფორმებიდან, იშვიათად რომ აწარმოებენ ზმნებს:

განგაგარეეს — II ნუენ — შდრ. **ჯ**: განგაგდეს.

ხელოვნური წარმოება:

დასათრგუნველობისაგან — II ხეთ — შდრ. **ჯ**: დაცემისაგან.

„განაცხადა იუთნოობათა შენთა ზედა“ — IV თავ.

შდრ. **ჯ**: „განცხადნა უღმრთოებანი შენნი“ და სხვ.<sup>10</sup>

ამგვარად, „გოდების“ წიგნის **ღ** რედაქციაც გელათური ბიბლიის რედაქციისაა.

გელათური ბიბლიის ზოგიერთ წიგნში (წინაწარმეტყუელებაჲ იერემიასი წინაწარმეტყუელებაჲ, ეზეკიელისი<sup>11</sup>, ბარუქი) შეინიშნა **ჯ** რედაქციის

<sup>9</sup> პ. ი. ნ. გ. ო. რ. ე. ვ. ა., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, თბ., 1939, № 4, გვ. 125, სქ.

<sup>10</sup> გელათური ბიბლიის ენობრივ თავისებურებათა შესახებ იხ. ბ. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ვ. ო. ს. ა. და ც. კ. ი. კ. ე. ო. ს. ნაწარმოი „რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი, (გელათური ვერსია)“, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., გვ. 149—159.

<sup>11</sup> კ. დ. ა. ნ. ე. ლ. ი. ა., იერემიას წინაწარმეტყუელების ძველი ქართული ვერსიები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბილისი, 1964, გვ. 171; თ. ც. ქ. ი. ტ. ი. შ. ე. ო. ს. ა. ე. ზ. ე. კ. ე. ლ. ი. ა., ეზეკიელის წინაწარმეტყუელების ძველი ქართული ვერსიები, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია, I (თეზისები), თბ., 1967.



გამოყენების კვალი. ჩვენი აზრით, ეს კვალი — ო რედაქციის მთარგმნელის მიერ უკვე არსებული ო რედაქციის გამოყენებისა — „გოდების“ წიგნშიც იგრძნობა.

1. ო და ო რედაქციებში ზოგიერთი მუხლი იმდენად ერთნაირია, რომ სხვადასხვა დროს მთარგმნელებთან მათი ასეთი მსგავსება უთუოდ აღძრავს ეჭვს უფრო გვიანდელის მიერ უფრო ადრინდელის გამოყენების შესახებ:

**ო**

„შეიტყუელნეს კელნი მათნი ყოველთა თანა-წარმავალთა გზისათა, და ისტენეს და შეხარეს თავი მათი ასულსა ზედა იერუსალემისასა: „უკუეთუ ესე არს ქალაქი იგი, რომლისათვის თქუნენ გვრგვნი დიდებისაჲ, კეთილი შეუენიერებაჲ და სიხარული ყოველისა ქუეყანისაჲ?“.“

„განაწონა თირკემელთა ჩემთა გესლი კაპარჭთა მისთაჲ. და ვექმენ საცინელ ყოველსა ერსა, განსაცხრომელ ვიყავ მათა მარადღჲ. განმაძლო მე სიმწარითა და დამათრო მე ნავლითა“.

II თავის მე-15 მუხლში ო ნუსხის „სიხარულის“ შესატყვისად ო-ში გვაქვს „საშუტბი“, III-ში კი ო-ს „განაწონას“, შესატყვისად ო-ში: „შეაწონა“, სხვა განსხვავება ამ მუხლებს შორის თითქმის არ ჩანს. გელათური რედაქციის მთარგმნელი ო რედაქციის ტექსტით რომ არ სარგებლობდეს, საეჭვოა, დამოუკიდებლად მას ზუსტად ო-სებურად გადმოეღო შემდეგი ფრაზები: „შეხარეს თავი მათი ასულსა ზედა იერუსალემისასა“, „ვექმენ საცინელ“ („საციცხელ“-ის ნაცვლად), ეხმარა „მარადღე“, როცა სხვა ადგილებში ყველგან ხმარობს „დღე ყოველ“-ს და სხვ.

ო რედაქციის ტექსტზე ო რედაქციის გავლენას უეჭველს ხდის, ჩვენი აზრით, შემდეგი მაგალითიც: ო რედაქციაში ერთგან „ლოყის“, „ლაწვის“ აღსანიშნავად ნახმარია სიტყვა „საკეთე“: „ტირილით ტიროდა ღამე და ცრემლნი მისნი ზედა საკეთეთა მისთა“ I<sub>2</sub>. ეს სიტყვა ძვ. ქართული ენის ძეგლებში ძალზე იშვიათია (იგი „გოდების“ წიგნის გარდა მხოლოდ ქება-ქებათაჲს ტექსტში დავადასტურეთ), ამ ადგილას ო რედაქციის გვერდით ო რედაქციაშიც „საკეთე“ აღმოჩნდა („მტირალი ტიროდა ღამე და ცრემლნი მისნი ზედა საკეთეთა“). ო რედაქციაში სხვა ადგილას „ლაწვ“-ცაა ნახმარი:

„მიუპყრას მცემელსა ღაწვ თვისი — III<sub>10</sub>.“

მის შესატყვისად ო-შიც „ლაწვ“ გვაქვს („მისცეს მცემელსა მისსა ღაწვ“). ო რედაქციის მთარგმნელისათვის სათარგმნ ტექსტს არ მიუცია

**ო**

„შეიტყუელნეს შენ ზედა კელნი ყოველთა თან-წარმავალთა გზისათა, და ისტენეს და შეხარეს თავი მათი ასულსა ზედა იერუსალიმისასა: „უკუეთუ ესე არს ქალაქი, თქუნენ გვრგვნი დიდებისაჲ, კეთილი შეუენიერებაჲ, საშუტბი ყოველისა ქუეყანისაჲ?“.“

„შეაწონა თირკემელთა ჩემთა გესლი კაპარჭთა მისთა. ვექმენ საცინელ ყოველსა ერსა, განსაცხრომელ ვიყავ მათა მარადღე. განმაძლო მე სიმწარითა, დამათრო მე ნავლითა.“

III<sub>5</sub>



საბაბი ამგვარი სინონიმების გამოსაყენებლად: ბერძნულ სექტანტაში (სა-  
 იდნაცაა გადმოღებული Ⴀ) ორთავე შემთხვევაში ნახმარია სიტყვა  $\sigma\alpha\chi\upsilon\gamma$  ( $\sigma\alpha\chi\upsilon\gamma$ ,  $\sigma\upsilon\sigma$ ,  $\delta$ —1. ყბა, 2. ლოყა). ცხადია, რომ Ⴀ რედაქციაში „საკეთეს“  
 წყარო  $\tau$  რედაქციის ტექსტია.

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ РЕДАКЦИИ КНИГИ «ПЛАЧЬ ИЕРЕМИИ»

(Резюме)

Существуют две редакции книги «Плачь Иеремии». Первую редакцию содержат Ошкский и Иерусалимский списки, вторую — более позднюю — Гелатский список. На основе филологического исследования выясняется, что первая редакция происходит от рецензии Лукиана, вторая же — от греческой септанта.





საცვა ხანაძისი

„იერუსალემ“ და „ისრაელ“ სახელთა დაწერილობისათვის

სახელები იერუსალემი და ისრაელი ქართულ წერილობით ძეგლებში ძველთაგანვე, ჩვეულებრივ, ქარაგმით გვხვდება. V—VIII სს-ის ხელნაწერებში (ხანმეტი პალიმფსესტები<sup>1</sup> — V-VI სს., ხანმეტი ლექციონარი<sup>2</sup> — VII ს. II ნახ., ხანმეტი მრავალთავი<sup>3</sup> — VIII ს. I ნახ., პემეტი პალიმფსესტი — იერუსალიმის განჩინებისა და განწესების წიგნი<sup>4</sup> — VIII ს.) იერუსალემი და ისრაელი შემოკლებულია ი<sup>1</sup>შმ და ი<sup>1</sup>შლ ფუძეებით სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში. მომდევნო ხანის, IX—X სს., და შემდეგდროინდელ წერილობით ძეგლებშიც ეს სახელები აგრეთვე შემოკლებული გვხვდება სხვადასხვა ფუძით:

იერუსალემი — ი<sup>1</sup>შმ, ი<sup>1</sup>ლშმ, ი<sup>1</sup>შლ<sup>1</sup>მ, ილ<sup>1</sup>მ.

ისრაელი — ი<sup>1</sup>შლ და ა. შ.

იერუსალემი და ისრაელი თხუთმეტ ე. წ. წმინდა სახელთაგანია, რომლებიც ბერძნულ ხელნაწერებში მხოლოდ ქარაგმით იწერებოდა<sup>5</sup>.

ბერძნულიდან სხვა ენებზე, და მათ შორის ქართულზეც, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნისას გადმოჰქონდათ ამ სახელთა შემოკლებული ფორმები:

Ἱερουσαλήμ — IHM, IAHM, IAM. Ἰσραήλ — IHA.

ამ შემოკლებათა გვერდით, ქართულში გვხვდება აგრეთვე ი<sup>1</sup>შლმ ფორმა, რომელიც ი<sup>1</sup>ლშმ ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს.

ქართულ წერილობით ძეგლებში იერუსალემი და ისრაელი შეუმოკლებლად იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ეს სახელები სრულად მხოლოდ და მხოლოდ ე-თი იწერება. მოგვაქვს ნიმუშები ხელნაწერებიდან:

სინური მრავალთავი (Sin. 32-57-33)<sup>6</sup>, 864 წ.: იერუსალემს — 57ra 11, 225rb 12.

<sup>1</sup> ი. ჯაქიახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 274—366.

<sup>2</sup> ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოაზრება, VII, 1927, გვ. 98—159.

<sup>4</sup> ა. შანიძე, პემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოაზრება, III, 1923, გვ. 354—388.

<sup>5</sup> L. Traube, Nomina Sacra, Versuch einer Geschichte der christlichen Kürzung, München, 1907, გვ. 88—120.

<sup>6</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.

ხელნაწერში ტრადიციით დამკვიდრებულ და გავრცელებულ შემოკლებულ ფორმათა გვერდით შეგვხვდა აგრეთვე ქარაგმადართული ფორმები, რომლებშიც ფუძის ბოლო მარცვალში ჩანს ე: იჭრუსალემითგან — 207 va 14, იჭრუსალემისაჲ — 147va 22, იჭრუსალემისად — 216ra 10, იჭრუსალემისანო — 216va 1.

ისრაელი — 194vb 17, ისრაელისა — 190vb 21, ისრაელისაჲ — 37va 21.

ჰილ-ე ტ რ ა ტ ი ს ი ა დ გ ა რ ი (H 2123), IX ს.: იერუსალემი — 277v 8, იერუსალემს — 186v 8, იერუსალემსა — 87r 10, იერუსალემისანი — 257r 18.

ისრლი (!) — 239r 5, ისრელი — 235v 14, ისრაელისასა — 74v 12.

ო შ კ ი ს ბ ი ბ ლ ი ა (Rt. XI), 978 წ: ისრაელისათა<sup>7</sup> — 186ra 2.

ქ ს ნ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (A 509), X ს.: იერუსალემდ — 21rb 11. ისრაელისა — 74 va 10, ისრაელისსა — 74ra 15, 75ra 9.

ფ ს ა ლ მ უ ნ ი (Sin. 42)<sup>8</sup>, X ს.: ისრაელ — გვ. 239<sup>9</sup>. ისრაელი — გვ.გვ. 25, 287, 317, 365, 366. ისრაელსა — გვ.გვ. 135, 172, 197. ისრაელისა — გვ.გვ. 47, 356. ისრაელი — გვ. 126. ისრაელისაჲ — გვ.გვ. 104, 319. ისრაელისამან — გვ. 324. ისრაელისასა — გვ.გვ. 49, 168, 264, 317. ისრაელისათ — გვ. 148. ისრაელისათა — გვ. 406.

ფ ს ა ლ მ უ ნ ი (Sin 29)<sup>10</sup>, X ს.: ისრაელისად — გვ. 356.

ფ ს ა ლ მ უ ნ ი (Sin. 22)<sup>11</sup>, X ს.: ისრაელისა — გვ. 47.

ფ ს ა ლ მ უ ნ ი (Sin. 2)<sup>12</sup>, X ს.: იერუსალემისანი — გვ. 131. ისრაელი-სანი — გვ. 414. ისრაელისასა — გვ. 168.

ი ა დ გ ა რ ი (Sin. 14), X ს.: იერუსალემი — 160r 22, იერუსალემს — 160r 7.

ი ა დ გ ა რ ი (Sin. 65), X ს.: ისრაელი — 159v 8.

მ ა მ ა თ ა ს წ ა ვ ლ ა ნ ი (S 1139)<sup>13</sup>, 930—940-იანი წლებისა: იერუსალემი — გვ. 117b 6. ისრაელისათანი — გვ. 202a 11.

ს ა ქ მ ე მ ო ც ი ქ უ ლ თ ა (Ath. 42)<sup>14</sup>, X ს. 60-იანი წლებისა: იერუსალემით — 182 vb 7. ისრაელისა — 154ra 21.

ს ა ქ მ ე მ ო ც ი ქ უ ლ თ ა (A 584)<sup>15</sup>, 1083 წ.: იერუსალემდ — 22r 17, იერუსალემდ (!) — 59v 21. ისრაელისათა — 17r 22.

ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ ა ს წ ა ვ ლ ა ნ ი (Ier. 14), 1055 წ.: იერუსალემს — 113ra 4. ისრაელსა — 197 ra 5.

ქ ე ბ ა ქ ე ბ ა თ ა დ ს თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს ა (A 55), XII ს.: ისრაელსა<sup>16</sup> — 145ra 38.

<sup>7</sup> ეს ნიმუში მოგვაწოდა უჩა ცინდელიანმა.

<sup>8</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე მ, I, ტექსტი, თბ., 1960, ხელნაწერი აღნიშნულია B ლიტერით.

<sup>9</sup> ფსალმუნთან დამოწმებულ ნიმუშებთან მითითებულია გამოცემის გვერდები.

<sup>10</sup> ფსალმუნის დასახ. გამოცემაში ხელნაწერი აღნიშნულია C ლიტერით.

<sup>11</sup> ფსალმუნის დასახ. გამოცემაში ხელნაწერი აღნიშნულია D ლიტერით.

<sup>12</sup> ფსალმუნის დასახ. გამოცემაში ხელნაწერი აღნიშნულია E ლიტერით.

<sup>13</sup> მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძე მ. შ ა ნ ი ძ ი ს რ ე დ ა ქ ც ი თ, თბ., 1955.

<sup>14</sup> საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძე მ. შ ა ნ ი ძ ი ს რ ე დ ა ქ ც ი თ, თბ., 1950, ხელნაწერი აღნიშნულია D ლიტერით.

<sup>15</sup> საქმე მოციქულთა დასახ. გამოცემაში ხელნაწერი აღნიშნულია E ლიტერით.

<sup>16</sup> ეს მავალითი მოგვაწოდა გულნაზ კიკნაძემ.





იერუსალემი და ისრაელი სხვადასხვა ბრუნვაში სრული დაწერილობით ავრთვე ე მეხუთით გვხვდება IX—X სს. ხელნაწერებში: კალის ხელნაწერში „იერუსალემის განჩინება“, A 19, A 98, A 603, S 1139<sup>17</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებში იერუსალემი და ისრაელი, როგორც წესი, შემოკლებულია, სრული დაწერილობით იშვიათად გვხვდება (ამ მხრივ გამოჩინებულია Sin. 42, რომელშიც ისრაელი სრული ფორმით 21-ჯერ დადასტურდა). ამ პირობებში საგანგებოდ ანგარიშგასასწავლია მიქაელ მოდრეკილის იადგარი (S 425, X ს), კერძოდ, ტექსტის ერთი ნაწილი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, რომელიც დაწერილია „თვნიერ ქარაგმისა“. უქარაგმოდ ნაწერი „ძლისპირნი“ საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, როგორ კითხულობდნენ მიქაელ მოდრეკილის თანამედროვენი ქართულ წერილობით ძეგლებში ძველთაგანვე ქარაგმით დაფარულ კავშირებს, ზმნისართებსა და ე. წ. წმინდა სახელებს. ტექსტის მნიშვნელობა მით უფრო განუზომელია, რომ დაწერილია განსწავლული მოღვაწის მიქაელ მოდრეკილის მიერ. შემოკლებული სიტყვები ამ ტექსტშიც გვხვდება, მაგრამ იშვიათად, იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო სტრიქონი აზუსტით იწყება. ტექსტის ამ ნაწილში გვხვდება ისრაელი:

ისრაელი — 2v 28, 35; 15r 24, v 11, 35. ისრაელმან — 2v 9, 32. ისრაელსა — 15v 31. ისრაელისა — 16r 10. ისრაელნი — 16r 15. ისრაელთა — 2v 18, 15v 24. ისრაელისაჲ — 24r 5. ისრაელისანი — 8v 1, 16v 19. ისრაელისათა — 16v 35. ისრაელთაჲ — 15r 30, 16r 21. ისრაელთანი — 16r 35. ერთგან შემოკლებულია ტრადიციული ფორმით: ი<sup>რ</sup>შლოთავს — 2v 15.

ამრიგად, იერუსალემისა და ისრაელის შემოკლებულ ფორმებში **შ** გვაქვს, სრულ ფორმებში კი მხოლოდ და მხოლოდ **ე**. ერთი და იგივე გადაწერილი რომ შემოკლებისას **შ**-ს ხმარობს, სრულად კი **ე**-თი წერს, იმის მიზანიშნებელი ჩანს, რომ დაქარაგმებისათვის გადაწერს უცვლელად გადმოაქვს ბერძნულისათვის სავსებით კანონზომიერი და ქართულშიც შემოკლებისათვის ძველთაგანვე დადგენილი **ІНМ, ІНЛМ, ІНЛ** — ი<sup>რ</sup>შმ, ი<sup>რ</sup>შლმ, ი<sup>რ</sup>შლ და ა. შ. ფორმები, სრულად კი ისე წერს, როგორც გამოთქვამს — **ე**-თი.

ქართულ ხელნაწერებში რატომ გვხვდება ამ სახელთა მხოლოდ შემოკლებებში ბერძნული ფორმები? ამის ასახსნელად შესაძლოა ის ფაქტი გამოვადგეს, რომ ბერძნულ საღვთისმსახურო ტექსტებში იერუსალემი და ისრაელი სრული ფორმით არ იხმარებოდა, ჩვეულებრივ, ქარაგმით იწერებოდა. როგორც ჩანს, ამიტომ ბერძნული ფორმები მხოლოდ ამ სიტყვების შემოკლებაში დამკვიდრდა.

Ц. А. ЧАНКИЕВА

О НАПИСАНИИ СЛОВ „ИЕРУСАЛЕМ“ „ИЕРУСАЛИМ“ И „ИСРАЕЛ“ „ИЗРАИЛЬ“

(Резюме)

Слова „иерусалем“ ierusalem „Иерусалим“ и „исраел“ israel „Израиль“ в грузинских письменных памятниках обыкновенно пишутся в со-

<sup>17</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, მასალები შ-ს ისტორიისათვის, მანქანაზე ნაბეჭდი, თბ., 1944.

кращенном виде, полные формы этих слов встречаются весьма редко. Интересен тот факт, что один и тот же переписчик в сокращенных формах этих слов пишет *Ϸ, η* (е долгое), в полных же формах — *ჟ, ე* (е краткое). По нашему мнению, это объясняется тем, что при сокращении означенных слов переписчик переносит без изменения формы сокращения вполне закономерные для греческого ( $\bar{\text{I}}\bar{\text{N}}\bar{\text{M}}$ ,  $\text{I}\bar{\text{A}}\bar{\text{N}}\bar{\text{M}}$ ,  $\bar{\text{I}}\bar{\text{N}}\bar{\text{A}}$  —  $\sigma^{\text{C}}\var�\var�$   $i^{\text{C}}\eta\text{m}$ ,  $\sigma^{\text{C}}\var�\var�$   $i^{\text{C}}\eta\text{m}$ ,  $\sigma^{\text{C}}\var�\var�$   $i^{\text{C}}\eta\text{I}$ ), в несокращенных же формах пишет так, как сам произносит, т. е. через *ჟ, ე* (е краткое). Этому должно быть способствовал и тот факт, что в греческих богослужебных рукописях эти слова в несокращенном виде не встречаются, поэтому они и не укоренились в грузинском языке.

---



ცაკა ზანკიძე

პალესტინელ გალამფირ „იოვანითა“ შესახებ

I. სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის X ს. ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში ხშირადაა მოხსენიებული გალამფირი იოვანე. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია იოვანე-ზოსიმე, რომლის უდიდესი ღვაწლი ქართული ხელნაწერების გადაწერა-რედაქტირების თვალსაზრისით საგანგებოდ შესასწავლია. იოვანე-ზოსიმეს ხელნაწერებს ერთვის ვრცელი ახდერძ-მინაწერები, რომლებიც ამომწურავ ცნობებს გვაწვდის ხელნაწერის გალამფირის, გადაწერის დროის, შედგენილობისა თუ დანიშნულების შესახებ. მეტად თავისებურია იოვანე-ზოსიმეს ხელიც. ასე, რომ იოვანე-ზოსიმეს ხელნაწერები ადვილად საცნობია.

ამავე პერიოდში, საბაწმიდასა და სინის მთაზე, იოვანე ზოსიმეს გარდა, რამდენიმე გალამფირი იოვანე ჩანს. რამდენი იოვანე მოღვაწეობდა და რომელ ხელნაწერებზე მუშაობდა თითოეული მათგანი, ამის გარკვევა მხოლოდ ანდერძ-მინაწერებით არ ხერხდება. საჭიროა ამ პერიოდის საბაწმიდური და სინური ხელნაწერების ხელის შესწავლა-შედარება.

Sin. 1, იადგარი — გალამფირია ივანე: „ქ<sup>1</sup>შ, შეიწყალე ტიმოთე მომგებელი და ივანე, მწარედ ცოდვილი მწერალი, და თევდორე, ძმაჲ ჩემი, და გიორგი, ამენ“ (291v). ტექსტი გადაწერილია დახვეწილი, კალიგრაფიული ნუსხურით (ივ. ტაბ. 1). რამდენიმე ფურცელი (11r—23v) ნაწერია სხვა ხელით, აგრეთვე კალიგრაფიული, მაგრამ ძირითადი ხელისაგან განსხვავებული წვრილი ნუსხურით. Sin. 1-ის შედგენილობის შესწავლის შედეგად ე. მეტრეველმა გაარკვია, რომ სხვა ხელით ნაწერი ფურცლები შექახიკურადაა ჩაკინძული ტექსტში. ეს ფურცლები Sin. 59-ისაა. ხელნაწერი Sin. 59, აგრეთვე იადგარი, ნაკლულია, იწყება თ რვეულით. ზემოაღნიშნული ფურცლები ნაწილობრივ ავსებს ხელნაწერის ხარვეზს<sup>1</sup>.

მკვლევარი პ. ინგოროყვა Sin. 1-ის ხელის შესახებ წერს: „... პალესტინური სკოლის საწელიწდო იადგარის ძირითადი ხელნაწერები Sin. 1, Sin. 64 და 65 გადაწერილია იოვანე-ზოსიმე საბაწმიდელის მიერ; იოვანე-ზოსიმე თვით გამოჩენილი მკოსანი იყო, ავტორი ფსალმუნთა, იგი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ლექსს... და უეჭველია, იოვანე-ზოსიმეს უაზლოესი მონაწილეობა უნდა მიეღო საწელიწდო იადგარის შედგენაში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ძლისპირანი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაუთმო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 0106.

<sup>2</sup> პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 879.



ჩვენამდე მოღწეულია იოვანე-ზოსიმეს არა ერთი ავტოგრაფი, როგორც შედარებით კალიგრაფიული, ისე გაკრული ხელით ნაწერი. იოვანე-ზოსიმე არ არის კალიგრაფი გადამწერი. მას აქვს ტექსტზე მომუშავეის მეტად თავისებური ხელი. ასოები გახრილი ხაზებითაა ნაწერი. დაშახასიათებელია ცალკეულ ასოთა მოხაზულობა — დ, ზ, მ, ნ, ო, ჯ და ა. შ. დონის სარქველი დახრილი, გაკრული ხაზითაა გამოყვანილი, მ-ს კბილი მარჯვნივაა გაზიდული, ნარის სარქველი გატეხილია და ა. შ. ცალკეულ ასოთა დახასიათება იოვანე-ზოსიმეს ხელის ნათელ სურათს მაინც ვერ ქმნის. მთლიანად ნაწერია თავისებური იერის მატარებელი (იხ. ტაბ. 2). ხელის შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ Sin. 1-ის გადამწერი არ არის იოვანე-ზოსიმე. იოვანე-ზოსიმეს ხელით Sin. 1-ის კიდევებზე მხოლოდ მინაწერებია გაკეთებული. რაც შეეხება Sin. 64 და Sin. 65 ხელნაწერებს, არც ესენია იოვანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი. მეტიც, Sin 1-ის ხელი განსხვავებულია Sin. 64 და Sin. 65 ხელნაწერების ხელისაგან.

Sin. 1-ის გადამწერი შეგვხვდა Sin. 26-ში, 148v—185r (იხ. ტაბ. 3). ტექსტის ამ ნაწილს ერთვის ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე ცოდვილი, ამისი მწერალი. რომელი დამეკლოს, შემინდვე და ლოცვასა მომიკენე. ქრონიკონი როდ“ (184v). ამ ორი ხელნაწერის შედარებამ ცხადყო, რომ Sin 1-ისა და Sin. 26-ის ერთ-ერთი გადამწერი ივანე ერთი და იგივე პირია.

Sin. 1-ს თარიღი არ ახლავს, Sin. 26-ის იმ ნაწილის თარიღი, რომელიც ხელის მიხედვით Sin. 1-ის გვერდით დადგა, ცნობილია — 954 წ. ამ თარიღზე დაყრდნობით, შესაძლებელია Sin 1-ის მიახლოებით დათარიღება — Sin. 1-ც საბაწმიდური ხელნაწერი უნდა იყოს<sup>3</sup>.

გადამწერი იოვანე ჩანს აგრეთვე Sin. 11-ის (ავიოგრაფიული კრებული) ანდერძში: „წმიდაო არეთა, თანა მოყუსითურთ მეოზ-გუეყავ წინაშე ქრისტესა მსგავსად თხოვისა შენისა დღესა მას განკითხვისასა იოვანეს, მწარედ ცოდვილსა, და მიქაელს, დეკანოზსა, ამენ“ (400r). იოვანეს გადაწერილია ხელნაწერის ბოლო ნაწილი (361r—400r). ეს არის რიგით მესამე იოვანე იოვანე-ზოსიმესა და Sin 1-ისა და Sin. 26-ის გადამწერ ივანეს შემდეგ. ხელი კალიგრაფიულია, თუმც ჩამორჩება ივანეს ხელს. თავისებურადაა გამოყვანილი ბანისა და განის მუცელი. დამახასიათებელია მ-ს დაწერილობა. მ-ს თავი გაფორმებულია დახრილი ხაზით ან ზევით მიმართული წერტილით. სტრიქონს ქვევით მოკლე მანძილზეა ჩამოზიდული ე, კ, ფ, ყ ასოების ფეხი (იხ. ტაბ. 4).

ამ იოვანეს გადაწერილი ჩანს Sin. 39 (საქმე მოციქულთა), Sin. 62 (ავიოგრაფიული კრებული), Sin. 20, Sin. 64 და Sin. 65 (იადგარები). ხელნაწერ Sin. 39-ის ტექსტი ნაწერია მთავრულით, მაგრამ ტექსტს ახლავს ვრცელი ანდერძი ნუსხურით (იხ. ტაბ. 5). „... მომემაღლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს, დაწერად წმიდაჲ ესე წიგნი, საქმე წმიდათა მოციქულთაჲ, ჭელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა და დიად უცბებით, ბრძახებითა პატიოსნისა მღვდელისა მიქაელ დეკანოზისაჲთა... ქრონიკონი იყო როდ“ —

<sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში Sin. 1 Xs, I ნახ. არის დათარიღებული: კ. ქეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 165; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, 1965, გვ. 541. ძლისპირნი და დმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 0106.



974 წ. (132r). აღსანიშნავია, რომ ხელნაწერებს Sin. 11-სა და Sin. 39-ს ერთი მომგებელი ჰყავს — დეკანოზი მიქაელ.

ხელნაწერი Sin. 62 აღწერილია ყ. გარიტის მიერ<sup>4</sup>. გარიტი Sin. 62-ს Sin. 6-ის შემდგომ გადაწერილად თვლის. Sin. 6-ის თარიღებია 981—983 წწ., ამიტომ Sin. 62-ს 983 წლის მომდევნო დროით ათარიღებს, ვადაშწერად იოვანე-ზოსიმეს მიიჩნევს. ცალკეული ასოების მოხაზულობის, აგრეთვე ნაწერის საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, Sin. 62-ის ხელი Sin. 11-ისა და Sin. 39-ის გვერდით დგება (იხ. ტაბ. 6). Sin. 62-ს ახლავს ანდერძი: „წმინდანო მოწამენო, მომიკსენით წინაშე ღმრთისა მეოხებითა თქუენითა იოვანე, ფრიად ცოდვილი. ლოცვა-ყავთ“ (183v). ანდერძიც არ ჩამოგავს იოვანე-ზოსიმეს ანდერძს. იოვანე-ზოსიმე თავის თავს, ჩვეულებრივ, მხხრეკალს უწოდებს, „დაკლებულებისათჳს“ შენდობას ითხოვს და წამკითხველს მოკრძალებით ლოცვას გამოსთხოვს თანამშრომელთა და ახლობელთათვის; „...მხხრეკალი ამისი იოვანე-ზოსიმე, ფრიად ცოდვილი, და მშობელნი და ძმანი ჩემნი და ყოველნივე ჩემეულნი, ცოცხალნი და მიცვალებულნი, სულიერნი და კორციელნი, ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ, და ყოველივე დაკლებულებაჲ ჩემი შემი[ნ]დვეთ ღმრთისათჳს, და თქუენცა ქრისტემან შეგინდვენ და შეგიწყალენ, ამენ.“

„ქრისტე, შეიწყალე მხხრეკალი ამისი იოვანე-ზოსიმე, ფრიად ცოდვილი, და მიქაელ, მომგებელი ამის წმიდისა წიგნისაჲ, და ყოველნი ქრისტეანენი, ამენ. ლოცვა-ყავთ ჩუენთვის, წმიდანო, ლოცვა-ყავთ, რამეთუ ჩუენ ფრიად გურწამს თქუენი ლოცვაჲ, წმიდანო და ღირსნო ღმრთისანო, ამენ“ (Sin. 6, 169v).

„... მხხრეკალი ამისი იოვანე, ფრიად ცოდვილი, და ყოველნივე ჩემეულნი ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ, და ყოველივე დაკლებულებაჲ შემინდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვა-ყავთ, ამენ“ (Sin. 15, 84r).

„მხხრეკალი ამისი იოვანე, ფრიად ცოდვილი, ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ და ყოველი დაკლებაჲ შემინდვეთ“ (Sin. 30, 2r).

„... მხხრეკალი ამისი იოვანე, ფრიად ცოდვილი, და მშობელნი და ძმანი ჩემნი და ყოველნივე ჩემეულნი ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ და ყოველი დაკლებულებაჲ ჩემი შემინდვეთ ღმრთისათჳს“ (Sin. 38, 36v).

„... მხხრეკალი ამისი იოვანე, ფრიად ცოდვილი, და მშობელნი და ძმანი ჩემნი და ყოველნი ცოცხალნი და გარდაცვალებულნი ჩემნი, სულიერნი და კორციელნი, ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ და ყოველი დაკლებაჲ და უგუნურებაჲ ჩემი შემი[ნ]დვეთ და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენინ, ამენ“ (Sin. 38, 98v)<sup>5</sup>.

ამრიგად, Sin. 62 როგორც ხელის, აგრეთვე ანდერძის მიხედვით განსხვავებულია იოვანე-ზოსიმეს გადაწერილი ხელნაწერებისაგან. Sin 11-ის ბოლო ნაწილისა და Sin 62-ის ხელის მსგავსება შენიშნა ი. იმნაიშვილმა: „ხელი (Sin. 62-ისა — ც. კ.) ნუსხურია, დაბალი და განიერი ასოებით, იგი საერთო ხაზებში რამდენადმე მოგვაგონებს B ხელნაწერის (Sin. 11-ის — ც. კ.) მესამე ხელს, უკანასკნელ ფურცელზე (361—399) წარმოდგენილს“. ხოლო

<sup>4</sup> Catalogue de manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte, 1956, p. 209.

<sup>5</sup> შდრ. აგრეთვე იოვანე-ზოსიმეს სხვა ანდერძებიც: Sin. 34, 56v, 111v; Sin. 47, 87v, 91r.



გადამწერის საკითხს საგანგებო შესწავლამდე ღიად ტოვებს: „შესაძლებელია დაესვათ საკითხი: ჩვენი ხელნაწერის გადამწერიც ცნობილი იოვანე-ზოსიმე ხომ არ არის? საკითხს უფრო ჩაღრმავებული მუშაობა სჭირდება, რასაც აქ, ბუნებრივია, ვერ მოვკიდებთ ხელს“<sup>6</sup>.

ხელნაწერების Sin. 20 (იხ. ტაბ. 7), Sin. 64 და Sin. 65 (იხ. ტაბ. 8) გადამწერია იოვანე, მომგებელი — კკრივე. Sin. 20-ს თარიღიც ახლავს: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი კელითა იოვანესითა, ბრძანებითა კკრივე, მთისახუცისათა... ქრონიკონი იყო სჴ“ — 987 წ. (130v). გადამწერის ანდერძი ერთვის აგრეთვე ხელნაწერებს Sin. 64-სა და Sin. 65-ს: „ქრისტე, შეიწყალე კკრივე მოძღუარი, ამისი მომგებელი, და იოვანე — უცბად მწერალი, ლოცვა-ყავთ“ (Sin. 64, 159r).

„დიდებაა შენდა, სამებაო წმიდაო, დამბადებლო ყოველთაო, ლოცვა-ყავთ ღმრთისათჳს იოვანე გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა, მშრომელისა ამის წიგნისაჲ, და თქუენცა უფალმან შეგიწყალენინ, ამენ“ (Sin. 65, 22v).

პ. ინგოროყვა ხელნაწერებს Sin. 20, Sin. 64 და Sin. 65 იოვანე-ზოსიმეს ავტოგრაფებად მიიჩნევს<sup>7</sup>. ხელის შედარების შედეგად კი ჩანს, რომ მათი გადამწერიც ის იოვანეა, რომლის გადაწერილიცაა Sin. 11-ის ბოლო ნაწილი, აგრეთვე Sin. 39 და Sin. 62. ამ ხელნაწერების ანდერძებშიც განსხვავებულია იოვანე-ზოსიმეს ანდერძებისაგან. ხელნაწერები Sin. 11, 39, 62, 64 და 65 ნაწერია კალიგრაფიული ნუსხურით, ხელნაწერი Sin. 20 — მედარებით გაკრული, ნაჩქარევი ხელით. ცალკეულ ასოთა მოხაზულობით Sin. 20-იც ზემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერების გვერდით დგება, განსხვავებულ შთაბეჭდილებას მხოლოდ გაკრული ხელი ქმნის. ამ ხელნაწერების გადამწერი იოვანე სინელი მოღვაწე ჩანს — Sin. 20 987 წლისაა, Sin. 39—974 წლისა, Sin. 62—983 წლის შემდეგდროინდელი. ხელნაწერებს Sin. 64 და Sin. 65 პ. ინგოროყვა 970-იანი წლებით ათარიღებს<sup>8</sup>. თარიღი არ ახლავს Sin. 11-ს.

ხელნაწერი Sin. 29, ფსალმუნი. გადამწერია იოვანე: „...თქუენცა მომიტყენეთ მე, იოვანე, საწყალობელი მღდელი და მწარედ ცოდვილი, ლოცვასა წმიდასა თქუენსა...“ (78r). ნაწერია ასომთავრულით, სინატიფით ჩამორჩება Sin. 39-ს, რომლის გადამწერიც აგრეთვე იოვანეა. გადამწერი იოვანეთა უმეტესობა ნუსხურით წერს, ამიტომ სხვა ხელნაწერებთან შედარების შესაძლებლობა არა გვაქვს.

ამრიგად, X საუკუნეში საბაწმიდასა და სინაზე მოღვაწეობდა ოთხი გადამწერი იოვანე: იოვანე-ზოსიმე, ივანე (Sin. 1, Sin. 26: 148v—185r), იოვანე (Sin. 11:361r—400r, Sin. 20, Sin. 39, Sin. 62, Sin. 64 და Sin. 65) და Sin. 29-ის გადამწერი, რომლის ნუსხურით ნაწერი ტექსტის დაძებნა არ ხერხდება.

II. პალესტინელ მოღვაწე იოვანეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იოვანე-ზოსიმეს. იოვანე-ზოსიმე მრავალმხრივი მოღვაწეა — ხელნაწერის გადამწერიცაა და შემმოსავიც, ტექსტის შემორჩევიცა და რედაქტორიც. იოვანე-ზოსიმეს რედაქტორული საქმიანობა ჩანს მისივე მინაწერებიდან, რომლებიც უხვად ერთვის საბაწმიდურ თუ სინურ ხელნაწერებს. საგუ-

<sup>6</sup> ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილი, თბ., 1963, გვ. 211—212.

<sup>7</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 363, 542, 558, 559.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 363, 542.











ყოხე რახი: ასრიცა ძნესაქმოც  
 ღვთს სუა დაქმოთი თუ-ნობე თუ (ინ  
 ჟორო ბოლო და უკუცა ძნეს: რხეც  
 (საქოაქოაქონი რქოთორი რქონ  
 თი ბოლო თქნი სუნიის. ხუჯაბე  
 ეძეს ჯჷნი რქოთოაქოაქონი  
 თქნი სუ ფეძე მოც თქნი სუ  
 სუ სუაქოთი რქო სუ სუაქოთი  
 მოცა და მო  
 ჯეძ (ინი რქოთო რქო სუ  
 რქოთი სუ სუაქოთი რქო  
 სუნი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
**Q**უთი რქოთი ძნესაქმოთი სუ სუაქოთი  
 მოცა და მო  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი  
 სუ სუაქოთი რქოთი სუ სუაქოთი



1. ადამიანი ძეგლისი უნდა  
 იქნეს ბედნიერი და  
 ღირსი და სიბრძნის  
 მამულნი და სიბრძნის  
 ღირსნი და სიბრძნის  
 ღირსნი და სიბრძნის  
 ღირსნი და სიბრძნის  
 ღირსნი და სიბრძნის  
 ღირსნი და სიბრძნის  
 ღირსნი და სიბრძნის

2. და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი

3. და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი

4. და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი

5. და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი

6. და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი  
 და მისი ღირსნი







1. **ქ**ოთხრთა აყურაა **მ**ე. **ე**ხინ  
 მნიძეს ბოროტის **გ**ნუჯობა **მ**ე. **ნ**  
**ე**ნკაცობის **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
**ნ** **ე**ნკაცობის **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 სოციალური. სოციალური  
 ქოთრთა აყურაა **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 თე სოციალური **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მკითხველთა **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მკითხველთა **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.

**ქ**ოთხრთა **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 ან მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.  
 მნიძეს **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე. **მ**ე.





ლისხმო კომენტარები ახლავს ერთ-ერთ კრებულს — Sin. 34-ს, რომლის შემდგენელ-რედაქტორიც იოვანე-ზოსიმეა. კრებულში თავმოყრილია უმთავრესად ლიტურგიკული ძეგლები. მათ ურთიერთდასაკავშირებლად იოვანე-ზოსიმეს ხელით კიდევებზე მიწერილია შენიშვნები. მეტად საყურადღებოა, რომ იოვანე-ზოსიმე საგალობლებს ორ ჯგუფად ჰყოფს: „ძუელნი“ და „ახალნი“. რომელ საგალობლებს მიიჩნევს ძველად და რომელს ახლად, ამის გარკვევა შესაძლებელია იოვანე-ზოსიმეს ხელით მიწერილი ანდერძ-მინაწერების ანალიზით.

კრებულზე დართულ ანდერძში იოვანე-ზოსიმე წერს: „...ესე საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი, ახალნი და ძუელნი, სრულიად, და ყამნი აიბნი (ათორმეტნი) სრულიად, ქართულად და ს[ახაწ]დ...“, და ქრონიკონი სრულიად ყოვლითაჲვე და სხუად მრავალი განგება...“<sup>9</sup>.

იოვანე-ზოსიმეს ანდერძზე დაყრდნობით პავლე ინგოროყვა საგალობლებს ორ ჯგუფად ჰყოფს. ახალ საგალობელთა რიგში აქცევს:

1. „დასდებელნი სამარადისოთა დღეთანი ახალნი, კვპრულნი“ (34—48 ფფ).

2. დასდებელნი ტრიოდისა, მარხვათა კალენდარული წრისა (106—123 ფფ).

3. „დასდებელნი სამარადისოთა დღეთანი“ (86—106 ფფ).

4. დიდ დღესასწაულისადმი მიძღვნილ საგალობელთაგან ორი გალობა: აღვსებისა და ახალ-კვრიაკისა (70—72 ფფ).

ძველ საგალობელთა რიგში აქცევს:

1. საგალობელნი აღვსებისანი რვა კმანი (48—57 ფფ).

2. დიდ დღესასწაულთადმი მიძღვნილი საგალობელთა ციკლი (61—85 ფფ).

3. ხუთი საგალობელი ციკლიდან „დასდებელნი სამარადისოთა დღეთანი“<sup>10</sup>.

Sin. 34 ხელნაწერზე იოვანე-ზოსიმეს ხელით დართულ ანდერძ-მინაწერების თანახმად კი პ. ინგოროყვას მიერ ძველ საგალობელთა ჯგუფში შეტანილი „საგალობელნი აღვსებისანი“ ახალი ჩანს, ხოლო იოვანე-ზოსიმეს მიერ ძველად მიჩნეული „აღვსების საგალობელნი“ და „დღესასწაულნი ძუელნი“ კრებულის სულ სხვა ფურცლებზეა (123v—143v)<sup>11</sup>.

იოვანე-ზოსიმე მინაწერებში ხშირად უთითებს, სად უნდა მოიძიოს საჭირო სავედრებელი. მისათითებლად ხმარობს ტერმინებს „ზემოათ“ და „წინათ“. ზემოათ ნიშნავს ადრე, ზევით:

1. 106r-ზე მინაწერია: „კორცითა აღებისა პარასკევსა ნინეველთა, ოგ<sup>1</sup>ლბსა კ<sup>2</sup>დგ<sup>3</sup>ი: ი<sup>4</sup>შ<sup>5</sup>ლ მონ ქმ — ზემოთ მე-ვ-სა ფურცელსა კპოვნე“. მითითებული მასალა მართლაც ექვსი ფურცლით წინ, 100v-ზეა.

2. დასდებელს „წმიდათა კვრიაკეთა დამისთევასა ლიტანიასა საბაძს საფ-

<sup>9</sup> კედრატულ კავეზში ამოღებული სიტყვა ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ის ამოკითხულია, ფოტოზე არ ჩანს (იხ. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 58).

<sup>10</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, თბ., 1965, გვ. 360—361.

<sup>11</sup> ადგომის დასადებლების რედაქციულად დაყოფისას პ. ინგოროყვას თვალსაზრისს იზიარებს ლ. ჯღამაია (იხ. მიქაელ მოდრეკელის საგალობლები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, გვ. 61—62).

ლავსა ზედა“ ახლავს შენიშვნა: „კკრიაკესა მე-მ კე დ გ ო: მადლითა სულისა წმიდისადათა მხიარულ იქმენ და იხილე — ესე ზემოჲ აქედითსა ჰპოო“ (85v). მითითებული ტექსტი მართლაც ზევით, 84v-ზეა, აქედითსას მეორე მუხლში.

3. და ბოლოს, დასდებელთა ერთ ჯგუფთან სისტემატურად მითითებულია „დასდებელნი სამარადისოთა დღეთანი კკრულნი“, რომელთაც იოვანე-ზოსიმე მინაწერებში „მსგებსს“ უწოდებს. მისათითებლად იოვანე-ზოსიმე ყველგან ასე ხმარობს: „ესენი ჰპოვნე ზემოჲთ, მსგებსსა“. მსგებსი კრებულში მართლაც ადრეა შეტანილი (34r—48r), შენიშვნები კი მომდევნოდ შეტანილ ტექსტთანაა მიწერილი (87v—106r).

მეორე ტერმინი წინაჲთ მომდევნოს ნიშნავს:

1. 45v-ზეა „დასდებელნი მდღელთ-მოდღუართანი ვისთვსცა გინდეს“. კიდევ შენიშვნაა: „მდღელთ-მოდღუართანი, კოო ღღესა და უფროჲს მზის... წინაჲჲ ჰპო[ო]“. მითითებული ტექსტი მომდევნოდ, 145v-ზე დასტურდება.

2. 48r-ზე შენიშვნაა: „დასდებელნი სულისანი, ოგლბსა კე ბ გ ო: მქსნელი — ესენი წინაჲთ შეკრებულთა ჰპოვო, ლოცვა-ყავ ჩემთვს“. მითითებული მასალა მომდევნო 99v-ზეა.

3. 78r-ს ზედა კიდევ მინაწერია: „იოვანეს თავის კუეთაჲ წინაჲთ ჰპოო“. საძიებელი ტექსტი 105r-ზეა და ა შ.

4. დასასრულ, იოვანე-ზოსიმე წინაჲთ-ს რომ მომდევნოს ძნიშვნელობით ხმარობს, ეს ნათლად ჩანს აგრეთვე ხელნაწერ Sin. 6-ის ერთ-ერთი მინაწერიდანაც. Sin 6-ის 220r-ზე ტექსტია: „სწავლაჲ წმიდისა სტეფანე მძოვრისაჲ საბაწმიდელისაჲ“. თხზულების ბოლოს იოვანე-ზოსიმეს ხელით მიწერილია შენიშვნა: „და კუალად სხუაჲჲ ჰამბავი დამისთევისათვს და ლოცვისათვსვე — თქუა მამამან წმიდამან თევდორე, ვითარმედ მითხრა მე ბერისა ესე თქმული — წინაჲთ მეორესა ფურცელსა შინა ჰპოო, და შემი[ხ]დვეთ და ლოცვა-ყავთ, ამენ“ (223r). ორი გვერდის მომდევნოდ, იოვანე-ზოსიმეს ხელით, მართლაც გრძელდება ტექსტი. ტექსტის ბოლოს კი მიწერილია: „ესეაჲ (!) უკანაჲსკნელ ვპოვე და აქა შინა შევჩხრიკე. შემი[ხ]დვეთ და ლოცვა-ყავთ, ამენ“ (225r).

ახლა მივუბრუნდეთ იოვანე-ზოსიმეს ანდერძს. „მარხვანის“ დასასრულს იოვანე-ზოსიმე წერს: „მარხვანი სრულიად, და დღესასწაულნი ყოველნი სრულიად, და იპაკონი მარხვათანი და ყოველთა დღესასწაულნისა და ადგომისა კმანი ზედაჲ და სამარადისონი სრულიად — ყოველნი ძუელნი წინაჲთ ჰპოვნე, და ახალნი ყოველნი ზემოჲთ ჰპოვნე და ლოცვა-ყავთ“ (123r). ე. ი. ახალი მასალა მარხვანის ზევით არის საძიებელი, ხოლო ძველი — მარხვანის მომდევნოდ. პ. ინგოროყვას მიერ ძველ საგალობელთა ჯგუფში შეტანილი „საგალობელნი აღვსებისანი“ მარხვანს უსწრებს, ჩვენ მიერ ძველად მიჩნეული „აღვსების საგალობელნი“ და „დღესასწაულნი ძუელნი“ კი „მარხვანის“ მომდევნოდა.

დასასრულ, ხელნაწერ Sin. 26-ში შეტანილი „ძუელნი დასდებელნი ადგომისანი“ (287v—305v) რედაქციულად დგება Sin. 34-ში სწორედ მარხვანის მომდევნო ადგომის დასდებლებთან (123v—131v).



ამრიგად, იოვანე-ზოსიმეს კომენტარების სწორი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ — ამ მრავალმხრივ საინტერესო ლიტურგიკულ კრებულში შესულ დასდებელთაგან რომელია ძველი და რომელი ახალი. შესაძლოა, რომ ე. წ. ახალი საგალობლები იოვანე-ზოსიმეს მიერ პირველად იყოს შეტანილი იადგარში.

Ц. А. ЧАНКИЕВА

## О ПАЛЕСТИНСКИХ ПЕРЕПИСЧИКАХ ПО ИМЕНИ ИОВАНЕ

(Резюме)

I. В колофонах и приписках палестинских грузинских рукописей X в. часто упоминаются переписчики по имени Иоване. В результате палеографического изучения рукописей выясняется, что в данный период на Синае и в лавре св. Саввы их было четверо: Иоване-Зосиме, Иване (им переписан Sin. 1 и часть рукописи Sin. 26), Иоване (переписчик рукописей Sin. 11 — конечной части, Sin. 20, 39, 62, 64 и 65) и Иоване (переписчик рукописи Sin. 29).

II. В статье рассмотрены также примечания к литургическому сборнику Sin. 34, составителем и редактором которого является известный палестинский деятель Иоване-Зосиме, и установлено значение двух терминов, употребляемых в примечаниях: „ზემოეთ“ — означает предыдущий, „წინაეთ“ — означает последующий. Правильное толкование этих терминов дает возможность выделить хронологические пласты этой уникальной рукописи X в.

---

ლამარა მავჯანა

ერთი წარმოშობის ორი პალიმფსესტის შესახებ

მრგვლოვანი დამწერლობის უძველესი ნიმუშები ეპიგრაფიკული ძეგლების გვერდით ხანმეტმა პალიმფსესტებმაც შემოგვიანა. ხანმეტი პალიმფსესტების უდიდესი ნაწილი ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდებშია დაცული<sup>1</sup>. ესენია: H—999, A—89, A—737, A—844, S—3902.

აღნიშნული პალიმფსესტების ნაწილი შესწავლილია და ამოკითხული ივ. ჯავახიშვილისა და აკ. შანიძის მიერ<sup>2</sup>.

ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენა ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მკვლევარმა მათ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა სათაურით: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“. პირველად ის გაშიფრული ტექსტების დართვით 1923 წელს დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის II ტომში. ხოლო შემდგომ — 1949 წელს ქართულ პალეოგრაფიაში შევიდა და დაიბეჭდა შევსებული სახით<sup>3</sup>.

ივ. ჯავახიშვილმა ხანმეტი პალიმფსესტები ეპიგრაფიკულ ძეგლებთან პალეოგრაფიული სიახლოვის საფუძველზე V—VI საუკუნეებით დაათარიღა და გაარკვია, რომ გადარეცხილი მასალა შეიცავს ბიბლიურ ტექსტებს ძველი და ახალი აღთქმიდან.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ზემოდასახელებულ ორ ხელნაწერ-პალიმფსესტს — A—89 და A—844.

A—89 ხელნაწერი იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანებას შეიცავს. იგი საკმაოდ მოზრდილი ტანისაა 27,5×16 სმ; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდით; დაშლილია და ბოლონაკლული.

თ. ჟორდანის აღწერილობის მიხედვით ის 904 გვერდისაგან შედგება<sup>4</sup>. ფურცელთა იგივე რაოდენობაა დადასტურებული ივ. ჯავახიშვილთანაც<sup>5</sup>. აღნიშნული ხელნაწერი ჩვენამდე ნაკლული სახით არის მოღწეული. მას აკლია „თ“ რვეული მთლიანად (ე. ი. 61 და 62 ფურცლებს შორის) და „ე“ რვეულიდან ორი ფურცელი (33—34 და 35—36 ფფ. შორის), ე. ი. 10 ფურცე-

<sup>1</sup> ხანმეტი პალიმფსესტები, ხელნაწერთა ინსტიტუტის გარდა, დაცულია საზღვარგარეთის სხვადასხვა წიგნსაცავებში (კემბრიჯის, ოქსფორდისა და ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 317—366; აკ. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 98—159;

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

<sup>4</sup> Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея. т. I, 1901, стр. 90.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293.



ლი. სულ ხელნაწერი შეიცავს 439 ფურცელს. იგი მთლიანად ეტრატია, გარდა 4 ქალაღის ფურცლისა (7, 8, 15, 363 ფფ.), რომელიც აღდგენილია და ჩართული დაახლოებით XVIII საუკუნეში. ხელნაწერს გააჩნია რვეულებრივი პავინაცია, იგი შედგება 56 (ნვ) რვეულისაგან. მისი ზედა ტექსტი დაწერილია XI საუკუნის ნუსხურით. ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ გადაწერია ვინმე კვირიკე. ტექსტს ბოლოს ერთვის ანდერძი: „ქრისტეს მოყუარენო ერნო, ვინათგან წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს ოქროპირსა ესრეთ აქუნდა ჩუეულებაჲ, რათამცა წარმოთქუა თარგმანებაჲ სახარებისაჲ მყუეარ ჟამ და მერმე აღსასრულსა ზედა სწავლასა წარმოიტყოდა. ამისთვის ძალი თითოეულისა სწავლისაჲ აქა დაგვწერია, რათა რასაცა ვინ ეძიებდეს, ადვილად პოსს, რამეთუ ესრეთ არს ბერულთაცა წიგნთა შინა. ქრისტე, შეიწყალე კვირიკე“ (438v).

ზემოხსენებული ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტია (გარდა რამდენიმე ფურცლისა). პალიმფსესტის თითოეული ფურცელი ორად არის გაკეცილი და ახალი ტექსტი საწინააღმდეგო მიმართულებითაა ნაწერი. გადარეცხილი ხელნაწერი, როგორც ჩანს, დიდი ტანისა ყოფილა. მისი ეტრატის ზომაა 32,5×27,5; თავდაპირველი სახე აღნიშნულ ზომაზე მეტი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 36×28,5. ამას მოწმობს ტექსტის შემორჩენილი მარჯვენა და ქვედა აშია, რომელიც გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მისი ზედა და მარცხენა აშია. გადარეცხილ ხელნაწერს გარეგანი სახის ღირსება ყოველგვარი რეცხვა-ფხეკის შედეგად მაინც შემორჩენილი აქვს. ძველი ტექსტი დაწერილია ფართოდ და მასალის დაუზოგავად; ნაწერია ორ სვეტად; სვეტებს შორის მანძილია 2,2×2,4 სმ; სვეტის სიგანეა 9—9,4 სმ; თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია; სტრიქონს შორის მანძილია 1,4—1,6 სმ; სტრიქონზე (ერთი სვეტის ფარგლებში) 13—16 ასოა; ასოები მსხვილი და ლამაზი მოყვანილობისაა; ისინი მოთავსებულია ორ ხაზს შუა, გარდა ფ, ქ, წ, ჯ ასოებისა, რომელთაც ბოლოები ხაზს ქვევით საგრძნობლად ჩამოუდის. ასოთა სიმაღლეა 5—6 მმ; სიგანე — 5—7 მმ; თითოეული ასოს მსხვილი ხაზის სიგანეა 2 მმ. ტექსტი დაწერილია მუქი ყავისფერი მელნით. ეს კარგად ჩანს იმ გვერდებზე, რომლებზედაც ძველი მელნის კვალი, მიუხედავად ტექსტის საგულდაგულო გადარეცხვისა, მაინც არის შემორჩენილი (293v, 323v). ამასვე ადასტურებს ის მინაწერიც, რომელიც დაუზიანებლად არის ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული ასოებით: „ღმერთო, წყალობა ყავ ჩემ ზედა“ (277r). ტექსტი დაყოფილია მუხლებად. ყოველი მუხლი იწყება საზედაო ასოთი. საზედაო ასოებს ახლავს მუხლობრივი სათვალავი. გადარეცხილი ხელნაწერის ქვედა აშიაზე მოცემულია საძიებელი. სასვენ ნიშნებად გამოყენებულია ერთი (—) და ორი (=) წერტილი. ერთი წერტილი იხმარება სტრიქონს ზევით და სტრიქონს შუა. ზოგჯერ სტრიქონს ზედა მდებარე ერთ წერტილს კავის მსგავსი ფორმა აქვს (>). ორი წერტილი თხრობის ან მუხლის დასასრულსაა დასმული.

გადარეცხილი ტექსტი, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ოთხთავს წარმოადგენს და იგი მთლიანად ერთი ხელნაწერიდან მომდინარეობს. მიუხედავად ხელნაწერის საკმაოდ დიდი მოცულობისა (441 ფ.), ძველი ტექსტის ეტრატის ფურცლები ამ ხელნაწერში მთლიანად არ ჩანს გამოყენებული. ამას ადასტურებს იმავე კოლექციაში დაცული ხელნაწერი — პალიმფსესტი A—844.



A—844 ხელნაწერის ზედა ტექსტი სახარების საკითხავების კრებულს წარმოადგენს. ის ჩასმულია ტყავის ყდაში, დაშლილი და თავნაკლულია. მისი ბოლო ფურცლები დაზიანებულია. A—89 ხელნაწერთან შედარებით მცირე ზომისაა, 22×15 სმ. აღწერილობის მიხედვით ხელნაწერი უნდა შეიცავდეს 255 ფურცელს<sup>6</sup>. ჩვენამდე ის ამ სახით არ არის მოღწეული. ეს შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: ხელნაწერი პაგინირებულია შეცდომით. 159 ფურცლის მომდევნო ფურცლებზე ნაცვლად 160-ისა დასმულია ციფრი 190. გარდა ამისა, ხელნაწერს აკლია დაახლოებით 15 ფურცელი. დღეს ის 212 ფურცლისაგან შედგება. გარდა აღდგენილი გვერდებისა (აღდგენილია XVIII საუკუნის ნუსხურით 34 ფ.), ის მთლიანად ეტრატია. ხელნაწერიდან 72 ფურცელი ამოღებულია. ეს ის ფურცლებია, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილი ამუშავებდა. მათ ქიმიური დამუშავების კვალი ეტყობა. დანარჩენი ეტრატის ფურცლები დალაქავებულია და ამდენად გადარეცხილი. ტექსტის ამოკითხვა შეუიარაღებელი თვალით ძალზე ძნელდება.

ზედა ტექსტი აღნიშნული ხელნაწერისა დაწერილია XI საუკუნის ხუსხურით. გადამწერი ამ ხელნაწერისა იგივე პირია, რომელმაც გადაწერა A—89. ამას ადასტურებს როგორც ასოთა ერთნაირი მოყვანილობა, ასევე ხელნაწერის ანდერძიც: „ღიდებაჲ ღმერთსა, მადლი ღმერთსა, კურთხეულ არს ღმერთი, ყოვლისა საქმისა კეთილისა სრულმოყოფელი. დავიწყე მისა და გავიშორე ივლისა გ“. წმიდანო ღირსნო, ვინცა იკითხვიდეთ ამას ცოდვილისა კკრიკეს ნაღლუნსა, მწყევთ ოდენ ნუ და ღმერთმან მადლი მოგცეს“ (212რ).

A—844 ხელნაწერიც, გარდა აღდგენილი ფურცლებისა, მთლიანად პალიმფსესტია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნული პალიმფსესტის შესახებ შენიშნავს, რომ: „ორიოდე რვეულის გარდა, რომელიც სხვა ხელითა და იმავე მიმართულებით არის ნაწერი, რომლითაც მერმინდელი ტექსტია, ერთი მთლიანი ხელნაწერი უნდა იყოს პალიმფსესტად გაკეთებული“<sup>7</sup>, რომელიც შეიცავს ოთხთავის ტექსტს.

რას წარმოადგენს ის ორიოდე რვეული, ამის შესახებ მკვლევარი არაფერს ამბობს.

ხელნაწერის გადარეცხილი ტექსტის გულდასმით გადასინჯვის შედეგად გამოვლინდა, რომ ის სხვადასხვა დამწერლობის ძეგლთაგან შედგენილი პალიმფსესტია. ძველი ტექსტის მიხედვით ხელნაწერი იყოფა არა ორ, არამედ ოთხ ნაწილად. ამათგან ერთია ნუსხურად ნაწერი, ხოლო დანარჩენი სამი — ასომთავრულად.

ნუსხურად ნაწერი ქველი ტექსტი რვა ფურცლისაგან შედგება (138—145 ფფ.), ის ახლის საწინააღმდეგო მიმართულებით არის დაწერილი. შინაარსის მიხედვით ძველი გაურკვეველია; ისე საგულდაგულოდ არის გადარეცხილი, რომ სიტყვების ამოკითხვა შეუძლებელია. აქა-იქ შეიმჩნევა ლამაზად მოყვანილი ასოები, რომელთაც ბუნები სწორად აქვს აშვერილი:

<sup>6</sup> М. Джанашвили, Описание рукописей Церковного Музея, т. III. стр. 57; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე.



# ნ ტ ძ ჯ

ასოთა ასეთი მოხაზულობა ხელის სიძველეზე უნდა მიუთითებდეს, არა უგვიანეს IX საუკუნისა.

ასომთავრულად ნაწერ ნაწილში სამი სხვადასხვა ტექსტი განირჩევა. სამივე ხანმეტური პერიოდისაა.

პირველი ტექსტი, რომელიც იმავე მიმართულებით არის ნაწერი, რომლითაც ზედა ტექსტი, შეიცავს 54 ფ. (104—221; 170—177; 178; 181—185; 186—207). იგი დაწერილია მსხვილი და მრგვალი ასოებით, ერთ სვეტად. სვეტში 17 სტრიქონია. სტრიქონი დაახლოებით 21 ასოსაგან შედგება. სიტყვები დაწერილია ერთმანეთის მიდევნებით, ინტერვალის გარეშე. სიტყვებს შორის შუალედი მოცემულია იქ, სადაც სასვენი ნიშანია დასმული, სასვენ ნიშანთაგან გამოყენებულია კავის მსგავსი ფორმის ნიშანი (>), სტრიქონს ზევით მდებარე, და ორი წერტილი (=). აღნიშნული ჯგუფის პალიმფსესტი ასოთა მოყვანილობით და ხანიანი ფორმების დადასტურებით, უდავოდ, უძველესი დროისაა (V—VI სს.). ჩვენ მიერ ამოკითხული გადარეცხილი ტექსტის ზოგიერთი ფურცელი ესაიას წინასწარმეტყველების ტექსტს შეიცავს (124r-v ესაია: 7,23; 126v—40,5; 127v—46,6; 128v—49,5). აღვილი შესაძლებელია ამ ჯგუფის პალიმფსესტი ესაიას წინასწარმეტყველების მთელ ტექსტს წარმოადგენდეს, რადგან ის ერთი პერიოდისა და ერთი ხელითაა ნაწერი. თუ ეს ვარაუდი დადასტურდა, რაც შემდგომი მუშაობის შედეგად გაირკვევა, მაშინ ბიბლიის ცნობილ ფრაგმენტებს: „შესაქმეთას“, „იგავნი სოლომონისას“ და „იერემიას წინასწარმეტყველებისას“ დაემატება დღემდე უცნობი, საკმაოდ მოზრდილი ტექსტი „წინასწარმეტყველება ესაიასის“<sup>8</sup>.

მეორე ტექსტი შეიცავს რვა ფურცელს (146—153 ფფ.). წარმოადგენს ოთხთავის ტექსტს; ნაწყვეტებია მათესა 26,39—42 (147v—152r), 26,42—44 (146r—153v) და იოანეს თავებიდან 17,21—24 (148r—151v), 17,24—18,2 (148v—151r). აღნიშნული პალიმფსესტი სხვა ხელნაწერი ოთხთავიდან მომდინარე ჩანს. მისი ფურცლები ზემოხსენებულ ოთხთავის ფურცლებთან ვერ გაერთიანდება, რადგან ასოთა მოყვანილობა უფრო მცირე ზომისაა, სტრიქონთა რაოდენობაც ნაკლებია, 17-ია 18-ის ნაცვლად. ტექსტს არ გააჩნია მუხლობრივი სათვალავი. სასვენ ნიშანთა განლაგებაც სხვაგვარია. მაგალითად, ორი წერტილი, რომელიც საერთოდ სტრიქონს შუა იწერება, ამ ხელნაწერში სტრიქონზე მდებარეობს. ტექსტი ხანმეტური პერიოდის ჩანს, მასში დასტურდება ხანიანი ფორმები: „ხილოცვიდა“, „ხიტყოდა“, „ხიყო“, „ხიყენენ“ და სხვ. აღნიშნულ ვარაუდს მხარს უჭერს აგრეთვე ოთხთავის ტექსტიც. ამოკითხული ტექსტის შედარება ჯრუჭ-პარხლისა და აღიშნის ოთხთავებთან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მეორე ჯგუფის პალიმფსესტის ოთხთავის ტექსტს ჯრუჭ-პარხლის რედაქცია უჭერს მხარს, მა-

<sup>8</sup> ხანმეტი ესაიას არსებობას უთითებს პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. იხ. მისი ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, 4, გვ. 118. მაგრამ მკვლევარი არ აღნიშნავს რომელ ფონდში და რა ნომრით არის დაცული ხსენებული ტექსტი.

შინ, როდესაც ზემოხსენებული ოთხთავის ტექსტი, როგორც ცხობილად აღნიშნის ოთხთავს მისდევს მცირეოდენი სხვაობით<sup>9</sup>.

დასასრულ, პალიმფსესტის მესამე ჯგუფის შესახებ. ეს ჯგუფი ჩვენ A—89 ხელნაწერის გადარეცხილი ტექსტის ნაწილად მიგვაჩნია. ის 107 ფურცლისაგან შედგება. გადარეცხილი ტექსტის ფურცლები ხელნაწერში თანამიმდევრულად არ არის ჩალაგებული, ის მთელ ძეგლშია გაბნეული (34—103; 122—137; 154—161; 164—169; 179—180; 208—212). მისი ფურცლები, A—89 პალიმფსესტთან შედარებით, უფრო მცირე ზომისაა (31×22,5 სმ.). აღნიშნული ფურცლები თავის დროზე უფრო დიდი ფორმატის ყოფილა, ვიდრე ახლაა. ამას მოწმობს დაზიანებული გადარეცხილი ტექსტი, რომელსაც კიდეები ჩამოჭრილი აქვს. კიდეების ჩამოჭრა კი, ცხადია, მოხდებოდა მაშინ, როდესაც ის ხელმეორედ იქნა გამოყენებული საწერ მასალად.

სხენებული ჯგუფის გადარეცხილი ტექსტიც, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ოთხთავს წარმოადგენს.

A—89 და A—844 პალიმფსესტები რომ ერთი და იმავე ხელნაწერიდან მომდინარეობს, ამას მოწმობს არა მარტო ის, რომ ისინი ერთი და იმავე ნაწარმოების ნაწილებს შეიცავენ, არამედ ისიც, რომ ისინი გარეგნული სახითაც მსგავსნი არიან (იხ. ტაბ. 1, 2; ტაბულებთან ერთად ვურთავთ ჩვენს მიერ გაცემებულ პირებს ამ ხელნაწერებიდან).

A—844 პალიმფსესტიც დაწერილია ორ სვეტად. მასშიც სვეტების სიგანეა 9—9,4 სმ.; სვეტებს შორის მანძილიც ერთნაირია (2,2—2,4 სმ.); თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია; სტრიქონებს შორის მანძილი თანატოლია (1,4—1,6 სმ); სტრიქონებზე მოთავსებული ასოთა რაოდენობაც იგივეა (12—16).

ასოთა მოყვანილობაც ერთნაირია. მაგალითად, თითოეული ასოს სიმაღლე 5—6 მმ; სიგანე 5—7 მმ; ასოს მსხვილი ხაზის სიგანეა 2 მმ. A—89 ხელნაწერის გადარეცხილი ტექსტის მსგავსად, A—844-ის ქვედა ტექსტსაც გააჩნია მუხლობრივი სათვალავი და აშიაზე გატანილია საძიებელი

სასვენ ნიშნად აქაც იხმარება ერთი წერტილი სტრიქონს ზედა და შუა მდებარეობით (ზოგჯერ სტრიქონს ზევით მდებარე ერთ წერტილს კავის ფორმა აქვს) და ორი წერტილი. აბზაცის ბოლოს სტრიქონის შესავსებად ორივე ძეგლში ერთნაირი ნიშანია გამოყენებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ A—89 და A—844 პალიმფსესტები, რომლებიც ერთი პირის კვრიკეს მიერ არის გამოყენებული საწერ მასალად სხვადასხვა ტექსტისათვის, ერთი და იმავე ხელნაწერიდან მომდინარეობს. ეს რომ ასე არ იყოს, ყოველად შეუძლებელია ასეთ დამთხვევასთან გვექონოდა საქმე, თუნდაც ისინი ერთსა და იმავე პერიოდში იყოს გადაწერილი. გადამწერმა, როგორც ჩანს, გადარეცხილი ხელნაწერის ფურცლები, რომლებიც A—89 ხელნაწერს გადარჩა, A—844-ისათვის გამოიყენა, ხოლო დანარჩენი ცვერდები სხვა გადარეცხილი ხელნაწერის ფურცლებით შეავსო.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.







Handwritten text in the left margin, likely a page or section number.

Main column of handwritten text in the left half of the page, written in a cursive script.

Main column of handwritten text in the right half of the page, written in a cursive script.

leg. 2, A-814



ყრუნიც ხდომილია ყველანი  
 უნდა იქნება მათი მდგომარეობა  
 ოცნებები და სურვილები უნდა  
 ) სეკულარული იყოს . . .  
 დასრულდა მათი სწავლება  
 ყოველ მათგანს - ბავშვთა  
 წიგნები უნდა იყოს მათ  
 ყოველს მათგანს და  
 უნდა იყოს : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული :

ოცნებები და სურვილები უნდა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული :

ცნობები და სურვილები  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული :

ოცნებები და სურვილები უნდა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული :

ოცნებები და სურვილები უნდა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული : ბავშვთა  
 უნდა იყოს მათგანს სე  
 კულარული :





ამრიგად, ამ ორი პალიმფსესტის შეერთებით ხელთ აღმოგვაჩნდა 261 ფურცლისაგან შემდგარი, ადრინდელი პერიოდის, V—VI საუკუნეებით დათარიღებული, ხანმეტური ოთხთავი.

Л. Р. КАДЖАНА

## О ДВУХ ПАЛИМПСЕСТАХ ОДНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ

(Резюме)

В Институте рукописей коллекции А хранящиеся рукописи А—89 и А—844 палимпсесты. Верхний текст рукописи А—89 содержит толкование Иоанна Златоуста на Евангелие от Матфея, рукописи же А—844 — Евангельские чтения. Переписаны они в XI веке, почерком «нусхури». Смытые тексты этих рукописей содержат Евангелие, датированные V—VI вв.

На основании палеографического анализа смытых текстов рукописей А—89 и А—844 выясняется, что для них в качестве материала была использована (кроме нескольких тетрадей) одна и та же рукопись.

---

ლილი ათანელიშვილი

ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრამის შესახებ

ძველი ქართული დამწერლობის ჩამოყალიბების შემდგომ, სხვა კულტურულ ერთა მსგავსად, საქართველოში იქმნება მთელი რიგი ანბანებისა, რომელთაც განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდათ. ასეთი ანბანები მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში გამოიყენებოდა<sup>1</sup>. ამრიგად, ძველ ქართულ დამწერლობასთან ერთად არსებობდა ქართული საიდუმლო დამწერლობა. ქართული საიდუმლო დამწერლობის რამდენიმე სისტემაა ცნობილი. შევვხებით ზოგ მათგანს.

**სათვალავადი სისტემა.** ქართული კრიპტოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი სისტემათაგანია სათვალავადი სისტემა. სათვალავადი სისტემის უძველესი ნიმუშები მხოლოდ ასოთა რიცხვით მნიშვნელობაზე იყო დამყარებული. შემდგომში ძველი ქართული კრიპტოგრაფიის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნებოდა მრავალგვარი სახეობები ამ სისტემისა. ქვემოთ მოტანილი კრიპტოგრამაც<sup>2</sup> სათვალავადი სისტემისაა, მაგრამ აქ რიცხვების მაგიერ წერტილებია დასმული. ექვს სტრიქონზე განლაგებულია წერტილები შემდეგი თანამიმდევრობით:

I . . . . .
II . . . . .
III . . . . .
IV . . . . .
V . . . . .
VI . . . . .

თუ წერტილებს გადავიყვანთ რიცხვებში, გვექნება: I სტრიქონზე 3, II—19, III—10, IV—3, V—16 და VI სტრიქონზე 13 წერტილი. ეს უკანასკნელნი მიუთითებენ ქართულ ანბანზე: I და IV სტრიქონის 3 წერტილი ნიშნავს ანბანის მესამე ასოს გ-ს. II სტრიქონის 19 წერტილი მიუთითებს ათეულების რიგის ბოლო, მეცხრე ასოზე. ძველ ქართულში ათეულების აღმნიშვნელი მეცხრე ასოა უ. მაგრამ კრიპტოგრამიდან ჩანს, რომ **ა** ასოს რიცხობრივი მნიშვნელობა არ არის გათვალისწინებული, იგი ამოღებულია იმ ანბანიდან, რითაც სარგებლობდა ამ კრიპტოგრამის დამწერი. ამიტომ მეცხრე ასოდ აქ გადმოტანილია ასეულების რიგის პირველი ასო რ. III სტრიქონში ათი წერტილია, ე. ი. აქ იგულისხმება ათეულების პირველი ასოს აღმნიშვნელი ი. V სტრიქონში 16 წერტილია, რაც მიუთითებს, რომ კრიპ-

<sup>1</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 131.

<sup>2</sup> S—395. XVIII საუკუნის ხელნაწერი, ზედა საცავ ფურცელზე კრიპტოგრამა XIX საუკუნისა.



ტოგრამის შემდგენელს აუღია ათეულების რიგის მეექვსე ასო. აქაც ძველი ქართულის **ჲ** ამოღებულია ანბანიდან, მისი ადგილი უჭირავს **ო**-ს. და ბოლოს, VI სტრიქონშია 13 წერტილი, რაც აღნიშნავს ათეულების რიგის მესამე ასოს **ლ**-ს.

ამრიგად, კრიპტოგრამა ასე იხსნება: გრიგოლ. ეს „გრიგოლ“ უნდა იყოს გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი. ამას ისიც მოწმობს, რომ ხელნაწერი გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის კუთვნილება ყოფილა, რასაც ადასტურებს მინაწერი: „ეს არჩილიანი მისის ბრწყინვალეების იმერეთის თავადის წერეთლის სალთხუცის ზურაბის ძის გრიგოლის არის, ღმერთთან ახმაროს მშვიდობაშიდ. ქვეს აქეთ ჩყვ. გრიგოლ“ IVv.


მინაწერი და კრიპტოგრამა დაწერილია ერთი მეღწით.

საყურადღებოა აგრეთვე სათვალავადი სისტემის ერთი ნიმუში, სადაც მოცემულია ქართული ანბანი მისი შესატყვისი რიცხობრივი მნიშვნელობებით. იგი წარმოადგენს სათვალავადი სისტემის გასაღებს. დაწერილია XIV საუკუნის ეტრატის ხელნაწერზე (S—4814). კრიპტოგრამის გასაღები ტექსტის ხელით ჩანს ნაწერი. იგი მოთავსებულია ზედა ყდაზე:

21 32 33 34 75 76 37  
 18 09 71 42 33 24 55  
 06 [აჲ უ8 ყ9] 41 42 23  
 [ყ4 05 46 07 48 ყ9]  
 11 22 23 24 55 [26 47  
 28] 09 01

აქ უწერტილო ციფრები ერთეულებს აღნიშნავენ, ერთწერტილიანი — ათეულებს, ორწერტილიანი — ასეულებს, სამწერტილიანი — ათასეულებს, ხოლო ოთხწერტილიანი — „ბევრეულს“ (ათი ათასს).

კრიპტოგრამებს გადამწერი ნივთებრივ ათავსებდნენ ხელნაწერის კიდევზე. ტექსტის ბოლოს, ზოგჯერ ტექსტის შიგნით და ყდებზე. მაგრამ შეგვხვდა ორიგინალურად შესრულებული კრიპტოგრამები. ორიგინალური



მათი დაწერის ადგილი. კრიპტოგრამები გადამწერს ხელნაწერის „ჩამონაჭერზე“ მოუთავსებია (იხ. სურ.). ისინი უთუოდ ხელნაწერის სამკაულად არის გამოყენებული. ორივე კრიპტოგრამა სათვალავადი სისტემისაა.

S—4809. მეეგობა სულისა. ხელნაწერი XVIII საუკუნისაა.

† 4153721 243121 243121 4151

315261452431 245521914 41

752914

კრიპტოგრამა ასე იხსნება: „მეეგობა სულისა. სულისა მიერ განცხადებული ბუნებითად და ზესთად“. გადამწერს კრიპტოგრაფიულად წაუწერია ხელნაწერის „ჩამონაჭერზე“ თხზულების სათაური.

Q—816. არითმეტიკის სახელმძღვანელო. ხელნაწერი XVIII საუკუნისაა.

† 317131 51129612 312 174-

51131 1112 41351 525:

კრიპტოგრამა ასე გავხსენით: „გიორგი ერისთავის ძის აღწერილი არის წიგნი ესე“.

კრიპტოგრამაში მიმალული ყოფილა გადამწერის გიორგი ერისთავის ვინაობა. ორივე კრიპტოგრამა ერთი ხელითაა შესრულებული, ე. ი. როგორც Q—816 ხელნაწერის კრიპტოგრამიდან ჩანს, ისინი დაუწერია გიორგი ერისთავს. ამას ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ ორივე კრიპტოგრამა მიწერილია „ჩამონაჭერზე“. გარდა ამისა, მსგავსია აგრეთვე თვით ხელნაწერთა ხელიც.

**ანჩინური სისტემა.** ეს სისტემა ერთ-ერთი უძველესი სისტემათაგანია. სახელწოდება „ანჩინური“ წარმოდგება ქართული ანბანის ორი ასოს ანისა და ჩინისაგან. ამ სისტემის მიხედვით ა-ს ნაცვალა ჩ, ბ-ისა — ც, გ-ისა — ძ და ა. შ. ანჩინურის მსგავსად ქართულში შემდგომში ჩამოყალიბებულია ანჯანური, ანრეური და ანჰოეური სისტემები<sup>3</sup>. როგორც ხელნაწერების შესწავლამ დაგვანახვა, ამ სისტემებთან შედარებით ანჩინური ძალზე გავრცელებული ყოფილა. ქვემოთ მოგვაკვს ამ სისტემის რამდენიმე ნიმუში.

S—4814. ხელნაწერი XIV საუკუნისაა. 19r-ზე ტექსტისავე ხელით გადამწერის ანდერძია მიწერილი:

<sup>3</sup> შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი, 1933, პარიზი, გვ. 4.



კრიპტოგრაფია ასე იხსნება: „ბარნაბს შნ ღნ ან ფდ ცდვლსა“, ე. ი. „ბარნაბს შეუხდვენ ღმერთმან, ამენ, ფრიად ცოდვილსა“.

შხოფილხ ყფ აწ იწ:

ნლ ცლქლხი:

H—1345. ანდრია სალოსის ცხოვრება. ხელნაწერი XI—XII საუკუნისაა. 149r-ზე ტექსტის ხელით, ნუსხურით მიწერილია:

ბნფი ფილქხი ყფ აწ ყნფი  
ყვშაღვხი იშყყფყ ყფ აწ

კრიპტოგრაფია ასე იხსნება: „სლსა ნაობისა შნ ღნ მთსა მეუღლესა თუყყიენს შნ ღნ“, ე. ი. სულსა ნაობისა შეუხდვენ ღმერთმან, მათსა მეუღლესა თუყყიენს შეუხდვენ ღმერთმან. ასევე 201v-ზე, იმავე ხელით, ნუსხურით მიწერილია:

ყჭყლხი ფილქხი ყფ აწ იწ

იგი ასე იხსნება: „მწერლსა ნაობს შნ ღნ ან“=მწერალსა ნაობს შეუხდვენ ღმერთმან ამენ.

აქვე განვიხილოთ აგრეთვე ანჩინური სისტემის ერთ-ერთი უძველესი კრიპტოგრაფია. რომელიც X საუკუნის სინურ ხელნაწერშია დაცული<sup>4</sup>. ამ კრიპტოგრაფიის შესახებ ავ. შანიძე წერს: „ანჩინური კრიპტოგრაფები ქველადვე გვხვდება. ა) სინას მთის ერთს ხელნაწერში (№ 26), რომელშიც „დასდებელნი“ ყოფილა მოქცეული და, რომელიც პროფ. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობის თანახმად, X საუკუნეს ეკუთვნის, ასეთი მინაწერი ყოფილა (ფ. 185a): ქე შე რხფჟ. რაიცა ნიშნავს: ქე შე იენე. იმავე გვერდზე ქვეშ აგრეთვე წერებულა: ოჟ: იხფჟ; მაგრამ აქ მეორე სიტყვის პირველი ასო (ი) შეცდომით არის დაწერილი, რადგანაც მის ნაცვლად რ უნდა ყოფილიყო. ი და რ ერთიმეორის ნაცვალი ასოებია ანჩინის სისტემით. თუ პირველ სიტყვაშიც შეცდომა არ არის, მაშინ იგი ასე გადმოიწერება: ლე იენე“<sup>5</sup>.

185r-ზე ფურცლის ქვედა კიდეზე მიწერილი კრიპტოგრაფია იკითხება არა „ოჟ იხფჟ“, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, არამედ „აჟ ყჟ იჟჟ“, რაც

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 50.  
<sup>5</sup> ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიომხილველი, I, 1926, გვ. 237—243.

შემდეგნაირად იხსნება: „ქე შე ივენ“. ამგვარად, ამ კოაბტოგრამის პირველი სიტყვაა „აშ“ და არა „აშ“. „აშ“ კი ანჩინური სისტემით ნიშნავს „ქე“=ქრისტე. რაც შეეხება შემდეგ სიტყვას „იხ ფჳ“, აქ შეცდომასთან კი არ უნდა გვჭონდეს საქმე, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, არამედ კრიპტოგრამის თავისებურებასთან. ეს თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: ამოკითხვის გასაძნელებლად კრიპტოგრამების დამწერი ზოგ ასოს ტოვებენ და არ ცვლიან. ამ შემთხვევაში ი უცვლელად დაუტოვებია მის დამწერს. მსგავსი ნიმუშები ძველ ქართულში არც თუ იშვიათია. მაგალითად, XII საუკუნის ერთი ოთხთავის<sup>6</sup> გადამწერი ანდერძს ანჩინური სისტემის კრიპტოგრამით წერს:

ქმჳჳ: ყბჳჳ: ნჳ: ყოლჳჳ: ძჳ:

ოვჳჳჳჳ: დოჳჳჳჳ: ყოჳჳჳჳჳჳ:

ბჳჳ: ყჳჳჳჳჳ: ჳ: ყჳჳ: რჳჳჳჳჳჳჳ:

ბჳჳჳჳჳჳჳ

ეს კრიპტოგრამა ასე გავხსენით:

„ამ“სი: მწერალი ფჳდ: ცოდვჳლი: გჳი: ტეჩნაჳ: ლოცვაჳსა: მოიჳსენეთ: წჳნო: ღჳსნო: რჳა: ღნ: თქჳნთსცა: წყჳლბა ყოჳს“. ე. ი. ამისი მწერალი ფრიად ცოდვილი გიორგი ტეჩნაჳ ლოცვაჳსა მოიჳსენეთ წმიდანო ღმრთისაჳნო, რაჳთა ღმერთმან თქჳუნთსცა წყალობა ყოჳს.

კრიპტოგრამაში საყურადღებოა სამი სიტყვა: „ჩმჳკრ; ვდჳჳიტი; ღბტჳჩჳლს“. როგორც ამოხსნის შემდეგ გამოირკვა, კრიპტოგრამის შემდგენელს ამ სიტყვებში ზოგი ასო არ შეუცვლია მისი მონაცვლე ანჩინური სისტემის სათანადო ასოებით და დაუტოვებია ტექსტში. კერძოდ, „ჩმჳკრ“ სიტყვა ნიშნავს „ამ“სი“. როგორც ჩანს, აქ შეუცვლელადაა დატოვებული მ ასო. ასევე „ვდჳჳიტი“ სიტყვა ნიშნავს „მწერალი“. აქ კრიპტოგრამის დამწერს ბოლო ი არ შეუცვლია. მესამე სიტყვაა „ღბტჳჩჳლს“. იგი ასე იხსნება: „წყჳლბა ყოჳს“. აქაც ბოლო ასო ს არ არის შეცვლილი მოსალოდნელი კ-თი. აქ მხოლოდ ერთი შემთხვევა რომ გვჭონდეს, მას კალმის ლაფსუსად ჩავთვლიდით, მაგრამ ამ პატარა ანდერძში სამჯერაა წარმოდგენილი ასოები შეუცვლელად.

ეს მოვლენა, როგორც ხელნაწერთა შესწავლამ დაგვანახვა, შემდგომი საუკუნეების კრიპტოგრამებშიც დასტურდება.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ Sin-26 ხელნაწერის ერთ-ერთმა გადამწერმა ივანემ კრიპტოგრამაში იხფჳ საგანგებოდ დატოვა ი და არ შეცვალა რაეთი.

საინტერესოა აგრეთვე ამ კრიპტოგრამის ავტორის ვინაობის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ეკუთვნის

<sup>6</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა, Q—1322, გვ. 18v.



X საუკუნის ცნობილ მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს<sup>7</sup>. მაგრამ პალესტინელი ქართველი კალიგრაფების დადგენისას გამოირკვა, რომ Sin-26 ხელნაწერის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი (148v—185r) გადაწერილია არა იოანე-ზოსიმესს, არამედ ივანეს ხელით, რომელსაც გადაუწერს აგრეთვე მეორე სინური ხელნაწერი № 18. Sin—26 ხელნაწერის 185r-ზე მოთავსებული კრიპტოგრამებიც აღნიშნული გვერდების (148v—185r) მსგავსი ხელითაა ნაწერი. მაშასადამე, ეს კრიპტოგრამები ეკუთვნის არა იოანე-ზოსიმესს, არამედ ივანეს.

რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ კრიპტოგრამებისა, ამას ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ანდერძიც გვიდასტურებს. 184v-ზე ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ქე შე ივანე, ცოდვილი ამისი მწერალი. რომელი დამეკლოს, შემინდვე და ლოცვასა მომიქსენე, ქრონიკონი როდ“. და იქვე, იმავე ხელით, ასომთავრულით მიწერილია შემოთვანხილული კრიპტოგრამები: „ქე შე რხფჳ“ (185r); „ჟჳ ქე იხფჳ“ (185r-ს ქვედა კიდეზე).

ამრიგად, ანჩინური სისტემის ერთ-ერთი უძველესი კრიპტოგრამა სინური ხელნაწერისა (№ 26) ეკუთვნის არა იოანე-ზოსიმესს, არამედ ერთ-ერთ პალესტინელ მოღვაწე-კალიგრაფს ივანეს.

**პირობითი ნიშნების სისტემა.** ძველ ქართულ კრიპტოგრაფიულ სისტემებთან შედარებით პირობითი ნიშნების სისტემა თავისებურია. თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: ნებისმიერ ადამიანს შეეძლო შეექმნა ამა თუ იმ პირობითი ნიშნების მეშვეობით მისთვის საჭირო საიდუმლო ანბანი. პირობითი ნიშნების სისტემა მრავალნაირია. იგი მოიცავს სხვადასხვა სახეობებს. ვაჭვეყნებთ ამ სისტემის რამდენიმე ნიმუშს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის I ნახევრის მოღვაწის გ. ავალიშვილის ავტოგრაფები ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში საკმაო რაოდენობითაა დაცული. ერთ-ერთ მათგანში შეგვხვდა კრიპტოგრამა. S—1508 ხელნაწერი კრებულია, გადაწერილია გიორგი ავალიშვილის მიერ 1787 წელს, მოსკოვს. 185r-ზე გ. ავალიშვილს ჩაუწერია საიდუმლო ანბანი და ხუთსტრიქონიანი კრიპტოგრამა (იხ. გვ. 64).

კრიპტოგრამის ამოხსნის შემდეგ გამოირკვა, რომ პირველი ოთხი სტრიქონი ლექსია. შეჯერების შემდეგ გამოჩნდა, რომ გ. ავალიშვილს ეს ერთი სტროფი ამოუღია თეიმურაზ I-ის პოემიდან: „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა“. კრიპტოგრამა ასე იხსნება:

„ვინ მზეს ნახავს, მას დასახავს, იტყვიან თუ ალვის ხია,  
მუშკ-ამბრისა სული მას სდის, მგონი ყველა ზედ ასხია.  
ეხვეწების ცისა მნათი, მუქნი შენნი გვავასხია.  
და ეგრე ბრძანებს მის ხელმწიფელი, სისხლი მისთვის დასხია.  
გიორგი ავალიშვილის დაწერილია.“

<sup>7</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1923, გვ. 158; მ ი ს ი ე ვ, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 164. გ. მ ი ქ ა ძ ე, ქართული კრიპტოგრაფია, დროშა, 1953, № 6; მ ი ს ი ე ვ, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10.

<sup>8</sup> ც. კ ა ნ კ ი ე ვ ი, პალესტინელ გადაწერ „იოვანთა“ შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 46.

კრიპტოგრამის მეხუთე სტრიქონის მითითება, რომ ეს კრიპტოგრამა გიორგი ავალიშვილის დაწერილია, ამ ხელნაწერის ავტოგრაფობის უეჭველობის დამადასტურებელიცაა.

რსჳ ათრრ ჳრრრრრ არრ ჳრრრრრრრ:  
რრრრრრრრ რრრ რრრრრ რრრ.

არრრ რრრრრრრ რრრ არრ რრრ:  
არრრრ რრრრრ რრრ რრრრრ.

რრრრრრრრრ რრრ რრრრ: რრრრრ  
რრრრ რრრრრრრრრ.

რრ. რრრ რრრრრრრ რრ რრრ რრრრ:  
რრრრრ რრრრრრ რრრრრ.

რრრრრ რრრრრ რრრრ რრრრრრ.

ცნობილია, რომ კრიპტოგრამებს გადამწერნი ჩვეულებრივ იყენებდნენ თავისი ვინაობის მიფარვისათვის, მაგრამ მათ ხშირად სხვა დანიშნულებაც ჰქონდათ. ქვემოთ მოტანილი კრიპტოგრამა ტექსტის კომენტარია. იგი მიწერილია სამართლის წიგნზე (H—382, 294v, 1807 წ.).

## შქსტრ რრრრრ რრრ რრრრრრრ

კრიპტოგრამა ასე იხსნება: „ბევრი ტღვილი არის დაწერილი“. ჩანს კრიპტოგრამის ავტორს არ მოსწონს სამართლის წიგნში ზოგი რამ.

პირობითი ნიშნების სისტემისაა S—436 და S—2883 ხელნაწერთა კრიპტოგრამები. ორივე კრიპტოგრამას ერთი საერთო გასაღები აქვს. ხელნაწერი S—436 („რუსუდანანი“) XVII საუკუნისაა. 274v-ზე XVII—XVIII სს. ხელით წარწერილია:

IIIIX. EA. ტუტტ. ძღღ. EA. ჳღღღღღ

ჭღ, რღ: ჳღღ. მღღღღღღღღღ. ჳღღ.

კრიპტოგრამა ასე იხსნება: „ვი[ნ]ც ეს დაწერე, აბა ეს წაიკითხე, თუ კაი მწიგნობარი ხარ“.

XVIII საუკუნის მეორე ხელნაწერზე (S—2883 კომაროვის „მილორდანი“), 71v-ზე XVIII საუკუნისავე ხელით მიწერილია კრიპტოგრამა:





კრიპტოგრამა ასე გავხსენით: „ქ. ეს დღელა (?) მილოლდ გიოლგის და მღბ... ღფინას ანბავი“ (კრიპტოგრამა დამახინჯებულია. უნდა იყოს: მილოლდ გიორგის და მარკ ღრაფინას).

**აკროსტიქული სისტემა.** ხელნაწერთა ინსტიტუტის XVIII ს-ის (1787 წ.) ნუსხაზე (S—172) ქვედა ყდაზე XVIII საუკუნისავე მხედრულით მიწერილია სამი სტრიქონი. თითოეულ სტრიქონში ცხრა-ცხრა ასოა, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია წერტილებით. სტრიქონების თავსა და ბოლოში დასმული ნიშნები (I) სტრიქონის დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნავენ.

I ს: დ: ი: ვ: ბ: ნ. ბ. ი. ს. I  
I ა: ა: დ: ი: ძ: რ: ა. მ: ი. I  
I : ნ: ლ: ა: თ: ა: ე: დ: ი: ა: I

ეს კრიპტოგრამა არ არის დაწერილი მოგონილი, პირობითი ნიშნებით; იგი ქართული ანბანითაა შესრულებული, მაგრამ მისი წაკითხვა ჩვეულებრივ, მარცხნიდან მარჯვნივ უაზრობაა.

საყურადღებოა, რომ კრიპტოგრამის ავტორს სამივე სტრიქონი დაუწერია ისე, რომ აკროსტიქულად მისი წაკითხვა გაძნელებულიყო. მეორე სტრიქონი უფრო ღრმად, მარჯვნივ არის შეწეული, ვიდრე პირველი; ასევე მესამე სტრიქონიც უფრო მარჯვნივაა გაწეული, ვიდრე მეორე.

მაშასადამე, კრიპტოგრამის მთელი საიდუმლოება მდგომარეობს ასოთა თავისებურ განლაგებაში. სამივე სტრიქონის აკროსტიქულად, ზემოდან ქვემოთ წაკითხვის შემდეგ კრიპტოგრამა ასე ამოიხსნება:

„სარდალი დავით ბჰანდბა დ[ა] იმისია“.

კრიპტოგრამაში მოხსენებულია ხელნაწერის მფლობელი დავით სარდალი.

Л. А. АТАНЕЛИШВИЛИ

О НЕКОТОРЫХ КРИПТОГРАММ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

(Резюме)

Рядом древнегрузинской письменности существовала древне-грузинская тайнопись (криптография). В научной литературе опубликованы образцы грузинских криптограмм.

В статье даются нововыявленные образцы древнегрузинской криптографии.

ელ. მახავარიანი

### მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები

ქართული დამწერლობის სამი ძირითადი სახის, კერძოდ, ასომთავრული (მრგოლოვანი), ნუსხური (კუთხოვანი) და მხედრული ასოების გრაფიკული მოხაზულობა ერთმანეთის მომდევნო ეტაპზე განვითარების კანონზომიერ სურათს იძლევა. ძეგლების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით შესწავლა ნათელყოფს, რომ ერთი სახის დამწერლობა მეორის გრაფიკული სახეცვლილების შედეგია, რაც შეპირობებული იყო ეპოქის მოთხოვნით — სწრაფი, გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებით.

თავის მხრივ, გრაფიკული თვალსაზრისით ამ ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ ერთი სახის დამწერლობიდან მეორეზე გადასვლა ხდებოდა არა ერთბაშად, არამედ დამწერლობის ახალი პერიოდისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი მზადდებოდა და მწიფდებოდა წინარე ხანაში. ხოლო შემდგომ, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ვლებულობდით ახალ, მაგრამ სტილისტურად ერთიან გრაფიკულ სისტემას.

ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას კიდევ ერთხელ, ამჯერად გრაფიკული ანალიზის საფუძველზე, გადაჭრით უარყოთ აზრი იმის შესახებ, თითქოს მხედრული დამწერლობა ხუცურზე უძველესი იყოს. მ. ბროსე მიუთითებს, რომ მხედრული დამწერლობა შეიქმნა ღარნავაზის დროს<sup>1</sup>, ნ. მარი მხედრულს წარმართული დროის დამწერლობად მიიჩნევს<sup>2</sup>. საწინააღმდეგო აზრი გამოთქმული აქვთ დ. ბაქრაძეს<sup>3</sup>, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილს, ივ. ჯავახიშვილს. მათ მხედრული დამწერლობა ნუსხურის განვითარებად მიიჩნიათ. ე. თაყაიშვილი ბაგრატ IV-ის შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულების წიგნის (Ad 14) შესახებ ამბობს, რომ «Письмо нашего сиегеля не есть чистый, окончательно установившийся мхедрули, а составляет переход от алфавита хуцури (церковного) к алфавиту мхедрули и еще раз доказывает давно высказанное мнение, что мхедрули произошел от хуцури»<sup>4</sup>.

თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ შიომღვიმის გუჯარი დაწერილია ძველი მხედრული ხელით<sup>5</sup>.

<sup>1</sup> M. Brosset, Histoire de la Géorgie, I. 1849, გვ. 43.

<sup>2</sup> Н. М а р р, Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград, 1925, стр. 1—2.

<sup>3</sup> Д. Б а к р а д з е, Статьи по истории древностей Грузии. Проложение к тому записки имп. Акад. Наук, № 1, стр. 20—30.

<sup>4</sup> Е. Т а к а й ш в и л и, Сигель грузинского царя Баграта, Записки Восточного Отделения Русского Арх. общ., т. IX, стр. 58—68.

<sup>5</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, I წ., გვ. 204—206.



ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ IV-ის სიგელებში (Ad 14 და Sd 1201) ნუსხურის დიდ გავლენას ხედავს: „ეს სიგელები სრულებით მხედრული დამწერლობით არ არის გამოყვანილი, არამედ მრგვლოვანი ნუსხა-ხუცურით“<sup>6</sup>.

ილ. აბულაძე ზემოთ დასახელებულ საბუთებს მხედრული დამწერლობის ნიმუშებად მიიჩნევს<sup>7</sup>.

XI—XIII სს. მხედრული ხელით დაწერილი ძეგლებიდან შეგვიძლია დავასახელოთ: ბაგრატ IV-ის შეწირულობის წიგნი, მიცემული შიომღვიმის მონასტრისადმი 1058 წ. (Ad 14), ბაგრატ IV-ის დარბაზის გადაწყვეტა ოპიზართა და მიჯნაძორელთა დავის შესახებ 1060/65 წწ. (Sd 1201), გიორგი III-ის სიგელი, ბოძებული შიომღვიმის მონასტრისადმი 1170 წ. (Hd 1351), კიაბერის შეწირულობის წიგნი 1184/85 წწ. (Ad 2), ქება-ქებათას თარგმანება (მხედრულით დაწერილი 36 გვერდი დართული აქვს XII ს. ხელნაწერს A—65) 1188/1210 წწ. და სხვ.

ამ ძეგლებს შეიძლება დავამატოს კიდევ ერთი ნიმუში A—397 ხელნაწერის სახით. ნუსხურით დაწერილ ტექსტში გვხვდება მინაწერები, რომლებიც ნუსხურიდან მხედრულ დამწერლობაზე გარდამვალი ეპოქისათვის დამახასიათებელ ასოებს შეიცავენ. ეს ძეგლი საინტერესოა იმიტომ, რომ იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლს. ხელნაწერი წარმოადგენს აბოკალიზსის ანდრია კესარიელისეული კომენტარების ქართული თარგმანის ერთ უძველეს ნუსხას. ხელნაწერი აღწერილი აქვს თ. ყორღანისს<sup>8</sup>, რომელიც მას X საუკუნისად მიიჩნევს. ხელის მიხედვით ილ. აბულაძე მას X—XI საუკუნეებით ათარიღებს<sup>9</sup>.

ჩვენთვის საინტერესო მინაწერები ხელნაწერში ხშირად გვხვდება ხუსხურით დაწერილი სტრიქონების ბოლოს და წარმოადგენს სულის მოსახსენებლებს (გვ. 199, 399, 144) (სურ. 1—8). ისინი შესრულებულია გადამწერის ხელით, რაზედაც მიგვითითებს შემდეგი გარემოება: 1. მინაწერები ამთავრებენ ნუსხურით დაწერილ სტრიქონებს იმავე ფერის მელნით, რითაც სტრიქონია შესრულებული, 2. მინაწერები შესრულებულია ტექსტის მელნით ან სინგურით, რომელიც ორნამენტულ მხატვრობაშია გამოყენებული, 3. ისინი შესრულებულია გადამწერის მიერ შესრულებული სხვა მინაწერების ხელით.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის მხატვრობა გადამწერს ეკუთვნის. ორნამენტის ძირითად მონახაზს იგი ტექსტის მელნით ასრულებს. ასევე, მუშაობის პროცესში თვითონ ასურათებს შინაარსის შესახებ ადვილებს. მაგ., სვიმეონ მესვეტის თხზულების ერთ-ერთი აბზაცის დასაწყისში საზედაო ასოსთან (149v) ტექსტის მელნით მიხატულია წვეროსანი კაცის გრაფიკული გამოსახულება (სურ. 5), წარწერა, რომელიც სურათს ახლავს, ტექსტის შინაარსს შეესაბამება. ცხადია, რომ გადამწერს წერის პროცესშივე გაუაზრებია შინაარსი და გრაფიკულად გამოუხატავს იგი. სტრიქონის ბოლოს არსებული მინაწერები კი იმ ხელითაა შესრულებული, რითაც შესრულებულია განმარტებითი წარწერები და ანდერძები. ამრიგად, ეს მინაწერები შესრულებულია გადამწერის ხელით და ამდენად ხელნაწერის თანადროულია.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 190.

<sup>7</sup> ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, 1949, გვ. 323—324.

<sup>8</sup> Т. Жордания, Описание рукописей Тифлисского музея, т. I, стр. 392—395.

<sup>9</sup> ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, 1949, გვ. 305, ტაბ. 51—52.

Գլխաւոր զի զի զի  
: Լուսին զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի  
: Գրու : զի զի զի զի

Եջր. 1.

Ի զի զի : զի զի զի  
: (Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի

Եջր. 2.

: Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի

Եջր. 3.


Ընդ : զի զի զի զի  
: (Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի  
: Ընդ : զի զի զի զի

Եջր. 4.






სურ. 5.



სურ. 6.



სურ. 7.



სურ. 8.



ზემოთ აღნიშნული მინაწერები დაწერილია გაკრული ხელით. ზოგიერთი ასო თ, ა, უ, ი, ფ ამ სწრაფ წერაში მარტივდება და მხედრულის მონახაზს იღებს. მაგ., 399 გვერდზე თავსამკაულში სათაურის ბოლოს არსებულ მინაწერში — დ, უ და ბ ასოები (სურ. 7). ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც განმარტავს გადამწერის მიერ შესრულებულ გრაფიკულ ნახატს „ეს არის შუელი...“, ადრეული მხედრულის ხელითაა გამოყვანილი (სურ. 6. განსაკუთრებით რ და შ ასოები). გადამწერის ხელით შესრულებულ მინაწერში (ჯვრის გამოსახულებაში ტექსტის მეღნით ჩაწერილია „ქე შე დავითი“. დავითი შესაძლებელია ხელნაწერის მომხატველი იყოს) ასო „დ“ ოპიზართა სიგელში არსებული დონის მსგავსია.

ტაბულაზე წარმოდგენილ მხედრული დამწერლობის ძეგლთა მიხედვით (იხ. სურ. 1, 2, 3) ნათლად იხატება ნუსხური დამწერლობიდან მხედრულზე გარდამავლობის პროცესი. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს, თუ თვალს გავადევნებთ ცალკეული ასოების გრაფიკული მოხაზულობის განვითარებას. დამწერლობის ამ ეტაპზე კიდევ მეტად გამოვლინდა მისწრაფება სწრაფი გამარტივებული წერისაკენ. ეს გამოიხატა ასოთა საერთო მოხაზულობის გამარტივებულ, მომრგვალებულ ფორმებში, ძირითადი მონახაზის მეტ თავისუფლებაში. ცალკეული ასოს მოხაზულობა აქ უკვე ერთი მთლიანი მონასმით სრულდება (ასომთავრულ და ნუსხურ დამწერლობაში კი ასოს მოხაზულობა ხელის ერთი მოძრაობით იშვიათად სრულდება).

V. ჯერ კიდევ ასომთავრული დამწერლობის ცალკეული ძეგლების შესწავლის დროს დავინახეთ, რომ ცვლილებანი ცალკეული ასოების მოხაზულობაში, კერძოდ, ასოთა მისწრაფება თავგახნილობისაკენ, ორხაზოვანი სისტემის დარღვევა თანდათანობით ამზადებს ნიადაგს ნუსხურ დამწერლობაზე გადასასვლელად. ეს ცვლილებანი აისახა თვით დამწერლობის საერთო სახეში. თუ შევადარებთ XI საუკუნის ასომთავრულით დაწერილ ურბნისის ოთხთავის (A—28) ხელნაწერის ტექსტს ადიშის ოთხთავს (IX ს.), დავინახავთ, რომ მოგვიანო ხანის ძეგლში შრიფტის საერთო მხატვრული აღქმა განსხვავებულია. ასოები ერთმანეთშია ჩამჯდარი, პორიზონტალური ხაზები თითქოს უჩინარი ხდება, ძირითადად აღიქმის ვერტიკალური ხაზები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კუთხოვანი ნუსხური ხელის განვითარებას. ნუსხურ დამწერლობაში ეს პარალელური ხაზები გადაიხარა, შემცირდა თანაფარდობა ვერტიკალურ და პორიზონტალურ ზომებს შორის (ასომთავრული შრიფტისათვის დამახასიათებელია სრული პროპორციულობა ასოთა ზომებს შორის. პორიზონტალური ხაზი ასწვრივი ხაზის ნახევარს შეადგენს. შუა გადამკვეთი ხაზი ასწვრივ ხაზს ყოველთვის შუაზე ჰყოფს, ასოების საერთო მოხაზულობა კვადრატის ფარგლებშია ჩაწერილი).

ნუსხურ დამწერლობაში ჩამოყალიბებული ოთხხაზოვანი სისტემა მხედრულ შრიფტზე გარდამავალ პერიოდში იგივე რჩება (ერთმანეთს ვადარებთ X—XI სს. ხელნაწერსა S—405 და ბაგრატ IV-ის სიგელს Sd—1201). როგორც ვხედავთ, ბაგრატ IV-ის სიგელში ასოთა განლაგება ხაზების მიმართ უცვლელია. ი, ლ, ჰ, თ, ღ, პ, ო, ა ასოები ორხაზოვან ბადეში რჩებიან: (სურ. 9), ს, ზ, რ, ძ, მ, დ, ნ ასოებს ისევ ზედა სამი ხაზი უკავიათ (სურ 10),



ე, ბ, ვ, ყ, უ, ფ, გ, ხ, ტ, ც, ჰ, წ, ჯ, ჰ ასოები განლაგებული არიან  
ქვედა სამ ხაზში (სურ. 11), კ, ქ, ჩ ასოები ოთხხაზოვანი სისტემისა არიან  
(სურ. 12). თვით ამ ჯგუფებში ასოთა შორის ცვლილებანი ერთგვარ კანონ-

ა იმ უ მ მ თ უ ა ა  
ბ კ ლ თ ც რ ა ა

სურ. 9.

შომიერებას ექვემდებარება. მაგ., ქვედა სამხაზოვან სისტემაში ის ასოები,  
რომელთა კიდელები ნუსხურში მარცხნივაა მიმართული (ბ, ვ, ყ, უ, შ და  
სხვ.), ამავე მხარეს იჩენენ მიდრეკილებას შემომრგვალებისაკენ, ხოლო

ფ მ ნ ბ გ ზ  
ყ დ ე ჟ რ ლ

სურ. 10.

თუ მარჯვნივა მიმართული (ტ, ც, ხ და სხვ.), მუცელი მათ მარჯვენა  
მხრიდან ეკვრებათ.

ნუსხური შრიფტი, რომელიც ხასიათდება ორ ძირითად ხაზს შორის მო-  
თავსებული მარჯვნივ გადახრილი კბილანებით, ასევე განსაზღვრავს მხედ-

ა უ ი ი ყ ყ ყ ა ყ ყ ყ  
რ მ რ ყ რ ყ ყ გ გ გ ს ს ს

სურ. 11.

კ ქ ჩ  
კ ქ ჩ

სურ. 12.

რულში მრავალკბილიან სისტემას (ასეთებია ერთკბილიანი ა, ი, ორკბილია-  
ნი პ, ლ, სამკბილიანი ლ, ჰ, ოთხკბილიანი უ და სხვა).

ამრიგად, მხედრული დამწერლობა, რომელიც სტილისტურად განსხვავდება თავის ადრეულ ეტაპზევე ნუსხური დამწერლობისაგან, როგორც ვხედავთ, მის უშუალო განვითარებას წარმოადგენს. ამ ადრეულ ეტაპზევე ხდება იმ თავისებურებათა ჩამოყალიბება, რომლის შემდგომი თანდათანობითი გრაფიკული ცვლილებების საფუძველზე თანამედროვე მხედრულ დამწერლობას ვღებულობთ.

Е. М. МАЧАВАРИАНИ

РАННИЕ ПАМЯТНИКИ ПИСЬМА «МХЕДРУЛИ»

(Резюме)

В статье рассмотрены памятники XI—XII веков, написанные рукою «мхедрули».

На основе сравнительного графического анализа устанавливается закономерность развития грузинского письма «мхедрули» от предшествующего его шрифта «нусхური».






XI <sup>1</sup>	XI <sup>2</sup>	XI <sup>3</sup>	XI <sup>4</sup>	XI <sup>5</sup>	XI <sup>6</sup>	XI <sup>7</sup>	XI <sup>8</sup>	XI <sup>9</sup>	XI <sup>10</sup>
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60
61	62	63	64	65	66	67	68	69	70
71	72	73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88	89	90
91	92	93	94	95	96	97	98	99	100

XI <sup>1</sup>	XI <sup>2</sup>	XI <sup>3</sup>	XI <sup>4</sup>	XI <sup>5</sup>	XI <sup>6</sup>	XI <sup>7</sup>	XI <sup>8</sup>	XI <sup>9</sup>	XI <sup>10</sup>
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60
61	62	63	64	65	66	67	68	69	70
71	72	73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88	89	90
91	92	93	94	95	96	97	98	99	100

XI <sup>1</sup>	XI <sup>2</sup>	XI <sup>3</sup>	XI <sup>4</sup>	XI <sup>5</sup>	XI <sup>6</sup>	XI <sup>7</sup>	XI <sup>8</sup>	XI <sup>9</sup>	XI <sup>10</sup>
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60
61	62	63	64	65	66	67	68	69	70
71	72	73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88	89	90
91	92	93	94	95	96	97	98	99	100



1. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 1. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 2. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 3. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 4. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 5. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 6. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 7. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 8. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 9. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)  
 10. Գրքերի ցանկում հիշատակված ցանկերը (ճշգրտված ըստ Պրոֆեսորի Կարսի)

ბაჰარ გიზინიფილი, ზურაბ სარჯველაძე

[ვა], [ჭა], [ვე], [ჭე] და [ო] სემანტიკა  
ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში

ო ხმოვანი საქმაოდ დიდი ფუნქციონალური დატვირთვის მქონეა ძველ ქართულში. იგი გვხვდება როგორც ძირეული, ისე აფიქსალური მორფემების შემადგენლობაში. რიგ შემთხვევაში ო ცალკე აფიქსად გვევლინება (მხედველობაში გვაქვს მესამე სუბიექტური პირის აფიქსი აორისტში, II და III კავშირებითის ალომორფები, სიტყვაწარმოებითი აფიქსები სა-ო, მ-ო).

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის აფიქსალურ მორფემებში მონაწილე ო ავტორთა დიდი ნაწილის მიერ მიჩნეულია მეორეულად<sup>1</sup>. თავისთავად ის ფაქტი, რომ ო-ს ხვედრითი წონა ასე დიდია ქართული ენის სტრუქტურისათვის, კითხვის ქვეშ აყენებს მისი მეორეულობის საკითხს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია [ო] სემანტიკის დისტრიბუციის შესწავლა ძველ ქართულში [ჭა], [ვა], [ჭე], [ვე] სემანტიკებთან მიმართებით, რომელთაგან მიღებულად ითვლება იგი სპეციალურ ლიტერატურაში.

ძველ ქართულში [ვა] სემანტიკა წარმოდგენილია შემდეგ პოზიციებში:

ა) ანლაუტში თანხმოვნის წინ: ვაზლი

ვაცი  
ვარცლი  
ვარხვ  
ვანი

ბ) თანხმოვანთა შორის: შეცვალა

C—C: ხვალე  
საზღვარი  
რვალი

გ) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ავაზანი

V—C: მრავალი  
მთავარი

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. М.-Л., 1925, § 188—189. G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 106—710, 218, 231; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 223; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 98; რ. გაგუა, ნამყო უწყვეტლის-ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იკე, VI, 1954, გვ. 79—85; ეკ. ო ს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, გვ. 11—18; თ. ვ ა მ-ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 43—45, გვ. 273—275.



დ) აუსლაუტში თანხმოვნის შემდეგ: რვა

C—#: ქვა  
 მიზღვა

ე) აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ: დაუტევა

V—# პოვა  
 ზაკევა  
 წყევა

[ჭა] სეგმენტი დასტურდება შემდეგ პოზიციებში:

ა) თანხმოვანთა შორის: ძუალი

C—C კუართი  
 თუალი  
 მწუანე

ბ) აუსლაუტში თანხმოვნის შემდეგ: ზღუა

C—# სსუა  
 შეართუა  
 ჰნერწყუა

[ვე] გვხვდება შემდეგ პოზიციებში:

ა) აუსლაუტში თანხმოვნის წინ: ვეცხლი

#—C ვერძი  
 ვენატი

ბ) თანხმოვანთა შორის: ქველი

C—C: ყველი  
 პირველი

გ) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ევედრა

V—C: მიღვევა

დ) აუსლაუტში თანხმოვნის შემდეგ: ალვიმსთვე

C—#: განვიფრთხვე  
 განვიგრძვე

ე) აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ: ვპოვე

V—#: განუტევე

[ჭე] სეგმენტისათვის ნიშანდობლივია შემდეგი პოზიციები:

ა) თანხმოვანთა შორის: წუელი

C—C: ჩუენ  
 გუერდი

ბ) აუსლაუტში თანხმოვნის შემდეგ: თთუე

C—#: უჟუე  
 მართუე

როგორც ვნახეთ, [ჭა] და [ჭე] სეგმენტებს შორის, ერთის მხრივ, და [ვა] და [ვე]-ს შორის, მეორე მხრივ, დისტრიბუციის თვალსაზრისით არსებობს სრული იზომორფიზმი: ის პოზიციები, რომლებშიც გვხვდება [ჭა], ნიშანდობლივია [ჭე]-სთვისაც და ასევე [ვე] გამოვლინდება იქ, სადაც დასაშვებია [ვა]. [ჭა] და [ჭე] კომპლექსები უფრო შეზღუდულია, ვიდრე [ვა] და [ვე], რაც შეპირობებულია, თავის მხრივ, უმარცვლო ჭ-ს განაწი-

ლების ნაკლები თავისუფლებით ვ-სთან შედარებით. რაც შეეხება [ო]-ს, იგი შეიძლება შეგვხვდეს ყველა იმ პოზიციაში, სადაც დასტურდება [ვა], [ვე]:

- ა) ანლაუტში თანხმოვნის წინ: ოცი  
#-C ოფლი  
ოდეს
- ბ) თანხმოვანთა შორის: ცოლი  
C-C გოლი  
ლორი
- გ) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ალაორძინა  
V-C: აოტა  
მოაოტრა
- დ) აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ: ღვინო  
C-#: მძოლო  
სათნო
- ე) აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ: ძეო (წოდ. ბრ.).  
V-# ჰპოო (კავშ. კილო).

საბოლოო სახით ხსენებული სეგმენტების დისტრიბუციული შესაქლებლობები აისახება მატრიცაში:

	#-C	C-C	V-C	C-#	V-#
ვა	+	+	+	+	+
ვე	+	+	+	+	+
ვა	-	+	-	+	-
ვე	-	+	-	+	-
ო	+	+	+	+	+

მატრიცი გვიჩვენებს, რომ [ო] კონტრასტის დამოკიდებულებაშია [ვა], [ვე] სეგმენტებთან და ნაწილობრივი დამატებითობის დამოკიდებულებაში — [ვა]-სა და [ვე]-სთან. შეიძლება მეტიც ითქვას: [ვა], [ვა], [ო]-სთვის იძებნება მინიმალური წყვილები, სადაც განსხვავებას ქმნის დაპირისპირება ამ სეგმენტთა მიხედვით, მაგალითად:

- ვაცი : ოცი
- ცვალეა : ცოლება („ცოლად შერთვა“, მ. 14,4C);
- შუება : შობა, გუელი : გოლი;
- ზღვა „მიზღვა“ : ზღუა : ზლო (მან იგი).

რამდენადაც კონტრასტის დამოკიდებულება განხილულ სეგმენტთა შორის აშკარაა, ძველი ქართულის დონეზე ვა/ვე ვა/ვე ვა/ვე ~ ო მორფოფონემატური მონაცვლეობა გამოირიცხება.

V—XI საუკუნეების ქართულ ტექსტებში ამგვარი მონაცვლეობის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება. ისმის კითხვა: მაშინ რით იყო შეპირო-



ბებული ასეთი ერთსულოვნება მკვლევრების მიერ [ო] სეგმენტის მეორეულად მიჩნევის საკითხში? საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში გვაქვს ერთი წყება ზმნებისა, რომელთა აორისტის ფუძეში I-სა და II პირში გამოვლინდება ვ, ხოლო III სუბიექტური პირის ნიშნად—ო გვაქვს (დავაცხრვე—დააცხრო, შევამკვე—შეამკო და სხვა<sup>2</sup>). ამას გარდა, გარკვეულ გავლენას ახდენდა, როგორც ჩანს, დიალექტებში დადასტურებულ ვა→ო და ვე→ო პროცესებთან ასოციაცია, აგრეთვე გვიანდელი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში (XIV საუკუნიდან მოყოლებული და შემდგომ) ფიქსირებული ფაქტები ანალოგიური ხასიათისა.

შესაძლოა, ო მიღებული იყოს ვა/ვე/უა/უე-საგან უფრო ადრინდელ პერიოდში ან საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციამდე. როგორც ირკვევა, ძველი ქართული [ვა], [ვე], [უა], [უე] სეგმენტები საერთო ქართველურ ენაში რეალიზებული იყო [უა] და [უე] სახით. ამას ნათელიყოფს ქართველურ ენათა შედარება და ამაზე დამყარებული კონსტრუირებული ფორმები, მაგალითად:

ქართ. ვა	: ზან. ო/ვო სვან. უა	
ვაცი	: ოჩი (მეგრ.)	: ლუაშ
ვარ	: ვორექ	: ხუარჩი
ვარცლი	:	: ლუარჩინ „წყლის ამოსა- ლები ფართო ნიჩაბი“ <sup>3</sup> .
სვანი	: შონი	: მუ-შუან
ქართ. უა	: ზან. ო	სვან. უა:
მიუძღუნებს	: უჯღონანს	: ხოჯღუნე
კუამლი	: —	: კუამ
კუარცხლ—[ბერკი]	: კუჩხი	: კუარჩხა „კოჭლი“
ქართ. ვე	: ზან. ვა	: სვან. უე
ვერცხლი	: ვარჩხილი	: —
ვერხვი	: —	: უერხუ    დერხუ
ქართ. უე	: ზან. ვა	: სვან. უე
კუელა	: მეგრ. ხვალუა	: კუეშ
მარჯუნე	: მარძვანი	: ლერსგუენ
თქუანი	: თქვანი	: ისგუეა
კუეთა	: კვათუა	: კუეშდ—
ქართ. ო	: ზან. უ/ი	: სვან. ო
ოფლი	: უფი / უფუ	: უოფ (ლშხ.)
ორი	: ყური / ყირი	: დორი
ქორი	: ქირი	: —
ცოლი	: ჩილი	: ჩოშ — „coitus“

<sup>2</sup> დაწვრილებით ამ რიგის მაგალითები განხილული იქნება ქვემოთ.

<sup>3</sup> დაკავშირება ეკუთვნის საქ. სსრ მეცნ. აკად. ზ. ლაწვრთა ინსტიტუტის თანამშრომელს უ. ცინდელიანს.

ამრიგად, საერთო ქართველურ დონეზე [ვე] — [უე] და [ვა] — [უა] სეგმენტები არ იყო დიფერენცირებული, მაგრამ ისინი უპირისპირდებოდნენ [ო] სეგმენტს. აქედან ცხადი ხდება, რომ ძველ ქართულში დაცული ვითარება არჩაულია და ასახავს საერთო-ქართველურ ენაში არსებულ სურათს, ე. ი. ძველი ქართული [ო] საერთო-ქართველური [\*ო]-ს რეფლექსია, ხოლო ძველი ქართული უა || ვა და უე || ვე კომპლექსები შესაბამისად — საერთო-ქართველური [\*უა] და [\*უე] სეგმენტებისა.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ო-ს შემცველი მორფემები ძველი ქართული-სა და რამდენადაც შესაძლებელია საერთო-ქართველურ დონეზე.

### 1. ნამყო უსრულის -ოდ

ძველ ქართულში ნამყო უსრულის საწარმოებლად გვაქვს /-დ/, /-იდ/ და /-ოდ/ ალომორფები. ამ ალომორფების განაწილებას ფონოლოგიური საფუძველი არა აქვს. ისინი მორფოლოგიურად არიან შეპირობებულნი<sup>4</sup>. პირველი ორი შეიძლება შეგვხვდეს ერთსა და იმავე პარადიგმის ფარგლებში<sup>5</sup>: ნ. უსრულის I-სა და II პირში -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნებთან გვაქვს დ, III პირში წარმოდგენილია -იდ (ვკითხვედ — ვკითხვიდ-ა, ვაბემდ — აბმიდ-ა). /-იდ/ ალომორფის დაშლის საფუძველს ძველი ქართული ენის მონაცემთა სინქრონიული განხილვა არ იძლევა. იგივე /-იდ/ ალომორფი გვხვდება კავშირებითი I-ისა და უწყვეტლის ზოლმეობითის<sup>6</sup> ფორმებში -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა სამსავე პირში (ვკითხვიდე, ვკითხვიდი, ვაბმიდე, ვაბმიდი). პარადიგმაში დ იდ მონაცვლეობის წესი ასეთია: თუ თემატური სუფიქსი გახმოვანების სრულ საფეხურზეა, ნ. უსრულის ალომორფად გვექნება -დ, ხოლო თუ თემატური სუფიქსი გახმოვანების ნულოვან საფეხურზეა, ნამყო უსრულის საწარმოებლად -იდ იქნება გამოყენებული (ვკითხ-ევ-დ(ი) შდრ., ვკითხ-ვიდ-ა, ვკითხ-ვიდ-ე; ვაბ-ემ-დ(ი) შდრ. აბ-მიდ-ა, ვაბ-მიდ-ე)<sup>7</sup>.

/-დ/ ალომორფი გვექნება აგრეთვე ათემატურ და თემის ნიშნის გახმოვანების მხოლოდ სრული საფეხურის მქონე ზმნურ ფორმებთან (ვწერ-დ, ვაკეთ-ებ-დ, ვსც-ემ-დ, ვკვ-ოფ-დ, ვშ-ობ-დ). -ი თემისნიშნთან ზმნებთან დასტურდება როგორც /-დ/, ისე /-ოდ/ ალომორფი. დ-სა და -ოდ-ის გამოიჯენა დისტრიბუციული თვალსაზრისით გაცილებით რთულია. მიუხედავად ამისა, განაწილება მაინც მორფოლოგიურადაა შეპირობებული: გარკვეულ ძირეულ მორფემებთან მხოლოდ -ოდ გვექნება, სხვებთან — მხოლოდ -დ. ფონოლოგიური მოტივაცია -ოდ-ის გამოვლენისა არაა დამაკმაყოფილებელი. ერთი

<sup>4</sup> განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ეკ. ოსიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 12 (იქვე საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურაც).

<sup>5</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 273.

<sup>6</sup> უწყვეტლის ზოლმეობითის ასტორიასთან დაკავშირებით იხ. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, III. უწყვეტლის ზოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება, საქ. სსრ მეცნ. აკად. სამეცნ. სესია, 1947, 14—15/XI. მუშაობის გეგმა და მოხს. თეზისები, გვ. 9—10; ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თსუ შრ. XXX b, 1947.

<sup>7</sup> უნდა აღინიშნოს, რომ -ოდ ალომორფის გამოვლენა გარდამავალ ზმნებთან მეტად შეზღუდულია და განისაზღვრება ორიოდ ზმნით (იცის-იცოდა, უწყის-უწყოდა).



ვარაუდის მიხედვით -ოდ მიღებულია ვიდ მიმდევრობისაგან ვი-ს შერწყმის გზით<sup>8</sup>. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ძველ ქართულში ჰკითხვიდა, ჰკლვიდა იმარხვიდა და მსგავსი ფორმები, სადაც ვიდ მიმდევრობას არ მოუყვია ამ ჰიპოთეზის მიხედვით მოსალოდნელი ჰკითხოდა, ჰკლოდა, იმარხოდა ფორმები. და საერთოდ, როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის ვი—ო გადასვლა არაა დამახასიათებელი: იმაღვის (და არა იმაღოს), კივის (და არა კიოს), დასღვის (და არა დასღოს), აღვილი (და არა აღოლი) და სხვ.

მეორე ვარაუდის მიხედვით -ოდ←ვ-ელ|ჟ-ედ<sup>9</sup>. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არც ქართული ენის ევოლუცია XI საუკუნემდე, არც უფრო ადრინდელი მონაცემები არ ადასტურებენ ჟე|ვე მიმდევრობის ცვლას -ო-დ: შეჰვედრა (და არა შეჰოდრა), მოჰკუედ (და არა მოჰკოდ), მარჰუნენ (და არა მარჰონენ) და სხვ. ამიტომ ვერ გავიზიარებთ ვერც ამ მოსაზრებას.

ყოველივე ზემოთქმულის თანახმად -ოდ აფიქსი ვერ ჩაითვლება მეორეული წარმომავლობისად. კივის — კიოდა, ჰუვის — ჰუოდა, ჰვის — ჰვოდა წყვილების მეორე კომპონენტებში წარმოდგენილი -ოდ აწმყოს ფუძეში ვ-ს არსებობას არ მიეწერება. -ოდ აქ თავდაპირველია, ხოლო ვ-ს უქონლობა ნამყოფის უსრულის ფორმებში უნდა აიხსნას პოზიციით: ო-ს წინ ვ იკარგვის (პატივი მაგრამ პატიოსანი, ქურივი მაგრამ ქურიო! (წოდ.), დაუტვეე მაგრამ დაუტეო და სხვა)<sup>10</sup>.

სხვა ქართველურ ენებში /-ოდ/ ალომორფის შესატყვისი არა გვაქვს, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ -ოდ საკუთრივ ქართული წარმონაქმია, დაახლოებით იმ დროისა, როცა ქართულ-ზანური ერთიანობა დაიშალა და ქართული ენა ცალკე გამოიყო.

## 2. -ოდ და ომ სუფიქსები

რიგ გარდაუვალ ზმნათა მასდარში ვლინდება -ოდ და -ომ სუფიქსები: ბრძოლა, ძრწოლა, ყოლა, ყროლა, წოლა, შთომა, დგომა, კუდომა, განკრთომა, ტყდომა, ცთომა და სხვა. ამ სუფიქსებში შემავალ [ო] სეგმენტს აგრეთვე მეორეულად და ჟე-დან<sup>11</sup> ან ვე-საგან<sup>12</sup> მიღებულად მიიჩნევენ. ამ ვარაუდის მიხედვით, კრთომა < \*კრთუემა, ცხრომა < \*ცხრუემა, წოლა < \*წუელა და ა. შ. ამის მიხედვით აღდგენილია აწმყოს ფორმები: \*-ა-კრთვ-ემ-ს, \*-ა-ცხრვ-ემ-ს<sup>13</sup> და სხვა. ზემოთ ნაჩვენები გვექონდა, რომ ჟე|ვე ძველ ქართულში და საერთო ქართველურშიც ამ პოზიციაში უპირისპირდება ო-ს, რაც გამორიცხავს ამგვარი გადასვლის შესაძლებლობას. ძველი ქართული გუემა, ჟუელა ფორმების არსებობა ნაცვლად მკვლევართა მიერ სავარაუდებელი \*გომა, \*კოლა ფორმებისა, ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ოდ და ომ კომბინატორული ცვლილების შედეგად არაა მიღებული. მეორე მხრივ, ოდ

<sup>8</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 87; ეკ. ოსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15.

<sup>9</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274—275.

<sup>10</sup> მართალია, გვაქვს, შედარებით იშვიათად, პარალელური ფორმებიც დაუტვეო, ქურივო და სხვა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, სალიტერატურო ენის ორთოგრაფიაში ხელოვნური ჩარევის შედეგია, ცდა, კავშირი შეინარჩუნონ ქვრივი, დაუტვეე ფორმებთან.

<sup>11</sup> G. Deeters, Das kharthwelische Verbum, გვ. 23; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274—275.

<sup>12</sup> ეკ. ოსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

<sup>13</sup> ეკ. ოსიძე, იქვე.

და **ომ** გვაქვს ისეთ ზმნათა მასდარში, რომელთაც ფუძეში ვ/ჭ არ მოე-  
ბოვებათ. ა. შანიძე ასახელებს 20 მაგალითს -**ომ**-ის შემცველი მასდარისას<sup>14</sup>.  
აქედან 16 ძველ ქართულში დასტურდება. ამ 16-დან 10 ზმნა არ შეიცავს  
ბაგისმიერ ვ/ჭ თანხმოვნებს. ესენია: **დგ-ომ-ა** (ვ-დეგ), **კრთ-ომ-ა** (შევკერთ),  
**სქდ-ომ-ა** (განსქდა), **სხდ-ომ-ა** (დასხდეს), **ტყდ-ომ-ა** (განტყდა), **ცთ-ომ-ა**  
(ვსცეთ), **ძდ-ომ-ა** (განძეძედ), **წყრ-ომ-ა** (განწყყერ), **ხლდ-ომ-ა** (ხლდების),  
**ჯდ-ომ-ა** (დავჯედ). -**ოლ**-იანი ზმნების რაოდენობა ქართულში უფრო ნაკ-  
ლებია. ამათ შორისაც ნახევარს ფუძეში ვ/ჭ არ გააჩნია: **ქროლა** (ქრის);  
**ძრწოლა** (ძრწის), **თრთოლა** (თრთის). ცხადი ხდება, რომ -**ომ** და -**ოლ** ამ სა-  
ხითვეა საგულვეტელი ქართული ენის უფრო ადრეულ საფეხურზედაც.

**მ. სუბიექტური III პირის სუფიქსი -ო და -ომ, -ოვ თემატური აფიქსები**

ძველ ქართულში აორისტში III სუბიექტური პირის ალომორფებად  
გვაქვს /ა/ და /ო/. მათი განაწილება არაა დამოკიდებული ფონემურ გარე-  
მოცვაზე. /ო/ გვხვდება გარკვეულ ძირეულ მორფემებთან, ხოლო /ა/ —  
სხვებთან. გ. დეტერსის აზრით ო მიღებულია ვა/ჭა დიფთონგების მონოფ-  
თონგიზაციით გარკვეულ ზმნებთან<sup>15</sup>. ეს აზრი გაზიარებულია სამეცნიერო  
ლიტერატურაში<sup>16</sup>. მართლაც, ძველ ქართულში გვაქვს ზმნათა ერთი წყე-  
ბა, რომლებიც აორისტის I-სა და II პირში გამოავლენენ ვ თანხმოვანს,  
ხოლო III პირში **სვ**-ის ალომორფად **ო**-ს წარმოგვიდგენენ. ეგვევ ზმნები  
ხსენებულ ვ-ს ინარჩუნებენ ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -**ენ**/**ნ**  
აფიქსის წინ, ხოლო აწმყოში დაირთავენ -**ომ**, -**ოვ** თემატურ ნიშნებს, რომ-  
ლებიც მიიჩნევა ვებ/ჭებ, ვავ/ჭევ-ისაგან მიღებულად. მაგალითები:

აორისტი I პ.	აორისტი III პ.	აორისტი III პ. ობიექტის მრავლო- ბითობის ნ-თი	აწმყო
შეამკე-ე	შეამკ-ო	შეამკე-ნ-ა	შეამკ-ომ-ს
შეუნდვ-ე	შეუნდ-ო	შეუნდვ-ნ-ა	შეუნდ-ომ-ს
დაეცბრვ-ე	დაეცბრ-ო	დაეცბრვ-ნ-ა	დაეცბრ-ომ-ს
აღიმსთვ-ე	აღიმსთ-ო	აღიმსთვ-ნ-ეს	აღიმსთ-ომ-ს
დავალტვ-ე	დავალტ-ო	დავალტვ-ნ-ა	დავალტ-ომ-ს
განეწყვ-ე	განეწყ-ო	განეწყვ-ნ-ეს	განეწყ-ომ-ის
დავადნვ-ე	დავადნ-ო	დავადნვ-ნ-ა	დავადნ-ომ-ს
განვარძვ-ე	განვარძ-ო	განვარძვ-ნ-ა	განვარძ-ომ-ს

არსებული მოსაზრების მიხედვით შეამკო — \*შეამკვა/\*შეამკჭა, შეუნ-  
დო — \*შეუნდვა/\*შეუნდჭა და ა. შ. ვ-ს არსებობა ზმნურ ფუძეში გამოყე-  
ნებულია არგუმენტად ო-ს კომბინატორულ ნიადაგზე ახსნისათვის. მაგრამ  
ცნობილია, რომ [ვა] და [ო] სეგმენტები ძველ ქართულში კონტრასტის და-  
მოკიდებულებაში არიან. ერთმანეთს უპირისპირდებიან ამ პოზიციაში (C —  
— # აგრეთვე [ჭა] და [ო] სეგმენტებიც. გარდა ამ ზოგადი კონტრარ-  
გუმენტისა, შეგვიძლია დავასახელოთ ზუსტად ამავე გარემოცვაში III სუბი-

<sup>14</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 580.  
<sup>15</sup> G. Deeters, დასახ. ნაშრ., გვ. 106.  
<sup>16</sup> მითითება იხ. ზემოთ, გვ. 1, შენ. 1.



ექტური პირის ნიშნად ა-ს გამოვლენის შემთხვევებიც. ასეთებია: შვ-ა (და არა შო), დაიც-ა (და არა დაიცო), დასდვ-ა (და არა დასდო), დაწვ-ა (და არა დაწო), განაქარვ-ა (და არა განაქარო), ისიძვ-ა (და არა ისიძო) და სხვ. შეიძლება იცვაპასუხონ, რომ C — # პოზიციაში ჯერ მოხდა ვა-ს შეცვლა უა-თი, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის მონოფთონგიზაცია ო-დ. მაგრამ საქმე ისაა, რომ უა მიმდევრობა აგრეთვე უცვლელადაა დადასტურებული ზუსტად ამგვარსავე გარემოცვაში, S<sub>3</sub> პირის ნიშნად აორისტში /-ა/ ალომორფის გამოვლენის შემთხვევაში უმარცვლო უ-თი დაბოლოებულ ზმნურ ფუძესთან. ამის მაგალითები კიდევ უფრო მეტია: ჰრქუ-ა (და არა ჰრქო), სუ-ა (და არა სო), განსძარცუ-ა (და არა განსძარცო), დაწუ-ა (და არა დაწო), გარდაცუ-ა (და არა გარდაცო), ჰნერწყუ-ა (და არა ჰნერწყო), შეართუ-ა (და არა შეართო), დაამქუ-ა (და არა დაამქო) და მრავალი სხვა.

მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირია S<sub>3</sub>-დ -ო სუფიქსი, როცა ამისათვის არავითარი კომბინატორული პირობა არ გვაქვს (ზმნის ფუძე არ ბოლოვდება არა თუ ვ ან უ თანხმოვანზე, არამედ ბაგისმიერ ხშულზედაც კი): სძლ-ო, დამწყს-ო (||დამწყს-ა), განვლ-ო, მოილ-ო, ადაგ-ო, შეახ-ო, დააკლ-ო, ამცნ-ო, სცხ-ო, ადავს-ო, განაგდ-ო, განაძ-ო, აქა-ო, იწყ-ო, განაგ-ო, აღანთ-ო, ავნ-ო, დაჰრთ-ო, ზღ-ო, მორწყ-ო (||მორწყ-ა)<sup>17</sup> და ბევრი სხვა.

-ო სუფიქსი შეიძლება გვქონდეს მ, ბ, ფ, პ თანხმოვნებზე ფუძედაბოლოებულ ზმნებთან (გმო, განაპო, განატფო, მოსპო, დათმო, შეაგზო და სხვა), მაგრამ ფონოლოგიურად მოტივირებულად იგი ვერც აქ ჩაითვლება. თუ განატფო-ს ო გამოწვეულია ფ-ს მომდევნო პოზიციით, რატომღა გვაქვს ამივე ზმნის უნიშნო ვნებიტის ფორმაში განატფ-ა და არა განატფო?

ამრიგად, ო ალომორფი S<sub>3</sub> პირისა ფონოლოგიურად შეპირობებული არაა ძველ ქართულში. ეგევე უნდა ითქვას -ობ, -ოფ თემის ნიშნების შესახებ, რომლებიც მიჩნეულია შესაბამისად ვებ/უებ და -ვფ/უფ მიმდევრობათაგან მომდინარედ<sup>18</sup>. ვებ მიმდევრობა ძველ ქართულში ჩვეულებრივ უცვლელადაა დაცული (დაუტევებ<sup>19</sup>, ვპოვებ, ვასწავებ, განვაქარებ, შევაჭირებ, ვახილვებ, შევაურებ, განკვრებ). ძალზე იშვიათად ვებ→ებ (დავსდებ—\*დავსდებ). ასევე დადასტურებულია ძველ ქართულშივე უებ მიმდევრობაც (მიუშუებ, ვიშუებ, შემეტყუების), რაც შეეხება უფ/ვფ მიმდევრობას, იგი გვაქვს ჩქუფუა-ში, სკმეონ მესუეტის ცხოვრებაში დადასტურებულია ჩქუფუს ფორმა<sup>20</sup>.

როგორ დგას -ო სუფიქსის საკითხი წინარექართული პერიოდისათვის? საერთო-ქართველურ დონეზე -ო სუფიქსის დაშვებას გარკვეული სიძნელები ახლავს. აქედან მთავარია ის, რომ სვანურში მისი შესატყვისი არ მოგვეპოვება. ზანურში S<sub>3</sub>-ის ქართული სუფიქსების ა-სა და ო-ს ეკვივა-

<sup>17</sup> დაპრთო, ზღო, მორწყო ფორმების ო-ს მეორეულობის სამტკიცებლად არ გამოდგება აწყყოს ჰრთავს, ზღავს და რწყავს ფორმები, სადაც -ავ თემატური აფიქსია, რომელიც აორისტში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი.

<sup>18</sup> G. Deeters, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

<sup>19</sup> დეტერსის მიერ დამოწმებული ფორმა დაუტეობ გვიანდელი ფაქტია (X საუკუნემდე იგი არ გვხვდება).

<sup>20</sup> იხ. კიმენი, 1, 258, 31, (ორითავე ტელითა ჩქუფუს წყალსა მას ზეაღმართ...)

ლენტად მხოლოდ უ/ჯ ჩანს. -უ/ჯ მეგრულსა და ქანურში გამოიყენება ყოველგვარ ზმნასთან ნამყო დროებში<sup>21</sup>. ქანურში მხოლოდ უ ვარიანტი იხმარება, გ — კი დამახასიათებელია მეგრულის ზუგდიდური კილოკავისათვის, ზანური უ ქართული -ა-ს შესატყვისი ამ პოზიციაში ვერ იქნება. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ქართულ ა-ს ზანურში, როგორც წესი, შეესატყვისება ა (ქართ. დედა: ზან. დედა, ქართ. წურთა: ზან. ჭყირთა, ქართ. ხმა: ზან. ხუმა, ქართ. თმა: ზან თომა)<sup>22</sup>, მაშინ როცა სხვა პოზიციებში ქართული ა-ს შესატყვისად ზანურში ო გამოდის. მაშ რისი შესატყვისია ზანური უ? საფიქრებელია — ქართული ო-სი. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს ა და გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს მიხედვით<sup>23</sup>, საერთოქართველური ფუძე-ენისათვის სავარაუდებელია ექვსმოგნიანი სისტემა, რომლის შიგნით სამი განსხვავებული ტემბრის ხმოვანი უბირისპირდება დანარჩენ სამს სიგრძის თვალსაზრისით. გრძელი \*ო სამსავე ქართველურ ენაში ტემბრის უცვლელადაა წარმოდგენილი, ხოლო საერთო-ქართველური მოკლე \*ო, ამისაგან განსხვავებით, ზანურში გვაძლევს დახურულ ო ვარიანტს, რომელიც მოგვიანებით ერწყმის ვოკალიზებულ უ, ი სონანტებს. მოკლე \*ო ამგვარ შესატყვისობას გვაძლევს:

ქართ. ო : ზან. უ/ი : სვან. ო  
 ორი : ჰან. უური : ღორი  
 ცოლი : მეგრ. ჩალი : ჩომ — „coitus“  
 ქორი : ქური, ქირი : —

სიტყვის ბოლოში სავარაუდებელი ზანური /ო/, როგორც ჩანს, შემდგომ შეიცვალა უ-თი. განსხვავებით ინლაუტისაგან ამ პოზიციაში \*/ო/-ს რეფლექსად ი არ გვექნება. მაგ., ქართ. წებო : ზან. ჭაბუ.

ამ შესატყვისობაზე დამყარებით შეიძლება დავუშვათ, რომ ქართული აფიქსი ნ<sub>3</sub> პირისა -ო ზანურში უ-ს სახით წარმოგვიდგა, ხოლო მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში — გ-ს სახით (რაც ბუნებრივია ამ კილოკავისათვის). თქმულის საფუძველზე ამოსავალი \*ო მოკლე უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველი, ქართულ-ზანური ერთიანობის ხანის ოპოზიცია \*ა : \*ო ზანურში სიტყვის ბოლოს შემონახულია ა : უ-ს სახით. მაგალითად: მეგრ. ულა „სელა“ — მეგრ. გინილგ || გინილუ „განვლო“, მეგრ. თქუალა „თქმა“ — მეგრ. ქოთქუ „თქვა“ და სხვა. ჩვენთვის აქ ყველაზე არსებითი ისაა, რომ /ო/ ალთმორფი არამცთუ ძველი ქართულის დონეზე არ გამოდგა მეორეული, არამედ აღდგა ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდისათვისაც კი. ქართული ა-ს შესატყვისი ზანურში არ გვაქვს. საფიქრებელია, ეს იყოს ანარეკლი ზანურისათვის მეტად დამახასიათებელი უნიფიკაციის ტენდენციისა. ეს ტენდენცია გამოქვეყნდა კავშირებითი კილოს აფიქსებიდან ერთის /ა-ს/ გაბატონებაშიც მოსალოდნელი ა-სა და ო-ს ნაცვლად (ქართული /ე/ ალთმორფი კავშირებითი კილოსი, ზა-

<sup>21</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936. გვ. 97; И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка... С.-Пб., 1914, стр. 061.

<sup>22</sup> Г. А. Климов, и Г. И. Мачавариани, Рефлексы общекартвельского а в занском (менгрельско-чанском) языке: Studia Caucasica, 1966, № 2.

<sup>23</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 418; გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხი: კრებული მიძღვნილი გ. ახვლედიანისადმი, 1969.



ნურში /ა/-თია წარმოდგენილი, მაგრამ ქართული /ა/ შესატყვისის ვერა (ლობს).

სავარაუდებელია, ზანურში იყო S<sub>3</sub> პირის 2 ალომორფი ნამყო დრო-ებისათვის. მათგან განზოგადდა ქართულ-ზანური -\*ო (რომელმაც შემდგომ მოგვცა -უ/ჲ), ხოლო ქართულ-ზანური -\*ა ზანურში დაიკარგა. განსხვავებით ზანურისაგან ქართულში ნამყო უსრულში დამკვიდრდა -ა (აშწენება, ჰკითხვიდა, ჰყოფდა და სხვა). — ა გაბატონდა აგრეთვე აორისტის ისეთ ფორმებში, სადაც გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის რიცხვია ასახული (განყვანა, დაიცვანა, შეამკვნა და ა. შ.). სხვა შემთხვევებში აორისტში გვექნება ა-ც და ო-ც იმისდა მიხედვით, თუ რომელ ზმნურ ძირთან გვაქვს საქმე. ზანურში -უ -ჲ ნამყო უსრულის ფორმებშიც (ჰან. ზუმუმტ-უ, მეგრ. ზიმუნდ-უ „ზომავდა“; ჰან.-მეგრ. ყუნდუ „ჰყავდა“; ჰან. ჰარუმტ-უ, მეგრ. ჰარუნდ-უ || ჰარუნდ-დ-ჲ „წერდა“) და აორისტშიც ერთადერთ მაჩვენებლად დარჩა III სუბიექტური პირისა (ჰან. მენდოჩქუ, მეგრ. მიდარჩქ-უ || მიდარჩქ „გაგზავნა“, ჰან. ოქკომუ, მეგრ. ჰკომ-უ || ჰკომ-ჲ „ჰამა“, ჰან. მენდახტ-უ, მეგრ. მიდართ-უ || მიდართ-ჲ „წავიდა“).

-ობ, -ოფ თემისნიშნები ქართულ-ზანური ერთიანობის პროდუქტი არ ჩანს, მაგრამ ქართული ენის აღრეულ ეტაპზე, უდავოდ, სავარაუდებელია.

4. კავშირებითი კილოს /ო/ ალომორფი

კავშირებითი კილოს /ო/ ალომორფს რიგი საერთო ნიშანი აქვს S<sub>3</sub> პირის -ო სუფიქსთან დისტრიბუციის თვალსაზრისით: ა) არც ერთი არ გვხვდება ნამყო უსრულის ფუძესთან (არც აშწნება-ო გვაქვს, არც — აშწნება-ო-ს); ბ) არც ერთი მათგანი არ დასტურდება ობიექტის მრავლობითობის მაჩვენებელი ნ სუფიქსის შემდეგ (არ დაიშვება არც შეამკვნ-ო, არც — შეამკვნ-ო-ს; გ) თუ აორისტში S<sub>3</sub>-დ -ო არის წარმოდგენილი, II კავშირებითის ნიშანი -ო იქნება (გმო-გმოს, სძლო-სძლოს, მოილო-მოილოს, შეახო-შეახოს, განაძო-განაძოს და ა. შ.). ეს წესი პირუკუ არ მოქმედებს: კავშირებით II-ში შეიძლება კილოს მაჩვენებელი ო ალომორფი იყოს, მაგრამ აორისტში S<sub>3</sub>-დ აუცილებელი არაა ო გვექნდეს. მაგალითად:

II კავშ.		აორისტი
განჯად-ო-ს	მაგრამ	განჯად-ა
შესცვალ-ო-ს	„	შესცვალ-ა
წარუმართ-ო-ს	„	წარუმართ-ა
დაუტე-ო-ს	„	დაუტე-ა
განიკითხ-ო-ს	„	განიკითხ-ა და ა. შ.

კავშირებითი კილოს -ო ისევე თავდაპირველია ქართულ მორფოლოგიურ ინვენტარში, როგორც სხვა ო-ს შემცველი მორფემები. იგი არაა მიღებული ზე/ვე და ზა/ვა დიფთონგების შერწყმით. ამაზე მეტყველებს ოპოზიცია დასახელებული სემანტემისა [ო] სემანტთან., თანხმოდანთა შორის, სადაც ყველაზე უფრო ხშირია კავშირებითის მორფემის გამოვლენა, დადასტურებულია ზემოხსენებული დიფთონგები ჩვეულებრივ ესაა ისევე II კავშირებითის ან აორისტის III პირის მრ. რიცხვის ფორმები:

(მან იგი) **შვეს** (და არა **შოს**)

(იგი) **დაწვეს** (და არა **დაწოს**) და სხვა.

ასევეა ვა კომპლექსიც: **დასდვას** (და არა **დასდოს**)

**დაიცვას** (და არა **დაიცოს**) და სხვა.

იგივე ითქმის **ჭა** მიმდევრობაზეც: **დაწუას** (და არა **დაწოს**)

**აცუას** (და არა **აცოს**)

**სუას** (და არა **სოს**)

**თქუას** (და არა **თქოს**) და სხვა.

შე კომპლექსი კავშირებითის ფორმებში შესაძლოა არ შეგვხვდეს, მაგრამ ზუსტად იმგვარსავე გარემოცვაში გვექნება აორისტიის მე-3 პირში მრ. რიცხვში (შეართუეს, განსძარცუეს, დაამკუეს, ჰნერწყუეს და ა. შ.).

შესაძლოა /ო/ ალომორფი იყო ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზეც, მაგრამ უნიფიკაციის ტენდენციამ კავშირებითში მხოლოდ საერთო-ქართველური /\*ე/-საგან მომდინარე /ა/ გააბატონა.

ქართულში არსებული ფორმები აორისტიისა, სადაც I და II პირში ზმნის ფუძეში ვ გვაქვს, ხოლო III პირში კი იგი არ ჩანს S<sub>3</sub>-ის -ო-ს წინ (ან კავშირებითის ო-ს წინ), ვა-ს ან ვე-ს შერწყმაზე კი არ მიგვიითიბებენ, არამედ იმაზე, რომ ვ-ს უჭირს ო-ს წინ გაძლება: **დააცხრო**—\***და-აცხრვ-ო** (და არა \***დააცხრვ-ა**), **შეამკო** \***შეამკვ-ო** (და არა \***შეამკვა**), იყო—\***იყვ-ო** (და არა იყვა—\***იყვა**)<sup>24</sup>. ასევე, **დააცხროს** მიღებულია **დააცხრვ-ო-ს** ფორმისაგან და არა **დააცხრვ-ე-ს-გან**, **შეამკოს**—\***შეამკვ-ო-ს** (და არა \***შეამკვ-ე-ს**). ვ უფრო ძლებს ო-ს წინ, თუ მას ხმოვანი უძღვის წინ. აქ გვაქვს თავისუფალი ვარიანტების შემთხვევები: ვაო||ვაოვო, დაუტეო||დაუტევო, ვასწაო||ვასწავო და სხვა. სონანტებსა და ო-ს შორის მოქცეული ვ ჩვეულებრივ არ იკარგვის: ვანვაქარვო, შევაჭირვო, შევიშურვო||შევიშურო, ვახილვო და სხვა.

#### 5. -ო სიტყვაწარმოებითი აფიქსების შემადგენლობაში

რამდენადაც წინამდებარე წერილში არაა გაზიარებული [ო] სეგმენტის მომდინარეობა [ჭე], [ვე], [ჭა], [ვა]-საგან, ბუნებრივია, თავდაპირველად მიგვაჩნია [ო] სეგმენტი სა-ო (სა-თნ-ო, სა-ს-ო, სა-ც-ო), ს-იო (სი-წლ-ო, სი-ტფ-ო, სი-წბ-ო...), უ-ო (უ-სულ-ო, უ-ჯორც-ო, უ-ჩინ-ო...) და მ-ო (მ-სხმ-ო, მ-ყუდრ-ო...) წარმოებებში.

ცალკე განხილვას საჭიროებს მ-შ-ო (კომპოზიტში პირ-მშო „პირველშობილი“). სამეცნიერო ლიტერატურაში მშო-ს არქეტიპად თვლიან \***მ-შვ-ე-ს** (რომლისგან მიღებულადაც მიიჩნევა მშო)<sup>25</sup>. \***მშვე-ს** აღდგენას მხარს უჭერს ქართველურ ენათა შესატყვისი ფორმები, რომლებშიაც \***მშვე-ს** ბოლოკიდური ე-ს კანონზომიერი შესატყვისებია წარმოდგენილი (ზან. სქუა, სვან. გმსგე). \***მშვე-ს** შემთხვევაში მართლაც მ-ე ცირკუმფიქსთან უნდა გვქონოდა საქმე, მაგრამ მისი შეცვლა მშო-დ ფონოლოგიურად შეპირობებული კი არ უნდა იყოს, არამედ გამოწვეული მ-ე მაწარმოებლის მ-ო-თი შენაცვლებით, რაც პროდუქტიული სა-ო პრეფიქს-სუფიქსის გავლენას მიეწერება.

<sup>24</sup> შდრ. G. Deeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 106; ეკ. ოქს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აგებულებისათვის ქართულში, გვ. 17.

<sup>25</sup> თ. გა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, 1959, გვ. 59; თ. გა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 43, 57, 59, 106—108.



К ВЗАИМООТНОШЕНИЮ СЕГМЕНТОВ [va], [wa], [vel], [we]  
 И [o] С СЕГМЕНТОМ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Резюме)

Согласно господствующему в научной литературе мнению аффиксальные морфемы, содержащие гласный /o/ вторичны и получены от va/wa и ve/we путем монофтонгизации. Иногда допускается даже переход  $vi \rightarrow o$ . Исследование дистрибуции всех указанных сегментов совершенно наглядно показывает, что в древнегрузинском рассматриваемые дифтонги находятся с сегментом [o] в отношении контраста, что исключает возможность их перехода в o на древнегрузинском уровне в любой позиции.

Некоторые аффиксальные морфемы с [o] (как например, алломорфа 3-го лица субъекта /—o/ восходят к еще более древней ступени: /—o/ в качестве одного из алломорф 3-го субъектного лица реконструируется для эпохи грузинско-занской языковой общности. На основе звукосоответствия груз. **o:zan** и предполагается, что грузинский /—o/ является рефлексом грузинско-занского личного показателя\* /—o/ и поэтому не может быть вторичным и в прагрузинском. Исконными надо считать и другие аффиксы, содержащие o (алломорфу сослагательного наклонения /o/, тематические показатели /ov/ и /—op/, словообразовательные аффиксы sa—o, si—o, m—o и т. д.).

უჩა ცინდელიანი

ძველი ქართულის ლექსიკონიდან: გა-რიალ-მგა||რიალ

„რიალ“ იშვიათი ხმარების ფუძე ჩანს ძველ ქართულში. დღესდღეობით მისი გამოყენების სულ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული: იგი გვხვდება ძველი ალექსის ქართულ ტექსტში, „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“. ამათგან „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ ნახმარი „რიალი“ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე სპეციალური მსჯელობის საგანი იყო<sup>1</sup>; რაც შეეხება ძვ. ალექსის „რიალს“, სადაც იგი „გამარიალ“ ფორმით გვხვდება, განმარტებულია პროფ. ილ. აბულაძის „ქართული ენის ისტორიულ ლექსიკონში“<sup>2</sup>. პროფ. ილ. აბულაძეს სალექსიკონო ერთეულად „გამარიალება“ გააქვს და ასე განმარტავს: „გამარიალება — მოტყუება“. ავტორი იქვე მიუთითებს ბაქარის ბიბლიაში „გამარიალები“ სინონიმად ნახმარ „შეურაცხყოფას“.

„რიალ“ ფუძე განმარტებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც, სადაც სალექსიკონო ერთეულად სწორედ „რიალია“ გატანილი: „რიალი — ბოროტი მთქმელობა ZAB, ბოროტი ზრახვა CD“.

„რიალი“ შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“. აქ მისი სამი მნიშვნელობაა დამოწმებული:

1. არევ-დარევა, აურ-ზაური, შეხლა-შემოხლა. 2. ძვ. მარცხი, ფათერაკი, წარუმატებლობა. 3. ძვ. ბოროტი მთქმელობა (საბა).

როგორც ვხედავთ, სურათი საკმაოდ კრელია: „რიალსა“ და მისგან ნაწარმოებ „გამარიალებას“ სულ ცოტა ოთხი სხვადასხვა მნიშვნელობა აღმოაჩნდა: 1. ბოროტი მთქმელობა; ბოროტი ზრახვა (საბა), 2. მოტყუება; შეურაცხ-ყოფა (ილ. აბულაძე) 3. მარცხი, ფათერაკი, წარუმატებლობა; 4. შეხლა-შემოხლა, არევ-დარევა (განმარტ. ლექსიკონი).

ისმის კითხვა: რა იყო ამ სიტყვის თავდაპირველი და ძირითადი მნიშვნელობა?

რადგანაც სიტყვა ძვ. ალექსის ისეთ უძველეს ხელნაწერებშია დადასტურებული, როგორც ოშკური და ჯანაშვილისეული ნუსხებია, ბუნებრივია, სიტყვის მნიშვნელობის ძიებაც აქედან უნდა დავიწყოთ.

სიტყვა „გამარიალება“ მეფეთა პირველი წიგნის მე-19 თავში გვხვდება, სადაც მოთხრობილია საულ წინასწარმეტყველისა და დავით მეფის ურთიერთობის ამბავი. საქმე შემდეგშია: საულმა გულში ჩაიდო დავითის სიძულ-

<sup>1</sup> თ. უთურგაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გავებისათვის, — „რიალი“, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1961, გვ. 59; ალ. კინკრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონიდან, „რიალი“, „თავის-თავ“, „მაცნე“, № 24, 1968, გვ. 146—154.

<sup>2</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.



ვილი და მისი მოკვლა განიზრახა; ტექსტი მოგვითხრობს: „და ემარჯუებოდა განგუმერად დავითისა და შესტყუორცა ლახუარი იგი და ვერ მიამთხვია, რამეთუ დავით მიპრიდა... და წარვიდა მისგან (I მეფ. 19,10); და მასვე ღამესა წარავლინა საულ ერი რჩეული სახიდ დავითისა, რაათა დაიცივენ იგი სახლსა შინა თვისსა, და განთიად მოკლან იგი“ (I მეფ. 19,11). მაგრამ ღამე დავითის ცოლმა მელქოლამ დავითი სარკმლიდან გადასვა და გააპარა, თვითონ კი საულის მიერ გამოგზავნილი ჯარისკაცების მოსატყუებლად ასეთ ხერხს მიმართა: „და შექმნა მელქულ ცხედარსა მისსა ზედა (ე. ი. დავითის საწოლზე) კაცის სახედ ღვძლი თხისაჲ და ბირთვ ერთი. თმაჲ სთუნლით დაუდგა და დაბურა იგი სამოსლითა“ (I მეფ. 19,13); როცა ჯარისკაცებმა სახლში შესვლა მოინდომეს, მელქოლამ მათ უთხრა: „იგი (ე. ი. დავითი) მოჭირნე ძეს ცხედარსა ზედა და სულთა ჰბრძავს“-ო (I მეფ. 19,14). როცა საულმა საქმის ვითარება გაიგო, ბრძანა: „მითვე ცხედრითა მომართეთ მე იგი აქა, რაათა მოკვლა იგი“ (I მეფ. 19,15). ცხადია, როცა საულის ჯარისკაცები მეორედ მიბრუნდნენ დავითის წამოსაყვანად, ლოგინზე ავადმყოფი დავითი კი არ დახვდათ, არამედ „იხილეს ცხედარი იგი სამარის მსგავსად შემკული და ღვძლი თხისაჲ და თმანი“ (I მეფ. 19,16). საულს ეგ ამბავი დაწვრილებით მოახსენეს და აი, განაწყენებული საული საპასუხოდ მელქოლას ასე მიმართავს: „რახსათვის გამარიალე მე და წარავლინე მტერი ჩემი და განმერა“ (I მეფ. 19,17). „გარიალებს“ ამ კონტექსტის მიხედვით რაიმე ეშმაკობის ან მაქინაციის წყალობით ადამიანის მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ნიშნავს.

სხვა ხელნაწერებიდან ომკურ ნუსხას მხოლოდ ჯანაშვილისეული ტექსტი ემხრობა, სადაც გან- ზმნისწინი სრულადაა წარმოდგენილი: განმარიალე F. მცხეთურ ნუსხაში დადასტურებული „განმარინე“ აშკარად მცდარი წაკითხვაა, რომელიც გაჩენილია მართებული „განმარიალე“ ფორმის არასწორად წაკითხვის ნიადაგზე. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ „რიალ“ სიტყვის წყაროდ საბას ლექსიკონში ძვ. აღთქმის ეს ადგილი არ უნდა იგულისხმებოდეს. ამ მიზეზითვე აიხსნება ომკურ-ჯანაშვილისეულ ნუსხებში დადასტურებული „გარიალებსა|განრიალების“ ნაცვლად საბას მიერ სალექსიკონო ერთეულად „რიალის“ გატანა. უნდა ფიფიქროთ, რომ საბა ამ შემთხვევაში სხვა წყაროს ეყრდნობოდა, ანდა ეს სიტყვა ზეპირ იცოდა და განმარტებაც ისეთი მისცა, როგორი მნიშვნელობაც იმ დროისათვის ამ სიტყვას ჰქონდა.

იერუსალიმურ ნუსხას ეს ადგილი, სამწუხაროდ, აკლია. რაც შეეხება ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემას, იქ, როგორც უკვე ვთქვით, „გარიალების“ ბადლად „შეურაცხ-ყოფა“ გვაქვს: „და ჰრქუა საულ მელქოლს: რახსათვის ესრეთ შეურაცხ-მყავ მე და წარავლინე მტერი ჩემიცა მღევარი“ (I მეფ. 19,17).

რა ვითარებაა პარალელურ ბერძნულსა და სომხურ ტექსტებში? ომკურ-ჯანაშვილისეული ნუსხების მსგავსად ბერძნულ-სომხურ ტექსტებშიც აქ მოტყუებაზე, შეცდომაში შეყვანაზეა ლაპარაკი: και ειπεν Σαул τη Μελχιολ



„*Ἰνα τί οὕτως παραλαγίσω με: ἢ ἂν ἴδω ἄνθρωπον ἐν ἑσέῳ ἡγοῦμαι ὡς ἄνθρωπον*“  
*რჩხერ ვის.*

ბერძნულ *παρα-λογίζομαι*-ს ოთხი მნიშვნელობა აქვს და ოთხივე მცდარობა-მოტყუების შინაარსს ატარებს<sup>3</sup>: 1. ა) ფულის გადაყოლება. ბ) ჭკუის წაგება. 2. ანგარიშში დაკლება, მოტყუება. 3. არასწორად მსჯელობა. 4. შეცდომაში შეყვანა, მოტყუება.

ასეა სომხურშიც: *խարել* როგორც მალხასიანცის, ისე ხუდაბაშიანის<sup>4</sup> ლექსიკონების მიხედვით ნიშნავს: „მოტყუებას, შეცდენას, ვერაგობას, ფლიდობას, პირის გატეხას, დაპირების აუსრულებლობას“.

ამას უნდა დავუმატოთ ებრაულის ჩვენებაც: ებრაულის პარალელურ რუსულ ტექსტში გვითხულობთ: *для чего ты так обманула меня*. ამრიგად, „გარიალება“ ბიბლიის ზემორე მოტანილ კონტექსტში ნიშნავს: მოტყუებას (ზოგადად); უფრო კონკრეტულად: ვინმეს განზრახ შეცდომაში შეყვანას, ვერაგულად მოტყუებას, ფლიდობას.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა მიმართებაშია ბიბლიის „გარიალება“ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ ნახმარ „რიალი-თან“?

არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ „რიალის“ რამდენიმე განმარტება: პროფ. ს. კაკაბაძისა — „თრთოლა, კანკალი“, პროფ. იუსტ. აბულაძისა — „მარცხი, საუთერაყო საქმე; ბოროტი მთქმელობა, თავდასხმა, თავზე დაცემა“; პროფ. აკ. შანიძისა — „თავსა მით უყვეს რიალი — დაერივნენ“.

„რიალი“ სპეციალური მსჯელობის საგანიც იყო. მას მიეძღვნა თ. უთურგაიძისა და ალ. ჭინჭარაულის წერილები<sup>5</sup>. თ. უთურგაიძის აზრით „რიალი“ „ვეფხისტყაოსანში“ „მეომართა ყიუინას ნიშნავს“ (გვ. 61). ალ. ჭინჭარაული სიტყვის განსამარტავად მთის დიალექტების მონაცემებსაც იშველიებს, სადაც „რიალის“ სინონიმად „მარცხი“ ან „ზიანი“ გვხვდება (გვ. 148); გარდა ამისა ავტორი იმ სტრიქონის კონიექტურასაც გვაწვდის, სადაც „რიალი“ გვხვდება. ამ კონიექტურის მიხედვით „თავსა მით (||მთ) უყვეს რიალი“ ასე გასწორდა: „თავის-თავ უყვეს რიალი“, რაც ნიშნავს „ცალ-ცალკე, თითოეულმა თავის უბანზე დააზიანა მტერი“ (გვ. 134). საბოლოოდ ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ასეთი კონიექტურით სიტყვა „რიალი“-ს მნიშვნელობაც გასაგები ხდება. „რიალი“ არის მარცხი, ზიანი (ხაზი ჩვენია, უ. ც.) როგორც ამას რუსთაველის ეპოქის ქეგლი „ამირანდარეჯანიანი“ და არქაული ფორმებით მდიდარი მთის დიალექტები ადასტურებენ“ (გვ. 154).

„ამირანდარეჯანიანს“, როგორც რუსთაველის ეპოქის თხზულებას, ამ შემთხვევაში, მართლაც, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ. ვნახოთ, ნიშნავს თუ არა ამ თხზულებაში „რიალი“ „მარცხს, ზიანს“.

<sup>3</sup> Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II, Москва, 1958.

<sup>4</sup> სტ. მალხასიანცი, სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი (სომხურად), ტ. IV, 1945, ა. ხუდაბაშიანი, სომხურ-რუსული ლექსიკონი, მოსკოვი, 1838.

<sup>5</sup> ესარგებლობთ ბრიტანეთისა და საზღვარგარეთის ბიბლიური საზოგადოების მიერ 1903 წელს ვენაში გამოცემული ბიბლიით (ებრაულ ტექსტს პარალელური რუსული თარგმანიც ახლავს).

<sup>6</sup> იხ. თ. უთურგაიძისა და ალ. ჭინჭარაულის დასახ. ნაშრომები.





„ამირანდარეჯანიანის“ ბოლო (1967 წლის) გამოცემისათვის<sup>7</sup> დარეჯანული ლექსიკონში „რიალი“ განმარტებულია ასე: „რიალი — ბოროტი მთქმელია (საბა), დანაშაული; ფათერაკი, ხიფათი“. ტექსტის გამომცემელი რომ ძალიან ფრთხილობს, ეს აქ წარმოდგენილი განმარტებიდანაც კარგად ჩანს. 1939 წლის „ამირანდარეჯანიანის“ გამოცემაში<sup>8</sup> „რიალი“ განმარტებულია როგორც „მარცხი“.

აქ საჭიროა ძირითად თემიდან გადაუხვიოთ და მოკლედ დაეახსიათოთ უსიბის პიროვნება, რამდენადაც სადავო ფრაზა „ყოველი რიალი შენ ჰქენ“ სწორედ უსიბს მიეძმარება: უსიბი არ წარმოადგენს ჭაბუკობის მაძიებელ კაცს. იგი სუსტი და მშიშარაა (გვ. 50, 84)<sup>9</sup>. უსიბი არც მორალური სიმტკიცით გამოირჩევა (გვ. 61) და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, უსიბს, რომელმაც ქვეყნის გზები კარგად იცის, (ნაწარმოების მიხედვით მისი მთავარი როლი ხომ მეგზურობაა), იმ არემარეში ბევრი იცნობს, მაგრამ იცნობს როგორც ცბიერ, მატყუარა კაცს: ა) უსიბი მეგზურად ახლავს ნოსარ ნისრელს და ალი დილამს. ამ დროს „წარმოდგეს ზედა სამნი კაცნი, ლომთა ზედა სხდეს. ერთმან უთხრა მეორესა: „ხედავ უსიბს, ვინმე მოუცთ უნებთან და მოჰყუანანო“ (გვ. 81). ბ) უსიბი ამჯერად ამირან დარეჯანიძეს ახლავს მეგზურად. ვეშაპებთან ბრძოლის ეპიზოდის შემდეგ თხზულების ავტორი მოგვითხრობს: „ვლეთ ორი დღე, კიდისკიდე ვიარებოდით. მე გარდამეკიდა კაცი ვინმე დიდი... და მრქვა: „საწყალო, უსიბ მოგალორნაო?!“ (გვ. 99) აქ სადავო აღარაფერია. უსიბს მატყუარა (ვერაგი, მზაკვარი) კაცის სახელი აქვს გავარდნილი. ამის შემდეგ საესებით ნათელი ხდება დიღოს სიტყვების აზრიც, რომლებათაც იგი უსიბს მიმართავს: „ყოველი რიალი შენ ჰქენ, უსიბ, და შეაპყრობინენ იგი ლომნი და აწესე მიგყავსო?!“ (გვ. 95). ე. ი. შენ მატყუარა (მზაკვარი) კაცი ხარ, უსიბ. ამ შენი მატყუარობით შეაპყრობინე იგი ლომნი (ე. ი. ბადრი იანმანის ძე და ნოსარ ნისრელი) და ახლა ესეც (ე. ი. ამირან დარეჯანის ძეც) მიგყავს, რომ შეაპყრობინო. დიღომ ამით ფაქტიურად იგივე უთხრა უსიბს, რაც სხვა დროს ლომებზე მსხდომმა კაცებმა თქვეს: „ხედავ, უსიბს ვინმე მოუცთ უნებთან და მოჰყუანანო“, ანდა უცნობმა კაცმა რომ თქვა: „საწყალო, უსიბ მოგალორნაო?!“.

ვფიქრობთ, ზემოთქმულის შემდეგ განსაკუთრებული მტკიცება აღარ სჭირდება იმ ფაქტს, რომ „ამირანდარეჯანიანში“ „რიალი“ მოტყუების, მზაკვრობის, ვერაგობის მნიშვნელობითაა ნახმარი. აქვე შევნიშნავთ, რომ ძვ. აღთქმის „გარიალება“ თავისი მნიშვნელობით ფარავს „ამირანდარეჯანიანში“ ნახმარ „მოლორება, მოცთუნებას“; თავის მხრივ, „მოლორება“ „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება და ზუსტად ისეთივე მნიშვნელობით, როგორც „ამირანდარეჯანიანში“. შდრ.: „თუ გიტყუო, მოგალორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს“ (667,3).

ახლა დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნის“ სადავო ადგილს. აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება: ტარელმა ძმად-

<sup>7</sup> მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი: გამოსაცემად მოამზადა, გამოკვეთა და ლექსიკონი დაურთო ლილიათაიშვილი, თბილისი, 1967.

<sup>8</sup> „ამირანდარეჯანიანი“, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1939 (1957 წლის გამომცემლობაში დართულ ლექსიკონში „რიალი“ არაა განმარტებული).

<sup>9</sup> გვერდები ყველგან მითითებულია „ამირანდარეჯანიანის“ 1967 წლის გამოცემის მიხედვით.

ნაფიცებს ციხის ადების გეგმა დაუწუნა და თვითონ ასეთი გეგმა წამოაყენა: „გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები, სამთავე სამგნით მივპმართოთ, ფიცხლა დავსხლიტოთ ცხენები, მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალთა მივსცეთ მძლე ნები“ (1404).

ტარიელმა სწორად განქვრიტა, რომ მტრის ჭარბი ძალები სამასიოდ კაცის გამოჩენით ღიდად არ შეშინდებოდნენ, თანაც თუ ეს სამასი კაცი სამად გაიყოფოდა და ციხე-სიმაგრის სხვადასხვა კარებისაკენ დაიძვროდა. მოგვეგებვიან, ვემცრობითო ამბობს ტარიელი და სწორედ ამამია მისი ტაქტიკური ჩანაფიქრის მთელი სისწორე. ეს არის გონებაამახვილური ფანდი, რომელსაც მიზნად აქვს მტრის შეცდომაში შეყვანა, მისი ჭარბი ძალების ციხიდან გარეთ გამოტყუება და დაქსაქსვა, რათა ერთ-ერთმა გამირთავანმა მაინც მოახერხოს გალავნის შიგნით შეღწევა<sup>10</sup>.

ეს ტაქტიკური ფანდი შემდეგნაირად განხორციელდა: რაზმი ჯერ მგზავრულად გაემართა ციხისაკენ (მგზავრულად მისვლის იდეა ავთანდილის გეგმასიც გვხვდება); ამიტომ იყო, რომ „მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დაჰხვდეს გულხმიერად, გულსა შიში არა ჰქონდათ, ამოდ დგეს და ნებიირად“ (1413). მაგრამ როცა რაზმელები გალავანს მიუახლოვდნენ „ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი“ (1414).

ახლა კი ცხადი შეიქნა, რომ ეს მცირერიცხოვანი რაზმი სამოკეთოდ არაა მოსული, რასაც თავისი ჭარბი ძალებით გათამამებულმა დაძვლურებმა ბუნებრივი რეაქცია შეაგებეს: გალავნის კარები გააღეს და ციხიდან გარეთ გამოვიდნენ. სწორედ ამ მომენტში უნდა განხორციელდეს ტარიელის ტაქტიკური გეგმის მთავარი პუნქტი: სამთავე სამგნით მივპმართოთ, რათა შემდეგ „ფიცხლად შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა, სამთავან ერთი შეუვალთ, სხვა გარეთ სცემდეს გარებსა“ (1405).

ეს სამ რაზმად დაყოფა არის მტრის ძალების მოტყუების, მათი დაქსაქსვისა და დეზორიენტაციის მთავარი საშუალება, რაზედაც ტარიელმა თავიდანვე გაამახვილა ძმადნაფიცების ყურადღება. ტარიელი ხომ თავის თათბირს სწორედ ამ პუნქტით იწყებს: „გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები, სამთავე სამგნით მივპმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები“ (1404).

და მართლაც, როცა ამ ტაქტიკური ჩანაფიქრის რეალურად განხორციელების მომენტი დადგა, გამირები ასეც მოიქცნენ:

„ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.

რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.

სამთავე სამგნით მივპმართეს, თავსა მით უყვეს რიალი“ (1414).

ეს იყო ტარიელის ჩანაფიქრის მთავარი პუნქტი: სამ რაზმად დაყოფა

<sup>10</sup> ავთანდილისა და ფრიდონის გეგმის მთავარი მიზანიც გალავნის შიგნით შეღწევაა. საყურადღებოა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება ამათთანაც მოწინააღმდეგის მოტყუებაა; ამირებმა ხომ კარგად იციან: „ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაეცხმან კარია“ (1393); ამიტომ ფრიდონმა ციხის ერთ-ერთ ბურჯზე თოკის მობმისა და მასზე „მუშაითურად“ გავლის იდეა წამოაყენა; ავთანდილმა მტრის მოტყუების სხვაგვარი ხერხი არჩია. მან იცის, რომ „ისი კაცნი (ქაჯები) არ იჭირვენ მგზავრსა ქალაქს შემავალსა, სავაჭროდა მოვეკაზმეი, საქმესა ვიქმე მუხთალსა“-ო. (1399) და შემდეგ განაგრძობს: „მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევებტყუებო, მალეით ჩაიცივამ აბჯარსა, გაეჩნდები, გავეცრუებო“-ო. (1400).





და ამით მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, მტრის ჭარბი ძალების ტყუება და დაქსაქსვა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ „რიალიც“ რაიმე ფანდის ან ზრიკის საშუალებით მოწინააღმდეგის მოტყუებას, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას ნიშნავს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს როგორც ტარიელის გეგმის მთლიანი მიზანდასახულობა (სამ რაზმად დავიყოთ, ქაჯებს ვემცრობით, კარებს გააღებენ და მოგვეგებვიანო), ისე კონკრეტულად ის სიტუაციაც, სადაც სიტყვა „რიალი“ გვხვდება. მას ზურგს უმაგრებს აგრეთვე ძველ აღთქმასა და „ამირანდარეჯანიანში“ „რიალ“ ფუძის ამავე მნიშვნელობით გამოყენება.

ასეთ გარემოებაში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს „ვეფხისტყაოსნის“ იმ ხელნაწერთა ჩვენება<sup>11</sup>, რომლებშიც „თავსა მით (||მათ) უყვეს რიალი“ წაკითხვის ნაცვლად „ქაჯთა მით (||მათ) უყვეს რიალი“ გვაქვს:

„ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.

რა ნახეს, კარნი გაახენეს, ქალაქით ვახდა ზრიალი.

სამთავე სამგნით მიჰმართეს, ქაჯთა მით უყვეს რიალი“.

ე. ი. სამთავემ სხვადასხვა მხარეს მიაშურა (აკი ტარიელმა დასაწყისშივე თქვა: თუ სამად დავიყოფით, ქაჯებს ვემცრობით და მოგვეგებვიანო) და ამით ქაჯები შეცდომაში შეიყვანეს: ჯერ ერთი, ციხის კარები გააღებინეს და მეორეც, მტრის ჭარბი ძალები გამოიტყუეს და დაქსაქსეს. ხოლო შემდეგ ამ დაქსაქსულ ძალებთან გამკლავება შედარებით იოლი საქმე იყო; მით უმეტეს, რომ ჩვენს გმირებს „თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები“ (1412).

ამრიგად, „ქაჯთა მით უყვეს რიალი“ საანალიზო სიტყვის ახლად დადგენილი მნიშვნელობის წყალობით, უარსაყოფი წაკითხვა უკვე აღარა ჩანს. მართალია, ხელნაწერები, სადაც „ქაჯთა“ წაკითხვა გვაქვს, გვიანდელ და ნარედაქციევ ნუსხებად ითვლება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს მათზე საბოლოოდ ხელის ჩაქნევის უფლებას, რადგან იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც სწორედ გვიანდელ და ნარედაქციევ ხელნაწერებში ამოტივტივდება ესა თუ ის სწორი წაკითხვა, რომელიც უფრო ადრინდელ და საინდოდ მიჩნეულ ნუსხებში შერყვნილი სახით აღმოგვაჩნდება ხოლმე<sup>12</sup>.

ამრიგად, „რიალ“ ფუძე სამ სხვადასხვა ძეგლში: ბიბლიაში, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანში“ დავადასტურეთ და იგი სამგანვე მოწინააღმდეგის მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ნიშნავს.

აქ შეიძლება ასეთი კითხვა გაჩნდეს. კი მაგრამ, თუ ეს ასეა, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთის დიალექტებში დადასტურებული „რიალის“ სინონიმად „ზიანი, ან მარცხი“ გვხვდება? ახსნა ასეთი შეიძლება იყოს: „რიალი“||„გარიალება“, როგორც ეს ყველა ზემოთ განხილული შემთხვევიდანაც კარგად ჩანს, ისეთი ტყუილი, ფანდი ან ზრიკა, რომელსაც მიზნად აქვს სწორედ მოწინააღმდეგის დამარცხება, ზიანის მიყენება,

<sup>11</sup> ეს ხელნაწერები: J (H—461, გადაწერილია მე-17 საუკ. ბოლოს) და T (W—17, გადაწ. მე—18 საუკ.); ამ ხელნაწერების დახასიათება იხ.: ს. ც ა ი შ ე ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 1, თბილისი 1970, გვ. 226—232.

<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ JT ხელნაწერები ქმნიან პოემის შუა მონაკვეთის განსაკუთრებულ რედაქციას, რომელიც წარმოადგენს ძირითად და უძველეს პლასტს ამ ხელნაწერებისათვის. დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: ს. ც ა ი შ ე ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 227—230 და 265.



ხ ი ფ ა თ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ა. მთის კილოების „რიალს“ პირვანდელი შინაარსის მიჩქმალვის ნიადაგზე, სემანტიკური ევოლუცია განუტედა: წინა პლანზე წამოიწია შედეგმა, მიზეზი კი დაიჩრდილა, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენა ჩანს. ამ მიზეზითვე უნდა ავხსნათ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ „რიალის“ განმარტება როგორც „მარცხი, ზიანი, ფათერაკი, ხიფათი“. აქაც მთავარი ყურადღება მიექცა „რიალის“ ჩადენით მიღებულ შედეგს, თვითონ ამ შედეგის (მარცხის, ზიანის) გამომწვევი მიზეზი „რიალი“ (ტყუილი, ფანდი, ხრიკი) კი შეუმჩნეველი დარჩა.

ამით დავამთავრებდით ლაპარაკს „რიალ“ სიტყვის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ საკითხს. რამ განაპირობა ის ამბავი, რომ ბაქარის ბიბლიაში ოშკური „გარიანების“ ბაღდად „შეურაცხ-ყოფა“ გვხვდება? იქნება ბაქარის ბიბლიის წაკითხვა რომელიღაც სხვა წყაროს გულისხმობს და აღნიშნული განსხვავებაც ამისი ანარეკლია? ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ როგორც ებრაული, ისე ბერძნულ-სომხურ-ქართული ტექსტები ამ წაკითხვას ერთნაირად წარმოადგენენ. რჩება ერთადერთი სლავური ტექსტი, რომელიც შეიძლება გვევარაუდნა ბაქარის განსხვავებული წაკითხვის მიზეზად, მაგრამ შემოწმების შედეგად იქაც „მოტყუება“ წაკითხვა დადასტურდა. ასეთ შემთხვევაში „რიალ“ ფუქისათვის, უკვე დადგენილი მნიშვნელობის გარდა საძიებელია მისი სხვაგვარი შინაარსიც. მართლაც „რიალ“ ფუძეს ქართულში სხვა გაგებაც რომ ჰქონია, ეს ამ სიტყვის საბასეული განმარტებიდანაც კარგად ჩანს: „რიალი — ბოროტი მტკმელობა, ბოროტი ზრახვა“.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაწვდის სვანური ენის მონაცემები. სვანურში დღესაც ცოცხალია „რიალ“ სიტყვა, რომელიც ასეთ გამოთქმებში გვხვდება: რიალ ოხდე|რიალდ ადგენე „გალანძლა“. გვაქვს პირიანი ფორმებიც: ლაშხ. ხე-რიალ-ალ „ლანძლავს“, ან-რიალ-ე „გალანძლა“, „ლი-რიალ-ალ „ლანძლავა“ და სხვ.

თქმულის მიხედვით „რიალის“ საბასეული განმარტება „ბოროტი მტკმელობა||ბოროტი ზრახვა“, ბაქარის ბიბლიის „შეურაცხ-ყოფა“ და სვანური ლი-რიალ-ალ „ლანძლავა“ ერთი სიტყვის სემანტიკურ გადახრებს უნდა ასახავდეს<sup>13</sup>.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: „რიალ“ ფუძე წარმოავადგენს ორ ძირითად მნიშვნელობას:

1. მოტყუება (ზოგადად), გარემოებისდა მიხედვით ეს შეიძლება იყოს „ცბიერება, მზაკვრობა, ვერაგობა; ხრიკი, ფანდი“. საერთოდ „რიალი“ ისეთი მოტყუებაა, რომელიც მოწინააღმდეგის მარცხს, ხიფათს იწვევს. აქე-

<sup>13</sup> აქ შეიძლება დაგვესვა კითხვა: რა მიმართებაა ქართულ „რიალსა“ და სვანურ „რიალ“ ფორმებს შორის? ე. ი. გვაქვს აქ საქმე სესხებასთან (ამ შემთხვევაში ქართულიდან სვანურში) თუ ისინი ერთმანეთის კანონზომიერი შესატყვისებია? როგორც ცნობილია, ქართ. ლ-ს სიტყვის ბოლო-კიდურ პოზიციაში სვანურში -ჟ ან -შ შესატყვისება (შდრ. ქართ. ვაშლ-სვან. უსგუ; ქართ. ასულ-სვან. ასუშ და სხვა); მაგრამ სპორადულად გვხვდება ისეთი მასალაც, სადაც ქართ. ლ-ს სვანურში -ლ შესატყვისება: ქართ. თხელ- სვან. დთხელ; ქართ. ქვისლ- სვან. მე-ქუშ-ელ (ლაშხ. მოქშ-შლ) „რიალ“ ფორმაც ამ რიგის შესატყვისობად შეიძლება გვევარაუდნა; მით უმეტეს, რომ „რიალ“ სიტყვა ექსპრესიული ხასიათისაა და ექსპრესიული ხასიათის მასალა მეტ გამძლეობასაც იჩენს. მაგრამ აქ სხვა რიგის დაბრკოლებებიც გვხვდება და ამიტომ გადაჭრით რაიმეს მტკიცება ჭირს.



დან განვითარდა შემდეგში შთის დიალექტებში დადასტურებული მნიშვნელობა ამ სიტყვისა: „მარცხი, ზიანი, ზარალი“.

2. ბოროტი მოქმედობა (საბა); შეურაცხ-ყოფა, ლანძღვა; აქედან განვითარდა აგრეთვე მისი ახალი მნიშვნელობა: „აყალ-მაყალი, აურ-ზაური, შეხლა-შემოხლა“.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

## ИЗ ДРЕВНЕ-ГРУЗИНСКОЙ ЛЕКСИКИ

(Резюме)

В древне-грузинском языке зафиксировано три случая употребления слова „რიალი“ *riali*. Из них два раза оно встречается в памятниках XII века «Вепхисткаосани» и «Амирандареджаниани».

В словарях этих памятников, а также в отдельных статьях, посвященных этому слову, не установлено истинное значение слова „რიალი“ *riali*. Оно было истолковано как «дрожь, дрожание», «неудача, опасность; нападение»; «ущерб»; «боевой крик» и т. д.

В результате изучения текста «Ветхого завета» (Царст. I, 19, 17) выяснилось, что слово „რიალი“ *riali* как в «Ветхом завете», так и в «Вепхисткаосани» и «Амирандареджаниани» значит «обмануть, ввести в заблуждение».

---

მანია რაზავა

იოანე პეტრიწი მომღვწეო საშუალებაში

(ერთი შენიშვნის გარშემო)

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწის ფილოსოფია ქართული აღორძინების იდეოლოგიის გამოხატველი იყო. მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პეტრიწის მოძღვრებას მომღვწეო ეპოქათა სააზროვნო ცხოვრებაზე გავლენის თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ მე-18 ს. კულტურის მოღვაწენი ანტონ ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები დიდად არიან დავალებულნი იოანე პეტრიწისაგან. ისინი უხვად ახდენენ პეტრიწის თხზულებათა ციტირებას, ავითარებენ მის დებულებებს და კომენტარებით ავსებენ მათ. განუსაზღვრელია პეტრიწის, როგორც მოაზროვნის, გავლენა ქართული კულტურის განვითარებაზე.

მაგრამ სანეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ გარკვეულ პერიოდში (XIII—XVI—XVII სს.) პეტრიწის მოძღვრება აშკარად იდევენობდა საქართველოში. შ. ნუცუბიძის შეხედულებით, პეტრიწის პროგრესულმატერიალისტური ნაზრები იდეოლოგიურ ბრძოლას ხვდებოდა და მოწინააღმდეგე რეაქციონურ-საეკლესიო ბანაკის მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა. მკვლევარი არა ერთხელ და ორჯერ ვრცლად მსჯელობს იდეოლოგიურ ბრძოლაზე პეტრიწის წინააღმდეგ. მისი განცხადებით პეტრიწის შრომა მის თანამედროვეთა მიერ კრულვას, ე. ი. ანათემას, იყო გადაცემული.

„ვიდრე გრძელდებოდა ფეოდალური რეაქცია და ერთგვარი ნიშნები განახლებისა არ გამოჩნდა, პეტრიწის სახელი მოცული იყო რისხვით, მოუხსენებლობით, ანუ აშკარა დევნით და კრულვით“<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული შევიწროება იოანე პეტრიწს, მართლაც, განუცლია. ეს ფაქტი ცნობილია მისივე შრომის ბოლოსიტყვაობიდან:

„ვინაჲ შემჩნობლეთა და მრავალმჩნობლთა და ერთვითთა ლმობათაგან მიღმო ვიბნეოდი, სენთა, უცხოებათა და შურთა და ვერაგობათა საქუმილისგან მექმე აწ ამის ჟამისა ქართველთა და ბერძენთა შორის“<sup>2</sup>.

იოანე პეტრიწი სავსებით სამართლიან საყვედურს გამოთქვამს ქართველთადმი. რაში გამოიხატება ეს საყვედური? ქართველებმა, იმის ნაცვლად, რომ როგორც თანატომს, გვერდში ამოსდგომოდნენ, ლმობათა მისთა ნუგეში ეცათ, ტკივილთა მისთა ეწამლნათ, და ვითარცა უცხოელ წარმოარსებულისათვის მსგავსი და ნაცვალი ეჩინათ, ვერაფერი იმეცნეს ჩემი „სასწავლომასაო“.

<sup>1</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 194.

<sup>2</sup> იოანე პეტრიწის შრომები, II, თბ., 1937, გვ. 222.





მაშასადამე, შური, ტივილი და ვერაგობა იოანე პეტრიწს ჯერ ბერძენთა მხრივ განუცდია (გაეიხსენიეთ მიქაელ ფსელოსის, იოანე იტალოსისა და მათ მომხრეთა დევნა და გასამართლება ბიზანტიაში XI ს. ბოლო წლებში). ქართველებს პეტრიწი ბრალს სდებს იმაში, რომ მათ ვერ გაუგეს, მის მოძღვრებას ქართველნი შეხვდნენ „უმეცნეობითა სასწავლოთაჲთა“. ამიტომ ქართველნი „ორითა იპყრობოდეს უმეტრებითა: პირველ, მარტივად უმეცნეობითა სასწავლოთაჲთა და კუალად მეორედ თვთ მის უმეტრებისა უმეტრებითა“. მოყვანილი ადგილიდან ჩანს, რომ პეტრიწი თანამედროვეთა მიერ მრავალ შემთხვევაში ვერ პოულობდა თანადგომასა და შეწევნას. მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ იგი იდევნებოდა და მისი სახელი კრულვით იხსენიებოდა.

ასეთი დასკვნა გაკეთებულია ხელნაწერებზე დართული ორი შენიშვნის საფუძველზე. ვნახოთ რა შენიშვნებია ეს და რამდენად საფუძვლიანი ჩანს მათზე დაყრდნობით იოანე პეტრიწის ფილოსოფიური სწავლებისა და პიროვნული ზეგდრის ისეთი შეფასება, თითქოს მისი მოძღვრება იკრძალებოდა საქართველოში.

პირველი მინაწერი ახლავს „განმარტებათა“ წინასიტყვაობას. ზოგ ხელნაწერში იგი აშიაზეა (A—69, A—74, H—2182), ხოლო ერთგან პირდაპირ ტექსტშია სინგურით (H—2363). მინაწერის ტექსტი ძალიან დამახინჯებულია. როგორც ჩანს, იგი დაზიანებული დედნიდან არის გადმოწერალი. ეს ხელნაწერები ყველა გვიანდელია — XVI—XVIII საუკუნისა. შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი გვიანი დროის გადამწერის საქმიანობაა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მინაწერი აქვს უძველეს ნუსხასაც, H—1337-ს (XIII ს.). მინაწერი არის ვრ-ს აშიაზე სინგურით. იგი ფურცლის დაზიანების გამო ნაკლებულია\*. ამრიგად, ეს მინაწერი ადრინდელი პერიოდის გადამწერის საქმიანობაა ამკარად.

მინაწერი ასეთია:

„რასა ვწერ ანუ რასა გლახ ვმოქმედებ, გარნა გვსწავიეს გუელთაგან თერიაჲ და წარმოგსტყუენავ ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ. ამის წიგნისგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ და ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიგეს ღმრთისმეტყუელებისა სახელი დიდთა ბრძენთა: დიონოსი და ღრილორი და ვასილი და სხუათაცა ვიეთმე. შენ გონებაჲ განწმედილი მოიგე ღმრთისა მიმართ და საზღვარსა მამათა წმიდათასა ნუ გარდავჰლდნები და არა საცთურ გექმნეს“.

შ. ნუტუბიძის სამართლიანი შენიშვნით, მინაწერის ავტორი ქრონოლოგიურ შეცდომას უშვებს. IV საუკუნის მოღვაწეებს: ბასილი დიდსა და გრიგოლ ღვთისმეტყველს, ისევე როგორც არიანული წვალების-მთავარს არიოზს, არ შეეძლოთ ესარგებლნათ პროკლეს „კავშირით“, რომელიც V ს-შია დაწერილი. მინაწერის ავტორი არ შეიძლება ჩაითვალოს გაწიფულ მწიგნობრად

\* სრულიად გამართლდა იოანე პეტრიწის ტექსტის გამომცემლის აკად. ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდი, რომ D-ნუსხის (H—2182) დედნის ის ფურცელი, სადაც ეს მინაწერი იყო, ამოჭმული ყოფილა (შრომები, I, გვ. LXXX). მკვლევარმა ფრჩხილებში აღადგინა D-ნუსხის დანაკლისი ტექსტი. ამ დანაკლისის H—1337 ხელნაწერის ამოჭმულ ფურცელზე (ვრ) არსებულ სქოლიოსთან შედარებაჲ მათი სრული იდენტობა გამოავლინა. D-ს აკლია ის სიტყვები, რაც H—1337 ხელნაწერში ამოჭმულია. ცხადია, D ნუსხის დედანი H—1337 ყოფილა.

და ამდენად თვით მინაწერიც დიდ ნდობას არ იმსახურებს. მაგრამ საინტერესოა ის შეფასება, რაც პროკლეს წიგნს ეძლევა მინაწერში.

შ. ნუცუბიძის შენიშვნით, მინაწერის ავტორი მტრულად არის განწყობილი იოანე პეტრიწისადმი და მის მიერ იგი საცთურად არის გამოცნობებული. ასეა კი?

მინაწერიდან აშკარად ჩანს, რომ პროკლეს წიგნზე შესაძლებელია არიანული მწვალებლობაც დაეფუძნოს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება უდიდეს ღვთისმეტყველთა მოძღვრებაც დაემყაროს. გააჩნია, რა თვალთახედვით მიუღებები მას, როგორ განმარტებას მისცემ პროკლეს დებულებებს. მინაწერის ავტორი თეოლოგიის პედანტობით მიმართავს მკითხველს: შენ მამათა სწავლას ნუ გადახვალ და არაფერ საცთურს მოგიტანსო. ე. ი. იგი კარგად ამჩნევს, რომ შესაძლებელია პროკლეს წიგნი ქრისტიანულ დოქტრინას შეეგუოს და გარკვეული სარგებლობაც მოუტანოს. ამიტომ აუცოლებელია მისი შესწავლა<sup>4</sup>.

ფილოსოფიისა და თეოლოგიის ასეთი მორიგების პოზიციიდან უკვე პროკლე-პეტრიწის ნაშრომს ზემოხსენებული მინაწერის ავტორი და არა ისე, თითქოს მისთვის იოანე პეტრიწის მიერ „მიღებული სიბრძნე გველის სიბრძნე ეოფილა და სხვა არაფერი“<sup>5</sup>.

ეს სიბრძნე გველის სიბრძნეა, მაგრამ გველის შხამიც ხომ საჭიროა და ამიტომ ქრისტეს ძალას ეფარება გადამწერის ავტორი. ქრისტეს ძალით შეიძლება ამ საცთურის დაძლევა ისე, როგორც ეკლესიის უდიდესმა მამებმა ამ წიგნისაგან მოიგეს ღმრთისმეტყველთა სახელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მინაწერის ავტორი ერთგვარ რეკომენდაციას არ მისცემდა პროკლეს წიგნს და საერთოდ დაგმოხდა მას.

მეორე შენიშვნა, რომელსაც განიხილავს მკვლევარი იოანე პეტრიწის შრომისადმი მომდევნო ეპოქების დამოკიდებულების ხასიათის დასადგენად, ახლავს „განმარტებათა“ 29-ე თავს, რომლის სათაურია „მსგავსისა და უმსგავსისათვის“.

ეს არის „განმარტებათა“ ერთ-ერთი კომენტატორის შენიშვნა. ეს შენიშვნა „განმარტებათა“ ტექსტს არც კი ახლავს. იგი ცალკე ქალღმერთსა დაწერილი და დართული აქვს ერთადერთ ხელნაწერს, A—69-ს, რომელიც XVI—XVII ს-შია გადაწერილი. მ. ჯანაშვილის ცნობით, ეს შენიშვნა უნდა ეკუთვნოდეს XVII ს. მოღვაწეს, კათალიკოს ქრისტეფორე ურდუბეგაშვილს<sup>6</sup>.

არსებობს XVI—XVII სს. ერთადერთი ცნობა. ამ ცნობის ავტორის ვინაობაც კი საბოლოოდ დადგენილი არაა მეცნიერთა მიერ. აი, ამ ცნობა ენიჭება პირველხარისხოვანი და უტყუარი ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა უაღრესად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში. შ. ნუცუბიძის სიტყვებით „ეს ცნობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ არა

<sup>4</sup> ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ეფრემ მცირის ცნობილ სიტყვებს, რომლითაც მან შეაფასა იოანე დამასკელის მიერ არისტოტელის „კატეგორიების“ დამუშავება. „წინააღმდეგობდინ შეილნი ეკლესიისანი გარემუთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განგურემდენ მათ“. A—24, 2r.

<sup>5</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, გვ. 196.

<sup>6</sup> მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წ. 2, 1909, გვ. III.



გვაქვს სხვა ცნობა საქართველოს ეკლესიის მიერ იოანე პეტრიწის მართლებისა“<sup>7</sup>.

ამრიგად, განსვენებული მკვლევარი გამოთქვამს დებულებას და კატეგორიულად აცხადებს, რომ იოანე პეტრიწის შრომას ფილოსოფოსის გარდაცვალების შემდეგ საეკლესიო ფასამართლება მოუწყვეს<sup>8</sup>. საბუთი ზემოხსენებული შენიშვნაა.

მიემართოთ თვით ამ შენიშვნას. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ახლავს „განმარტებათა“ 29-ე თავს. შენიშვნის რაობისა და აზრის სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იათვალისწინებული იქნება კონტექსტი, რასაც იგი ახლავს.

პროკლეს „კავშირის“ და შესაბამისად იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ 29-ე თავში მსჯელობა ეხება ყოველი არსებულის თავისი დასაბამისადმი ლტოლვას. ნეოპლატონური ფილოსოფიით სამყაროს იერარქიულ წყობაში ყოველი არსი, შემდგომი პირველ მიზეზისაგან წარმოიქმნება მსგავსების საფუძველზე. ყოველი შემდგომი ამავე მსგავსების საფუძველზე უკუ იქცევა თავისი დასაბამისადმი. წარმოქმნასა და უკუქცევას განაპირობებს მიზეზსა და შედეგს შორის არსებული მსგავსება. „და რაოდენ უფრო მსგავს, უფრო მამახლობელ, და რაოდენ უფრო მახლობელ, უფრო მსგავს“ (შრომები, II, გვ. 78,5—6).

ე. ი. რაც უფრო მსგავსია, მით უფრო ახლოა შედეგი მიზეზთან. შედეგი მიზეზისაგან მიილტვის მსგავსების საფუძველზე. ასეთია სამყაროს საფეხურებრივი რკალი.

და აი, განმარტავს რა პროკლეს ტექსტს, იოანე პეტრიწი იმოწმებს პავლე წინასწარმეტყველის აზრს: „სიტყუაჲ ჩემისა გონება მზისა პავლესი შემოვალს აქა, რამეთუ იტყვს ხატად და მსგავსად და ეკმაგიოდ მის ერთისად, რომელსა მამობაჲცა ჰკადრა სიტყუამან, ხოლო მსგავსებისათვის იტყვს, ვითარმედ უცვალეზელი ხატით. ესა აქა დართვაჲ, უცვალეზელობისაჲ მსგავსებასა და მინიშნავს ჩუენ უზომოსა და დაკშირებულსა. და კუალად იტყვს, ვითარმედ მოაქუს ყოველი სიმდიდრე ღმრთისა მამისაჲ თვის შორის. ესე და ესვითანი ყოველნი და უზომობასა და მისახეენ ჩუენ არსთა და ერთთაჲცა უპირმშოესისა სიტყვასა, რომელსა ფილოსოფოსი უწოდს გუართა-გუარად და საზღვართა-საზღვრად“ (H—1337, 29r).

აი, ამ კონტექსტს, ე. ი. პეტრიწის „განმარტებათა“ ამ ადგილს აქვს დართული ჩვენთვის საინტერესო შენიშვნა:

„აქა პავლე იმოწამების მთქმელისა მიერ. გუართა-გუარად და საზღვართა-საზღვრად ფილოსოფოსი უწოდსო, ვითარცა პავლე-ხატად უცვალეზელად და მქონებლად მამისა სიმდიდრისა. ეს თავი ცოტადრე გახსნის კავშირთა კრულებასა“<sup>9</sup>.

<sup>7</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.  
<sup>8</sup> ამ საკითხისადმი არის მიძღვნილი მთელი ერთი თავი მისი მონოგრაფიული შრომისა „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. II, „იდეოლოგიური რეაქცია ქართული რენესანსის წინააღმდეგ XIII—XVI—XVII სს“.

<sup>9</sup> შენიშვნის პირველი წინადადება გამოცემაში ზუსტად არ არის წაკითხული. გამოცემაშია: „აქა პავლე იმოწამების მთქმელი სამ...“ სამ. ... ნაკლულია, რაღაც სიტყვის ნაშთი და შემდეგ გამოცემაზე დაყრდნობით, შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე მიერ აქ აღდგენილია „სამება“: აქა პავლე იმოწამების

როგორ უნდა გავიგოთ ეს შენიშვნა? თუ იოანე პეტრიწის სათანადო კონტექსტს გავითვალისწინებთ, რომელსაც ეხება იგი, მისი აზრი ასეთია: აქ მთქმელის, ე. ი. პეტრიწის მიერ დამოწმებულია პავლე.

სამპირიანი ზმნა — უწოდს აუცილებლად ირიბ ობიექტს გულისხმობს. ფილოსოფოსი რაღაცას ან ვიღაცას გვართა-გვარად და საზღვართა-საზღვრად უწოდებს, როგორც მასვე პავლე წინასწარმეტყველი უწოდებს ხატს უცვალებელს და მამის სიმდიდრის მქონებელს.

ნეოპლატონური ტრიადის ცნებიდან გამომდინარე ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი გულისხმობს აქ მეორე ნაწილს — გონებას. გვართა-გვარსა და საზღვართა-საზღვარ ტერმინებს იოანე პეტრიწი არისტოტელედან იღებს და სპეციალურად მსჯელობს მათზე „განმარტებათა“ მე-10 თავში, ასევე 90—96-ე თავებში. ეს ცნებები პეტრიწის მიერ გამოყენებულია „ნამდვილ-მყოფის“ განმარტებისას, „ნამდვილ მყოფი“ კი არის გონებისა და გონიერთა სფერო, საიდანაც იწყება არსთა თუ მოვლენათა ყოველი სიმრავლე. გონება „გუართა თვს შორის ქონებითა, ადგილად გუართად იქმნების და განმრავლდების“ (შრომები, II, 58, 18—19). იგი ტრიადის მეორე წევრია. მსგავსად ფილოსოფოსისა, პავლე წინასწარმეტყველის სიტყვებში საძების მეორე წევრი იგულისხმება. მტკიცება არ სჭირდება, რომ ხატი უცვალებელი და მამის სიმდიდრის მქონებელი მხოლოდ ძის მიმართ შეიძლება ითქვას.

ამრიგად, ფილოსოფოსისა და პავლე წინასწარმეტყველის სიტყვები ყოველგვარ წინააღმდეგობას გამორიცხავს, ორივე ერთსა და იმავე ფენომენს ეხება, რასაკვირველია, თავთავიანთი სააზროვნო პოზიციებიდან გამომდინარე. შ. ნუტუბიძის სიტყვებით, აქ ფილოსოფიისა და თეოლოგიის მორიგების შესანიშნავი ცდაა. ეს იყო დიდი საკაცობრიო პრობლემა: ანტიკურისა და ქრისტიანობის შერწყმა, შერიგება<sup>10</sup>.

შენიშვნაში ფილოსოფოსის და პავლე წინასწარმეტყველის დაპირისპირების ფაქტი სამართლიანად არის შეფასებული მკვლევრის მიერ. მაგრამ როგორ ინტერპრეტაციას აძლევს მეცნიერი პეტრიწის მიერ პავლეს დამოწმების ფაქტს? „ი. პეტრიწი, — ამბობს იგი, — მოუხრდებლად იმოწმებს პავლეს იქ, სადაც ქრისტიანული შეხედულების ნიშანწყალი არ არის“ და ამის გამო პეტრიწი სამართლიანად იქნა დაგმობილი მომდევნო თაობათა მიერ.


რა შეხედულებაა, რომელთა დაკავშირებითაც პავლეს დამოწმება პეტრიწს ბრალდებად წაუყენეს? კონტექსტში ლაპარაკია ერთთან მსგავსებაზე. მსგავსების საფუძველზე ყოველი არსი ილტვის თავისი მიზეზისაკენ. რაც უფრო მსგავსია არსი, მით უფრო ახლოა იგი თავის დასაბამთან.

აქ მოხმობილია პავლე, რომ მან სიტყვას, ლოგოსს ერთის ხატი, მსგავსი და ეკმაიო — „ბრწყინვალეობა“ უწოდაო. ნაცვლად ფილოსოფიური ტერმინისა „მსგავსება“ პავლე „უცვალებელ ხატს“ მიმართავს. ამაში იგულისხმება უპირმშოვის სიტყვა ანუ ლოგოსი, ძე.

მთქმელი სამებისა. სინამდვილეში კი ხელნაწერშია: მრ ქარაგმის გარეშე, რაც ნიშნავს: მიერ. ეს სიტყვა ზუსტად ასეთი დაწერილობით მეორდება სხვა შენიშვნებში, რომელნიც იმავე ავტორს ეკუთვნის.

<sup>10</sup> შ. ნუტუბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.





მკვლევრის განცხადებით, წარმართულსა და ქრისტიანულს ასეთი შეხამება იოანე პეტრიწის თაოსნობაა, თორემ იგი ქრისტიანული მოძღვრებისათვის სათვის შეუფერებელი იყო. „ეს საგანთა დაბრუნება დასაბამისადმი, ესე იგი ერთისადმი, იყო ის დებულება, რომელიც, როგორც ვიცით, ყველაზე უფრო არ აწყობდა ქრისტიან დოგმატიკოსებს, რადგან ამ მსოფლიო ბრუნვის ნიადაგზე სრულიად შებღალული რჩებოდა რიგი საქრისტიანო დოგმები, კერძოდ ცოდვისა და მიზღვისა“<sup>11</sup>.

საკითხავია: არის თუ არა ეს აზრი აშკარად წარმართული, რომლის გამართლება სცადა იოანე პეტრიწმა პავლეს სახელის მოშველიებით?

იძლეოდა თუ არა ამ აზრის წამოყენება საფუძველს იოანე პეტრიწის ყალბის მქნელად გამოცხადებისათვის, თუ კი იგი ასეთად როდისმე იყო მიჩნეული? ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებული შენიშვნებით ეს არ მტკიცდება.

ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში პეტრიწის მიერ მოცემულია ცდა ფილოსოფიის ღვთისმეტყველებასთან მორიგებისა. ნეოპლატონური დებულება მიზეზისაგან შედეგის წარმოქმნისა და შედეგის უკუქცევის შესახებ, შეხამებულია ქრისტიანულ დოქტრინას: ღვთის მიერ ყოველივეს წარმოქმნას თავის ხატად და მსგავსად.

მართალია, ზოგიერთი ადრინდელი რელიგია, მაგალითად, იუდაიზმი, ადრინდელი ისლამი, წინააღმდეგ ელინისტური პანლოგიზმისა, არ ცნობდა შესაძლებლად, რომ ადამიანი როგორმე მიუახლოვდეს ღმერთს, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებაში ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. ამის საწინდარი ძელოგოსის ინკარნაციის ფაქტია. ქრისტიანულმა ლოგოსმა კაცის სახე მიიღო, რათა უმაღლესი წამებისა და სიკვდილის დაძლევით აღდგეს და ამით ადამიანთა აღდგომისა და ღმერთთან ზიარების ქემშარიტება ნათელ ყოს. ლოგოსის განცხადებასა და განკაცებაში ჩანს საბოლოო მიზანი, სამყაროს შექმნის დასაწყისიც კი.

ქრისტიანობა, რომელიც თავის თავში ითავსებდა ადრინდელ რელიგიათა და ფილოსოფიურ სისტემათა დანაშრებებს, არც ამ საკითხის გადაწყვეტაში დარჩენილა იზოლირებულ მოძღვრებად. ქრისტიანული აპოლოგეტიკა საერთოდ აღიარებს ადამიანის ღვთის ხატად და მსგავსად არსებობის საფუძველზე თავის დამბადებლისაკენ დაბრუნების მომენტს. არსებობს უმაღლესი მიზანი ადამიანის განწმენდისა და სრულყოფის გზაზე. ეს არის ღმერთს მიახლოება. ცოდვათაგან განწმენდის უმაღლესი კათარსისის საშუალებით ზიარება ქრისტეს სისხლსა და ზორცს და ამდენად, ზიარება ღვთის საიდუმლოებს. ყოველივე ეს სხვა არა იყო რა, თუ არა სწრაფვა ღმრთისაკენ და ამდენად ერთგვარი რკალბერივი უკუქცევა ყოველივეს შემოქმედისა და დასაბამისადმი.

რელიგიის დიდი მკვლევარი ა. ჰარნაკი ქრისტიანობის არსის განსაზღვრისას შენიშნავს: „ადამიანი ლოცულობს არა იმისთვის, რომ ზეცას მიაღწიოს თავისი ბოზოქარი სურვილები, ან ესწრაფოს ამქვეყნიურ სიკეთეს. ის ლოცულობს, რომ შეინარჩუნოს ძალა, რომელიც მასშია, რათა განამტკიცოს ის ერთიანობა ღმერთთან, რომელშიც ის ცხოვრობს“<sup>12</sup>.

<sup>11</sup> შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

<sup>12</sup> А. Гарнак, Сущность христианства.



თვით ბიბლიისთვისაც არ არის უცხო ეს აზრი. 72-ე ფსალმუნში ლაპარაკია ღმერთთან მიახლოებაზე. მ. 27: „რამეთუ ავა ესერა, რომელთა განიშორნეს თავნი თვისნი შენგან, იგინი წარწყმდეს. და მოისრნეს ყოველნი, რომელნი განგიდგეს შენგან“.

მ. 28: „ხოლო ჩემი მიახლებაჲ ღმრთისა კეთილ არს; და დადებად უფლისა მიმართ სასოებაჲ ჩემი“...

და ბოლოს, ქრისტიანობის უდიდესი აპოლოგეტი იოანე დამასკელი, რომლის ავტორიტეტი ქრისტიანულ დოგმატიკაში უცილობელია, სავსებით ნათლად აყალიბებს ღმერთთან მსგავსებისა და მიახლების მოძღვრებას: „რომელსა გული უთქუმიდეს მარადის ღმრთისა, იგი ჰხედავს მას. ყოველსა შინა არს ღმერთი... ყოველთადა ვიდრემე შეზავებულ არს ღმერთი“<sup>13</sup>. ღმერთი ყველგან არის. იგი ყოველთაგან შეურევნელად განაგებს და ყოველთა გადასცემს თვისი მოქმედებისაგან. ამას მოსდევს ვრცელი მსჯელობა ქრისტიანი თეოლოგისა იმაზე, რომ წმინდანნი უკეთესად შეიწყნარებენ ღვთის მადლს, ხოლო ასეთნი არიან უნივთონი, ე. ი. არამატერიალური სამყარო.

ღმერთი: „ყოველთა გარდასცემს თვისისა მოქმედებისაგან, სიმარჯვისაებრ მიმღებელისა და შემწყნარებლობითისა ძალისა. ვიტყვ უკუე ბუნებითისა და აღრჩევიითისა სიწმიდისა, რამეთუ უწმიდეს არიან უნივთონი ნივთიერთათსა. ვინაცა ითქუმის ადგილად ღმრთისად უფროჲს მიმღებელი მოქმედებისა და მადლისა მისისაჲ“ (61r).

სხვა ადგილას იოანე დამასკელის მიერ უფრო მკვეთრად არის ღმერთთან მეტ-ნაკლები სიახლოვის იდეა გამოხატული. ღმერთმა დაჰბადა ყოველი: „და რომელიმე მახლობელად თვისსა, რამეთუ მახლობელ ღმრთისა არს სიტყვერი და მხოლოდ გონებითა ოდენ მისაწთომელი ბუნებაჲ. ხოლო რომელიმე ყოვლითურთ შორად მდებარედ, ცხად არს, ვითარმედ, ვითარცა გრძნობისა მიმდგომი“ (69v, II).

ე. ი. ქრისტიანი თეოლოგისათვის სამყაროს საფეხურებრივი განშლა სრულიად არ ჩანს უცხო და მიუღებელი: ღმერთთან ახლოა გონიერი და სიტყვიერი სამყაროს მოვლენები, ისინი უფრო მეტი სიმარჯვით შეიწყნარებენ ღვთის მადლსა და მოქმედებას და ამდენად უფრო მახლობელ არიან, ხოლო გრძნობადი სამყარო დაშორებულია მას. უფრო მეტიც, იოანე დამასკელი არა ერთგზის აღნიშნავს ღმერთის მიერ კაცის თავის ხატად და მსგავსად შექმნის საბოლოო მიზანს: ესაა ღმერთთან შეერთება.

„კაცმან, სიტყვერად და თვთმფლობელად დაბადებულმან, კელმწიფება მიიღო, რაჲთა თვისისა წინააღრჩევისა მიერ მოუკლებელად შეერთებოდის ღმერთსა, უკეთუ ეგოს კეთილსა შინა“... (93r, II), ე. ი. ღმრთის მიერ შექმნილის მასთან დაბრუნებას აღიარებს ქრისტიანობა.

ყოველი ზემოთქმული ძალიან მოგვეგონებს იოანე პეტრიწის სიტყვებს: „რაოდენ უფრო მსგავს, უფრო მამახლობელ და რაოდენ უფრო მახლობელ, უფრო მსგავს“.

აკი ამ სიტყვების შემდეგ დაიმოწმა იოანე პეტრიწმა ბავლე წინასწარმეტყველი!

<sup>13</sup> იოანე დამასკელი, „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ“ S—1463, 61r, II.



ქრისტიანული თეოლოგია სავსებით იწყნარებს ამ აზრს. ასევე იწყნარებს მას და თავის შრომებში ავითარებს პავლე წინასწარმეტყველიც.

პავლეს ეპისტოლეთა მთელი რიგი ადგილები, მართლაც შეიცავს აზრს, რომელიც გამოიხატება ღმრთის მიერ ყოველივე აგებულის წარმოქმნისა და ამ უკანასკნელის მისკენ ლტოლვის პრინციპით, იმ მარადიული მსგავსებისა და ხატობის პრინციპით, რომელიც არსებებს ღმერთთან აკავშირებს. ეს ადგილებია: I კორინთელთა 3,16; II კორინთელთა 4,4; გალატელთა 4,4—7; ეფესელთა მიმართ 1,5—8; 1,17—20, ფილიპელთა მიმართ 2,6—7, კოლასელთა 1,15—27. ერთ ადგილას, მაგალითად, წერია: „რამეთუ მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლება იგი ურთიერთას ერთითა სულითა მამისა მიმართ. ამიერითგან უკუე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლელ ღვთისა“ (ეფესელთა მიმართ, 2,18—19).

აღნიშნული მაგალითები აშკარად ადასტურებს, რომ პეტრიწი 29-ე თავის განმარტებისას არავითარ წარმართულ აზრს არ ავითარებს და პავლეს დამოწმება მას ყალბის ქმნასა და მკრეხელობაში არ შეიძლება ჩაეთვალოს.

ამ თვალსაზრისით სხვაგვარად წარმოდგება პროკლესა და პეტრიწის შრომათა ტექსტზე დართული შენიშვნის გააზრება, განსაკუთრებით, მისი ბოლო სიტყვების დედააზრი წარმოსახება სხვაგვარად, ვიდრე ეს დღემდე იყო გააზრებული. შენიშვნა თავდება სიტყვებით: „ეს თავი ცოტადრე გახსნის კავშირთა კრულებასა“. ეს სიტყვები გაგებულია როგორც ახათემა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არსებული „კავშირის“ ანუ პეტრიწის შრომის გარშემო. „კავშირთა კრულების“ ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველზე კეთდება ზოგადი დასკვნა პეტრიწის წინააღმდეგ გამაჟღერებული იდეოლოგიური ბრძოლისა. „ახლა დოკუმენტალურად ვიცი, რომ XIII-დან XVI—XVII სს. ი. პეტრიწი „კრულის“ ქვეშ იყო და ეს მოხდა იმის გამო, რომ მან გაბედა და წარმართული აზრებისათვის პავლეს ავტორიტეტის საფარი გამოიყენა. „კრულვა არა უბრალო შეკამათების ანუ მხილების გამოხატულებაა, იგი „გადაცემა“ ანუ „ანათემა“<sup>14</sup>.

შექმნილია მთელი რიგი საბრალმდებლო მუხლები, რომლებიც პეტრიწის შრომის წინააღმდეგ ჩამოყალიბებულა იმ საეკლესიო გასამართლებაზე.

„მუხლი პირველი შეიცავს ბრალდებას — „აქა პავლე იმოწამების მოქმედი სამ(ებისა) გვართა გვარად და საზღვართა საზღვრად. მუხლი მეორე: ფილოსოფოსი უწოდს, ვითარცა პავლე ხატად უცვალებლად და მქონებლად მამისა სიმდიდრისა“<sup>15</sup>.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იურიდიული კოდექსი შენიშვნის ტექსტის არაზუსტი წაკითხვის საფუძველზეა შექმნილი და საკმაოდ გაუგებარიცაა. ტექსტის ფრაზები ნებისმიერად არის ურთიერთს დაცილებული და ამდენად აზრი დამახინჯებულია: „ფილოსოფოსი უწოდს“ მოცილებულია „გვართა გვარსა და საზღვართა საზღვარს“ და მიკუთვნებულია მომდევნოს „ვითარცა პავლე ხატად უცვალებლად“ და ა. შ. წინადადებათა ასეთი დამლა არაფრით არაა გამართლებული. კონტექსტიდან ხომ ნათლად ჩანს, რომ ხატობა და მამის სიმდიდრის ქონა პავლეს სახელს არის მიწერილი პეტრიწის მიერ, ხოლო გვართა გვარობა და საზღვართა საზღვარი — ფილოსოფოსისას.

<sup>14</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, იქვე, გვ. 200.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 202.

შემდეგ შ. ნუცუბიძე აღნიშნავს შენიშვნის ერთ შეუსაბამობას. მეც-ნიერის აზრით, „გახსნის კავშირთა კრულებსას“ ქვეშ შეუქლებელია იგულისხმებოდეს პროკლეს ტექსტი „კავშირნი“ შემდეგი მიზეზების გამო: ბრალდება, რომელიც წამოყენებულია შენიშვნაში, არ შეიძლება პროკლეს ეხებოდეს, რადგან მას, როგორც წარმართს, თავისი ფილოსოფიური დებულების დასამტკიცებლად არ შეეძლო დაემოწმებინა პავლე წინასწარმეტყველი. შენიშვნა გულისხმობს არა პროკლეს ტექსტს, არამედ პეტრიწის „განმარტებებს“. ამ შეუსაბამობას ორგვარი ახსნა ეძლევა:

1. გაუგებრობა ახსნილია იმით, რომ შენიშვნის ავტორი მთლად კარგად არ უნდა იყოს გარკვეული ფაქტიურ ვითარებაში. ჩანს, ეს კრულება მისთვის შორეული ამბავია და იგი ურევს ერთმანეთში პროკლესა და პეტრიწის ტექსტებს. ეს კრულება, როგორც ჩანს, გაცილებით ადრინდელია, ვიდრე XVI ს.

2. შემდეგდროინდელმა სამწიგნობრო პრაქტიკამ დააკანონა, რომ „კავშირნად“ იწოდებოდა როგორც პროკლეს ტექსტი, ისე პეტრიწის „განმარტებაც“.

ასეთ ვითარებაში მკვლევარი არავითარ შესაძლებლობას არ ტოვებს „კავშირთა კრულებას“ რაიმე სხვა ინტერპრეტაცია მიეცეს, გარდა გადაცემისა, შეჩვენებისა.

სრულიად სხვა გაგებით გვესაზება მინაწერის აზრი და ვფიქრობთ, რომ მასში რაიმე კრულების ან ანათემის კვალი არ უნდა ჩანდეს.

პირველი არგუმენტი ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად უკვე იყო განხილული. ეს არის იდეოლოგიური ასპექტი. კონტექსტი არ შეიცავს ქრისტიანული მოძღვრებისათვის უცხოთა და მიუღებელ აზრებს და ამდენად ასეთი აზრის გატარებისათვის მათი ავტორი კრულვას არ იქნებოდა გადაცემული.

მეორე არგუმენტი, რასაც საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი, არის სიტყვა „კრულების“ შინაარსის გაგება.

„კრულების“ თავდაპირველი მნიშვნელობა: შეკვრა, გადაბმა. ამ მნიშვნელობით ძალზე ხშირად დასტურდება სიტყვა „კრულება“ ჩვენი მწერლობის ძეგლებში. სათანადო წყაროებზე მითითებებით ეს სიტყვა განმარტებულია ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში. მაგ.: „განეტსნა კრულებაჲ იგი ენისა მისისაჲ (მრკზ. 7,35); „განუტსნა კრულებანი („წამებაჲ წმ. ვაროზისი). ამ მნიშვნელობით დასტურდება იგი ძველი ალექსის აპოკრიფებში<sup>16</sup>, „ექუსთა დღეთაჲში“ და სხვ.

სიტყვა „კრულების“ ბერძნული შესატყვისია: *δευμάς*, რომლის სხვადასხვა მნიშვნელობათაგან ძირითადია: *связка, узы*.

ბიბლიის რუსულ თარგმანშია: *в узах, связи*.

ჩვენი შენიშვნის ტექსტშიც სიტყვა „კრულებას“ ეს მნიშვნელობა აქვს: შეკვრა, გადაბმა, კავშირი. ასეთ გაგებას თუ მივიღებთ მხედველობაში, წინადადების აზრი ასეთი იქნება: ეს თავი ცოტადრე გახსნის კავშირთა ანუ ელემენტთა კავშირს, გადაბმულობას. რა აზრია აქ გატარებული?

<sup>16</sup> ც. ქ უ რ ც ი ძ ი ძ ე, ძველი ალექსის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, თბ., 1970.



შენიშვნის ავტორი კარგად არის გარკვეული პროკლეს კავშირთა ანუ ელემენტთა ურთიერთმიმართებაში. მან იცის, რომ ეს ელემენტები განუყრელ კავშირში არიან, ასე ვთქვათ, გარკვეულ რკალს, ჯაჭვს ქმნიან. ელემენტთა ერთიანობა ქმნის სამყაროს დასაბამი ერთისა და სიმრავლის ერთიანობას. შენიშვნის ავტორისათვის ისიც ცხადია, რომ იოანე პეტრიწის განმარტებანი ამ კავშირთა გადაბმულობის, ურთიერთმიმართება-შეკავშირების ახსნას, გადმოცემას ემსახურება.

და აი, 29-ე თავის მიმართ იგი საგანგებოდ შენიშნავს, რომ პეტრიწის „განმარტებათა“ ეს თავი ცოტაზე მეტად, ე. ი. სხვებთან შედარებით მეტად ხსნის, ანუ განმარტავს პროკლეს კავშირთა შეკვრას, ანუ კავშირთა ურთიერთდაჯაჭვულობას. ხსნის კრულებასა — პირდაპირი და ძირითადი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: გაშლის, გახსნის ანუ განმარტავს შეკვრას, შეერთებას.

ასეთი გააზრებისას კონტექსტში ბუნებრივად გამოიყურება „კავშირთა კრულება“. „კავშირის“ ქვეშ სწორედ პროკლეს შრომა იგულისხმება და არა პეტრიწის „განმარტებანი“. გახსნა, ანუ ახსნა-განმარტება სჭირდება პროკლეს ტექსტს, რასაც ისახავს მიზნად პეტრიწის „განმარტებანი“. ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, „გახსნა“ და „კრულება“ ამ ძირითადი, პირველადი მნიშვნელობით იხმარება და არა შეჩვენება-განტევენის ასპექტით, თუმცა ეს უკანასკნელი სემანტიკაც უცხო არ არის ამ სიტყვებისათვის.

რატომ მაინცდამაინც 29-ე თავის მიმართ კეთდება ეს შენიშვნა? ამა-საც გარკვეული ახსნა ეძებნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ თავში, სხვა თავებთან შედარებით, მეტად მიმართავს იოანე პეტრიწი პარალელებს ქრისტიანული იდეოლოგიიდან. ჯერ დამოწმებულია პავლე წინასწარმეტყველი, მისი შეხედულება მამის და ძის მიმართებაზე. შემდეგ მოხსენებულია ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები ყრმის მამისაგან წარმოშობაზე. შობილსა და მშობელზე და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ამ თავში აშკარა და შეუნიღბავი ქრისტოლოგიური დებულებებია მოცემული იოანე პეტრიწის მიერ. ჩვენის აზრით, სწორედ ამ გარემოებაში მიიპყრო შენიშვნის ავტორის ყურადღება, რომელიც გაწაფული თეოლოგი თუ არა, ყოველ შემთხვევაში მართლმადიდებელი მოაზროვნე იყო. ამიტომ მისთვის განმარტებათა ეს თავი სხვებისაგან გამორჩევით მოსაწონი იყო და ამ მოწონების ნიშნად გააკეთა შენიშვნა: ეს თავი სხვაზე მეტად ხსნის კავშირთა გადაბმულობას. ქრისტიანულ-თეოლოგიური პარალელის მოტანა პროკლეს ტექსტის განსამარტავად მისთვის სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან ამით შედარებით კარგად იხსნება პროკლეს ელემენტთა კავშირი.

ასეთია პეტრიწის ტექსტზე დართული შენიშვნის რაობა და დედააზრი. როგორც დავინახეთ, მასში მოცემულია იოანე პეტრიწის ტექსტის ერთ-ერთი კომენტატორის მიერ პეტრიწის შემოქმედებითი ნააზრევის მართლმადიდებლური აღმსარებლობის თვალთახედვით შეფასება.

ამრიგად, ამ შენიშვნის საფუძველზე მომდევნო საუკუნეების სააზროვნო სისტემაში იოანე პეტრიწის შრომის ოფიციალური დევნის რაიმე სურათი არ დასტურდება.

М. А. РАПАВА

## ОТНОСИТЕЛЬНО ОДНОЙ ЗАМЕТКИ К «КОММЕНТАРИЯМ» ИОАННА ПЕТРИЦИ

(Резюме)

Грузинский текст «Богословских элементов» Прокла Диадоха и «Комментариев» Иоанна Петрици в рукописях имеют приписку, которая дает сведения для определения дальнейшей судьбы творческого наследия Иоанна Петрици.

В рукописи А-69 имеется заметка комментатора позднего времени, которая дает определенную оценку попыткам Иоанна Петрици присовокупить неоплатонические философские установки к христианской идеологии.

Последнюю фразу приписки „*ḳavširta ḳruleba*“, которая привлекала внимание исследователей творчества Иоанна Петрици, следует понимать не как анафему над книгой Петрици, а как «связь элементов», которую раскрывают комментарии Петрици.

---



ლილი ჟუთათელაძე

ს.-ს. ორბელიანის კონფესიური შეხედულებანი მისი  
ლექსიკონის მიხედვით

ვინც კი სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობას შეხებია, თითქმის არავის არ დარჩენია ყურადღების გარეშე საკითხი მისი დამოკიდებულებისა კათოლიკურ სარწმუნოებასთან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საბას მსოფლმხედველობასთან, მის პოლიტიკურ ორიენტაციასთან.

პროფ. ალ. ცაგარელი, თავის 1873 წელს გამოცემულ წიგნში<sup>1</sup> იძლევა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს საბას შესახებ. მისი აზრით საბამ კათოლიკობა მიიღო საზღვარგარეთ, ხოლო იგი უარყო სიკვდილის წინ: «... Последние дни свои монах Саба провел в Москве у царя Вахтанга VI<sup>2</sup> (!) и умер в глубокой старости, отрекшись перед смертью от католической веры, которую он прельстился во время своего путешествия на западе...»<sup>3</sup>.

სამი წლის შემდეგ, ალ. ცაგარელი კვლავ აწვდის მკითხველს ს.-ს. ორბელიანის ბიოგრაფიას, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მეტ სიფრთხილეს იჩენს, და მისი ცნობები არ სცილდება ლექსიკონში მოთავსებულ Curriculum vitae-ს. თავის მხრივ კი დასძენს: «... Не мало вопросов первой важности остается неразрешенными в его биографии, напр., его частная жизнь и общественное положение до поступления в монахи, предположение об отречении его от католичества и др., на которые имеющийся материал не дает удовлетворительных ответов. В том, что он принял католичество, едва ли можно сомневаться!».

პროფ. ალ. ხახანაშვილი, ეხება რა კათოლიკობის გავრცელების ისტორიას საქართველოში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, იძლევა ამ მოვლენის ხელისშემწყობი პირობებისა და მისი შედეგების ფართო ანალიზს. მხოლოდ საბას დამოკიდებულებას კათოლიციზმთან იხსენიებს გაკვირვებით:

<sup>1</sup> А. Ц а г а р е л и, О грамматической литературе Грузинского языка, Санкт-Петербург, 1873.

<sup>2</sup> საბამ უკანასკნელი დღეები გაატარა არჩილ მეფის სასახლეში. მიიცვალა 67 წლისა, დაკრძალულ იქნა დარჯან ბატონიშვილის (არჩილის ასულის) მიერ აგებულ „ესეხსენიატსკოეს“ ტაძარში. ამის შესახებ მოგვეპოვება მეტად სანდო ცნობა, საბას თანხლები ძმის, ზო ს ი მ ე ს ხელით დაწერილი (იხ. А—75; ლ. ჟუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 37, 13).

<sup>3</sup> ალ. ცაგარლის დასახელებული წიგნი.

<sup>4</sup> Книга Мудрости и Лжи Саввы-Сулхана Орбелиани, перевод и объяснения А. Цагарели, 1878.

«Они (მისიონერები, ლ. ქ.) склонили на свою сторону Вахтанга VI, монаха С. С. Орбелиани (в 1709 г.) плодовитого писателя и Антония I католикаса Грузии...»<sup>5</sup>.

აღ. ხახანაშვილი აქვე იხსენიებს ვახტანგ VI წერილს ლუდოვიკო XIV-სთან (რომელიც საბამ წაიღო საფრანგეთში) და მიუთითებს, რომ იგი იხანება რომის არქივში. ხოლო ვახტანგის ერთ-ერთ წერილს ამავე (კათოლიკობის გავრცელების) საკითხზე, იმოწმებს მ. ბროსეს მიხედვით<sup>6</sup>.

საერთოდ კი, აღ. ხახანაშვილის ქართული ლიტერატურის ისტორიის III ნაკვეთის გამოცემის დროს (1901 წ.) ასე ფართოდ არ იყო ცნობილი Propaganda Fide-ს მასალები, რომლის დიდი ნაწილი გამოსცა მ. თამარაშვილმა 1902 წელს<sup>7</sup>.

აკად. კ. კეკელიძის შეხედულებით საბამ, კათოლიკური სარწმუნოებისადმი აღრევე სიმპატიურად განწყობილმა, საბოლოოდ და ფორმალურად კათოლიკობა მიიღო ევროპაში. მოტივი ამ ნაბიჯისაო, ამბობს მკვლევარი, იყო „... მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრება, რათა თავისი საქმისადმი უფრო მიეპყრო პაპისა და აღმოსავლეთში კათოლიკეთა მფარველის საფრანგეთის კოროლის ყურადღება“<sup>8</sup>.

გ. ლეონიძემ მის მიერ გამოცემული წიგნის „სიბრძნე სიცრუისას“ წინასიტყვაობაში მიმოიხილა რა კათოლიკობის გავრცელების ისტორია საქართველოში, პირველმა დაიმოწმა მისიონერი პატრების მიერ რომში გაგზავნილი მოხსენებები საბამს გაკათოლიკებასთან დაკავშირებით და, რაც მთავარია, მისი აღმსარებლობითი შინაარსის მატარებელი თხზულება „სამოთხის კარი“ ანუ საქრისტიანო მოძღვრება...<sup>9</sup>

გ. ლეონიძე აღნიშნავს: „... რომის ეკლესიის ორიენტაცია მას უნდა მიეღო 1692 წელს; ევროპაში წასვლამდე საბამ ყოფილა ნომინალური კათოლიკე, იგი ფართულად აღიარებდა კათოლიციზმს... ხოლო სანაზილის მონასტერში საბამს მიერ კათოლიკეთა აღსარების ტქმა უნდა მივიღოთ, როგორც კანონიზაცია კათოლიციზმში გადასვლისა...“<sup>9</sup>.

ამავე თხზულების 1938 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში გ. ლეონიძე ასკვნის: „... საკითხი კათოლიკობისა საბამსთვის იყო საკითხი პოლიტიკური ორიენტაციისა...“ და რომ ქართული ეკლესიის რომთან შეერთებით „საბამს ისევე, როგორც ქართველ მოწინავე წრეებს, იმედი ჰქონდა საქართველოს ირანისა და ოსმალეთის მუდმივი მონობისაგან განთავისუფლებისა“...<sup>10</sup>

პროფ. აღ. ბარამიძე უკანასკნელ წლებში გამოცემულ მონოგრაფიაში<sup>10</sup> საბამს გაკათოლიკებასთან დაკავშირებით განიხილავს როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებებს, ასევე იმოწმებს პატრების

<sup>5</sup> А. С. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, выпуск 3-й, Москва, 1901.

<sup>6</sup> Brosset, Bibliogr. analitique, № 18.

<sup>7</sup> მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ავტორის მიერ გამოცემული, ტფილისი, 1902.

<sup>8</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 347—348.

<sup>9</sup> ს. -ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიბრძნე სიცრუისა, გამოცემული გ. ლეონიძის მიერ, 1928.

<sup>10</sup> აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959.



რომთან მიმოწერას<sup>11</sup> და „სამოთხის კარის“ იმ რედაქციას, რომელიც როპაში გამგზავრების წინ არის გადამუშავებული და რომელშიაც მოცემულია კათოლიკური აღსარების რამდენიმე დოგმატი. პროფ. ალ. ბარამიძე ისევე, როგორც სხვა ზემოთ დასახელებული მკვლევრები, თვლის, რომ „... სულხან-საბა ორბელიანისთვის ქრისტიანული აღმსარებლობის საკითხი უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს. მისი პოლიტიკური სიმპათიები დიდხანს დასავლეთისაკენ იყო გადახრილი, ამდენადვე იხრებოდა იგი კათოლიკობისაკენ აღმსარებლობის სფეროში...“ პროფ. ალ. ბარამიძის აზრით, „სულხანი დავითგარეჯის უდაბნოში ბერად აღიკვეცა, როგორც ე. წ. მართლმადიდებელი ქრისტიანი. დავითგარეჯის მონასტერში შეთხზა მან „სამოთხის კარის“ პირველი რედაქცია, რომლისთვისაც უცნობია კათოლიკური აღმსარებლობის ტენდენცია“. ამდენად იგი საბას გაკათოლიკების თარიღად დებს 1713 წელს, როდესაც საბამ შეადგინა „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია და ემზადებოდა ევროპაში გასამგზავრებლად.

მკვლევარმა ივ. ლოლაშვილმა წიგნში „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“ (1698—1713 წწ.) სპეციალური თავი უძღვნა საბას რელიგიურ მსოფლმხედველობას (საბა ორბელიანის რელიგიური მსოფლმხედველობა და „სამოთხის კარი“)<sup>12</sup>. მან გამოავლინა ხელნაწერთა ფონდებში დაცული საქრისტიანო მოძღვრების, ანუ „სამოთხის კარის“ 21 ნუსხა და მათი შედარებითი შესწავლით დაადგინა ამ თხზულების ოთხი რედაქცია. „სამოთხის კარი“ ავტორს შეუდგენია მოძღვართათვის სახელმძღვანელოდ და „უსწავლელ ბერთა და ყრმათათვის სასწავლებლად“. უკანასკნელთ კითხვა-მიგების პრინციპით აგებული ეს თხზულება წარმოადგენას აძლედა ქრისტიანულ დოგმებსა და სამღვდელმსახურო წესებზე; ხოლო მკვლევართ ამ თხზულების ოთხი რედაქციის თვალის გადავლება საშუალებას აძლევს მასში დაინახოს ავტორის რელიგიური მრწამსის ცვლის პროცესი.

ამ ნარკვევის მიზანია სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკების შესახებ არსებულ ცნობებს დაუმატოს მისივე ლექსიკონიდან ავტორის რელიგიური მსოფლმხედველობის ამსახველი, დღემდე გაუთვალისწინებელი მასალა, და ამ უკანასკნელის საფუძველზე გააკეთოს ზოგიერთი დასკვნა.

წერილები და მოხსენებები მისიონერ პატრებისა, გიორგი XI-სა და თვით საბასი მიუთითებენ იმაზე, რომ უკანასკნელნი საიდუმლოდ აღიარებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას და მოწადინებული იყვნენ შეერთებოდნენ რომის ეკლესიას. მაგალითად, საქართველოს მისიონის უფროსის ჯუსტინო ლივორნელის ცნობით მის წინაშე 1686 წ. 7 დეკემბერს კათოლიკური აღსარება წარმოუთქვამს გიორგი XI-ს, ხოლო 1687 წლის 7 ნოემბერს მისგანვე რომში გაგზავნილ მოხსენებაში ახლად გაკათოლიკებულ ქართველთა შორის დასახელებულია: „ბატონი სულხან, შვილი დიდი მინისტრისა, ბიძაშვილი მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფ-“

<sup>11</sup> მ. თამარაშვილი, კათოლიკობის ისტორია, პატრი ჯუსტინო ლივორნელის წერილი კარდინალებთან, გვ. 263.

<sup>12</sup> ივ. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698—1713 წწ.), 1959, გვ. 104—131.



ლ ა ნ ი ა ნ თ ი...“ აქ ნათქვამია: „ამან მიიღო კათოლიკობა 15 აგვისტოს, 1687 წ...“<sup>13</sup>.

მიუხედავად ამ ცნობისა, კამათის საგნადაა ქცეული საკითხი საბას გაკათოლიკების თარიღის შესახებ. ეს გარემოება უკავშირდება საბას ბერად აღკვეცის ფაქტს (1698 წელს), რაც კათოლიკურ აღსარებაზე გადასულისათვის შეუთავსებლად მიჩნეული.

მკვლევარნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბას გაკათოლიკება გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით (კ. კეკელიძე), რომ საკითხი საბას გაკათოლიკებისა, უმთავრესად, პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნებოდეს და არა ვიწრო რელიგიური მისწრაფებებით (გ. ლეონიძე).

იმდროინდელი (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XVIII-ის დამდეგის) ქართველი მოწინავე წრეების პოლიტიკური ორიენტაცია იწვევდა ევროპისაკენ. მათი შეუხედელებელი სურვილი იყო: ძლიერი სახელმწიფოს საფრანგეთის მეშვეობით საქართველო განთავისუფლებულიყო აღმოსავლეთის ბატონობისაგან. საფრანგეთთან დაკავშირება ამ ქვეყნის რელიგიური მსოფლმხედველობის ნიადაგზე დგომასაც გულისხმობდა.

სულხან ორბელიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც იზიარებდა დასავლურ ორიენტაციას. ის რომ საბამ, თუნდაც საიდუმლოდ გაკათოლიკებულმა, იმ არეულ დროში თავი შეაფარა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს, ლოგიკურია. ის იქ უნდა დარჩენილიყო იმ დრომდე, ვიდრე დადგებოდა შესაფერისი ამინდი თავისი პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაციის გამოქვეყნებისა.

მართლაც, ჩვენ ვიცით, დადგა თუ არა ასეთი მომენტი, საბა განშორდა მონასტერს და იკისრა ყველაზე რთული მისია სახელმწიფო მოღვაწისა — ევროპაში ფართულად გამგზავრება თავისი ქვეყნის საფრანგეთთან დასაკავშირებლად და მისი დახმარებით ვახტანგ VI-ის გამოსახსენებლად სპარსეთის ტყვეობისაგან.

საბას სამონასტრო ცხოვრება მრავალმხრივი იყო. იგი ბერების დასამოძღვრად წარმოთქვამდა (სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით) მორალისტური მოტივების შემცველ ქადაგებებს და მოუწოდებდა მონასტრის „ძმებს“ ზომიერებისაკენ ცხოვრების სხვადასხვა უბანზე<sup>14</sup>.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საბამ ამავე მონასტერში შეადგინა საქრისტიანო მოძღვრება „უსწავლელ ბერთა და ყრმათათვის სასწავლად“. ამ თხზულების პირველ რედაქციაში (რომელიც თარიღდება 1701 წლით), როცა ავტორი ეხება აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების სადავო დოგმატს სულიწმიდის გამოსვლის შესახებ, იჭერს ნეიტრალურ პოზიციას და აღიარებს სულიწმიდის მხოლოდ გამოსვლის ფაქტს და არ აღნიშნავს ვისვან

<sup>13</sup> მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, კათოლიკობის ისტორია საქართველოში... გვ. 26.

<sup>14</sup> „...არა გეტყვ არა სმასა, არა ჭამასა, ანუ შიმშილითა მოყუმობასა, გეტყვ ლხინსა არა ბრალანსა, ჭამასა უნაყოფნოსა და სმასა დაუთრობელსა...“ ანდა: „...ნუ ჰკონებთ, თუ ეტყოდენ არა ჩაცმასა, არცა დახურვასა, არა კეთილთა შემოსასა, ღინა შიმშლობითა ვლასა უპატიურად, არამედ გეტყვ ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არა ვალითა, მოკაზმასა არა ნატაციებითა, შემოსასა არა ქვრივთა და ობოლთა ნაჭარკვთა; სამკაულთა შესხმასა არა ანგარებითა, არამედ ყოველთა სიმართლითა:..“ (A—479, გვ. 599—603); ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 102—103.



გამოდის იგი, მამისაგან თუ მამისა და ძისაგან<sup>15</sup>. ასეთი თავდაჭერილი პასუხი, რაც გააზრებული ჩანს უფრო ზელსაყრელი მერმისისათვის, მიუთითებს იმაზე, რომ „საქრისტიანო მოძღვრების“ (ანუ „სამოთხის კარის“) პირველი რედაქციის შედგენის დროს (1701 წ) საბა უკვე კათოლიკე ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არაფერი დაუშლიდა, აღენიშნა სულიწმიდის მხოლოდ მამისაგან გამოსვლა. ეს ზომ დაადასტურებდა მის მართლმადიდებლობას სრულიად ბუნებრივ გარემოში. 1713 წელს, როცა საბას ევროპაში გაგზავნის იდეა მომწიფდა, და მის საიდუმლო აღსარებას ფარდა უნდა ახდოდა, მან თავისი „საქრისტიანო მოძღვრება“ გადაამუშავა. პირველ რედაქციაში შეგნებულად გვერდაკლილი დოგმატი (პაპის პრიმატობა) ჩაუმატა და სულიწმიდის გამომავლობის საკითხიც კათოლიკური თვალსაზრისით გააშუქა.

სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკური შეხედულებანი გამოიხატა არა მხოლოდ ამ სარწმუნოების ორი დოგმატის აღიარებაში<sup>16</sup>. ამ საკითხზე შევჩერდებით ქვემოთ.

ქრისტიანობის დამყარებიდან IX საუკუნემდე მთელ მსოფლიოში არსებობდა ერთი ქრისტიანული ეკლესია, რომელსაც ეწოდებოდა მსოფლიო ანუ კათოლიკე ეკლესია. IX საუკუნიდან დაიწყო და XI-ში დასრულდა მისი გათიშვა ორ ნაწილად: დასავლურად და აღმოსავლურად (ძველი სახელწოდება გაყოფის შემდეგ შეინარჩუნა დასავლეთისამ, რომლის სინონიმებია: ლათინური, რომაული). პირველი იმით განსხვავდება მეორისაგან, რომ იგი აღიარებს:

1. სულიწმიდის გამოსვლას ძისაგანაც (ე. ი. არა მარტო მამისგან, როგორც ეს აღმოსავლურშია).
2. პაპის პრიმატობას.
3. ღვთისმშობლის უცოდველობას (მისი ბუნების შეუხებლობას ცოდვებისაგან).
4. აღამიანის კეთილმოქმედებას, როგორც დამსახურებას ღვთის წინაშე, რომ შესაძლოა მეტის გაკეთება, ანუ ზესავალდებულო დამსახურების მოპოვება.

და სხვა...<sup>17</sup>.

ზესავალდებულო დამსახურების მოპოვებასთან არის დაკავშირებული კათოლიკური სწავლა ინდულგენციებისა და განსაწმედელის (Purgatorium) შესახებ.

რას წარმოადგენს „განსაწმედელი“, რომელსაც არ იზიარებს მართლმადიდებელი ეკლესია? ეს არის განსაკუთრებული სამყოფელი სამუდამო ჯოჯოხეთის წინ, სადაც თავსდება მონანულთა ის სულები, რომელთაც არ მოუხწრიათ ჩადენილი ცოდვის შედეგად დაკმაყოფილების მიღება ან მისი

<sup>15</sup> ივ. ლოლაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

<sup>16</sup> „ბასილიელი კათოლიკებისათვის საკმარისი იყო ელიარებიანთა რომის პაპის პრიმატობა და მიედოთ კათოლიკური დოგმა—სულიწმიდა გამოსულია მამისაგან და ძისაგან“ (ივ. ლოლაშვილის ნაშრომი, გვ. 119).

<sup>17</sup> Полный православный богословский энциклопедический словарь.

(ცოდვის) მონანიება. ქრისტიანული წარმოდგენა ჯოჯოხეთზე იქცა თეოლოგიის შესწავლის საგნად. მართლმადიდებლური ეკლესიის რწმენით ჯოჯოხეთში წამება მუდმივია. კათოლიკურის მიხედვით კი — ჯოჯოხეთი იყოფა საკუთრივ (მუდმივ) ჯოჯოხეთად და ღროებით ჯოჯოხეთად ანუ განსაწმედელად. ამ უკანასკნელიდან ცოდვილთა სულელები შეიძლება იქნან გამოსყიდულნი რომის ეკლესიის დაცვა-მფარველობით<sup>18</sup>. „განსაწმედელის“ არსებობის გაზიარება ნიშნავდა კათოლიციზმის ნიადაგზე დგომას. ირკვევა, რომ ს.-ს. ორბელიანი აღრიდანვე აღიარებდა კათოლიკურ სწავლას „განსაწმედელის“ შესახებ. მისი წერილობითი და გრაფიკული ასახვა სულხან ორბელიანმა მოკვცა არა სასულიერო ხასიათის თხზულებაში, არამედ ლექსიკონში.

საბა თავისი ლექსიკონის მოკლე რედაქციის ნუსხებში გვაწვდის ჯოჯოხეთის ოთხი სფეროს სქემატურ ჩანახაზს და მათი მოცულობის რიცხვობრივ მაჩვენებლებს<sup>19</sup>. მომდევნო, გადამუშავებული რედაქციიდან (B)<sup>20</sup>, რომელსაც კონსტანტინოპოლურს ვუწოდებთ, ამოღებულია „სივრცის ზომები“ და ნახაზი. მით უფრო მათ ვერ ვპოულობთ ლექსიკონის ვრცელი რედაქციის ნუსხაში<sup>21</sup>. აქ დატოვებულია მხოლოდ ცნების განმარტება:

**ჯოჯოხეთი** (14,9 ესაია) ქუეყანის ქუეშე ოთხნი სფერონი არიან: გარეგანი სფერო — მამამთავართ დილეგი, მას შიგნით სფერო — უნათლავთ ჩჩვილთ საპყრობილე, მას შიგნით სფერო სალხინებელი ჯოჯოხეთი და შიგნით მეოთხე — საუკუნო ჯოჯოხეთი გამოუხსნელი.

ამ განმარტებაში მოცემულია მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მიუღებელი სწავლა ჯოჯოხეთის შესახებ, რადგან დაშვებულია „განსაწმედელის“ არსებობა. თუ რას წარმოადგენდა იგი, ამის შესახებ ვკითხულობთ ამავე ლექსიკონში:

**განსაწმედელი** რომელ არს სალხინებელი, სადა არს მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი.

როგორც ვნახეთ, ლექსიკონის ავტორმა ერთგან (ცნებასთან ჯოჯოხეთი) აღნიშნა, რომ საუკუნო, გამოუხსნელი ჯოჯოხეთის წინ არსებობს განსაწმედელი, მეორეგან (სალექსიკონო ერთეულად გატანილ „განსაწმედელთან“) კი მოხერხებულად განუმარტა მკითხველს მისი დანიშნულება. საბა, განსაწმედელის განმარტებისას გვერდს უვლის მისთვის დამახასიათებელი, ამომწურავი ცნობების მიწოდებას მკითხველისათვის. იგი ამ შემთხვევაში მას არ აცნობს, — ლექსიკონში განმარტებული ცნება რომელი ეკლესიის აღსარებისაა. ლექსიკონის ავტორი, ცხადია, ამ ხერხს მიმართავს, სრულიად შეგნებულად<sup>22</sup>. მიუხედავად ამისა, საბას ლექსიკონით მოსარგებლეთ, გადამნუსხავთ თუ კომენტატორებს შეუფხინეველი არ დარჩენიათ ლექსიკონის ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

<sup>18</sup> Философская энциклопедия института философских наук АН СССР, 1960.

<sup>19</sup> ქუთ. № 300, Q—400, H—95.

<sup>20</sup> H—1658.

<sup>21</sup> A—1473, A—75, H—1429; იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 65.

<sup>22</sup> „განსაწმედელი“ ცალკე ლექსიკურ ერთეულად, მოკლე რედაქციის, ე. ი. 1713 წლამდე ჩამოყალიბებულ ლექსიკონის ნუსხებში არ გვხვდება. კონსტანტინოპოლურში (H—1658) შეტანილია ამ ცნების სინონიმი — სალხინებელი, რომელსაც მიწერილი აქვს იტალიური შესატყვისი — ილფუგატორიო (Purgatorium) და სომხური — ქავარანქ, რაც ცოდვილ სულთა მოსანანიებელი ადგილის ანუ განსაწმედელის აღმნიშვნელია.





დავით რექტორი საბას ლექსიკონის იმ ცალში, რომელიც თვითონ დააწერა და შეავსო, „განსაწმედელის“ განმარტებასთან შენიშნავს:

„საბავ, ეს კი დაგიწერია, მაგრამ ღმერთმან ჩვენ დაგვიფაროს ამის აღსარებისაგან“<sup>23</sup>.

საბას ლექსიკონის ერთ-ერთი შემვსები გრიგოლ ზუგრუბის ძე წერეთელი ლექსიკოგრაფის იმავე განმარტებას ასე ეხმაურება:

„ეს აღმოსავლეთის ეკლესიის წინააღმდეგომი ჰაზრია...“ წინადადება დაუმთავრებელია. იგი დასრულებულად ჩაითვლება ერთი ასოს „ა“-ს მიმატებითაც კი (... წინააღმდეგომი ჰაზრია).

კომენტატორს მეტის თქმა უნდოდა ალბათ, მაგრამ ლექსიკონის ავტორისადმი მოკრძალებამ მას სიტყვა გააწყვეტინა.

იოანე იალღუზის ძე, რომელსაც საბას ლექსიკონის სამი ცალი გადაუწერია<sup>24</sup>, ჯოჯოხეთის საბასეულ განმარტებას სამივეგან ურთავს შემდეგ კომენტარს:

„პრომაელნი<sup>25</sup> ასრე იტყვიან და ასე განმარტებენ, ხოლო ჩვენ, ბერძენნი<sup>26</sup>, ესრეთ აღვიარებთ ორსა ადგილსა. ერთსა წყალობისასა — მართალათვს და მეორესა რისხვასა—ცოდვილათვს: და ქრისტემან ღმერთმან, ჯოჯოხეთად შთასრულმან, ამოიყვანნა მუნით შორ-წმუნენი, **ფს[ალმ.] 29,3**<sup>27</sup>.

საბას „სამოთხის კარს“, როგორც ცნობილია, ანტონ I-მა ჯოჯოხეთის ბჭე უწოდა მასში აღიარებული კათოლიკური დოგმების გამო. ამ თხზულების („სამოთხის კარი“-ს) ავტოგრაფი (1713 წელს გადამუშავებული, მეორე რედაქცია — A—303) საბამ თან წაიღო რუსეთში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზ ორბელიანმა ძმის სახელის რეაბილიტაციისათვის ეს თაზულება გაწმინდა კათოლიკური სარწმუნოების დოგმებისაგან და მართლმადიდებელთათვის სახმარ წიგნად აქცია. ძმის ავტოგრაფი კი შეინახა. ალბათ,

<sup>23</sup> Q—401; ა. დავით რექტორს ეს ნუსხა გადაწერილი აქვს ლექსიკონის იმ რედაქციიდან (A—ვრცელი), რომელშიც საბას არ გადაუტანია ჯოჯოხეთის „სიერცის ზომები“ და ჯოჯოხეთის სქემა. დავით რექტორი მის მიერ გადანუსხულში (Q—401) ტოვებს ჯოჯოხეთის საბასეულ უკანასკნელ განმარტებას (განსაწმედელით), ხოლო ურთავს სქემას, იმავე „განსაწმედელის“ გამოკლებით (!). ლექსიკონის ავტორისაგან უკვე უარყოფილ ჯოჯოხეთის „მოცულობის ზომებსაც“ ათავსებს სქემის სამ სფეროში. ამასთანავე, აქვე კიდევ აკეთებს შენიშვნას:

„რექტორმა დავითმან ახლა შევქმენ ესე ნაკვეთი სიმგრგულისა (ე. ი. სქემა ჯოჯოხეთისა, ლ. ქ.), კვლავ სხვას ქართულს ლექსიკონში ამის მეტად არა ნახულა და არცა სადა გავიწილა“. ამ განცხადების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ დავით რექტორს საბას მოკლე რედაქციის ლექსიკონი არც უნახავს და არც სცოდნია მისი არსებობა(?).

ბ. ქართული ლექსიკონის II გამოცემაში (1928, ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის) ცნებასთან ჯოჯოხეთი დაბეჭდილია დავით რექტორის სქემა ანუ ნაკვეთი (როგორც თვითონ უწოდებს) და არა საბასის (შდრ. Q-401-ს).

<sup>24</sup> ქუთაისის მუზეუმის ხელნაწ. № 72; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა H—202; სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყ., ი. ბ. კოლექცია, № 253.

<sup>25</sup> პრომაელნი, ანუ დასავლური, კათოლიკური ეკლესიის აღსარებაზე მდგომნი.

<sup>26</sup> ბერძენნი, ე. ი. აღმოსავლური, მართლმადიდებლური ეკლესიის აღმსარებელნი.

<sup>27</sup> დასახელებული წყაროს 29,4-ში (და არა 3-ში) იკითხება: „უფალო, აღმოიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი და მიკენ მე მათგან, რომელნი შთაეღუნან მღვიმეს“.



საოჯახო არქივში. დროთა განმავლობაში აღნიშნული საბას ავტოგრაფი მოხუცობის ვედრილა პეტერბურგში და ხელთ ჩავარდნია იონა ხელაშვილს. იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია რომის პაპის ქრისტეს მონაცვლეობაზე ამ ქვეყნად, კიდევ მიუწერია:

„ნუ ვინ ხადი მამათ და თავად, რამეთუ ერთ არს მამა-ღმერთი და ძე მისი იესო ქრისტე, თავ და სიძე ბუნებითი სძალისა წმიდისა, რომელ არს ეკლესია ღვთისა ცხოველისა და არა კაცისა მოკვდავისა. იონა მდ[ვდელ]-მონ[აზონი]“<sup>28</sup>.

იონა ხელაშვილის ამ კომენტარში მოცემულია მართლმადიდებლური მრწამსი და მხილებულია კათოლიკური. ხაზგასმულია ის, რომ წმინდა ეკლესიის „მამათ და თავად“ არ შეიძლება იყოს კაცი მოკვდავი, ე. ი. რომის პაპი. ამის შემდეგ, როცა კათოლიკური სწავლის პროპაგანდა იონა ბერ-მონაზონს ჯოჯოხეთის განმარტებაშიც შეუნიშნავს, ისიც ყველასათვის სახმარ საყოველთაოდ აღიარებულ ლექსიკონში, აქ უკვე თავშეუქცეებლად უმხელია სახელოვანი თანამემამულე:

„იხილე ესე ოთხნი ადგილნი ლათინთა აზმნობა, რომელნი შემოუხვამს აქარე გალათინებულსა საბა გარდატეხილსა. ამაღ არა ჯერ არს აღმოკითხვაცა ტუნისაგან მოგონებულისა ოთხთა ადვილთა, ე. ი. ოთხთა ჯოჯოხეთთა, გარეშე სალოთ წერილთა მოგონებულისა. იონა“<sup>29</sup>.

საბას მიერ „განსაწმედელის“ აღიარებასთან დაკავშირებული, ზემოთ მოტანილი კომენტარები განეკუთვნება XIX საუკუნის დამდეგს 30-იან წლებამდე. ამათ გარდა მოგვეპოვება ბევრად ადრეული, ალევორიულად გამოთქმული შენიშვნა ამავე საკითხზე.

ლექსიკონის მოკლე რედაქციის ერთ-ერთ ავტოგრაფულ ნუსხაში, ცნებასთან ჯოჯოხეთი (სადაც მის განყოფილებათა მოცულობაზეა ლაპარაკი), კიდევ ტექსტის ხელით მიწერილია:

„მზომელს ადლი რატომ არ დაეწვა“.

ამ მინაწერის ქვემოთ, მის საპასუხოდ, მეორე შემდეგი შინაარსის მინაწერია გაკეთებული:

„თმა და წვერი უფრო მოეტუხებოდა საბასა სალხინებელში“.

ეს რბილი, მაგრამ მახვილი იუმორით შეზავებული წენიშვნის შენიშვნაც მიუთითებს ლექსიკონის ავტორისაგან „განსაწმედელის“ აღიარებაზე. იგი ეკუთვნის საბას ლექსიკონის პირველ შემფასებელ კომენტატორს — ვახტანგ VI-ს<sup>30</sup>.

<sup>28</sup> ივ. ლოლაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 127—128.

<sup>29</sup> ა. H—1736 (მელქისედეკ კავკასიის მიერ 1756 წ. გადაწერილი ნუსხა).

<sup>30</sup> ბ. იონას ამ კომენტარს მიწერილი აქვს პლატონ იოსელიანის ხელით: „რომელიცა (იონა, ლ. ქ.) ბერ-მონაზონად გარდაიცვალა პეტერბურღს წ. 1838-ს, პლ[ატონ] იოს[ელიანი].“

<sup>30</sup> ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახელებული წიგნი, გვ. 66.

ეს შენიშვნა, რომელიც პირველად უსვამს ხაზს „სალხინებელის“ კათოლიკურობას, ხოლო ლექსიკონში მისი შემტანის კათოლიკობას, ეკუთვნის ადამიანს, რომელიც ამ თვალსაზრისს არ იზიარებს. ამ დროს ვახტანგის პოლიტიკური ორიენტაცია, მსგავსად მამისა, ბიძებისა და აღმზღდელისა,





საბასა და ვახტანგის თანამშრომლობის რომელი პერიოდისა უნდა იყოს აღნიშნული მინაწერები?

მათი შემცველი ლექსიკონის ნუსხა (ქუთ. № 300) ერთ-ერთი ადრეულ-თავანია. პირველი, ავტოგრაფული მინაწერიც მისი გადამუშავება-გადაწერის თანადროულია, ე. ი. თავსდება 1700—1706 წ-წში<sup>31</sup>. მეორეც დაახლოებით ამავე პერიოდისაა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ვახტანგი პირველი წამკითხველ-შემფასებელი იყო ლექსიკონის გადამუშავებული ცალბეისა<sup>32</sup>.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ლექსიკონის უადრეს ავტოგრაფს (H—416, ერთ პირველთავანს) ბოლო ფურცლების კლების გამო ჯ-ს მასალა არ შემოუნახავს, მაშასადამე, არც ჯოჯოხეთის განმარტება მისივე სტუმით (ნახაზით). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „სქემების“ სისტემა ლექსიკონში საბას თავიდანვე შეუტანია, და რომ სწორედ აქ უადრეს ნუსხაში ვპოულობთ „ქვეყნისა“ და „ქართა“ რთულ სქემებს<sup>33</sup>, მაშინ სრულიად დასაშვებია იქნებოდა აქვე (H—416) ასახულიყო ჯოჯოხეთის სქემაც და მისი იმგვარევე განმარტება, როგორცა გვაქვს მომდევნო (1700. . 1706 წწ.), და საერთოდ, მოკლე რედაქციის ნუსხებში. ვინაიდან ლექსიკონია ეს უადრესი ავტოგრაფი თარიღდება XVII საუკუნის 80-იანი წლებით (1685... 1698)<sup>34</sup>, მასში კი ივარაუდება ჯოჯოხეთის განმარტება და სქემა „განსაწმედელით“, შეგვიძლია დავასკვნათ: სულხან ორბელიანი ამ დროს (XVII საუკუნის 80-იან წლებში) კათოლიკური აღსარების არა მხოლოდ თანამგობნობი ყოფილა; არამედ მის სწავლათაგან თვალსაჩინო — „განსაწმედელის“ მალიარებელი და სამეცნიერო ლიტერატურაში დამნერგავი. მაშასადამე.

მიპყრობილი იყო ევროპისაკენ, მაგრამ კათოლიკური აღსარება მას ჯერ კიდევ საიღმუროდაც არ ჰქონდა მიღებული. ამაზე მიუთითებს შემდეგი შიშოწერა:

1714 წლის 20 თებერვალს ვახტანგი სწერდა საბას: „... ახლა კი გპირდები, რომ მომავალში, რაც შემიძლია, კარგად მოვეპყრა ყველა ფრანკუზებს და მათ მეგობრებსაც... ვნუგეშობ თქვენს მშვიდობით მისვლას საფრანგეთსა, სადაცა იმედი მაქვს ნახოთ ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი და ყველაზე გულუხვი მეფე, ევროპის საუკეთესო აღყვავებული მთავრობა; ვგრეთვე ნახოთ, რაც უფრო განსაკუთრებით ყურადს ღებთ აქვს მაგ მეფესა და მის სამთავროს ღირს ერსა, რომელიც მორწმუნეა და დიდად მოწადინებულია იესო ქრისტეს, უფლის ჩვენის, სარწმუნოების გასაერცვლებლად...“ (მ. თ ა მ რ ა შ ე ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 316—317).

ხოლო ამავე წელს (1714) 24 ივნისს საკრიზანტი პრეფექტი რომის კურიაში ატყობინებდა საბას მონათხრობს: „საფრანგეთის სამეფო კარიდან რომში დაბრუნებული პატრი სულხან-საბა, წმინდა ბასილის წესის კათოლიკე ბერი, საქართველოს პროვინციის საორბელოს ბატონი და საქართველოს მეფის თუ მთავრის ვახტანგის ახლო ნათესავი, მოახსენებს თქვენს მაღალსამღვდელოებას (კარდინალებს, ლ. ქ.). ხსენებული მთავარი, მისი (საბას, ლ. ქ.) ნათესავი, რომელიც ამჟამად სპარსეთის კარზე იყოფება და თავის სახელმწიფოში დაბრუნების უფლება არა აქვს, მზადაა კათოლიკე ვახდეს. ...სპეციალურად უნდა იზრუნონ საქართველოში იმ მთავრის დაბრუნებისათვის. გადაწყვეტილება [აქვს მას], რომ თავის სახელმწიფოში დაბრუნებისას მიიღოს და აღიაროს კათოლიკობა...“ (გამოქვეყნებულია ბ ე ქ ა ნ გ ი ო რ გ ა ძ ი ს მიერ პირველად, „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 125, 1959).

<sup>31</sup> ლ. ქუთათელია, დასახელებული წიგნი, გვ. 52.  
<sup>32</sup> ლ. ქუთათელია, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI ლექსიკოგრაფიული ურთიერთობისათვის. საბას საიუბილეო კრებული, 1959, აკადემიის გამოცემა.  
<sup>33</sup> ლ. ქუთათელია, დასახელებული წიგნი, გვ. 71.  
<sup>34</sup> იქვე, გვ. 52.

ჯესტინო ლივორნელის ცნობა საბას გაკათოლიკების თარიღის შესახებ ამ მასალითაც პოულობს მხარდაჭერას.

კათოლიკური აღსარება საბამ აშკარად წარმოთქვა 1714 წ. 17 სექტემბერს ფლორენციაში, მონთუვის მონასტერში<sup>35</sup>. ეს, უეჭველია, დიდი პოლიტიკური ნაბიჯიც იყო, გამომსახველი მისი დასავლური ორიენტაციისა. მუსულმანური ქვეყნების ბატონობას საქართველოზე და მუსულმანური სარწმუნოების თავზე მოხვევას, სულხან ორბელიანს, ცხადია, ერჩივნა ქრისტიანულ-კათოლიკური სარწმუნოების დოგმატის — სულიწმიდის მამისა და ძისაგან გამოვლის — აღიარება. მართალია, მის სულიერ სამყაროს იგი არაფერს შემატებდა, მაგრამ სამაგიეროდ ევროპასთან დაკავშირების სწრაფვას ხელს შეუწყობდა და დააჩქარებდა.

იყო თუ არა კათოლიკურ სარწმუნოებაში, განსხვავებით მართლმადიდებლურისგან, ისეთი რამ, რასაც შეეძლო მართალი რწმენით მიეზიდნა სულხან ორბელიანი? ჩვენის აზრით ეს უნდა ყოფილიყო „განსაწმენდელი“: „სადა არს მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი“ — ო — გვიხანის ავტორი თავის ლექსიკონში.

მართლაც, დიდი ბუნების, ჰუმანისტ საბასთვის ძნელი შესარიგებელი იქნებოდა რწმენა იმისა, რომ ადამიანი, თუნდაც ცოდვილი, ვერ ასცდენოდა საუკუნო ტანჯვას, მუდმივ ჯოჯოხეთს.

აღმოსავლური ეკლესია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვასაც კი ცოდვად თვლიდა. ამიტომ არის, რომ ასე უხვად გვხვდება ძველ ძეგლთა ანდერძებში „ცოდვილად“ წოდებულნი, გადაწმერთა თუ მომგებელთა სახით. მათ რიცხვშია საბაც. ისიც თავის თავს „ყოველთ ცოდვილთა უცოდვილეს“ უწოდებს. საბას რომ ცოდვებისაგან განწმენდის იდეა („განსაწმენდელი“) იზიდავდა, ამას ადასტურებს მისი წერილიც კლემენტოს XI-სთან. მასში ნათქვამია:

„...ცრემლით და შვერდომით აღვიარებ ყოველთა ცოდვათა და ვევედრები წმიდათა ფერხთა მოხვეველი მეუღლითურთ ჩემით, მინდობილნი მადლისა მავათისანი, რათა ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღწოკად ევედროს ღმერთსა და წმინდა კურთხევა მათი მოგვეფინოს და ლოცვა ყოს ჩუენ უღირსთათვის, რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა ზედა შეურყეველად სიტყვით და საქმით [ვ] უწყით, რამეთუ შენ გაქუეს ქელმწიფება მიტევებად ცოდუათა, რომელი მოგცა, გახსნა და შეკრვა, იესო ქრისტემან...

ყოველთ ცოდვილთ უცოდვილესი ორბელიშვილი სულხან ყოფილი, მონაზონი საბა... 1709, აგვისტოს 15“<sup>36</sup>.

საბამ იცის („...უწყით რამეთუ...“), რომ რომის ეკლესიის მფარველობით შესაძლებელია ცოდვათა მიტეგების მიღწევა, რომ პაპს ამის ძალაუფლება მიაწიჭა ქრისტემ... ამიტომ იგი, მეუღლით მინდობილი რომის ეკლესიას, ცოდვათა მისატეგებლად ითხოვს პაპის ლოცვა-კურთხევას და აღუთქვამს მტკიცედ დგომას მის აღსარებაზე.

<sup>35</sup> მ. თამარაშვილის კათოლიკობის ისტორია საქართველოში, გვ. 329; ივ. ლოლაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

<sup>36</sup> მ. თამარაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 311—312.



ამ მიზანს, ანუ ცოდვათაგან განთავისუფლების იდეას ემსახურება „განსაწმედელი“. ეს უკანასკნელი საბას „სამოთხის კარში“ არ შეუტანია, მაგრამ იგი ამ თხზულების შედგენაზე ადრე მიუღია და მისთვის დოკუმენტაციაც გაუკეთებია ლექსიკონში, რომელიც ყოველდღიურად სახმარი და გამოსაყენებელი წიგნი იყო, როგორც ერის კაცთა, ისე სასულიერო-თათვისაც.

ასე რომ საუკუნო სატანჯველისაგან თავის დახსნის რწმენა („განსაწმედელი“) საბასთვის პოლიტიკის გარეშეც უნდა ყოფილიყო მიმზიდველი<sup>37</sup>.

1. სულხან ორბელიანის პოლიტიკური ორიენტაცია ახალგაზრდობიდანვე მიპყრობილი იყო ევროპისკენ, ამდენად მისი რელიგიური მსოფლმხედველობაც იხრებოდა დასავლური ეკლესიისაკენ.

2. სულხან ორბელიანს კათოლიკური აღსარება საიდუმლოდ მიუღია ბერად აღკვეცამდე; ამას აღასტურებს და მის შესახებ არსებულ ცნობას (იოსებ ლივორნელისას) ამაგრებს ლექსიკონში შეტანილი დღემდე გაუთვალისწინებელი მასალა.

3. საბას ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხების თვალის გადავხეხვამ დადასტურა, რომ ცნება „ჯოჯოხეთი“ კათოლიკური განმარტებით და ასეთივე გრაფიკული ჩანახატით თავიდანვეა (1785... 1800... 1806 წწ.) მასში (ლექსიკონში) შეტანილი და არა 1713 წლიდან, როცა საბა ევროპაში წასასვლელად ემზადებოდა, და არც მას შემდეგ, როცა მან ოფიციალურად აღიარა (1714 წ. ფლორენციაში, მონთუგის მონასტერში) რომის ეკლესიასთან შეერთება.

4. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში კათოლიკურ განმარტებებზე მიუთითებენ და, მაშასადამე, მის კათოლიკურ აღსარებაზე დგომას აღნიშნავენ: ვახტანგ VI, დავით რექტორი, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი, იოანე იალღუხისძე, იონა ხელაშვილი.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ „სამოთხის კარის“ ავტოგრაფული ნუსხა (გადამუშავებული 1713 წელს, II რედაქცია<sup>38</sup>) საბას თან წაუღია რუსეთში. მისი გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზ ორბელიანს ძმის სახელის შეუბღალაობისათვის ეს თხზულება გაუწმენდია კათოლიკური სარწმუნოების დოგმებისაგან<sup>39</sup>...

ჩვენ გვინდა მივუთითოთ ამავე თხზულებაში „განწმედის“ შემდეგ შემორჩენილ კათოლიკური სარწმუნოების სხვა (არა დოგმატურ) ნიშანზე, და

<sup>37</sup> ამავე მიზეზით ვერ ვაიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საბას სიკვდილის წინ უარეყოს კათოლიკური აღსარება (A. Цагарели, О граммат. литерат. груз. яз., 1873, стр. 100; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 34). ასე რომ მომხდარიყო, ეს ფაქტი სასულიერო წრეებში მაინც იქნებოდა ცნობილი და სადმე აღნიშნული. ამდენად, შემდგომი პერიოდის ამ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელი (ერთი ხელნაწერის—A-303—მიხედვით, რომელიც შემდეგში გადამუშავებული, სახმარო წიგნად იყო დაშვებული) ლექსიკონისა და „საქრისტიანო მოძღვრების“ ავტორს არ შეაფასებდნენ ასე მკაცრად:

„იხილე ესე ოთხნი ადგილნი (ჯოჯოხეთისა, ლ. ქ.) ლათინთა აზმნობა, რომელნი შემოუხვამს აქარე გალათიანებულსა საბა გარდატეხილსა...“ (იონა ხელაშვილი), ანდა:

საბა ორბელიანმა „სამოთხის კარი, ვარნა ჯოჯოხეთის ბჭე აღწერა სულთა წარწმედად, თვითცა წარწმედა“. (ანტონ I).

<sup>38</sup> A—303.

<sup>39</sup> იხ. ივ. ლოლაშვილი, დასახელებული, ნაშრომი, გვ. 127—128.

სულხან-საბა ორბელიანის იმ დიდ თვისებაზე, რასაც ტექსტის გაუმართაობის მოუთმენლობა, გამოთქმათა სინატიფე და შეუღარებელი სტილისტური დახვეწა ეწოდება.

დასახელებულ თხზულებაში საბას შეუტანია კათოლიკური ლოცვები („ლოცვა სავარდისა განწესებული“, „ხუთნი საიდუმლონი დიდებისანი“ და სხვა), ზოგიერთი მათგანისათვის თვითონ მიუცია სათაური, როგორცა მაგალითად, „ლოცვა სრვის მოსღვის განრომისათვის“.

სრვის ორი გაგება არსებობს:

1. სრვა (ვსრავ) სპობა, ხოცა; Сокрушать, сечь (ესაია 2,19).

2. სრვა სენი მომსრველი; Пагуба, морозя язва მათე 24,7; ფსალმ. 105, 29—30, 2 კორინთელთა 11,26; საბა; ნ. ჩუბინაშვილი).

დასახელებული წყაროებიდან მოვიტანთ ერთ-ერთ მოწმობას:

„განარისხნეს იგი საქმითა მათითა და განმრავლდა მათზედ შემუსრვა“ (ფსალმ. 105, 29).

„И раздражали бога делами своими и вторглась к ним язва.“ (Псалт. 105, 29).

„დადგა ფინეზ, იქსნა ივინი, დაეყენა სიკუდილი“ (ფსალმ. 105,30).

„И возстал Финеес и произвел суд, и остановилась язва“ (Псалт. 105, 30).

როგორც ვნახეთ, წყლულოვანი სენის — სრვის—სინონიმები—შემუსრვა—მოსრვა—სიკუდილია (სახელწოდებაც აქედანაა მიღებული). ამ თავზარდამცემ მასიურ განადგურებასთან დაკავშირებით კათოლიკურ ეკლესიას შეუქმნია სპეციალური ლოცვები, რომლებითაც ხალხი მიმართავდა ღვთაებასთან ერთად სრვისაგან მკურნალ როკესაც<sup>40</sup> ვედრებით და შესთხოვდა „წარმწყმედელისა ჭირისაგან განარინებას“ და სიკუდილ-შემოსილისა წყლულებისაგან ქსნას“.

ამ ხასიათის ერთ-ერთი ლოცვის შემდეგ საბას თავის „სამოთხის კარში“ მოუთავსებია ორსტროფიანი შაირი როკესადმი:

„გიზაროდენ, წმინდა როკე, აზნაურთა ტომთა ძეო ...“

ვის ეკუთვნის ეს ლექსი საბას თუ სხვას ვისმე? ეს კითხვა გაჩნდა მისი წაკითხვისთანავე. შაირის საბას ორიგინალურ თხზულებად გამოცხადება მოითხოვდა ჩვენთვის ხელმისაწვდომ ფონდებში „სავარდეს“ ნუსხების გადასინჯვას. ამ სამუშაოს ჩატარებამ შედეგი ვერ გამოიღო.

უკანასკნელ ხანს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოვიდა კათოლიკურ ლოცვათა წიგნი<sup>41</sup>, რომელსაც „ბაღი სულიერი“ („ბარტეზ ჰოქეონ“) ეწოდება. იგი გადაწერილია კათოლიკე სომხის ხიზაბავრელი პეტრეს (ბაალიანთ პოდოსას ძე პეტრეს) მიერ 1821 წელს.

ამ ნუსხაში აღმოჩნდა ლექსი როკესადმი და ის ლოცვები, რომლებიც მას უძღვის და ერთვის საბას „სამოთხის“ კარსაც“.

ამ შემთხვევაში მთავარია ის, თუ როგორ უქცევა საბა იმ მასალას, რომელიც მას თავის თხზულებაში შესატანად შეუერთებია.

<sup>40</sup> როკე (Rochus) კათოლიკური ეკლესიის წმინდანი, რომელიც ითვლება სრვის მკურნალად და რქოსანი საქონლის მფარველად.

<sup>41</sup> Q—1392. ხელნაწერი მოპოვებულია და ჩამოტანილი ამავე ინსტიტუტის უფრ. მეცნიერი თანამშრომლის, ფილოლოგ. მეცნიერებათა დოქტორის თორნიკე ჭყონიას მიერ.





როგორც ცნობილია, საბას ენა ლაკონურია და რაფინირებული. თხზულებანი ამ მხრივ სამაგალითოა. ლექსიკონშიაც კი ერიდებოდა გრძელ განმარტებებს. თუ უადრეს ნუსხებში (C რედაქციისა) ზოგიერთი ცნების ახსნა გაჭიანურებულია, მომდევნო რედაქციებში (B, A) ისინი შემოკლებულია და დახვეწილი.

„ჩაღბი“ სულხან-საბას სხვათა ნაღვაწისათვისაც გაუკრავს და „გემუან“ უყვია.

ენის მეუფეს არ სჩვეოდა ხინჯის მოთმენა გადმოსადებ თუ სარედაქციო ტექსტებში. ამას გავეცნობით „სამოთხის კარის“ სრვისაგან განრისხების ლოცვების მაგალითზე:

Q — 1392 („ბაღი სულიერი“)

„... უბრწყინვალესმა ვარსკვლავმა ცისამა, მაწუებელმან უფლისა ჟესოსამან აღმოფხრა ნერგი იგი ბოროტისა სვრისაგან, რომელიც დაწერგა პირველმან მამამან, პირველმა მამამ.

იგივე ვარსკვლავი არც იკადრებდეს მავნებელთა მიერ ვარსკვლავთა, სძლევდეს; რომელთა ბრძალანი აწ მოსრენელსა შერისხო სვრასა და არ გვაჭივრებდეს და არ გვაჭივრებდეს.

ში ვარსკვლავო ზღვისაო, ჩვენ შეგვისმინე, დედუფალო წმიდაო, ცოდვილთა გვიღხინე. ყოველსა თხოვნილსა მოგცემს ძე შენი. ბოროტსა სვრისაგან ჩვენ განგვარინე, ჩვენ განგვარინე“.

„ვილოცოთ:

ღმერთო მოწყალეებისაო, ღმერთო სიტკბოებისაო და მოტევებისაო, რომელმან შეიწყნარე მწუხარებანი ერისა შენისანი და რქვი ანგელოზსა მის მამსვრენელთა, და და[ა]ყენე ზელნი შენნი მოწყვეტისაგან ერისა.

გვედები საყვარელისათვის ვარსკვლავისა მისის დიდებულისა, რომლისა პატიოსნისა ძუძუნი უტკბილესად გიწოვნიეს წინამდევად წამლად გესლოვანთა ცოდვათა ჩვენთა-

A — 303 („სამოთხის კარი“)

„... ვარსკვლავმან ცისამან, მაწონებელმან მაცხოვრისამან, აღმომფხვრელმან მომსვრელისა სიკუდილისამან, რომელი პირველ ადამ, მამამან ჩვენმან მოგვატყუა.

მანვე ვარსკვლავმან გვიქსნეს მოსპოლველისა ამისგან, რომელი მძვინვარედ ბრძავს ერსა წრტაილითა ტკივნეულითა.

მანვე მოწყალემან ვარსკვლავმან ზღვისამან დაგვიცვას ჩუენ მომწყვედელისა ამისაგან ისმინე ჩვენი, დედუფალო ამისთვის, რამეთუ ძე შენი არა უკუნ-აქცევს მეოხებასა შენსა.

დაგვიფარე ჩუენ, ში იესო, მისგან, რომელსა მშობელი შენი ქალწული მარიამ გვეედრების“.

„ვილოცოთ:

ღმერთო სახიერო, ღმერთო მომტევებელო, ღმერთო მოწყალეო! შეიწყალე ერი შენი და არქუ ანგელოზსა შენსა, რომელსა უბრძანე მოსრვა, რათა მიაქციოს მახვილი კელისა მისისა. მის დიდებულისა ვარსკვლავისა მეოხებისათვის; რომელი სწოვდი სძესა მისსა უსასყიდლოსა, წამლად გესლოვანებისა ჩუენისათვის.

თვის. მომეც ჩვენ შეწევნა შეწყ-  
ნარკებისა შენისა, რათა ყოველთა  
სგრათაგან და ანაზღუღილი სიკვდილი-  
საგან უშიშრად განვერინებოდეთ და  
ყოველი წასაწყმედელი შემთხვევა-  
თაგან მოწყალებითა შენითა და-  
ვიხსნებოდეთ შენ მიერ, იესო ქრის-  
ტეო, მეუფეო დიდებისაო, რომელი  
ცხოველ ხარ და სუფევ უკუნიით  
უკუნისამდე, ამინ“.

ფრიად გვედრებით, რათა შეგვი-  
წყალნე და ყოველისა სიკვდილ-შემო-  
სილისა წყლულებისაგან და ანაზ-  
ღუღილად სიკუდილისაგან გვიქსნა და  
ყოველისა წარმწყმედელისა ჭირისა-  
გან მარადის განგვარინო შენ, ძეო  
ღმთისაო, თანა მამით და სულით  
წმიდითურთ, ამინ“.

რომელი ადგილიც არ უნდა აიღოთ მოტანილი ლოცვებიდან, მათ გადმო-  
ღებაში ყველგან იგროვება საბას გემოვნება, გამოთქმათა სინატიფე, და ისაც  
კარგად ჩანს, თუ აზრობრივად ერთსა და იმავე წინადადებას საბას რედაქტო-  
რული ხელის შეხება როგორ სიღრმესა და ესთეტიკურ სიმაღლეს ანიჭებს.  
მით უფრო შესამჩნევია საბას ხელი როკესადმი მიძღვნილ შესხმა-ვედ-  
რების გარდასახვაში:

Q—1392:

A—303:

როქვე წმინდავ, გიხაროდენ, დი[ლ]  
ტომის[ა]გან<sup>42</sup> შობილო,  
ჯვარის ხატით აღბეჭდილო,  
მარცხენა გვერდსა ზედაშე.

გიხაროდენ, წმინდა როკე, აზნა-  
ურთა ტომთა ძეო,  
დაგენიშნა წმინდა ჯვარი მარცხე-  
ნასა გუერდსა ზეო,  
როკე, მწირად სიარულით სენთ  
კურნება შეახეო,  
და ტკივნეულთა შენ აცხონებ,  
სრვათა ულხენ ზედიზეო.  
გმადლობ, როკე, სრვათ მკურნალო,  
რომ აღადგენ შეხებითა,  
განგვალვიდა ანგელოზმან ღმთის  
ბრძანებით, მისის კმითა,  
ყოველს სენთაგან ქრისტიანთა გა-  
ნარინებ სწრაფად ღმთითა,  
და მისგანა გაქუს მონიჭება მადლი  
ესე ჩუენებითა.

როქევ, მწირობით მეცოცხლე,  
სვრის სენისათვის მეოხე,  
საკურველათ გან[მ]კურნელო,  
ჭირვეულთ ხელი შეგვახე<sup>43</sup>.  
როქევ ჩინებულო, ღვთისაგან  
ხმობილო,  
ანგელოზისაგან — უფლისაგან მო-  
გეცა ძალი,  
ლხინებად მწარე სვრისაგან.

ამ შაირის ორიგინალობის საკითხი, ცხადია, აღარ დგას, მაგრამ საბა-  
სგან გადმოღებული კათოლიკური ლექსი რაოდენ ჰგავს წყაროსეულს, ამას  
შკიობველი ნათლად ხედავს<sup>44</sup>.

<sup>42</sup> ნუსხაშია დიტომისაგან.

<sup>43</sup> პირველ ნუსხაში (Q—1392) მეორე სტროფი ისევეა დაწერილი, როგორც აქ არის წარმოდ-  
გნილი, პირველი და მესამე კი — გაბმით.

<sup>44</sup> საბასგან ტექსტის გამართვის საუცხოო მაგალითს იძლევა თავის გამოკვლევაში ფილოლო-  
გიურ მენიერებათა დოქტორი თ. ჭყონია. იხ. მისი—სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა ვნებისა-  
თს“ და მისი აპოკრიფული წყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, III, 1961, გვ. 27—32.





სულხან-საბა ორბელიანისთვის წარმოუდგენელია აზრისა და სტილის უმართაობა. საბას „ჩაღბზე“ ამოკვეთილია: ენის სიწმინდე, აზრის სიღრმე და წინადადების სიმოკლე-სინატიფე.

Л. И. КУТАТЕЛАДЗЕ


КОНФЕССИОНАЛЬНЫЕ ВЗГЛЯДЫ СУЛХАНА-САБА ОРБЕЛИАНИ

(по Толковому словарю)

(Резюме)

Сулхан-Саба Орбелиани, как известно, был предрасположен к католической религии, которую он официально принял в Западной Европе. В труде показано, что к католической религии он склонялся еще до пострижения в монахи. В доказательство этого можно считать толкование термина „ჯოჯობეთი“ — «ад» в ранних редакциях (редакции С) его Толкового словаря.

Во вторую, переработанную редакцию «Врат рая» С.-С. Орбелиани внес католические молитвы, среди них в честь св. Рокэ, защитника людей от моровой язвы.



ლიანა ახობაძე

თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულების „**ძრიკსა და ოქროს-  
მატყლოვანისათჳს ვერძისა**“ წყაროს საკითხისათვის

თქმულება არგონავტების შესახებ ძალიან ძველი წარმოშობისაა და, მიუხედავად ზღაპრული ელემენტებისა, იძლევა საინტერესო ცნობებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის ისტორიის ბევრი სერიოზული საკითხის გარკვევისათვის. დიდი იყო ინტერესი ამ თქმულებისადმი საქართველოში. გარდა ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირისა, რომელთა თარგმანები ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევენ, თქმულება არგონავტების შესახებ გამოყენებული აქვს მთელ რიგს ქართველი მწერლებისას, რომელთაც იგი მხატვრულად დაამუშავეს. ყველაზე სრული და ვრცელი სახით თქმულება წარმოდგენილია თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“.

ხელნაწერი S—3723 შეიცავს თქმულებას არგონავტების შესახებ, სათაურად აქვს „**ძრიკსა და ოქროსმატყლოვანისათჳს ვერძისა**“. ეს თხზულება ეკუთვნის თეიმურაზ ბატონიშვილს და წარმოდგენილია ძირითადად იმ სახით, რა სახითაც ის არის შესული „ივერიის ისტორიაში“.

როგორც ცნობილია, თქმულებაში ორი სიუჟეტური ხაზია. პირველი — ფრიქსესა და ჰელეს ამბავი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მოხვდა ოქროს საწმისი კოლხიდაში, და მეორე — იაზონისა და მედეას თავგადასავალი, რომელიც გადმოგვცემს იაზონის მიერ მედეას შემწევობით ოქროს საწმისის გატაცებისა და სამშობლოში დაბრუნების ამბავს.

S—3723 ხელნაწერში თქმულება სწორედ ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი, „ივერიის ისტორიაში“ იწყება იაზონის კოლხიდაში გამგზავრებით, ფრიქსესა და ჰელეს ამბავი კი სქოლიოშია ჩატანილი. არის სხვა მცირეოდენი განსხვავებანიც, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

S—3723 ხელნაწერში შესული თქმულება არგონავტების შესახებ წარმოდგენს თეიმურაზის ავტოგრაფს და დაწერილია 1840 წელს. წინ უძღვის თეიმურაზის მოკლე შესავალი, რომელშიც ნათქვამია: „მოძიებულ იქმნა ამბავი ესე, პოვნილ და თარგმნილ ქართულსა ენასა ზა საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის მიერ... ქართულად ძველთა ელინურთა წიგნთაგან გადმოითარგმანა და ძველად ქართველისა ვისგანმე ნათარგმანეგთა თანა შესწორდა და უმჯობეს იქმნა. ქართული იაზონისა და მირმიადონთ ამბავი ვგონებ რეაასის წლის ნათარგმნი იყოს ქართულზედ“.

ამ თხზულების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ნათარგმნია რუსულიდან, მაგრამ წყარო მითითებული არ არის. აკ. ურუშაძეს აბ. როდოსელის არგონავტიკის წინასიტყვაობაში აღნიშნული აქვს, რომ „თეიმურაზიც რუსული წყაროებით იცნობს ამ თქმუ-





ლებას. ამას ადასტურებს საკუთარ სახელთა გადმოცემა. მაგ.: თეიმურაზის პეღეა, ტეზეა, პერსეა, ეღეა რუსული გზით მოდის<sup>1</sup>.

ე. ამაშუკელი, რომელიც ეყრდნობა კრებულში წარმოდგენილ თეიმურაზის მოკლე შესავალს, ამბობს: 1. თეიმურაზ ბატონიშვილი სარგებლობს რომელიღაც უძველესი ბერძნული წყაროთი, 2. თეიმურაზის თხზულება ნასწორებია სხვა ქართული თარგმანების საფუძველზე. აქ მოპყავს თეიმურაზის სიტყვები, სადაც ნათქვამია, რომ „ძველად ქართველისა ვისგანმე ნათარგმანევთა თანა შესწორდა და უმჯობეს იქმნა“. ამ ცნობის თანახმად უნდა მოიხსნას საკითხი იმის შესახებ, რომ თქმულების თეიმურაზისეული ვერსია რუსულიდან მომდინარეობს<sup>2</sup>.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია რამდენიმე ხელნაწერი, რომლებშიც გადმოცემულია ტროადის დაცემის ისტორია. ეს ხელნაწერებია: S—5, S—169, S—2831, S—4525, S—5185, Q—559.

ეს, როგორც ტრ. რუხაძემ გამოარკვია, წარმოადგენს გვიდო დე კოლუმნის თხზულების „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტროადისა ფრილიის სახელმწიფოსა“ თარგმანს. ამ თხზულების სლავური თარგმანი ეკუთვნის თევდორე ზლობინს (XV ს.), სლავურიდან ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორმა (ამის შესახებ ცნობა დაცული აქვს ხელნაწერს H—2876)<sup>3</sup>.

„ტროადის დაცემა“ არგონავტების კოლხიდაში გამგზავრებით იწყება, თხზულების ეს მონაკვეთი წარმოადგენს წყაროს თეიმურაზისათვის. ამაზე მინიშნებას თვით თეიმურაზს აქვს. კოლხიდასკენ მიმავალი არგონავტები „პირველად განვიდეს კიდესა ტროადისა ქვეყანისასა მცირედ ესამ განსვენებისათვის“. აქ მათ უკმაყოფილება შეემთხვათ, რომელზეც ვრცლად ლაპარაკობს „ტროადის დაცემის“ ავტორი. თეიმურაზს ეს ამბავი არ აინტერესებს და ფრჩხილებში ათავსებს ამ ფაქტის აღმნიშვნელ ცნობას: „და შეემთხვათ მათ მუნ უკმაყოფილება, დამწყები სიძულილისა და ბოროტთა ძვრ შემთხვეულებათა შორის ბერძენთა და ტროიანელთასა, ვა ცხადჰყოფს ისტორია ტროიანელთა“. „ტროადის დაცემის ისტორიაში“ არგონავტების ამბავი მთავრდება იაზონის თესალიაში დაბრუნებით, შემდეგ უკვე ტროადის ომის ამბებია. თეიმურაზი აქაც ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება: „განზრახვა და სურვილი იაზონისა და ერკულესისა იყო ესე, რათა განილაშქრონ ტროიანელთა ზედა და იზღვიონ უპატიოებისა მათისათვის, რომელიცა მიიღეს ტროიანელთაგან ესმას მას, ოდეს თესალონიით მოგზაურ იყვნეს კოლხიდად. შეერთდეს ამათ სხვანიცა რაოდენნიმე საბერძნეთისა მეფენი და წარვიდეს ბრძოლად ტროიანელთა და არა იგი იქმნა მაშინ, იუწყების ისტორიასა შინა ტროადისასა“.

თეიმურაზის თხზულების „ტროადის დაცემის ისტორიის“ გაიოზ რექტორისეულ თარგმანთან შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ თეიმურაზი ამ ქართული თარგმანით სარგებლობს და არა უშუალოდ სლავური დედნით. ეს გარ-

<sup>1</sup> აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო ა. ურუშაძემ, თბ., 1948, გვ. 25.

<sup>2</sup> E. B. А машукелн, миф об аргонавах в грузинской литературе. საქანდილოტო შრომის ავტორფერატი, თბ., 1954, გვ. 10.

<sup>3</sup> ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს) თბ., 1960, გვ. 231.

კვეციით იგრძნობა ნაწარმოების კითხვის დროს. თეიმურაზს ყველაფერი პირდაპირ და უცვლელად არ გადმოაქვს; ზოგიერთ ადგილს აკლებს, ან პირიქით ამატებს, ავრცობს. მაგრამ ეს გავრცობილი ნაწილი რაიმე ფაქტობრივ მასალას არ შეიცავს. მაგ., მედევს გარეგნობის აღწერა დედანში შედარებით მოკლედ არის, თეიმურაზი ავრცობს.

გაიოზ რექტორის თარგმანშია (H—1420):

„ჰყჳანდა ოეტეს მეფეს ასული, საჯელით მედია, ფ<sup>დ</sup>ლ შუჭნიერი და ტურფა“.

თეიმურაზთან:

„ჰყვა ოეტეს ასული მშვენიერი, სახელით მედია, და ჰაეროვნება პირისა მისისა უჰვირფასესობდა ყოველთა სპეკალთა, ყვავილოვნება ლაწვთა მისთა სჩაგვრიდა თავმომწონეობასა აღმოსავლურისა ვარდისასა. ბრწყინვალეობაჲ გაბადრულისა დისკოსა მისისა აყენებდა შუქსა მთიებთასა, მშვილდნი ძნდთა რაზმთაგან გულსა მიჯნურთასა უმახვილეს ამურისა ისართა განჰგმერდიან, თვალნი ქურციკისანი შემხედველთა მისთა მათებრ ველურ ჰყოფდეს, ზილფნი საგდებელ შემპყრობელობდენ ტრფიალთა „მკერდთა ნარინჯნი ზარიფთა განცვიფრებათა წარმოადგენდეს, ალვისა ტანი რხევითა ნარნართა გონებასა მისდამი მიიტაცებდეს“. შემდეგ ისევ უბრუნდება ძირითად ტექსტს.

ან კიდევ:

დედანშია (S—169): „მისცეს მას სამეფოა თესალონიკისა, ვითარცა ჭეშმარიტსა მემკვდრესა“.

თეიმურაზთან:

„მისცეს მას სამეფოა თესალონიკისა, ვითარცა ჭეშმარიტსა სჯულიერსა მემკვიდრესა ტახტისასა“.

ერთი გარემოებაა კიდევ აღსანიშნავი: „ივერიის ისტორიაში“ წარმოდგენილი ვარიანტი უფრო ახლოსაა „ტროადის დაცემის ისტორიასთან“, ვიდრე ის, რომელიც S—3723 ხელნაწერშია. მაგ., ზემოთ მოტანილი ფრაზა „ივერიის ისტორიაში“ არ არის გავრცობილი „მისცეს მას მეფობა თესალონიკისა, ვითარცა ჭეშმარიტსა მემკვდრესა“.

„ტროადის დაცემის ისტორიის“ გაიოზისეულ თარგმანში: „იყო კაცი ფ<sup>დ</sup>ლ მქნე, ძლიერ, კადნიერ და გულოვან“.

„ივერიის ისტორიაში“ — „იყო ჭაბუკი ფრიად მქნე, ძლიერი, კადნიერი, გულოვანი“.

S—3723 — „იყო ფრიად მხნე, ძლიერი, კადნიერი, ახოვანი“.

გაიოზისეულ თარგმანში:

„მისცა... ზატი ვითარიმე ოქროსი და ჰრქუა: აქუნ უ<sup>კ</sup>შ ამას ძალი ესე-ვითარი, რ<sup>ლ</sup>ლიცა პირადპირადთა ცეცხლისა ალთადმი შეეწევს; კვალად მისცა მას გოგრა, ნოტიოთა რაჲთმე სავსე და ასწავა, ვ<sup>დ</sup>ლ; ნოტია ესე თვთ უწინარეს იცხე და მერმელა ცეცხლმბერუალეთა მათ კართა აპკურე პირთა შ<sup>ნ</sup>ა“.

თეიმურაზთან: — [მისცა] „ზატი ვითარიმე ოქროსა და რქვა: აქეს ამას უკ<sup>შ</sup> ძალი ესევითარი, რომელიცა პირად-პირადთა ცეცხლისა ალთა პირის-პირ შეაწევს (და დაგვავს შეწვსაგან). კვალად მისცა მას გოგრა ნოტიოთა რაჲთამე სავსე და ასწავა, ვითარმედ ნოტიაჲ ესე თვთ უწინარესევე იცხე და მერმე ცეცხლგამომბერვალთა მათ ხართა შეაპკურე პირთა შინა“.



S—3723-ში ამ ფრაზაში ორიოდ ცვლილება:

1. „გადასმულია სიტყვები „აქტუნ უკშ ამას ძალი ესევეითარი“ შემდეგნაირად: „ამას უკუშ ძალი ესევეითარი“. „ივერიის ისტორიაში“ ზუსტად ისევეა, როგორც გაიოზთან: „აქეს უკუშ მას ძალი ესევეითარი“.

2. გაიოზთან არის „შეწევის“, S—3723-ში — „შეაწევის“, „ივერიის ისტორიაში“ — „შეწევის“, იგივე ითქმის სიტყვაზე „ნოტიოთა“, გაიოზთან და „ივერიის ისტორიაში“ — „ნოტიოთა“, S—3723 ხელნაწერში — „ნოტიოთა“, „აპკურე“ ფორმა — გაიოზთან და „ივერიის ისტორიაში“, „შეაპკურე“ — S—3723 ხელნაწერში.

გაიოზისეულ თარგმანშია:

„მერმე იკადე მახვლი და სიმჷნითა შენითა შეები მას მტკიცედ“. „ივერიის ისტორიაში“: „მერმე იხადე მახვლი სიმხნითა შენითა, შეები მას მტკიცედ“.

S—3723 ხელნაწერში:

„მერმე იხადე მახვილი სიმხნითა შენითა, შეები მას გულოვნად“.

გაიოზთან:

„მდგომ არს ვერძი იგი დიდისა გრძნეულებრივისა კელოვნებითა დაღვინებული მცველობითა არრისა ღთთასა“.

„ივერიის ისტორიაში: „მდგომარე იყო ვერძი იგი დიდისა გრძნებისა კელოვნებითა დაღვინებითა მცველობით არრის ღმერთთასა“.

S—3723 ხელნაწერში: „მდგომარე არს ვერძი იგი დიდისა ტილისმისა კელოვნებითა არრის ღმერთთასა“.

გაიოზთან:

„გარდააქცევდა ნათელსა ბნელად და მსწრაფლიად აღადგენდა ქართა სასტიკთა და ელჷათა და ქუხილთა ძრვათა საშინელთა მოავლინებდა და მდინარისა სისწრაფესა, ღულარჷნილსა ადგილთა მომდინარესა, უკუნ-აქცევდა ... და კად ზაფხულთა შინა ხეთა ფურცელთა შთამოაყრევიანებდა და ავთა ტაროსთა და ხორშაკთა შა ზამთრისათა ყუავილსა და ნაყოფთა ხეთაგან აღმოაცენებდა, ყრმათა მოხუცებულ ჰყოფდა და მოხუცებულთა სიჭაბუკისა ძლიერებასა შინა მოიყვანებდა. ამას უკუშ ძუშლნი ღთად რაცხედენ“.

S—3723 ხელნაწერში:

გარდააქცევდა ნათელსა ბნელად, მსწრაფლად აღადგენდა ქართა სასტიკთა, ელვათა, ქუხილსა, ძვრათა საშინელთა და მდინარისა სიმსწრაფლით და ღულარჷნით მომდინარეობასა უკუნ-აქცევდა, ზაფხულთა შინა ხეთა ფურცელთა შთამოაყრევიანებდა“.

გაიოზთან:

„ჰერკულეს მთავარი შობილი (ვა იტყვიან მისთვის) ზევესისაგან და აღმენისა მიერ ამინტრიონისა ცოლისაგან. და ამა ჰერკულესმან ყამსა თვსსა მოსწყვიდნა მრავალნი გმირნი გოლიათნი, და კელთა ზედან თვსთა აღიღო გამოუთქმელი სიდიდე ანტიჰიმა ძლიერისა, შემუსრა, და სხჷანი მრავალნი საკვირველნი ძლიერებანი და სიმხნენი გამოაცხადნა, რომელსა გაუგუნურდენ ელენნი, ამისთვის ღმერთყოფად უწოდეს, და ირაკლიედ მას სახელსდეს“.

S—3723 ხელნაწერში:

„ჰერკულეს (ვა იტყვიან) შობილ იყო ზევესისაგან და აღმენისა ამინტრიონისა ცოლისაგან. ამან ჰერკულეს ცხოვრებასა შა თვსსა მოსწყვიდნა



მრავალნი გმირნი და კელთა თვსთა ზედა აღილო გამოუთქმელი სიმდიდრე: ანტეფიმა ქლიერისა შემუსრა და სხვანი მრავალნი საკვირველნი ძლიერებანი და სიმხნენი გამოაცხადნა. ამისთვისცა ელენთა ღმერთყოფად უწოდეს და ირაკლიედ სახელ სდევს“.

„ივერიის ისტორიაში“ კიდევ უფრო ზუსტად მისდევს:

„რომლისთვისცა გაუგუწურდენ ელინნი. ამისთვის ღმერთყოფად უწოდეს და ირაკლიედ სახელ-სდევს“.

უკანასკნელი ოცი სიტყვა აბსოლუტურად თანხედენილია, რაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ გაიოზ რექტორის თარგმანი სლავურს სიტყვასიტყვით მისდევს. განსხვავება ძალიან მცირეა, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ თეიმურაზთანაც შეინიშნება ეს განსხვავებანი.

თქმულების მიხედვით ოქროს საწმისს იცავენ ხარები და გველეშაპი, ასეა გაიოზის თარგმანშიც. თეიმურაზი ავრცობს, ხარებისა და გველეშაპის გვერდით არის დევი. სლავურ სიტყვას Бог გაიოზი თარგმნის ხან როგორც ხარს, ხან როგორც — კუროს. თეიმურაზთანაც ასეა და მონაცვლეობაც ისეთივეა, როგორც გაიოზთან.

H—1420 (გაიოზის თარგმანი):

„და იხილნა კლდ კურონი იგი, რლთა გამოუტევნეს ეგოდენ დიდნი და ძლიერნი ცეცხლისა აღნი“.

S—3723:

„მყის გამოუტევეს პირით საშინელი ცეცხლი კუროთა მათ“.

H—1420:

„და იწყო ჭართა მათ თანა ბრძოლა ძლიერი“.

S—3723:

„მიმართა მხნედ პირთა მათ ჭართასა“.

სლავურშია:

«Сгоре щит его от пламени, и копіе его огнем скончася».

H—1420:

„შუბი და ფარი მსწრაფლ დაიწუა“.

S—3723:

„დასწვა მსწრაფლ შუბი და ფარი იაზონისი“.

როგორც ერთ, ისე მეორე თარგმანში ორი წინადადება გაერთიანებულია და სიტყვათა რიგი შუბი და ფარი შეცვლილია ერთნაირად. სლავურშია:

«По крепким ужасных волов рогам руки простирает».

H—1420:

„მიჰყო კელნი თვსნი ძლიერთა მათ ჭართა საშინელთა რქათა ზედა“.

S—3723:

„მიჰყო კელი ძლიერთა მათ ჭართა რქათა მათთა ზედა საშინელთა“.

სლავურშია: ძლიერი — რქა, საშინელი—ხარი,

გაიოზთან და თეიმურაზთან: ძლიერი — ხარი, საშინელი — რქა.

სლავურშია:



«И клятвами яко же узами себе связа...»

გაიოზთან:

„და ფიცითა ვითარცა ჯაჭვითა შეიკრა თავი თვისი“.

S—3723:

„ვითარცა ჯაჭვითა რკინისათა შეიკრა თავი თვისი“.

УЗЫ გაიოზმა თარგმნა, როგორც ჯაჭვი, სხვა ადგილას „საკრველით“ აქვს წათარგმნი.

სლავურშია:

«И сотворив целование со всеми ими, обіе входит в корабль».

გაიოზთან:

„ჰყო ამბორება მათ ყ<sup>ა</sup> თანა, შთაჯდა ნავსა შ<sup>ა</sup> მცირესა“.

S—3723:

„უამბორა ყოველთა თვის თანა მყოფთა ცრემლითა, შთაჯდა ნავსა შინა მცირესა“.

სლავურში:

«Вшед паки в корабль».

S—3723: „დახვდა მუნ მცირე იგი ნავი მისი დაბმული“.

H—1420: „მუნით ჩაჯდა მასვე მცირესა ნავსა შ<sup>ა</sup>“.

გაიოზმა კорабль თარგმნა როგორც „მცირე ნავი“, შესაბამის ადგილებში თეიმურაზთანაც „მცირე ნავია“, მაგრამ სადაც გაიოზთან „ხომალდია“, შესაბამისად თეიმურაზთანაც „ხომალდია“; მაგ., S—169: „უბრძანა მალე მოამზადონ ხვამალდი“.

S—3723: „უბრძანა მსწრაფლიად განმზადებაჲ ჯვამალდისა“.

გაიოზს поистине გადმოაქვს როგორც „კინლა“.

«И поистине Язон живот свой скончал бы от огня».

H—1420:

„მცირედრე კინლა დაასრულა ცხოვრება თვისი“.

S—3723:

„კინ-ოდენ დაასრულა ცხოვრებაჲ თვისი“.

თეიმურაზს გარდა გვიდო დე კოლუმნის თხზულებისა ხელთ ჰქონია მითოლოგიური ლექსიკონი, რომლის ქართული თარგმანი ეყუთვნის დავით ბატონიშვილს.

თეიმურაზს ამ ლექსიკონიდან აღებული აქვს განმარტება ტიზეფონისა.

S—3723: „ტიზეფონ ერთი ჭურიათაგანი, რ<sup>ა</sup> ესენი იყვნეს სამნი დანი ჯოჯოხეთისა საკვირველებანი, რომელნიცა იყვნენ განსაზღვრებულ მტანჯველად წარწყმედილთა“...

მითოლოგიურ ლექსიკონში ტიზეფონის გასწვრივ მითითებაა — „იხილე ჭურიასა შ<sup>ა</sup>“, ხოლო ფურია ასეა განმარტებული:

„ჭურიანი ჯოჯოხეთისა საკვირველებანი, რ<sup>ა</sup> ლნიცა იყვნენ განსაზღვრებულ მტანჯველ წარწყმედილთა და ესენი იყვნენ დანი სამნი“.

ცხადია, რომ თეიმურაზი ამ შემთხვევაშიც მითოლოგიური ლექსიკონის უკვე არსებული ქართული თარგმანით სარგებლობს.

К ВОПРОСУ ИСТОЧНИКА СОЧИНЕНИЯ ЦАРЕВИЧА ТЕЙМУРАЗА  
«О ФРИКСЕ И ЗОЛОТОМ РУНЕ»

(Резюме)

Сочинение царевича Теймураза «О Фриксе и золотом руне» представляет собой переработку различных версий мифа об аргонавтах.

В специальной литературе высказано предположение, что царевич Теймураз знаком со сказанием через русские источники (однако, предполагаемые источники не указаны).

Основная часть сочинения исходит из произведения Гвидо де Колумна «История о разорении Трои». Версия, приведенная царевичем Теймуразом, не исходит непосредственно из славянского текста. Теймураз пользуется грузинским переводом данного сочинения, который выполнен Гайозом Ректором.

---



ია ბაჩიჩილაძე

მიხეილ თუმანიშვილის მიერ თარგმნილი ლექსის „ელეზიას“  
შესახებ

მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული თავისი თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებთან. იგი იყო პოეტი, პუბლიცისტი, თეატრალური კრიტიკოსი, მთარგმნელი.

მისი შემოქმედებითი მომწიფების პერიოდი დაემთხვა საქართველოში მნიშვნელოვან მოვლენას — 1832 წლის შეთქმულებას. თავადანაურთა შეთქმულების გამოაშკარავებამ დიდი გავლენა იქონია ქართველი საზოგადოების საერთო სულიერ განწყობაზე.

ამას თან დაერთო იმ ეპოქის რომანტიკული განწყობილება და ყველაფერმა ამან თავისებური გამოხმაურება ჰპოვა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მყოფ მოწინავე ახალგაზრდობაზე, სადაც იმხანად მიხეილ თუმანიშვილიც სწავლობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რუსული ლიტერატურისადმი.

იმ პერიოდში გიმნაზიაში ბევრი განათლებული ახალგაზრდა სწავლობდა — ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ ბებუთოვი, იესე ანდრონიკოვი, ივან ტიტკოვი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ. მიხეილ თუმანიშვილს დიდი მეგობრობა ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ეს მეგობრობა გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

მიხეილ თუმანიშვილს ჯერ კიდევ გიმნაზიის დაბალ კლასებში ყოფნის დროს შეუდგენია ანთოლოგია, რომელშიაც გადაუწერია ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის და სხვ. ლექსები. აქვე არის მიხეილ თუმანიშვილის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ლექსებიც; რუსულიდან ნათარგმნი „სირი და ჭვინტა“, „ფოთოლნი და თესვნი“, პუშკინის „კავკასიის ტყვე“. კრებული, გორგაძის აზრით, ეკუთვნის 1834—35 წწ. იაკობ ბალახაშვილის აზრით კი — 1833 წელს<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, მიხეილ თუმანიშვილს მთარგმნელობითი მოღვაწეობა ძალიან ადრე დაუწყო.

მისი ლექსები იბეჭდებოდა აგრეთვე თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ დაარსებულ ჟურნალში „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“.

ამ წლებში მიხ. თუმანიშვილი დიდ დროს ანდომებს თარგმნას. ი. გრიშაშვილი პუშკინის პირველ მთარგმნელთა შორის მიხეილ თუმანიშვილსაც

<sup>1</sup> კრებული დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, მიხ. თუმანიშვილის არქივი № 2684.

ასახელებს: „პუშკინის თარგმნით ვარჯიშობდა აგრეთვე თბილისის კეთილ-შობილთა სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვა“<sup>2</sup>.

მიხეილ თუმანიშვილის როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლექსები 1836—1838 წლებშია დაწერილი. ამ პერიოდში მან თარგმნა „ადელ“, „მე მახსოვს წამი საოცრებისა“, „ბახჩისარაის შადრევანი“ და სხვ.

„მიხეილ ბირთველის-ძის ლექსი განსხვავდება არაჩვეულებრივი სიმსუბუქითა და ზმოვანებით. მისი თარგმანები ძალიან ახლოა დედანზე“<sup>3</sup>.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან იგი მთლიანად ჩაება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე „მოლაყბის“ ფსევდონიმით იგი აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს საქართველოს მწერლობის, საზოგადოებრივ-სოციალური უკუღმართობის შესახებ.

1881 წელს, ე. ი. მისი გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ, გამოვიდა მისი ლექსთა კრებული. ამის შესახებ ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „კრიტიკული წერილი ნიკ. ბარათაშვილისა და მიხ. თუმანიშვილის შესახებ“: „ნიკოლოზ ბარათაშვილის „მხარის დამამშვენებელთა“ რიცხვს ეკუთვნის თ. მიხეილ თუმანიშვილი. ის მისი თანამედროვეა და იმისი უარყოფა, რომ საჭიროა მისი ნაწარმოებების გამოცემა — დიდ შეცდომად ჩაითვლება, თუნდაც იმიტომ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ერთი გამოწვევის კი არა, არამედ იმ დროისათვის დამახასიათებელი განწყობით ხასიათდება, იგი წმინდა ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. შევადაროთ „სალამური“ მიხ. თუმანიშვილისა ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“, პირველი დაიწერა 1839 წელს, მეორე კი 1843 წელს. მიხეილ თუმანიშვილი მოღვაწეობის პერიოდის მიხედვით ალ. ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის დგას. თავისი შემოქმედებითაც აქვს საერთო ერთნაირი და მეორესთანაც. ალ. ჭავჭავაძისებურად ეტრფის ფილას, ღვინოს, და ნიკოლოზ ბარათაშვილისებურად ახასიათებს უიმედობა, სევდა, უნუგეშობა“<sup>4</sup>.

ასეთი იყო მისი თანამედროვეების შეხედულება მიხეილ თუმანიშვილზე. მიუხედავად მცირე პოეტური მემკვიდრეობისა, მისი შემოქმედების შესწავლა დღესაც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია მიხ. თუმანიშვილის ლექსმა „ელეგია“ ან „ზამთრის შემოღამება“. ეს ლექსი სათაურით „ელეგია“, ვნახეთ ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ მიხეილ თუმანიშვილის ფონდის ერთ ხელნაწერ რვეულში (№ 837), რომელსაც სათაურად აწერია „ქართული სტიხები“.

ხელნაწერი მიხეილ თუმანიშვილის ავტოგრაფია. ხშირია გადაშლილი და შესწორებული ადგილები. ლექსი „ელეგია“ რვეულის სულ ბოლოს არის მოთავსებული. თითოეულ ლექსს, გარდა ამ ბოლო ლექსისა, მიწერილი აქვს დაწერის დრო და ადგილი. ამ მინაწერების მიხედვით კრებული შედგენილია 1838 წლის მარტიდან ნოემბრამდე. დაწერის ადგილებია ტფილისი, სიღნაღი, წინანდალი. რადგანაც კრებულში მოთავსებული ყველა დანარჩენი ლექსი

<sup>2</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. IV, გვ. 137, 1964 წ. პუშკინის მთარგმნელები.

<sup>3</sup> ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. IV.

<sup>4</sup> „ივერია“, 1881 წ. № 7, ივლისი, გვ. 141.



1838 წლით თარიღდება, ლექსი „ელეგია“ სავარაუდებელია ამავე პერიოდში დაწერილი იყოს.

ლექსი საქმოდ ვრცელია. მოგვყავს მისი ტექსტი მთლიანად:

**ელეგია**

შაემა ნისლმა მზისა შუქი დააბნელა სიწყველიადით,  
შუბლსა გარე კაეშანი მომეხვია ღრუბელივით,  
არა ერთხელ მეამების ნელი სიო, მზის სინათლე,  
ვითა მქრალი სხივი მთვარის, ვითა ქარი მოშრიალე,  
ხშირად ცისა ჩამოღრუბლვა დამაფიქრებს მხიარულსა,  
ხშირად ბნელი დაღამება მეფინება ნალვლად გულსა.  
მაგრამ რისგან შეეჩვივნენ ფიქრნი ჩემნი ესრეთს სევდას?  
ნუთუ გლოვა ბუნებისა დააღონებს ჩემებრ ყველას?  
ანუ ესე მიუხვედრი იღუმალი ჭმუნვარება  
მხოლოდ მე ჩემს საგრძნობელად, მხოლოდ ჩემს გულს ეთვისება?  
და იქმნება მისთვის გულსა კარი ადრე დაცაეხშო,  
რომ აქვს მასცა დასავალი და ზამთარი უნუგეშო,  
რომ მთიები იმედისა, რომ ვარსკვლავი სიხარულის  
ცხოვრებისა გზასა ზედა არა დიდხანს მოგვინათის?  
არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,  
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა.  
გარნა ვინცა მსხვერპლად ჰქმნია სიყვარულსა უიმედოს.  
მან გულითა დამჰკნარითა ნუთუ ოდეს განიხაროს?

ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსის ფინალმა:

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,  
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა.

ეს ორი სტრიქონი შესულია ალ. ჭავჭავაძის ლექსის „ღუგას“ შემადგენლობაში ერთ-ერთ ორსტრიქონედ. ისმის კითხვა: ეს ლექსი მიხეილ თუმანიშვილისა თუ ალ. ჭავჭავაძისი? იქნებ მთლიანად ლექსი „ელეგია“ მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის, ხოლო დასახელებული ორსტრიქონედი ალ. ჭავჭავაძის, ე. ი. ზომ არ ჩაუთრთო მიხეილ თუმანიშვილმა თავის ლექსში ალ. ჭავჭავაძის ორსტრიქონედი, მით უმეტეს, რომ იგი სავსებით ჰარმონიულად ეთანხმება ლექსის საერთო განწყობას, მის ფორმასა და შინაარსს?

რას წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ღუგა“?

იგი შედგება 10 ორსტრიქონედისაგან:

**ღუგა**

1

სოფლის მიმდობთა ბოლო აქვთ შხამად,  
ლხინი, შექცევა თვალისა წამად.

2

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,  
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავ ღამესა.

3

გვედრი, თვით მიხვდე, — მიკვირს, ცნობა მეძნელებიან,  
რასაცა მარად თვალნი ჩემნი გუბუნებიან.

4

შენთვის ხელობა თუ ვინ მიზრახოს,  
რაბამათ შერცხვეს, თუ თვალით გნახოს.

5

თუ დიდი ღვინა ან ჭმუნვა გვამიზეხებდეს სიკვდილსა,  
ვითლა რჩეს სული მოყვისისა, თან მხლესა ანუ შორქმნილსა?

6

სამოთხის შვება რამ მაცნობა — მითხრაცა ენამ,  
იმასთან ყოფნამ, მისმან ჭკრეტამ და მისმან სმენამ.

7

კვლავ მარად ჩემსა სურვილსა იმედი წინა უძლოდა,  
აწ სურვა გულსა კვლავებრ სწვამს, მაგრამ ვარ უიმედოდა.

8

ვინ იცის ჩემნი ტანჯვანი ბნელი დღისა თუ ღამისა,  
ტრფობისა კიდე რა შესწამს, მიზეზიცა ვსთქვა ამისა.

9

ოღეს ხმა შენი მესმოდეს, ოღეს შენს სახეს ვხედედე.  
ესე რომ მწყურდეს, ამისთვის რას ვგმობდე, ან რას ვცოდვიდე!

10

ვინც გიხილოს, ინატვირდეს, კვლავცა გნახოს, კვლავცა გნახოს,  
გნახოს, ცნობას ისურვიდეს და რა გიცნოს, შენთვის ახოს<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, თითოეული ორსტრიქონედი ერთმანეთისაგან ფორმითაც და შინაარსითაც დამოუკიდებელია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მთლიანი ლექსის ფრაგმენტს წარმოადგენს.

1940 წელს გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, ამ ლექსის შესახებ ნათქვამია: „ღუგა“ ამოღებულია საქართველოს ცენტრარხივის ხელნაწერიდან № 355, გვ. 32. ეს ლექსი რამდენიმე ფრაგმენტისაგან შედგება. დასათაურებულია ასე: „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან“. აქ შევსებული და რედაქციაქმნილია საქ. მუზეუმში დაცულ სხვადასხვა ხელნაწერიდან № 1635; № 101; № 1103 და ეკატერინე დადიანისეულ რვეულებიდან.

<sup>5</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1949, გვ. 121.





აქედან რამდენიმე ნაკვთი („სოფლის მიმნდობთ“ და „არა ერთხელუაობა“<sup>6</sup> და „არა ერთხელუაობა“<sup>7</sup>) დაიბეჭდა ილიას „ივერიაში“, ი. მეუნარგიას პუბლიკაციით („ივერია“, 1883 წ. № 1, გვ. 101)<sup>6</sup>.

ჩვენს ფონდებში № 101-ით არსებულ არცერთ ხელნაწერში ეს ლექსი არაა. არის S—1635 ბ და H—1103 ხელნაწერებში. ამათგან საძიებელი ორსტრიქონენდი მხოლოდ S—1635 ბ ხელნაწერშია. ხელნაწერი მე-19 საუკუნისაა. ამას გარდა ხელნაწერში არის „დუგას“ კიდევ ერთი ორსტრიქონენდი: „სოფლის მიმნდობთა“. ორივეს ბოლოში მიწერილი აქვს ალ. ჭავჭავაძის ინიციალები — „ა. ჭ.“.

საქართველოს ცენტრარქივის № 335 ხელნაწერში მოთავსებული ლექსის — სათაურით „ალ. ჭავჭავაძისაგან“ — ტექსტი „დუგას“ მსგავსად ხელოვნურად აერთიანებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორსტრიქონედებსა და „წვრილ ლექსებს“ (ასეთი სათაური აქვს ალ. ჭავჭავაძის რამდენიმე პატარა ლექსს). მასში გაერთიანებულია „დუგაში“ შემავალი 5 სტრიქონენდი (მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე) და კიდევ ალ. ჭავჭავაძის „წვრილი ლექსები“ — „რაა სიკვდილი“ და „ეს ცეცხლი რომ მე მეგზვნება“. ტექსტი დამახინჯებულია. ჩვენთვის საინტერესო ორსტრიქონენდი არც აქ არის.

ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან<sup>7</sup>

ვხედავ, მარად ჩემსა სურვილსა იმედი წინა უძლოდა,  
აწ სურვა გულს კვლავ სწვამს, მაგრამ ვარ უიმედოდა.  
ოდეს ხმა შენი მესმოდეს, ოდეს შენს სახეს ვხედივდი,  
ისე რომ მწყურდეს, ამისთვის რას ვამბობდე, (!) რას ვცოდვოდე.  
ვინ იცის ტანჯვანი ჩემნი, ბნელისა დღისა ანუ ღამისა,  
ტრფობისა კიდე რა შესწავს, მიზეზი არის ამისა.  
ისარ ხედარულნი ანუ კვდებიან და ანუ მთელდებიან,  
მაგრამ შევნებით კოდილნი, უკვდავთ იტანჯებიან.  
რა სიკვდილი, რა მისი საშინელება,  
მკვდარსა თუ შვება მოაკლდება, ჭირიც აეხსნება.  
მაგრამ მოყვისისა მომშორესა, სურვილით ტანჯულს,  
სიამე ოდეს მიიღება, თმენა კი რჩება.  
როს მას ვერ ვხედავ, როს არ მესმის ხმა მისი ტკბილი,  
დღე იგი ჩემთა დღე რიცხვთაგან არს მოსპობილი.  
სამოთხის შვება გამაცნო, მითხრაცა ენამ,  
იმასთან მყოფმან, მისმან ჭკრეტამ და მისმან სმენამ.  
გულო უძლურო, მკვებელი ოხვრით ვადილო,  
ეშხის აღმური გლახს ჩივილით სით დავიმშვიდო?  
კიდესა ზედა მდგომარესა, გმართებდა განჰსჯა,  
ან ზღვას შესრულსა, ზვირთთა მისთა რადლა ერიდა.  
ეს ცეცხლი რომ მე მეგზვნება, რათ მკითხამ, ოდეს განჭრება.  
გული შენ სანაღად გამსხვერპლე, გამიქრეს ოდეს, მთლად დნება.  
შენთვის ხელობა თუ ვინ მიზრახოს,  
რაბამთ შერცხვეს, რა თვალთა განახოს.

კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში არსებულ ხელნაწერ № 58 (S—7)-ში არის „დუგას“ მეოთხე, მეექვსე და მერვე ორ-

<sup>6</sup> ალ. ჭავჭავაძე, თბზ., 1940, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, გვ. 315.

<sup>7</sup> საქ. ცენტრარქივი, ხელნაწერი № 335.

სტრიქონები ცალკე, შემდეგ, დამოუკიდებლად ამისა, ამავე ხელნაწერში არის ლექსი სათაურით „ღუგა“ (ეს უკანასკნელი ამ სათაურით მხოლოდ დასახელებულ ხელნაწერში გვხვდება), რომელშიაც გაერთიანებულია „ღუგას“ მეშვიდე და მეცხრე ორსტრიქონები ალ. ჭავჭავაძის მცირე ზომის ლექსის „რაა სიკვდილის“ ბოლო ნაწილთან ერთად. საძიებელი ორსტრიქონები არც აქ არის.

ლექსი „ღუგა“ არც 1881 წელს გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულშია. ქურნალ ივერიაში (1883 წ. № 1) მოთავსებულია ალ. ჭავჭავაძის ლექსები, მათ შორის, „ღუგას“ ორი ორსტრიქონები — „სოფლის მიმდობთა“ ... და ჩვენთვის საინტერესო „არა ერთხელ სიჭაბუკე“... სქოლიოში ასეთი სახის შენიშვნაა:

„ეს ლექსები თ. ალ. ჭავჭავაძისა გამოგვიგზავნა ჩვენ ბ. ი. მეუნარგიამ შემდეგის წერილით:

„ბ-ნო რედაქტორო, გიგზავნით ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს. არც ერთი ეს ლექსი არ არის დაბეჭდილი მის ლექსთა კრებაში... ეს ლექსები ვიპოვე მე — ვინ იფიქრებდა ამას — თავ. დავით ერისთვის წიგნებში... ამას შემდეგ არ გამიკვირდება თქვენს რედაქციის პორტფელშიაც კი გამოვიჩხრიკო დაუბეჭდავი ბარათაშვილი, მივიწიებული ჭავჭავაძე“<sup>8</sup>.

მაშასადამე, „ღუგას“ შემადგენელი ნაწილები ალ. ჭავჭავაძის ძველ გამოცემებში დაფანტული სახით იბეჭდებოდა, ასევე არის იგი წარმოდგენილი ცენტრარქივისა (№ 335) და საჯარო ბიბლიოთეკის (№ 58) ხელნაწერებშიაც, სადაც იგი ალ. ჭავჭავაძის წვრილ ლექსებთან ერთადაა. ი. გრიშაშვილმა გააერთიანა 10 ორსტრიქონები და „ღუგას“ სათაურით დაბეჭდა ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში<sup>9</sup>. თვით ტერმინი „ღუგა“ ნიშნავს მუსიკალურ მელოდიას, ზმას. სავარაუდებელია, რომ იგი მიუთითებს ლექსის გარკვეულ ფორმაზე.

გადავხედოთ მიხეილ თუმანიშვილის ლექსების ძველ გამოცემებს: მიხეილ თუმანიშვილის 1881 წლის ლექსთა კრებულში არის ლექსი სათაურით „ელეგია“. ეს იგივე ლექსია, რომელიც ვნახეთ მის ავტოგრაფულ ხელნაწერ რვეულში (№ 837). სათაურს ქვემოთ მიწერილი აქვს (გრაფ. როსტოპჩინიძე-გან).

უფრო ადრე, 1858 წლის ქურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში, არის იგივე ლექსი სხვა სათაურით — „ზამთრის შემოღამება“, იქაც მიწერილია: „გრაფინა რასტოპჩინიძე-გან, ავტორი — მიხეილ თუმანიშვილი“. ე. ი. ეს ლექსი მიხეილ თუმანიშვილის სიცოცხლეშივე დაბეჭდილა<sup>10</sup>.

ვეძებდით რა ამ ლექსის დედანს, რომელიც არის ორი სათაურით — „ელეგია“ და „ზამთრის შემოღამება“, ვნახეთ გრაფინა რასტოპჩინას ლექსების ორტომეული; 1857 წლის მეორე გამოცემის მეორე ტომში არის ლექსი „Зимний вечер“.

შედარებამ ცხადყო, რომ მიხეილ თუმანიშვილის „ელეგია“, იგივე „ზამთრის შემოღამება“, სწორედ ამ ლექსის თარგმანს წარმოადგენს. ქართული

<sup>8</sup> ქურნალი „ივერია“, 1883, № 1, გვ. 100.

<sup>9</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 1940, გვ. 315.

<sup>10</sup> მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა 1875 წ.



თარგმანი ჯერ დაბეჭდილია 1858 წ. ჟურნალ „ცისკარში“ სათაურით „ზამთრის შემოღამება“, ხოლო შემდგომ 1881 წლის მიხეილ თუმანიშვილის ლექს-თა კრებულში, სათაურით „ელეგია“.

### ЗИМНИЙ ВЕЧЕР<sup>11</sup>

Когда, порой зимы, так рано вечереет,  
И солнце без лучей на западе тускнеет,  
Зачем, зачем так грустно мне?  
Когда природы день так молод умирает,  
И день подложный наш его переживает,  
Зачем печаль встает в душе?  
Смотрю как стелются туманы черной мглою,  
Внимаю птиц ночных пронзительному вою,  
И мысли грезой заменяю,  
Виденья мрачные, тоскующия думы  
Тревожат мой покой, беседую угрюмой  
Уныньем веют на меня.  
Зачем? Какая связь меж сердцем беспокойным  
Кипящем жизнью, и этим дивно стройным,  
Но хладным, мертвым естеством?  
Зачем мечты мои цвет неба отражают?  
Зачем сочувствия мир видимый сдружают?  
С неосязаемым умом?  
Иль перст зиждительный всему дает значенье?  
Иль все окрестное есть притча и сравненье  
Пробраз нашего житья?  
Иль это таинство созвучий сокровенных  
В миг посвящения, в час сумерк вдохновенных  
Чутьем души постигла я?  
И может быть, зачем так сердце приуныло,  
Что есть и у него закатное светило  
И безотрадная зима...  
Что полдень радости и утро упования  
Не долго нам блещут... что всякое сиянье  
Неверно, — как мечта сама?  
Не раз младую жизнь страдания облекали  
Могильным саваном; нередко ночь печали  
Сменяет счастья красный день...  
И жертвы тайныя скорбей неизлечимых  
Живут, живут свой век, ... но в их сердцах томимых  
Все холод, пустота и тень...  
Когда, порой зимы, так рано вечереет,  
И за нее грущу, учаством с ней сливаюсь, —  
Мне страшно... страшно за себя!...

Село Анна, Январь, 1836 г.

მოციყვანთ შესადარებლად რამდენიმე ნიღუსს:

Когда порой зимы, так рано вечереет	შავმა ნისლმა მზისა შუქი დააბნელო სიწყვედი-
И солнце без лучей на западе тускнеет,	აღიო, შუბლსა გარე კავშანი მომეხვია ღრუ-
Зачем, зачем так грустно мне?	ბელივით.

<sup>11</sup> Стих. Графини Ростопчиной изд. второе, том II, Санкт-Петербург. 1857, стр. 162.

Иль это таинство созвучий сокровенных  
В миг посвящения, в час сумерк вдохно-  
венных

Чутьем души постигла я?

И может быть, зачем так сердце приуныло,  
Что есть и у него закатное светило

И безотрадная зима...

Что полдень радости и утро упования  
Не долго нам блестят... что всякое сиянье  
Неверно, — как мечта сама?

Не раз младую жизнь страдания  
облекали

Могильным саваном; нередко ночь печали  
Сменяет счастья красный день...

ანუ ესე მიუხედავად იდუმალი ჭმუნვარება  
შბოლოდ მე ჩემს საგრძობელად, მბოლოდ ჩემს  
გულს ეთვისება?

და იქნება მისთვის გულსა კარი ადრე და-  
ცაქვსო,  
რომ აქვს მასცა დასავალი და ზამთარი უნუგეშო.

რომ მთები იმედისა, რომ ვარსკვლავი სიხა-  
რულის ცხოვრებისა გზასა ზედა არა დიდხანს  
მივივინათის?

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბე-  
რესა, არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია  
შავს ღამესა...

ეს უკანასკნელი არის სწორედ ალ. ჭავჭავაძის „ღუგა“-ში შემავალი ორ-  
სტრიქონედი, რომელიც, როგორც ვხედავთ, მიხეილ თუმანიშვილისეული  
თარგმანიდან არის ამოღებული.

ისმის კითხვა: როდის თარგმნა მიხეილ თუმანიშვილმა ეს ლექსი და  
რატომ მიაწერეს ეს ორსტრიქონედი ალ. ჭავჭავაძეს?

ვფიქრობთ, რადგან მიხ. თუმანიშვილის ორიგინალური თუ ნათარგმნი  
ლექსები 40-იან წლებამდეა დაწერილი, ამავე დროს იმ ავტოგრაფულ ხელ-  
ნაწერში, რომელშიაც ეს ლექსია მოთავსებული, ყველა ლექსი, გარდა „ელე-  
გიისა“, 1883 წლით თარიღდება — საძიებელი ლექსის დაწერის დროც ამ  
პერიოდს მიეკუთვნება. გრაფინია როსტომჰინას ლექსი „Зимний вечер“  
დაუწერია 1836 წელს, როგორც გამოცემიდან ჩანს, მამასადამე მიხეილ თუ-  
მანიშვილს მართლაც შეეძლო ამ პერიოდში ეთარგმნა აღნიშნული ლექსი.  
რაც შეეხება ამ ლექსის ალ. ჭავჭავაძისათვის მიკუთვნებას, ამას ერთგვარად  
ხსნის შემდეგი გარემოება:

ი. გრიშაშვილის ცნობით „ღუგა“ შედგენილია სხვადასხვა ხელნაწერი-  
დან და ეკატერინე დადიანისეულ რვეულებიდან. ეკატერინე დადიანის რვეუ-  
ლები ჩვენ ხელთ არა გვაქვს<sup>12</sup>. შესაძლებელია დასახელებული ორსტრიქო-  
ნედი იყო ეკატერინე ჭავჭავაძის რვეულებში, აქედან ალ. ჭავჭავაძის სხვა  
ლექსებთან ერთად მოხვდა დავით ერისთავის წიგნებში, საიდანაც შემ-  
დეგ ი. მეუნარგიამ გადაუგზავნა ქურნალ „ივერიის“ რედაქციას.

თუ რატომ უნდა მოხვედრილიყო ლექსის ეს ფრაგმენტი ეკატერინე ჭავ-  
ჭავაძის რვეულებში, ამას გვაგარაუდებინებს მიხეილ თუმანიშვილის ბიოგ-  
რაფიიდან ერთი მომენტი: გიმნაზიის წლებში მიხეილ თუმანიშვილი ძალიან  
დაუშვებობდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. ისინი იმხანად ხშირად დადიოდნენ  
ალ. ჭავჭავაძის სტუმართმოყვარე ოჯახში, წინანდალში. „ორივე გატაც-  
ბულნი არიან ალ. ჭავჭავაძის ასულით ეკატერინეთი და სიამოვნებით ისწრა-  
ფიან სტუმართმოყვარე წინანდალში. ორივენი ლექსებს წერენ ალბომში —  
იმ დროის მოღურის სენი“<sup>13</sup>. ცნობილია აგრეთვე, რომ მიხეილ თუმანიშვილს

<sup>12</sup> საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში არის ალბომი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ორსტრი-  
ქონედი იქ არაა.

<sup>13</sup> მიხეილ ხელთუბნელი, „მიხეილ თუმანიშვილის ცხ. და მოღვ.“ 1938, გვ. 45.



ეკატერინე ჭავჭავაძეზე დაუწერია ლექსი „თ. კ. კ. ალბომზე“, რომელიც გაუმართავი დარჩა. მისი ეს გატაცება ნაგულისხმევი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილში მიხეილ თუმანიშვილისადმი: „მშვიდობით, ალაზნის ხეობის მეუღაბნოვე! მაუწყე რაიმე შენი მიწაწყლის ქალწულზე“<sup>14</sup>. წერილი თარიღდება 1838 წლის აგვისტოთი. სავარაუდებელია, რომ მიხეილ თუმანიშვილმა მის მიერ თარგმნილი ლექსის ეს ფრაგმენტი ალბომში ჩაუწერა ეკატერინე ჭავჭავაძეს და ამ გზით ის შეცდომით ჩაითვალა ალექსანდრე ჭავჭავაძისეულად.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ერთი გარემოება: თითქოს ცოტა უცნაურად გვეჩვენება გრაფინია როსტოპჩინას ლექსებით დაინტერესება იმ პიროვნების მიერ, რომელიც კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას, თარგმნიდა პუშკინს, მაკრამ, როგორც ჩანს, გრაფინია როსტოპჩინას ლექსებით ამ პერიოდში საერთოდ დაინტერესებული იყო ქართველ პოეტთა გარკვეული წრე. Н—1139 ხელნაწერში არის ყაფლან ვაჩნაძის მიერ თარგმნილი გრაფინია როსტოპჩინას ერთი ლექსი.

ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ალ. ჭავჭავაძის „ღუგას“ მეორე ორსტრიქონედი არის მთლიანი ლექსის ფრაგმენტი.
2. იგი გრაფინია როსტოპჩინას ლექსის „ზამთრის შემოღამების“ მიხეილ თუმანიშვილისეული თარგმანია.

И. К. ГАЧЧИЛАДЗЕ

## О ПЕРЕВОДНОМ СТИХОТВОРЕНИИ М. Б. ТУМАНИШВИЛИ «ЭЛЕГИЯ»

(Резюме)

М. Б. Туманишвили, как вся грузинская прогрессивная молодежь XIX века, увлекался переводом русской литературы.

В институте рукописей им. К. С. Кекелидзе, в личном архиве М. Б. Туманишвили находится рукописная тетрадь № 837 — автограф поэта. На последней странице этой тетради есть стихотворение «Элегия» М. Б. Туманишвили. Две последние страницы этого стихотворения входят в состав стихотворения А. Чавчавадзе «Дуга», как второе двестишье.

Во втором номере журнала «Цискари» 1858 года, а также в сборнике стихотворений М. Б. Туманишвили 1881 года, стихотворение «Элегия» напечатано как перевод стихотворения графини Ростопчиной «Зимний вечер». Оригинал этого стихотворения напечатан в сборнике стихотворения графини Ростопчиной, изданном в 1857 году в Санкт-Петербурге.

Сравнение этих двух стихотворений утвердило, что стихотворение М. Б. Туманишвили перевод стихотворения графини Ростопчиной.

Второе двестишье стихотворения А. Чавчавадзе «Дуга» является фрагментом переводного стихотворения М. Б. Туманишвили «Элегия».

<sup>14</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის S 2484 ხელნაწერი, 17v—18r.

კონსტანტინე გრიგოლია

ისევ დავითის ისტორიკოსის ვინაობის შესახებ

ვინ არის დიდი დავითის (აღმაშენებელი) ისტორიკოსი, ან, რაც იგივეა, ვის კალამს განეკუთვნება ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, — ჩვენ არ ვიცით. დავითის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემა დღემდე ბურუსით მოცულია. მიუხედავად ამისა, არსებობს ერთი წყება მასთან დაკავშირებული საკითხებისა, რომელზედაც მკვლევართ სრულიად გარკვეული პასუხი გააჩნიათ. ასე მაგალითად, ყველა მკვლევარი უკლებლივ, ვინც კი დავითის ისტორიკოსის პრობლემას შეხებია, ერთხმად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ხსენებული მემატიანე თვითონ დავითის თანამედროვეა და თვითმხილველი იმ ამბებისა. რომელიც მას აღწერილი აქვს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსათვის თ. ყორღანია ამის შესახებ ამბობდა: „მატიანეში იპოვება მრავალი ცხადი ნიშნები იმისი, რომ მემატიანე თვითმხილველია მისგან აღწერილი ამბებისა“<sup>1</sup>. ხოლო ს. კაკაბაძის მიხედვით, მემატიანე არა მარტო თანამედროვე და თვითმხილველია დავითისა, არამედ ის „მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა“<sup>2</sup>. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით კი: „ისტორიკოსი იმდენად დაახლოებული და დავით აღმაშენებლის სასახლეში გამინაურებული კაცი ყოფილა, რომ მეფის წიგნებს თურმე აიღებდა ხელში, სინჯავდა და მისი შენიშვნების წაკითხვას ბედავდა ხოლმე... ერთი სიტყვით, დავით II-ის ისტორიკოსი მეფის შინაური, მეგობრად საგონებელი კაცი ყოფილა. მაგრამ ამასთანავე იგი მეფის უფრო აღტაცებული თაყვანისმცემელია, ვიდრე მეფის სწორი ამხანაგი“<sup>3</sup>. ამასვე ამბობდა ამ პრობლემის შესახებ კ. კეკელიძე<sup>4</sup>. მართლაც, თვითონ თხზულებაში ავტორის თანამედროვეობის დამადასტურებელი მოწმობა არა ერთი მოიძებნება. ასე რომ, ზემოაღნიშნული დასკვნა დავითის ისტორიკოსის ვინაობასთან დაკავშირებით სწორია, ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ თხზულების მიხედვით, მისი ავტორი დავით აღმაშენებლის არა მარტო თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი ჩანს, არამედ ის იმავე დროს თავისი პატრონის, დავითის, უფროსი თაობის წარმომადგენელიც ყოფილა. ამ მხრივ უთუოდ დამახასიათებელია მისი სიტყვები ნათქვამი „დიდი — თურქობის“ საშინელი შედეგების შესახებ: „ესე ყოველი მოიწია და თუა-

<sup>1</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწესებული და ახსნილი თ. ყორღანია ს მიერ, 1892, გვ. XLIII.

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, თბ., 1913, გვ. 3.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1916, გვ. 154.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 262.





ლითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, თუ ვითარმცა ვინ გამოთქვა თითოეულად, რომელი ღღეთა ჩუენთა ღიწია ღირი“<sup>5</sup>. თუ მემატინე დიდი თურქობის მომსწრე და თვითმხილველია, რასაც, როგორც ცნობილია, 1080 წელს ჰქონდა ადგილი, აშკარაა, ის ასაკით დავითნე უფროსი უნდა ყოფილიყო. მართალია, დიდითურქობის დროს დავითიც დაბადებული იყო, ის მაშინ შვიდი წლისა მაინც იქნებოდა, მაგრამ თხზულებაში ისტორიკოსის მსჯელობა დიდითურქობისა და მისი მძიმე შედეგების შესახებ უწვერული ყმაწვილის შთაბეჭდილებათა მონათხრობს სრულიად არ ჰგავს. ეს უფრო დასრულებული ასაკის მქონე თანადამხდური-თვითმხილველის განცდილ უბედურებათა მოთხრობას წარმოადგენს. ამავე თვალსაზრისით ჩვენ უთუოდ საგულისხმოდ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ისტორიკოსს კარგად ახსოვს დავითის მძიმე სიყმაწვილე (ალბათ ყოფა-ქცევის მხრივ); რომლის გახსენებაც კი მას არ სურს. ან კიდევ, ის გარემოება, რომ მან იცის, თუ რა დროიდან დაიწყო დავით უფლისწულმა საიდუმლო ზიარების მიღება და სხვ<sup>6</sup>. ცხადია, არაბუნებრივი იქნებოდა, მას ამგვარი მოვლენებისთვის ასე განსაკუთრებული ყურადღება მიექცია, ის რომ დავითის ტოლი ან მასზე უმცროსი ყოფილიყო.

ასევეა სპეციალურ ლიტერატურაში დავითის ისტორიკოსის მედასეობის საკითხიც: ამ საკითხსაც თავდაპირველად თ. ჟორდანიას შეეხო. მისი სიტყვით: „რომ მემატინე სამღვდლო პირია, ეს ყოველ სტრიქონში გამომჟღავნდება. მთელი მისი მოთხრობა აღბეჭდილია ღვთისმეტყველურის ბეჭდით“ და სხვ.<sup>7</sup>. ანალოგიური აზრისაა ამ საკითხის შესახებ მრავალი სხვა მკვლევარიც. მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა ამის შესახებ ცოტა სხვაგვარად. მისი სიტყვით: „ისტორიკოსი ღვთის მტყველებს მოტრფიალე მაინც და მაინც არა ყოფილა და სწორედ ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ დავით აღმაშენებლის მემატინე ან ერის კაცია, ან არა და, თუ სამღვდლო პირია, — განათლებითა და აზროვნობით სრულიად გაერისკაცებული მწერალი ყოფილა, რომელიც თავისუფლად კითხულობდა და სარგებლობდა საერო ძველ ბერძნულ წარმართულ მწერლობითაც-კი“<sup>8</sup>.

არის კიდევ ერთი ასპექტი დავითის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემისა, რომელიც მკვლევართა მიერ ასევე ერთხმად შეწყინარებულია. ეს გახლავთ მისი განათლების საკითხი. თ. ჟორდანიას მიხედვით დავითის „მემატინე ღრმად განათლებული და ნაკითხი პირია. მისი ნაწერი ნიმუშია მაღალის ხელოვნებისა“<sup>9</sup>. ხოლო კორნ. კეკელიძის სიტყვით, დავითის ისტორიკოსი „ამ თხზულების მიხედვით, განათლებული კაცი ყოფილა, მას ზედმიწევნით სცოდნია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ისტორია, კულტურა და ლიტერატურა“<sup>10</sup>.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I თბ., 1955, გვ. 322 (ამ ნაშრომში ყველგან, სადაც კი მოითითებულია მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“, სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება, კ. გ.).

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 352.

<sup>7</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, თბ., 1892, გვ. XLV.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155.

<sup>9</sup> ქრონიკები ... (დასახ. თხზ.), 1892, გვ. XLV.

<sup>10</sup> კორნ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 263.



ასეთია სამი ასპექტი დავითის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემისა, რომელიც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს და სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ შეწყნარებულია. მაშასადამე, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ დავითის მემატიანე-ისტორიკოსი მისი თანამედროვე, თანადამხდური და უფროსი თაობის წარმომადგენელი, დიდად განათლებული სამღვდლო პირი ყოფილა. მაგრამ საკითხი: ვინ იყო ის სახელდებით, დღესაც გარკვეული არ არის. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც პირველმა მოგვცა დავითის ისტორიის ვრცელი და შესანიშნავი მეცნიერული შეფასება, მისი ავტორის ვინაობის საკითხი ღიად დატოვა, მისი სიტყვით: „ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა აგვიწერა, ჯერ-ჯერობით არ ვიცი. არც თვით ისტორიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება“<sup>11</sup>.

მიუხედავად ამისა, მეცნიერებაში მანამდის და მის შემდეგაც არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული დავითის ისტორიკოსის ვინაობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ადრინდელი მოსაზრების ავტორი ს. კაკაბაძე იყო. მან დავითის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მისი სიტყვით: „მემატიანე უნდა იყოს არსენი, მეფის მოძღვარი, მოხსენებელი დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც დაწერილია შიომღვიმისათვის მისი მეფობის უკანასკნელ წლებში“<sup>12</sup>. თავის დაკვირვებას მკვლევარი თვითონ თხზულების — „დავითის ცხოვრების“ — ზოგიერთ მონაცემზე ამყარებდა და სხვათა შორის ამბობდა: „მემატიანე თავისი მატიანის პირველ ნაწილში ძლიერ მოკლედ მოგვითხრობს ისტორიულ ფაქტებს, ქრონოლოგიური ცნობებიც იშვიათად ან სრულიად არ მოყავს, 1115 წლიდან კი მემატიანე უფრო დაწვრილებით აღწერს მეფის მოღვაწეობას, წლითი-წლად მოგვითხრობს მეფის ლაშქრობათ. ეს გარემოება ჩინებულად ამტკიცებს ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მემატიანე იყოს არსენ ბერი, რომელიც 1115 წლიდან დავით აღმაშენებლის მოძღვრად ითვლებოდა“<sup>13</sup>. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ს. კაკაბაძის მიერ მოხმობილი ზოგიერთი მოტივი თვითონ იწვევს არაერთ შენიშვნას. საკმარისია აღინიშნოს, რომ დავითის მიერ 1123 წელს დაწერილ და შიომღვიმისათვის ნაბოძებ ანდერძში მეფის მოძღვრად არსენი კი არა, იოანეა დასახელებული<sup>14</sup>. არც „დავითის ცხოვრების“ 1115 წლის მიხედვით ორ ნაკვეთად გაყოფის ფაქტია საკმარისად დამაჯერებელი. მიუხედავად ამისა, „დავითის ცხოვრებაში“ არსენ ბერის ავტორობის პრობლემა უსაფუძვლო მაინც არ გამოდგა და შემდგომმა კვლევა-ძიებამ მისი დასაბუთება მაინც მოახერხა<sup>15</sup>. მართლაც, ხანგრძლივმა დაკ-

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 152.

<sup>12</sup> ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, თბ., 1913, გვ. 6.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 13.

შენიშვნა: ამ ნაშრომში ყველგან, სადაც კი მითითებულია ქართული სამართლის ძეგლები სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება (კ. გ.)

<sup>15</sup> ანალოგიური მოსაზრება არსენ ბერის ისტორიოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ გამოთქმული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ბ. ლომინაძესაც. მისი სიტყვით: არსენმა, რომელიც „დავითის მესაიდუმლე და ახლობელი





ვირვებამ კ. კეკელიძე მიიყვანა იმის აღიარებამდის, რომ „ავტორი ამ თხზულებისა (დავითის ცხოვრება იგულისხმება, კ. გ.) მისი შინაარსის მიხედვით არის თანამედროვე დავითისა, მასთან და მის კართან ძალიან დაახლოებული პირი, მისი „მოძღვარი“ — ეს უნდა იყოს არსენ ბერი საღირისძე“<sup>16</sup>. დიდმა მკვლევარმა „დავითის ცხოვრება“ შეუდარა რუს-ურბნისის ქეგლის წერასა და დავითის ანდერძებს, რომელთა შეთხზვა-შედგენა არსენ ბერის სახელს უცილობლად უკავშირდება და მეტად საგულისხმო სურათი დაადგინა: გამოიკვია, რომ „დავითის ცხოვრებას“ მრავალი ლიტერატურულ-იდეური თუ ენობრივ-სტილისტური ნიშანი გააჩნია, რომელიც მას არსენის ხელიდან გამოსულ შემოაღნიშნულ თხზულებებთან აახლოებს და გარკვეულად აკავშირებს კიდევ. ასე მაგალითად, კ. კეკელიძის დაკვირვებით არსენ ბერს რომ უნდა ეკუთვნოდეს დავითის ისტორია (ცხოვრება) და ის შესხმა ან ხოტბა, რომელსაც უძღვნის „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, „ჩანს იქიდან, რომ არსენ მონაზონი იმავე უნამუშევრობით, იმავე ფრაზებით, სიტყვებითა და ეპითეტებით ამკობს დავითს, რომლებითაც არსენ ბერი აგვიწერს დავითის ფიზიკურსა და სულიერ თვისებებს თავის ისტორიაში“<sup>17</sup>. კ. კეკელიძეს საგულისხმოდ მიიჩნია აგრეთვე არსენ ბერის მსოფლმხედველობის ერთი ასპექტიც, კერძოდ, მისი პატრიოტიზმი. მისი სიტყვით: „თანახმად იმდროინდელ ქართველთა უაღრესად განვითარებული ეროვნული თვითშეგნებისა, მას (არსენ ბერი იგულისხმება, — კ. გ.) საქართველო და მისი პოლიტიკური მესვეურები გამოუყვანია მსოფლიო-ისტორიულ შედარებათა ფართე ასპარეზზე; დავითის მსგავს მოღვაწეს ის ისტორიაში ვერ პოულობს“<sup>18</sup>. მართლაც რუს-ურბნისის საეკლესიო კრების ქეგლის წერაში, განსაკუთრებით მის მესამე ნაკვეთში, რომელიც ხსენებული კრების გადაწყვეტილებით დაწერილ და დავითისთვის მირთმეულ შესხმა-ქებას წარმოადგენს, დავით აღმაშენებელი შედარებულია ძველი სამყაროს უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეებთან: აქილევს ელინთან, სოლომონ ბრძენთან, ალექსანდრე მაკედონელთან, კეისარ აუგუსტოსთან, კონსტანტინე დიდთან და არსენ ბერი მაინც არავის ხედავს მათ შორის დავითის ტოლს, მის თანასწორს. სწორედ ამიტომ მიმართავს მას სიტყვებით: „უფრო ძალიან ბრწყინვალეო თუალო ყოველისა შეფეთა ერთაგუამობისა-ო“<sup>19</sup>. ამის ანალოგიურ თვალსაზრისს ვხედავთ დავითის ცხოვრებაშიც. დავითი იქაც შედარებულია ქვეყნის იმავე მპყრობელებთან და იქაც მემატთანე დავითს ყველაზე უფრო მაღლა აყენება. მისი სიტყვით, აქილევსის ქება, რასაც დიდი ჰომეროსი ეწევა, რა სახსენებელია. აბა რა სათქმელია აქილევსის გმირობა, „რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა“. საქმეელი მას არა-

იყო, არაერთი მნიშვნელოვანი საისტორიო შრომა დავეიტოვა, მათ შორის დავით აღმაშენებლის ისტორია, სანდო წყარო დავითის მეფობის შესასწავლად“ (შიომღვიმე, თბილისი, 1953, გვ. 49).

დავითის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემას მიუძღვნა თავის ღრობზე საღიპლომო ნაშრომი თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დიპლომანტმა, აწ იმავე ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელმა ანრი ბოგვერაძემ, ისიც ამ აზრს ავითარებდა, რომ არსენ ბერი — „დავითის ცხოვრების“ ავტორი, დავითის ისტორიკოსია.

<sup>16</sup> კორნ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 262.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 263.

<sup>19</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ქორდანიას მიერ, II, 1892, გვ. 69.

ფერი გაუკეთებია. ოცდარვა წელიწადი იდგა ტროას კარებთან, ამ ხნის განმავლობაში ქალაქი ვერ აიღო, აბა რაღა უნდა ითქვას მის შესახებო. მემატიანე იქვე დავით აღმაშენებელს ასახელებს და ერთგვარი ნიშნის მოგებით აღნიშნავს კიდევ: „ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენტა მიმართ წინაგანწყობა სამ უამადმდე იყო და ვერცა პირველსა კუთებასა შეუძლეს წინადადგომად“<sup>20</sup>. იგივე ისტორიკოსი დავით აღმაშენებელს არა მარტო აქილევსზე, არამედ ალექსანდრე მაკედონელზედაც უფრო მაღლა აყენებს. თუ ამ უკანასკნელის მოღვაწეობის მსოფლიო რეზონანსი უფრო დიდი იყო ვიდრე დავითისა, მისი აზრით, ეს მათი კონკრეტული სამოღვაწეო (ობიექტური) პირობებით აიხსნებაო. ალექსანდრე მაკედონელი დიდი ქვეყნის (საბერძნეთი) მეფე იყო, ამიტომაც თავიდანვე მას დიდი მხედრობა ჰყავდა. ამ უკანასკნელის წყალობით მან ადვილად მოახერხა გარეშე ქვეყნების თანდათანობით დაპყრობა, მხედრობის კიდევ უფრო გამრავლება და საბოლოოდ მთელი მსოფლიოს ხელში ჩაგდებაო. დავით აღმაშენებელი კი მცირე ქვეყნის მეფე იყო და ისიც „შემოკლებული“ ჰქონდაო. მართლაც დავითის მეფობის პირველ ხანებში აღმოსავლეთ საქართველო თურქ-სელჯუკთა სათარეშოდ იყო ქცეული. დავითი დასავლეთ საქართველოში აღმოჩნდა ჩაკეტილი, მეფე ლიხის-ქედს თუ გადმოვიდოდა, იქვე წაღვლისთავს უნდა დამდგარიყო. აქეთ ვერ წამოვიდოდა. ასეთ პირობებში, ცხადია, დავითს არ შეიძლებოდა დიდი მხედრობა ჰყოლოდა და რაც ჰყავდა, ისიც „უცხენო და უიარლო“ იყოო. ამიტომ, ბუნებრივია, ფიქრობს ისტორიკოსი, დავითი, რომელსაც „მცირე გუნდა მკედრობისა“ ჰყავდა, ვერ გასცდა ამიერკავკასიის ფარგლებს და მეტი ვერაფერი გააკეთაო: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა — აგრძელებს დავითის ისტორიკოსი — ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავით სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერბენთა და პრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“<sup>21</sup>. იმავე შედარების წყალობით არა ერთი საგულისხმო, იდეური თუ ლიტერატურულ-სტილისტური პარალელი აქვს დადგენილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ჯ. ოდუმელსაც „დავითის ცხოვრებასა“ და არსენ ბერის სახელთან უცილობლად დაკავშირებულ თხზულებებს შორის. ასე მაგალითად, ის ეხება საქართველოს ეკლესიაში XII საუკუნის დამდევისათვის შექმნილ საგანგებო მდგომარეობას, მასში „უღირსთა და უწესოთა“ ეპისკოპოსთა „მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით“ მოკალათების ამბავს და თავის მხრივ აღნიშნავს: „დავითის ისტორიკოსთან და რუის-ურბნისის ძეგლის წერაში ეს ამბავი ზუსტად ერთნაირი გამოთქმით არის კვალიფიცირებული („ქუაბ ავაზაკთა“)<sup>22</sup>. მისივე დაკვირვებით — „რუის-ურბნისის ძეგლის წერასა და დავითის ისტორიკოსის თხზულებებში სავესებით იდენტური აზრებია გამოთქმული სომეხთა მწვალებლობის შესახებ. ორივე ძეგლში ერთნაირად გამოსკვავის რელიგიური შეუწყნარებლობა სომეხთა სარწმუნოებისადმი“<sup>23</sup>. ზემოაღნიშნულს მკვლევარი დასძენს:

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 342.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 359.

<sup>22</sup> ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დავითის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, გვ. 216.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 218.





„ერთი მხრივ, დავითის ისტორიკოსის თხზულების, ხოლო მეორე მხრივ, დავითის ანდერძებისა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით დავითისთვის მიერთებული შესხმის თანადამთხვევა იზოთეიზმის გამოვლინებაში მნიშვნელოვან არგუმენტად მიგვაჩნია ამ ძეგლების ერთი საერთო ავტორის — არსენ ბერისთვის მისაკუთვნებლად“<sup>24</sup>. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იგივე მეცნიერი „დავითის ცხოვრებაში“ არსენ ბერის მოუხსენებლობის ფაქტს. მისი აზრით, „არსენ ბერისთვის, დავით აღმაშენებელთან ესოდენ დაახლოებული პირისთვის, დავითის ისტორიაში სიჩუმით გვერდის ავლა შეეძლო მხოლოდ არსენ ბერს, რომელსაც, როგორც ჩანს, უხერხულად მიაჩნდა თავის თავზე წერა“<sup>25</sup>. ამგვარად, აქ აღნიშნულ და მათი მსგავს სხვა მოტივებზე დაყრდნობით ჯ. ოდიშელიც „დავითის ცხოვრების“ ავტორად არსენ ბერს მიიჩნევს.

მიუხედავად დავითის ისტორიკოსის ვინაობასთან დაკავშირებული კვლევა-ძიების ერთგვარი წარმატებისა და ხსენებული პრობლემის საკმაოდ დამაჯერებელი გაშუქებისა, არც ისე დიდხანია, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სულ სხვა თვალსაზრისი გაჩნდა და არსენ ბერის ავტორობა „დავითის ცხოვრებაში“ ისევ საკამათოდ იქცა. 1966 წელს მკითხველ საზოგადოებას ემცნო შ. რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ივ. ლოლაშვილის ახალი გამოკვლევა, რომელშიც უწყებელი პრობლემა სულ სხვაგვარად არის გადაწყვეტილი. ამ უკანასკნელის მიხედვით, დავითის ისტორიკოსია არა არსენ ბერი, როგორც იყო ამ ბოლო ხანებში მკვლევართა მიერ შეწყნარებული, არამედ სულ სხვა პირი — იო ანე პეტრიწი-კიმიჭიშვილი<sup>26</sup>. მკვლევარი ამ შემთხვევაში ორ დებულებაზეა არსებითად დამყარებული: ა) არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პირია. რადგან „დავითის ცხოვრებაში“ არსენ იყალთოელი ქებით იხსენიება, ის არ შეიძლება მისი დამწერი ყოფილიყო, „ის თავისთვის ქებას არ იკადრებდა“-ო<sup>27</sup>. ბ) თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ყოფილა მის დროისათვის დემეტრე მეფის „შესხმამითხრობა“ (ცხოვრება-ისტორია), დაწერილი იოანე კიმიჭიშვილის მიერ, გულისხმობს არა დემეტრეს, როგორც ეს, დიდი ხანია, შეწყნარებულია სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ მამამისს — დავით აღმაშენებელს<sup>28</sup>. მასასადამე, იოანე კიმიჭიშვილი, რომელიც ივ. ლოლაშვილის აზრით, იგივე იოანე პეტრიწია, დავითის ისტორიკოსი ყოფილა. აღნიშნული მოსაზრება დოქტორმა ივ. ლოლაშვილმა ამის შემდეგაც გაიმეორა<sup>29</sup>. განვიხილოთ ხსე-

<sup>24</sup> ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 219.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 214.

შენიშვნა: ეს მოტივი, ამ შემთხვევაში, ობიექტურად სწორი გამოდის. თუმცა, საერთოდ, ის არ მიგვაჩნია მართებულად. ისტორიულ თხზულებაში ამა თუ იმ პირის მოუხსენებლობა ყოველთვის არ შეიძლება მისი ავტორობის მაუწყებელ გარემოებად იქნეს მიჩნეული, კ. გ.

<sup>26</sup> ივ. ლოლაშვილი, არსენ ბერისა და დავითი აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 3, თბ., 1966, გვ. 26.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 24—25.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>29</sup> იო ანე პეტრიწი, სანთობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1968, შვ. 9—69.







გამორიცხული არ არის ამ არსენის სახით დადი ანტონი სწორედ არსენ ბერს გულისხმობდეს. ყოველ შემთხვევაში, ანტონ კათალიკოსის მიერ — არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის გაიგივებას ადგილი არ აქვს. გარდა ამისა, მკვლევარი ივ. ლოლაშვილი ამაოდ იშველიებს დავით რექტორის ცნობას იმის შესახებ, რომ იყალთოელი „იყო მოძღვარი მეცნიერებისა მეფისა და ვით აღმაშენებლისა“ (ხაზი ჩვენია, კ. გ.). ცხადია, ეს უკანასკნელი გარემოება ამ ორი არსენის იგივეობის დასამტკიცებლად ვერ გამოდგება. ან საიდან იცის პატივცემულმა მკვლევარმა, რომ დავით აღმაშენებელს ერთის გარდა სხვა მოძღვარი — მასწავლებელი მეცნიერებისა არ ჰყავდა. პირიქით, საფიქრებელია, ისეთ მრავალმხრივ და ღრმად განათლებულ პიროვნებას, როგორც დავითი იყო, ერთი კი არა, რამდენიმე მასწავლებელი ჰყოლოდა სინამდვილეში. ასეთ იგივეობას ვერც იმ ეპისტოლეთა დასაწყისის მსგავსება დაადასტურებს, რომლითაც არსენ ბერსა და არსენ იყალთოელსაც სხვადასხვა დროს მიუძღრთავთ დავით აღმაშენებლისადმი. მკვლევარს მუდამ უნდა ახსოვდეს ის გარემოება, რომ ძველ საქართველოში ოფიციალური საბუთები და მათ შორის ეპისტოლარული მასალა ვარკვეული ფორმულარის მიხედვით იწერებოდა. ხოლო ამის გამო ცალკეული ნაკვეთების ანალოგია, მით უფრო დასაწყისისა, ავტორთა იგივეობის დასამტკიცებლად არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება. ვერც ის გარემოება, რომ არსენ ბერი შიო-მღვიმის მოღვაწეა და იქაური ჩანს არსენ იყალთოელიც, სრულიად არაფერს ლაპარაკობს მათი იგივეობის სასარგებლოდ. ისეთ დიდ სავანეში, როგორც შიო-მღვიმის ლავრა იყო, ერთი და იგივე სახელის მქონე მოღვაწე შეიძლება, თუნდაც ერთდროულად, ერთი კი არა, რამდენიმე ყოფილიყო. ამ მხრივ დამახასიათებელია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერა, რომელშიც სამი არსენია ერთად მოხსენებული: არსენი ბერი, არსენ კალიპოსელი და არსენ იყალთოელი, მაგრამ ამის მიხედვით მათ იგივეობაზე საუბარი, არა გვეგონია, რომ საფუძვლიანი გამოდგეს. უსაფუძვლოდ მიგვაჩნია მსჯელობა იმის შესახებაც, რომ არსენ ბერის მიერ დაწერილი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ შეიმჩნევა, ან როგორც ნათქვამია, „შემონახულია იყალთოელის შრომების ნაკვალევი“. მას თურმე გამოუყენებია იყალთოელის მიერ ნათარგმნი სჯულისკანონი და მუხლები უწყებულ „ძეგლის წერაში“ სწორედ ისე დაულაგებია, როგორც ამას სჯულისკანონში აქვს ადგილი. თავი რომ დავანებოთ იმ გარემოებას, რომ არსენ იყალთოელი სჯულის კანონის შემთხვეული არ იყო, არამედ მთარგმნელი მხოლოდ (მაშასადამე, არსენ იყალთოელის შრომების ნაკვალევი ამ შემთხვევაში სრულიად არაფერ უშაშია), საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს: სჯულისკანონი (მსოფლიო საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებანი) სწორედ იმიტომ ითარგმნებოდა ქრისტიან ხალხთა ენებზე, რომ მით ადგილებზე ესარგებლათ, მისთვის მიებააათ, ნიმუშად გამოეყენებინათ და სხვ. თუ ამ მხრივ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლის დებაში“ მართლაც აღმოჩნდება არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნი სჯულისკანონის გამოყენების ნაკვალევი, ამაში გასაკვირი სრულიად არაფერია და ამის მიხედვით საუბარი არსენ იყალთოელისა და არსენ ბერის იგივეობის შესახებ, როგორც სრულიად უსაფუძვლო, შეუწყნარებელია. ამის გარეშეც შედმიწვევით ცხადია, რომ არსენ იყალთოელი არ შეიძლება არსენ ბერი ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ ძეგლის-წერის ბოლო ნაკვეთში, სადაც დავით მე-



ფის, მისი ოჯახის წევრების და სხვა ცოცხალ თუ მიცვალებულ მოღვაწეთა მოსახსენებელია 'მოთავსებული, არსენ იყალთოელი გარდაცვლილთა შორის არის მოხსენებული და ავტორს მისთვის საუკუნო ხსენება აქვს გამოთხოვილი: „დაუხსრულებელისა ნეტარებისა მკვდრთა ბერთა ჩუენთა, საბაჲსულაჲსძისა და ანტონი ტბელისა და ეფრემ მცირაჲსაჲ და არსენი მონაზონისა იყალთელისაჲ საუკუნო“ (ხაზი ჩვენი, კ. გ.)<sup>34</sup>. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ამ ძეგლის ბოლო ნაკვეთში: „უშუალოდ კრების დადგენილებით აღვლენილი მრავალქამიერობა ცოცხალ, ხოლო მიცვალებულ გამოჩენილ მოღვაწეთათვის საუკუნო ხსენება მოთავსებული, ამიტომ ეს ბოლო ნაწილი მთლად ძეგლის-წერას ეკუთვნის და იმავე არსენის ნაწერის გაგრძელების შთაბეჭდილებას ახდენს“<sup>35</sup>. თუ ეს ასეა, აშკარაა, არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის იგივეობა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. მწერალი, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მომენტისათვის მიცვალებული იყო, არავითარ შემთხვევაში ხსენებული კრების მონაწილე და მისი აქტების დამწერი არ შეიძლება იყოს<sup>36</sup>.

ამგვარად, მკვლევარ ივ. ლოლაშვილის მთავარი არგუმენტი, რომლის მიხედვით ის უარყოფდა „დავითის ცხოვრებაში“ არსენ ბერის ავტორობის შესაძლებლობას, საფუძველგამოცლილი რჩება. სამწუხაროდ, პატივცემულ მკვლევარს არც მეორე დებულება აქვს თავის ნაშრომში უფრო დასაბუთებულად წარმოდგენილი. მისი ცდა, შეაკეთოს „ისტორიანი და აზმანის“ ის ადგილი, სადაც საუბარია იოანე ფილოსოფოსი-ჭიმჭიმელის მიერ დაწერილ დემეტრე მეფის „შესხმა-მითხრობის“ (ცხოვრება-ისტორია) შესახებ და იქ როგორმე დემეტრეს მაგიერ დავით მეფე, აღმაშენებელი, ამოიკითხოს, ოდნავადაც ვერ ახდენს დამაჯერებელ შთაბეჭდილებას.

თამარის პირველი ისტორიკოსის აღნიშნული მითითების მიხედვით, იოანე ჭიმჭიმელს ჰქონია დაწერილი დემეტრე მეფის „შესხმა-მითხრობა“ ან ისტორია. ეს ცნობა მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ასე იკითხება: „მა-მა იქმნა იგი მეფე-მეფეთა ძე დიმიტრი მეფისა (საუბარია თამარის მამისშვილობის შესახებ, კ. გ.), რომელსა დავითცა ესვა ძედ ძესა დავითიანისასა და აღმოსავლეთსა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინისა, რომლისა დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებისათა აღმოაჩენს იოვანე ფილასოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“<sup>37</sup>. ჩვენი წარსულის დიდ მკვლევართა — ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის და კ. კეკელიძის — დაკვირვებით, ამ ცნობაში იოანე ჭიმჭიმელის „შესხმა-მითხრობის“ ობიექტად დემეტრე I მეფე ჩანს და ეპითეტიც „აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა მეციხოვნე, ზღუართა დამდებელი და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი“ სწორედ მას ეკუთვნის და არავის სხვას. რახან აღნიშ-

<sup>34</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ასხილი თ. ყორღანის მიერ, II, თბილისი 1897, გვ. 71—72.

<sup>35</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 42.

<sup>36</sup> ის ფაქტი, რომ არსენ იყალთოელი რუის-ურბნისის ძეგლისწერაში მიცვალებულთა შორის იხსენიება, დიდხანია სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია (იხ. ს. კაკაბაძე, დავითის მემკვიდრის ვინაობა, თბ., 1913, გვ. 3).

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906, გვ. 363—364.





ნული ეპითეტი დემეტრე მეფის დასახელებას მისდევს, მისი ამგვარი კუთვნილება თითქოს უეჭველია, მაგრამ მკვლევარ ივ. ლოლაშვილი ასეთ განმარტებას შეცდომად თვლის. ის ამ ცნობის საკუთარ განმარტებას გვთავაზობს და, საბოლოო ანგარიშით, იოანე ჭიჭიკიძეს, რომელსც ის იოანე პეტრიწთან აიგივებს, დავითის ისტორიკოსად აცხადებს. ამ მიზნით ის ამბობს: „ეს ტექსტი (ცნობა დემეტრე მეფის „შესხმა-მითხრობის“ შესახებ იგულისხმება, კ. გ.) „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში (განსაკუთრებით მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში) ძლიერ დამახინჯებულია“<sup>38</sup>. სინამდვილეში იქ აღნიშნული ტექსტი არც იმდენად დამახინჯებულია, რომ მისი აზრის გაგება შეუძლებელი იყოს, მაგრამ მკვლევარი ივ. ლოლაშვილი ასეთ განცხადებას მიმართავს იმისათვის, რომ მოიპოვოს უფლება „ისტორიანი და აზმანის“ ამ ადგილის თვითნებური გადაკეთებისა. მართლაც, ამ განცხადების შემდეგ ის საკმაოდ გაბედულად ეუბნება თავის მკითხველს: „აზმათა ავტორი ზემოთ დამოწმებულ ციტატაში იხსენიებს ხუთ მეფეს: დავით აღმაშენებელს, დიმიტრის, დავითს, გიორგისა და თამარს. მათგან დავით აღმაშენებელი სახელდებით არ არის დასახელებული. ისტორიკოსი მას ეპითეტებით ამკობს, ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ „დავითიანი და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღუართა დამდებელი და ზღვათაგან ზღვამდის მპყრობელი“ არის დავით აღმაშენებელი. თუ ამ ეპითეტების ნაცვლად ჩავსვამთ იმ პირის სახელს, რომელიც ტექსტში იგულისხმება, ჩვენი მსჯელობა დამაჯერებელი გახდება და „შესხმა-მითხრობის“ ობიექტივ გამოჩნდება“<sup>39</sup>. ამას ამბობს მკვლევარი მაშინ, როდესაც მეფეთა დასახელება ამ ნაწყვეტში არამც თუ დავით აღმაშენებლით არ იწყება, არამედ ეს უკანასკნელი აქ საერთოდ ნახსენებიც არ არის. გარდა ამისა, წინააღმდეგობა იმდენად თვალში საცემია, რომ საბოლოო ანგარიშით მას ვერც ივ. ლოლაშვილი უფლის გვერდს და ისიც თავისთავის საწინააღმდეგოდ იძულებულია აღიაროს: „მათგან (ხუთი ზემოდასახელებული მეფე იგულისხმება, კ. გ.) დავით აღმაშენებელი სახელდებით არ არის დასახელებული“. თურმე ნუ იტყვი: „ისტორიკოსი მას ეპითეტებით ამკობს; ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ „დავითიანი და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღუართა დამდებელი და ზღვათაგან ზღვამდის მპყრობელი“ არის დავით აღმაშენებელი. ჩვენ არ გვესმის, თუ როგორ შეიძლება, ტექსტში მეფე არ იყოს დასახელებული და სამაგიეროდ მისი ეპითეტი იყოს წარმოჩენილი. რა აზრი აქვს ტექსტში ეპითეტის ასეთ უსახელო წარმოჩენას, ან ვის შეუძლია მისი კუთვნილება დაადგინოს? შეცდომა იმით ჩანს გამოწვეული, რომ ივ. ლოლაშვილს ჰგონია: ეპითეტი — აღმოსავლეთის მეციხოვნე და ზღუართა დამდებელი და ზღუათა ზღვამდის მპყრობელი მხოლოდ დავით აღმაშენებელს ეკუთვნოდა ძველ საქართველოში და სხვა არავის.

სინამდვილეში ეს, რასაკვირველია, ასე არ იყო. დაკვირვება გვარწმუნებს, რომ აღნიშნული ეპითეტებით თითქმის ერთნაირად ამკობდნენ ყველა

<sup>38</sup> ივ. ლოლაშვილი, არსენ ბერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 3, თბილისი, 1966, გვ. 25.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 26.



მეფეს, დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული დიდი თამარის ჩათვლით. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ხსენებულ ცნობაში დასახელებულ წოდებულების კავალერი დემეტრე მეფეც ყოფილიყო. მართალია, დემეტრეს სამხედრო-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ დღეს ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ მკვლევარს არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება დაივიწყოს ის ბრწყინვალე დახასიათება, რომელიც დემეტრეს შესახებ თვითონ დავით აღმაშენებელს თავის ანდერძში მოეპოება. ღვთის უპირველეს წყალობად დავითს სწორედ დემეტრეს დაბადება მიაჩნია. რომ მას გაუჩნდა შვილი, როგორც ის ამბობს: „...ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა, ს ი წ მ ი დ ი თ ა, ა ზ ო ვ ნ ე ბ ი თ ა და ს ი მ ქ ნ ი თ ა უ მ ქ ო ბ ე ს ი ჩ ე მ ს ა“<sup>40</sup>. ვფიქრობთ, ძნელია დავითის ამ სიტყვებში დაეჭვება, ან ვის შეეძლო დემეტრეს დეაწლი დავითზე უკეთესად სცოდნოდა? ანალოგიურად ახასიათებენ დემეტრე მეფეს იმავე ეპოქის სხვა ისტორიკოსებიც. ასე მაგალითად, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის მიხედვით დემეტრე ყოფილა: „მკნე ჳდომათა შინა და მძლე ბრძოლასა შინა“<sup>41</sup>. მეორე შემთხვევაში, იგივე ისტორიკოსი მას ახასიათებს როგორც „ქელმწიფესა დიდსა და სახელგანთქმულსა“<sup>42</sup>. ხოლო ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტანის სიტყვით: თვითონ დავით აღმაშენებელმა „სიცოცხლესა შინა დასუა მეფედ დემეტრე და დაადგა გვრგვნი თვთ მისითა ქელითა“... და მან „იპყრა სამეფო ტახტი დასაჯდომი მკლავითა ლომებრივითა“<sup>43</sup>.

ასევე ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებითაც „დემეტრე მეფეს ყველა ისტორიკოსი ერთხმად გულად და სახელოვან გვირგვინოსნად თელის... მამაცს უწოდებს მას სტეფანოს ორბელიანიც, ხოლო მათე ურპაელი ამბობს, რომ „გულადი და ღვთის მოყვარე და ყოვლითურთ თავის მამის დავითის მსგავსი იყო“<sup>44</sup>. აშკარაა, ყველაფერი ეს იმის მოწმობას წარმოადგენს, რომ თავის დროზე დემეტრე მეფე მართლაც ყოფილა თავისი მამის მსგავსი სახელგანთქმული გვირგვინოსანი.

რომ მკვლევარი ივ. ლოლაშვილი არ არის მართალი და „ისტორიანი და აზმანის“ ხსენებულ ცნობაში დავითის (აღმაშენებელი) დასახელება საერთოდ არ არის მოსალოდნელი, აშკარა იქნება, თუ დავუკვირდებით იმ მოტივს, რომლითაც გამოწვეულია მეფეთა დასახელება თამარის ისტორიის დასაწყის ნაკვეთში. საქმე ის არის, რომ „ისტორიანი და აზმანი“ ცხოვრების ეპიკურით დაწერილი თხზულებაა. ყოველი ასეთი ძეგლი, როგორც ცნობილია, იწერებოდა იმ პირის ბიოგრაფიული ქარგის მიხედვით, ვისი ცხოვრება-მოღვაწეობის გაშუქებაც მწერალს ჰქონდა მიზნად დასახული. ხოლო ეს გარემოება, თავის მხრივ, ავალებდა ავტორს, საუბარი ჩამოეგდო თხზულების სწორედ დასაწყის ნაკვეთში თავისი გმირის მშობლების შესახებაც და მოკლედ გაეცნო ისინი მკითხველისათვის. სწორედ ამ მიზნითაა ნათქვამი იქ, რომ თამარის მამა იყო გიორგი მეფეთა-მეფე, ძე დემეტრე მეფისა და დასახელებულია ამ უკანასკნელის ეპითეტებიც: „აღმოსავლეთ(ი)სა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდის მპყრობელისა“ და სხვ. ამ კონტექსტში, როგორც ვხედავთ, არ არის აღ-

40 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

41 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

42 იქვე, გვ. 43.

43 იქვე, გვ. 365.

44 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 221.





გილი დავით აღმაშენებლისათვის. ან როგორ შეიძლება აქ მოტანილი ეპიტეტების ქვეშ დავითი იგულისხმებოდეს მაშინ, როდესაც მომდევნო სტრუქტურულ კონებში თხრობა ისევ დემეტრე მეფესა და მის მიერ სამეფო ტახტზე გიორგის დასმის ამბავს ეხება. ამკარაა, რომ ავტორი ამ შემთხვევაში თამარის მთელი გენეალოგიის გაშუქებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ მისი მამისშვილობის მითითება უნდოდა მხოლოდ. მას დასახელებული ჰყავს თამარის მამა (გიორგი) და პაპა (დემეტრე). საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევაში დღესაც კი მამა-პაპის დასახელებაზე ჩერდებიან ჩვეულებრივ და ამ მიზნით არ მიდიან წარსულის სიღრმეში. ზოლო ის ოპერაცია, რომლის განხორციელებას აქ ივ. ლოლშავილი გვთავაზობს — დემეტრე მეფის ეპიტეტების ამოღება და მათ მაგიერ დავით აღმაშენებლის ჩაწერა, როგორც სრულიად უსაფუძვლო და თვითნებური ღონისძიება, გამორიცხვლად უნდა ჩაითვალოს. თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ, ცხადია, ძალაში უნდა დავტოვოთ ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის და კ. კეკელიძის დაკვირვება და იოანე ჭიმჭიმელი ჩვენც დემეტრე მეფის ცხოვრების, ან შესხმა-მოთხრობის, ავტორად ვაღიაროთ. იოანე ჭიმჭიმელის ავტორობას, გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელს უშლის ქრონოლოგიური მოტივიც. საქმე ის არის, რომ კ. კეკელიძის დაკვირვებით, იოანე ჭიმჭიმელს გიორგი მესამისა და თამარის ზეობაში უცხოვრია. ის თამარის დაკრძალვასაც დასწრებია და მას იქ სამგლოვიარო სიტყვაც წარმოუთქვამს<sup>45</sup>. მაგრამ საკითხავია, როგორ შეიძლებოდა ასეთ შემთხვევაში იოანე ჭიმჭიმელი იმავე დროს, დავით აღმაშენებლის თანამედროვე, მით უმეტეს დიდი თურქობის მომსწრე და თანდამხდური ყოფილიყო. თუ ჩვენ მას ბიბლიურ მათუსალობას არ დავუწამებთ, ასეთი რამ ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა. ამგვარად, ივ. ლოლშავილის არცერთი დებულება დავითის ისტორიკოსის ვინაობასთან დაკავშირებით დასაბუთებული არ ჩანს და მთელი მისი ცდა, იოანე ჭიმჭიმელს მიაწეროს დავითის ცხოვრების ავტორობა, პაერში გამოკიდებული რჩება. ყოველ შემთხვევაში, მკვლევართა ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის, ბ. ლომინაძის, ა. ბოგვერაძის და ჯ. ოდიშელის მოსახრება იმის შესახებ, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ არსენ ბერის ნახელავი უნდა იყოს, მის მიერ ოდნავ ადაც შერყეული არ არის.

II

მას შემდეგ, რაც გაირკვა ჩვეულებრივი კრიტიკის უძლურება არსენ ბერისა და დავითის ისტორიკოსის იგივეობის უარყოფის საქმეში, აღნიშნულმა პრობლემამ ჩვენი ყურადღებაც მიიქცია. განვიზრახეთ, კიდევ ერთხელ შეგვეჯერებია ამ ორი ისტორიული მოღვაწე-მწერლის იგივეობა და დამატებით მოგვესინჯა ის საფუძველი, რომელზედაც ეს უკანასკნელი არსებითად დამყარებულია. ასეთი შეკვრება იმიტომაც დავინახეთ საჭიროდ, რომ ლიტერატურულ-სტილისტურ-იდენტური მოტივები, რომლებსაც მკვლევარნი ამ შემთხვევაში ემყარებიან, ზოგადი ხასიათისა ჩანს და, შესაძლებელია, ერთი და იგივე ეპოქის მწერალთა დიდი ჯგუფისათვის საერთო გამოდგეს. მხო-

<sup>45</sup> კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 316—317.

ლოდ ამგვარი მოტივებით, ბუნებრივია, ორი მოღვაწის იგივეობის მტკიცე-  
ბა უაღრესად სახიფათოა. მართალია, ადრე ჩვენც არ ვიზიარებდით აღ-  
ნიშნულ პირთა იგივეობას, მაგრამ ამჟერად გადავწყვიტეთ ამ უკანასკნელის  
საფუძვლიანობა ერთხელ კიდევ შეგვეჩვენებია, არსენ ბერისა და დავითის  
მემატთანე-ისტორიკოსის მოღვაწეობაში მოგვეძებნა ისეთი ნიშან-თვისებები,  
რომლებიც ინდივიდუალური რიგისა იქნებოდა და თან ორივესთვის ერთნაირად  
დამახასიათებელიც. ამ მიზნით გულდასმით შევისწავლეთ არსენ ბერის სა-  
ხელთან უცილებლად დაკავშირებული თხზულებანი, ერთის მხრივ, და „ცხოვ-  
რება მეფეთ-მეფისა დავითისი“, მეორეს მხრივ, და შედეგად საგულისხმო აღ-  
მოჩნდა. მართლაც, დადგინდა ზოგიერთი ნიშანდობლივი მხარე, რომელიც  
ზუსტად ერთნაირია დავითის ისტორიკოსისა და არსენ ბერის მოღვაწეობაში.  
ასეთია, ჩვენი აზრით, არსენ ბერისა და დავითის ისტორიკოსის მოღვაწეო-  
ბის ხასიათი და მათი პირადი განწყობილება დავით აღმაშენებლის მიმართ.  
ამ მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი: არსენ ბერი დავითის ბრძანე-  
ბით აგებს შიო-მღვიმეში ეკლესიას „საშუალ მონასტრისა“. მისივე ხელმ-  
ძღვანელობით მოიხატა და გამშვენებდა ეს უკანასკნელი. საგულისხმოა,  
რომ არსენს ჰქონდა ჩაბარებული მონასტრის ასაგებად მეფის „კოსტანტი და  
პერპერა, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი და სხვა „ივარი სპარსთა“, საეკლესიო  
ჭურჭელი და სამკაული, რომელიც მას თავთავის დროზე უნდა ჩაებარებია  
როგორც შიო-მღვიმის, ისე გელათის სავანეთათვის. არსენი დგამს შიო-მღვი-  
მეში დავით მეფის მიერ შეწირულ ბროლის ბაზიჯის და მინის კანდლებს.  
კ. კეკელიძის სიტყვით, არსენ ბერი „უჩენს ლიტურგიკულ-დისციპლინარულ  
წესს შიო-მღვიმის ლავრას“ სვიმონ-წმინდური რეგლამენტის კვალობაზე,  
არსენი აწესებს შიო-მღვიმეში ყოველკვირეულ ღამისთევას და სხვ. მაგრამ, ამ  
ანდერძის მიხედვით, არა მარტო არსენ ბერია დავით მეფის დავალებათა სა-  
განგებო შემსრულებელი, არამედ დავით მეფეც, თავის მხრივ, მისი ნება-  
სურვილის აღმსრულებელი ჩანს. ასე მაგალითად, არსენის მითითებით უმ-  
ტკიცებს მეფე შიო-მღვიმის ლავრას მისთვის შედგენილ ზემოაღნიშნულ წეს-  
სა და განგებას. მისივე სურვილის თანახმად სწირავს დავითი შიო-მღვიმეს  
მუხრანულ ხოდაბუნს. არსენ ბერის „ბრძანებით“, როგორც ნათქვამია თვი-  
თონ ანდერძში, შარვანს სალაშქროდ მიმავალი მეფე საგანგებო ანდერძს უბო-  
ძებს შიო-მღვიმის ლავრას. ასე რომ, ამ ანდერძში ადამიანის ყურადღებას  
განსაკუთრებით იქცევს არსენ ბერის არაჩვეულებრივი სიახლოვე დავით აღ-  
მაშენებელთან და ის განსაკუთრებული ნდობა და ავტორიტეტი, რომლითაც  
აღჭურვილი ყოფილა ის ამ უკანასკნელის კარზე.

ანალოგიური განწყობილება და სიახლოვე შეიმჩნევა დავით აღმაშენე-  
ბელსა და მის მემატთანე-ისტორიკოსს შორის. ამ უკანასკნელს თითქმის  
ყოველთვის დავითთან ერთად ვხედავთ, ომშიც კი ის დავითს თან ახლავს.  
მემატთანე სწორედ იმ კარავში იღებს ბინას, სადაც მეფე იმყოფება. ის ესწ-  
რება და თავის თვალთ უყურებს ნაომარი მეფის კარავში დაბრუნებას და  
მის მიერ ტანისამოსის გახდას. ერთხელ მემატთანე იმის მოწმეც გამხდარა:  
შეიხსნა მეფემ სარტყელი თუ არა, მიწაზე დაიღვარა დიდძალი „მტკნარი  
სისხლი შეყინებული“. ამის მხილველთ, თავდაპირველად შეშინებიათ „თვთ  
მისგან ვგონებდით გამოსრულად“-ო — გვეუბნება ისტორიკოსი, მაგრამ მალე  
დარწმუნებულან (ალბათ ტანზე გასინჯვის შემდეგ), რომ ეს ასე არ იყო,  
არამედ მეფეს მტრის ჩეხვისას „კმლით მისით უკომოდინარითა სისხლითა“



ჰქონია უბეები სავსე და ის (მტრის სისხლი) დაღვრილა სარტყლის შემოსილად<sup>46</sup>. მეორე შემთხვევაშიც ის თვითმხილველია იმ ამბისა, თუ ერთხელ როგორ, შესვენების დროს, „მეფე კარსა კარვისა თვისისა და, პერანგითა მოსილი ოდენ, შუა დღე და, ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა ოქროსა მცირე“ და დავითი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს<sup>47</sup>. ასევე, სამეფო კარზე (სასახლეში) მემართიანე სრულიად შინაური კაცივით ტრიალებს. ის თავისუფლად დადის დარბაზებში, ხელში იღებს მეფის მიერ წაკითხულ წიგნებს, სინჯავს მის მიერ გაკეთებულ ნიშნებს, ჭირისუფალივით ტრიალებს იმ ოთახში, რომელშიც მეფე სამი დღე „ყოვლად უსულო მდებარე იყო“, მთხრანს ნადირობისას ცხენიდან გადმოვარდნის შემდეგ. სალაშქროდაა წასული მეფე თუ სანადიროდ, სულ ერთია, ისტორიკოსი ერთი წუთით არ შორდება მას და საერთოდ ის დავით აღმაშენებელთან მშობლიური სიყვარულით დაკავშირებული პირი ჩანს. ამგვარად, არსენ ბერი და მემართიანე-ისტორიკოსიც ზუსტად ერთნაირად დაახლოებულნი ჩანან დავით აღმაშენებელთან. მართალია, ანდერძის მასალებით არსენი უფრო მშვიდობიანი პერიოდის მოღვაწეა, როდესაც მეფე დიდ სააღმშენებლო საქმიანობას ეწეოდა გელათსა და შიო-მღვიმეში, ხოლო ისტორიკოსი უფრო ომიანობის პირობებშია წარმოდგენილი, მაგრამ, სულერთია, ორივე შემთხვევაში მეფესთან მათი სიახლოვის ხასიათი ზუსტად ერთნაირია: მშობლიური სითბო-სიყვარულით გამთბარი, შინაურული (ფამილარული) და არა სამსახურებრივი, ოფიციალური.

უაღრესად საგულისხმო შედეგებს იძლევა, ჩვენი დაკვირვებით, იმ საფუძვლის ძიებაც, რომელზედაც შეიძლებოდა თავის დროზე დავითის ისტორიკოსისა და არსენ ბერის ზემოაღნიშნული სიახლოვე სამეფო კართან და პირადად დავით აღმაშენებელთან აღმოცენებულიყო. ამ მხრივ საგულისხმო გარემოებაა, რომ არსენ ბერი მკვლევართა მიერ დავით აღმაშენებლის სულიერ მოძღვრად არის მიჩნეული. მისი სიახლოვე მეფესთან, მათი ურთიერთობის გულთადობა, ბუნებრივია, უადვილებდა მათ არსენის შესახებ ასეთი აზრის შეწყნარებას. მიუხედავად ამისა, დიდიხანია, სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია: „Ни в одном рукописном источнике по истории Грузии Арсений не называется духовником царя... По смыслу всех существующих источников Арсений был душеприкащик, а не духовник царя“<sup>48</sup>.

მართლაც, ვინც გულდასმით გაეცნობა დავითის ორივე ანდერძს და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლის წერასაც“ ჩაუკვირდება, ის ადვილად დარწმუნდება, რომ პირველ წყაროებში არსად, რომელთა შედგენა-დაწერა აშკარად არსენ-ბერის სახელს უკავშირდება, ეს უკანასკნელი მეფის სულიერ მოძღვრად დასახელებული არ არის. უფრო მეტიც, დავითის პირველ ანდერძში (1123 წ.), სადაც არსენი ორჯან იოანესთან ერთად იხსენიება, დავითის სულიერ მოძღვრად იოანეა დასახელებული და არა არსენი. ერთადერთი საბუთი, სადაც არსენი მეფის მოძღვრად ჩანს, დავითის მეორე,

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329.  
<sup>47</sup> იქვე, გვ. 361.  
<sup>48</sup> Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя данное Шии-Мгвимской лавре в 1123 г., тб., 1895, гв. 16 (სქოლიო).



უკანასკნელი ანდერძის (1125 წ.) სათაურია. ის ასე იკითხება: „ანდერძი დიდისა მეფისა, დავით აღმაშენებლისა, პანკრატიონ-დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღვარსა თვისსა არსენის, უამსა გარდაცუალებისა თვისისასა, ყოველთათვის დიდებულთათვისთა“<sup>49</sup>. (ხაზი ჩვენია, კ. გ.). ამ სათაურის მიხედვით ირკვევა, რომ ეს ანდერძი დავით მეფეს თავისი მოძღვრის არსენისთვის წარმოუთქვამს და მას იგი მეფის კარნახით ჩაუწერია. სამწუხაროდ, ეს ანდერძი ჩვენამდის მხოლოდ გვიანდელი (XVIII ს.) გადაწერილია მოღწეული. მით უფრო, რომ მას თავდაპირველად ასეთი სათაური არ შეიძლებოდა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, ამ ანდერძის მიხედვით ორი რამ დანამდილებით შეიძლება ითქვას: პირველი, ტრადიცია დავით აღმაშენებლის კარზე არსენ ბერის მოძღვრობის შესახებ XVIII საუკუნეშიც ისევ ცოცხალი ყოფილა და მეორე, რაც მთავარია, ეს ანდერძი, მართლაც არსენ ბერის ხელით ჩაწერილი ჩანს. საქმე ის არის, რომ ანდერძის ჩამწერი თვითონ ამჟღავნებს თავის ვინაობას სიტყვებით: „გიბრძანებს და მოგაკსენებს მეფეთა-მეფე დავით დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსლვისა მისისათა, ჩემ მიერ — უნდოხსა დ უღირსისა მლოცველისასა მათისა ბერისა პირითა“ (ხაზი ჩვენია, კ. გ.)<sup>50</sup>. აშკარაა, დავითის მეორე ანდერძი მის მლოცველ ბერს ჩაუწერია. ხოლო ამ უკანასკნელის ვინაობის დადგენაში დავითის პირველი ანდერძი გვეხმარება გარკვეულად. იქ ერთგან, როგორც ცნობილია, სოხასტრის შესახებ დავით მეფეს ნათქვამი აქვს: „შემდგომად არსენისსა განკრძალული მღვდელი იყოს მკაცრებელი ჩემი შეუცვალებლად“<sup>51</sup> (ხაზი ჩვენია, კ. გ.). მეფის ეს სიტყვები, ცხადია, სოხასტრის მომავალ საქმიანობას ეხებოდა: არსენის შემდეგაც სოხასტერში „განკრძალული“ მღვდელი უნდა ყოფილიყო მახსენებელი, მლოცველი დავითისა „შეუცვალებლად“. ამის მიხედვით აშკარაა, არსენსაც იქ ანალოგიური ვალდებულება ჰქონია დაკისრებული. ისიც დავითის მახსენებელი, მისთვის მლოცველი ყოფილა. ასე რომ, „მლოცველი ბერი“, რომელსაც დავითის მეორე ანდერძი მეფის კარნახით ჩაუწერია, სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა ჩვენთვის კარგად ცნობილი არსენ ბერი. ამასთან ერთად ირკვევა, რომ ეს არსენი იმავე დროს დავითის მოძღვარიც ყოფილა. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ დასაძლველი გახდება წინააღმდეგობა, რომელსაც ამის შედეგად მივიღებთ: ზემოთ ნათქვამი იყო, რომ არსენ ბერი პირველ წყაროებში არსად დავითის მოძღვრად არ იხსენიებაო, ახლა კი გამოდის, არსენი ნამდვილად ყოფილა მეფის მოძღვარი და ეს მეორე ანდერძიც მას თვითონ დავითის კარნახით ჩაუწერია.

აღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ თვითონ მეფე — დავით აღმაშენებელი — არსენ ბერს ორგან თავის პირველ ანდერძში განმანათლებელს უწოდებს. პირველად ამ ეპითეტით ის მოხსენიებულია ანდერძის დასაწყისშივე, სადაც მეფე ანდერძის დადების გარემოებას ეხება და ამბობს: „უამსა ჩემსა

<sup>49</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 18 (სქოლიო).  
<sup>50</sup> იქვე, გვ. 18.  
<sup>51</sup> იქვე, გვ. 16.



შარვან[სა ზედა] გა[ნმა]რთვისასა შევევედრე შეწევნად ჩემდა შესავედრებულსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ-მიერ აღშენებული [და]სრულებულად და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათა და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა<sup>52</sup>.

მეორეჯერ არსენი ამ ეპითეტით შემკული ჩანს იქ, სადაც საუბარია შიომღვიმის სოხასტერისთვის მუხრანული ხოდაბუნის შეწირვის შესახებ და ნათქვამია: „სოხასტერი, ვითა ბერსა, განმანათლებელსა ჩემსა არსენის, გაუწესებია და მე ხოდაბუნე შემიწირავს მუხრანს...“ და სხვ. ამრიგად, ამ ანდერძში მეფე დავით აღმაშენებელი არსენ ბერს განმანათლებელს უწოდებს, მაგრამ იბადება კითხვა: რატომ მიმართავს დავით აღმაშენებელი ასეთი ეპითეტით („განმანათლებელი ჩემი“) ნიშანდობლივ არსენ ბერს? რატომ მხოლოდ ამ უკანასკნელმა დავითის მახლობელი ადამიანებიდან დაიმსახურა აღნიშნული ეპითეტი? თანაც ამჟამად, ეს სახელი მეფის ანდერძში სხვათა შორის, სიტყვის უბრალო მასალად ნახმარი არ ჩანს: ამ ტერმინით მეფე აღმაშენებელი არსენ ბერთან თავის რაღაც სპეციფიკურ განწყობილებას ამჟღავნებდა. აქ დასმულ საკითხებში გასარკვევად, ვფიქრობთ, საჭიროა გავიხსენოთ: ვის ეწოდებოდა ძველ საქართველოში განმანათლებელი და რა მოვალეობის შესრულება ევალებოდა მას სამეფო კარზე? პირველწყაროებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სახელი განმანათლებელი, ისევე როგორც განათლება და განათლებული, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამასთან ერთად, ირკვევა, რომ განმანათლებელი ძველ საქართველოში ეწოდებოდა არა მარტო სჯულის მქადაგებელსა და მის კომენტატორს, არამედ მშობლიური ენის სიწმინდისათვის მებრძოლს, წიგნების მთარგმნელს თუ მწერალს, რომელიც ამდიდრებდა წიგნებით მშობლიურ ლიტერატურას და მით ხელს უწყობდა მშობლიური მხარის კულტურული დაწინაურების საქმეს. სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული გიორგი ათონელის სიტყვები, ნათქვამი ექვთიმე ათონელის შესახებ: „გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ“<sup>53</sup>. განმანათლებელი ასწავლიდა ხალხს, საზოგადოებას არა მარტო სჯულის საკითხებს, არამედ მწიგნობრობას, მეცნიერებათა საფუძვლებს და საჭირო შემთხვევაში მორალური მოქმედების ნორმებსაც. ასე მაგალითად, გიორგი მთაწმინდელი „ყოველსა ერსა შემსგავსებულთა სწავლითა განანათლებდა: „უსწავლელთა სწავლიდა, ხოლო სწავლულთა სწავლათა მათ აღუქსენებდა, მდიდართა ასწავებდა წყალობად გლახაკთა, ხოლო გლახაკთა მოთმინებასა ასწავებდა“<sup>54</sup>. სწორედ ამ დიდბუნებოვანმა ადამიანმა „ესე ვითარითა სწავლითა განანათლა ქუეყანა ჩუენი“ — იუწყება გიორგი ხუცესმონაზონი<sup>55</sup>. მაშასადამე, ირკვევა, რომ განათლება სწავლების გარეშე არ არსებობდა, რომ განათლებული იყო ის, ვისაც წიგნიერი სწავლა ჰქონდა მიღებული, ვინც ნასწავლი იყო. თუ ასეთი იყო განათლების ცნების გაგება XI საუკუნის საქართველოში, მაშინ, ამჟამად, გან-

<sup>52</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 12.

<sup>53</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 41.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 166.



მანათლებელი ორჯერ დასახელებული დავითის პირველ ანდერძში სხვა არავინ შეიძლებაოდა ყოფილიყო, თუ არა მასწავლებელი. ხოლო დავითის მიერ ნახმარი გამოთქმა — „განმანათლებელი ჩემი“ — ახალქართულად, რასაკვირველია, ჩემი მასწავლებელი იქნება. ამგვარად, დავითის ხსენებულ ანდერძში შემონახული აღმოჩნდა პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ არსენ ბერი დავით აღმაშენებლის მასწავლებელი ყოფილა. მას უსწავლებია ჭაბუკი მეფისათვის საღვთო სჯული და მეცნიერებათა საფუძვლებიც. ამგვარად, ცხადია, არსენ ბერი დავითის მოძღვარი ყოფილა. ძველ საქართველოში, როგორც ცნობილია, მასწავლებელს მოძღვარი ეწოდებოდა. თვითონ „დავითის ცხოვრებაში“ დადასტურებულია მოძღვრისა და მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტების არსებობაც, მასწავლებლისა და მასწავლებელთა-მასწავლებლის (რექტორი) გაგებითა და მნიშვნელობით. მაშასადამე, ირკვევა, რომ აღნიშნული გაგებით არსენ ბერი ნამდვილად ყოფილა დავით აღმაშენებლის მოძღვარი, მაგრამ ამ უკანასკნელის სულიერი მოძღვარი — არასოდეს.

რაც შეეხება არსენის მოძღვრობა-მასწავლებლობას, უთუოდ საგულისხმო ჩანს დავითის საბოლოო ანდერძის (1125 წ.) ერთი მითითებაც. ეს უკანასკნელი დემეტრე უფლისწულის გამეფების განზრახვას ეხება და ასე იკითხება: „რამეთუ მხიარულ ჰყოფდის ყრმაჲ ესე და ფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაცა მოცლა საწუთოჲსაგან მეფე — ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან უწყით“<sup>56</sup> ამგვარად, ირკვევა, რომ დემეტრე უფლისწულს ადრევე გამოუმჟღავნებია მშობლის გულის გამახარებელი მაღალი სამეფო თვისებები. ამიტომ დავით აღმაშენებელს ტახტიდან გადადგომა და თავის სიცოცხლეშივე დემეტრეს აღწევება განუზრახავს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო დამოწმების ნაკვეთი ჩანს, სადაც ამის მოწმედ დავითს თავისი მოძღვარი ჰყავს დასახელებული და ამბობს: „ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან უწყით“ — ო. ოღონდ „საკითხავია, რას ნიშნავს აქ ნახმარი გამოთქმა: „ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან“, რა შეიძლება ამ შემთხვევაში ვიგულისხმოთ? მკვლევარ ჯ. ოდიშელის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც დავით აღმაშენებლის მეორე ანდერძი იწერებოდა (1125 წლის იანვარი) არსენ ბერი უკვე დავითის ორი წლის მოძღვარი ყოფილა. მაშასადამე ნაგულისხმევია, რომ არსენი ამ მოვალეობის შესრულებას 1123 წელს შესდგომია იოანეს შემდეგ, რომელიც ამ თარიღით დაწერილ დავითის პირველ ანდერძში მეფის სულიერ მოძღვრად იხსენიება. / ასე ცდილობს მკვლევარი ჯ. ოდიშელი თავი დააღწიოს იმ წინააღმდეგობას, რომელშიც თავის დროზე ს. კაკაბაძე აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი არსენ ბერის მოძღვრებას 1115 წლიდან დებდა. ფორმალურად აღნიშნული წინააღმდეგობა ჯ. ოდიშელის მიერ, რასაკვირველია, დაძლეულია, მაგრამ რა უყოთ ზოგიერთ ობიექტურ გარემოებას, რომელიც ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ ჩანს [და ჯეროვან გაშუქებასაც გარკვეულად მოითხოვს?] კერ ერთი, არსენ ბერის დამოკიდებულებაში დავით აღმაშენებელთან ახლო, მოძღვრული განწყობილება შეაჩინია არა 1123 წლიდან, იოანე მოძღვრის ნეარაუღვეი სიკვდილის შემდეგ, არამედ გაცილებით უფრო

<sup>56</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.





ადრე, თვითონ იოანეს საცოცხლეში — რუის-ურბნისის საეკლესიო კრებებში დროს და, შესაძლებელია, უფრო ადრეც. გარდა ამისა, თუ მეფის მეორე ანდერძის დაწერის მომენტისათვის (1125 წ.) არსენ ბერი ორ წელზე მეტი ხნის ნამოდვრალი არ იყო, რა აზრი ჰქონდა დავითის მიერ მის დამოწმებას? მით უფრო მაშინ, როდესაც მეფეს თავისი მოძღვრის სწორედ ხანდაზმულობისა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სულიერი სიახლოვის აღნიშვნა აინტერესებდა უმთავრესად. ორი წელი ამ მიზნისათვის, როგორც ცნობილია, დროის სრულიად უმნიშვნელო მონაკვეთია. ამასთან ერთად, ენობრივადაც გაუგებარია, თუ როგორ მიიღება ანდერძში ნახმარი გამოთქმიდან: „ორი წლითგან მოძღუარმან ჩემმან...“ ორი წლის მოძღვარი, როგორც ამას გვათავაზობს მკვლევარი ჯ. ოდიშელი; ხომ აშკარაა, რომ გამოთქმა: „ორი წლითგან მოძღუარმან“ გარკვეული პროცესის (ამ შემთხვევაში, მეფის მოძღვრობის) დაწყებასა და იქიდან მოკიდებული უწყვეტად მომდინარეობას გულისხმობს? ჩვენი დაკვირვებით, მეფე დავითი, ამ შემთხვევაში თავის დიდიხნის მოძღვარს იმოწმებდა და ამით გარკვეულად ამბობდა: ეს ამბავი (დემეტრე უფლისწულის სამეფო ტახტზე დასმის განზრახვა იგულისხმება, კ. გ.) ღმერთმან, მე და ორი წლიდან ჩემმა მოძღვარმა (მე რომ ორი წლისა ვიყავი და ვინც იქიდან მოკიდებული ჩემი მოძღვარია) ვიცითო. | თუ დავითის მეორე ანდერძის ამ ადგილის ასეთი გაგება სწორია, მაშინ, ცხადია, ამის მიხედვით არსენ ბერის მოღვაწეობის კიდევ ერთი, ახალი ასპექტი ვლინდება. ის დავით აღმაშენებლის არა მარტო მასწავლებელი, არამედ აღმზრდელიც ყოფილა. ირკვევა, რომ ორი წლის ასაკიდან მოკიდებული ყრმა დავითის აღზრდის საქმეს არსენ ბერი ჩასდგომია სათავეში.

არსენის მოღვაწეობა პრაქტიკულად ასე გვაქვს წარმოდგენილი: უფლისწულის აღზრდა არსენს ჯერ კიდევ ქუთაისში, მეფის სასახლეში უნდა დაეწყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც დავითი 7 წლისა გახდა, ის შიომღვიმის ლავრაში, როგორც სამეფო მონასტერში, უნდა იყოს სასწავლებლად მივლინებული. მაგრამ ცნობილია, რომ მონასტერში უწყვეტული ახალგაზრდის ვაჩერება, თუნდაც სასწავლებლად, არ შეიძლებოდა. მოსწავლე-ახალგაზრდა უთუოდ მონასტრის გარეთ უნდა დამდგარიყო. დავითიც სწორედ ამიტომ სოხასტერში დაუყენებიათ, სადაც ის არსენ ბერის ხელმძღვანელობით იზრდებოდა და მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლებოდა. ბუნებრივია, შიომღვიმის სოხასტერს წარუშლელი შთაბეჭდილებანი დაუტოვებია დავითის ცხოვრებაში. სწორედ ამით ჩანს შეპირობებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მეფე-აღმაშენებელმა თავის პირველ ანდერძში (1123 წ.) ხსენებული სოხასტრის მიმართ გამოიჩინა. დამახასიათებელია, რომ დიდობაშიც, როდესაც დავითის სწავლა-აღზრდის საქმე მოთავეებული იყო და ის ქვეყნის საჭეთმპყრობელი გახდა, არსენ ბერს ჩვენ ისევ სოხასტერში ვხედავთ და როგორც ზემოთ აღინიშნა, ის იქ მეფე დავითის გამარჯვებისა და მისი მრავალყამიერობისათვის უწყვეტად მლოცველ-მახსენებელი დარჩენილა. ასეთი ჩანს არსენ ბერის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ლოგიკური და არსებითად მშვენიერი დაგვირგვინება. კიდევ უფრო საგულისხმო ის გარემოებაა, რომ დავითის მემატინე-ისტორიკოსიც, მისი თხზულების მიხედვით, დავითის აღმზრდელი ჩანს. ირკვევა, რომ ისიც სამეფო კარზე ზუსტად არსენის ანალოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ერთგან, თავის თხზულებაში ის თავის პატრონის სულიერ ცხოვრებას ეხება და ამბობს: დავითმა დიდობაში „თავი სათნოებათა სიწმიდე



ესეოდენი მოიგო, ვითარცა დიდმა ანტონი“, მაგრამ სიჭაბუკე მას ძალიან მიძიმე ჰქონდაო: „ნუ მეტყუვ მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიქსენნეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა უამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედლითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამოწამებითა სკნდისისათა და არა მხილებით გონებისათა, რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა“ (ხაზი ჩვენია, კ. გ.)<sup>57</sup>. როგორც ჩანს, დავითის სიჭაბუკე იმდენად დამძიმებელი ყოფილა უფლისწულისათვის შეუფერებელი საქციელით, რომ მემატთანეს არა მარტო მისი გახსენება არ სურს, არამედ ნატრობს კიდევ: ღმერთიც ნუ გაუხსენებს მას ამ ამბებსო. საფიქრებელია, დავითს სწორედ მაგ პერიოდში ჰქონდეს ჩადენილი ის შეცოდებანი, რომლებმაც მას დიდობაში თავისი ცნობილი „გალობანი სინანულისანი“ ათქმევინეს. მაგრამ ეს აქ ჩვენთვის მთავარი არ არის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საგულისხმოა საკითხი: საიდან იცის მემატთანემ დავითის ყრმობა-სიჭაბუკის ამბები ასე დაწვრილებით, ან რაც იგივეა, რატომ მიაქვს მემატთანეს ასე გულთან ახლო დავითის ჭაბუკური შეცოდებანი?

ს. კაკაბაძე დავითის „ცხოვრების“ სწორედ ამ ადგილის მიხედვით არსენ ბერს დავითის სულიერ მოძღვრად აცხადებდა. ის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა იმ ცნობას, რომელიც დავითის მიერ ზიარების მიღებას ეხება და თავის მხრივ ასკვნიდა: „ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ თვით მეფის მოძღვარს, რომელიც მეფისაგან აღსაზრებას ღებულობდა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში“<sup>58</sup>. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ასე კატეგორიულად ვერ გამოვრიცხავთ სხვა შესაძლებლობასაც. ვფიქრობთ, იმის სათქმელად, თუ რა დროიდან დაიწყო დავით უფლისწულმა ზიარების მიღება, მაინცდამაინც სულიერ მოძღვრად ყოფნა სრულიადაც სავალდებულო არ იყო. ამის თქმა შეეძლო ყველას, ვინც კი სამეფო კართან დაახლოებული და დავითის ჭაბუკობასთან ახლო გაცნობილი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ცხადია, დავითის ჭაბუკური ყოფა-ქცევის აქ აღნიშნული წვრილმანების ცოდნა მხოლოდ მეფის აღზრდასთან დაკავშირებულ პიროვნებას შეეძლო; მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში ის სხვისი ნათქვამის და რალაც ყურმოკრული ამბის გადამღერებას კი არ ახდენს, არამედ თავის თვალთ ნახულსა და პირადად განცდილ სინამდვილეს გადმოგვცემს. ასე, რომ დიდი დაკვირვება არც იმის დასადგენადაა საჭირო, რომ ამ ადგილის მიხედვით დავითის „ცხოვრების“ ავტორი გარკვეულად თავისი პატრონის მეფე-აღმამენებლის აღზრდასთან დაკავშირებული პირი ჩანს. ამგვარად ირკვევა, რომ დავითის ისტორიკოსიც სამეფო კარზე იმავე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, რასაც არსენ ბერი. ისიც დავითის აღზრდელი ყოფილა. ამიტომ, უფრო საფიქრებელია, ამ შემთხვევაში ერთი და იგივე მოღვაწესთან გვქონდეს საქმე.

დასასრულ, საძიებელი საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის

<sup>57</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352.

<sup>58</sup> ს. კაკაბაძე, დავით აღმამენებლის მემატანის ვინაობა, თბ., 1913, გვ. 7.



მქონედ მიგვაჩნია ერთი მეთოდოლოგიური თავისებურება, რომელიც ერთვე ერთნაირი სიზუსტითაა წარმოდგენილი როგორც დავითის „ცხოვრებაში“, ისე დავითის პირველ ანდერძშიც, რომლის ლიტერატურულად გაფორმება არსენ ბერის სახელს უცილობლად უკავშირდება. საქმე ეხება ამა თუ იმ მოვლენაზე მსჯელობისას მემატიაენსათვის ცნობილი მრავალი ფაქტობრივი მასალიდან მცირედის, ან როგორც ის თვითონ უწოდებს, მხოლოდ ერთის მოთხრობა-გაშუქების ხერხს. ასე მაგალითად, მემატიაენე მოგვითხრობს თურქების წინააღმდეგ დავითის მიერ ომის წარმოების ტაქტიკური ნაბიჯების შესახებ, რომელიც მტრის შემოსევის შემთხვევაში ომისათვის თავის მოჩვენებით არიდებას და შემდეგ მოულოდნელად („უგძნეულად“) თავდასხმა-გაყლტვაში გამოიხატებოდა. ისტორიკოსი ამბობს: „უგრძნეულად დაესხის და მოსწყვდნის (საუბარი დავით აღმაშენებელს ეხება, კ. გ.) და ესე არა ერთგზის, ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ. ერთი ითქუას“<sup>59</sup>. ამის შემდეგ დავითის ცხოვრებაში მართლაც მოთხრობილია ერთი ეპიზოდი, რომელსაც ტაოში ჰქონია აღვლილი. მეორე შემთხვევაში, მემატიაენს სურს გაგვიშუქოს, თუ როგორ ახერხებდა დავით აღმაშენებელი, ესოდენ დიდი „სახორციელო“ საქმეების გამკეთებელი მეფე, რომელმაც ასე დაცემული ქვეყანა უზომოდ აამალა, ყოველდღიურ ზრუნვას საღვთო და სასულიერო საქმეებისთვისაც, ის ამბობს: „...უსასწრაფოეს აქუნდა რომელთაგანნი მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასმელი ერთი მტყურისაგან ჩუენცა მიესცეთ თხრობასა“<sup>60</sup>.

ასევე, მემატიაენე მოგვითხრობს დავითის ბიბლიოფილობაზე — წიგნის მოყვარეობაზე. ის საგანგებოდ გახაზავს იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ წიგნის კითხვა იმდენად გაიტაცებდა მეფეს, რომ შესაძლებელი იყო ბრძოლის ველზედაც კი თავი დავიწყებოდა მას და მტერზე გამარჯვება ხიფათქვეშ დაეყენებია. სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებით დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „არიან უკუე სხუანიცა მრავალნი საცუნაურებანი ამის პირისანი, გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად სხუა ამათ თანა“, რომლის შემდეგ, მას მოთხრობილი აქვს ერთი ეპიზოდი, რომელსაც ავჭალის დღეში ჰქონია აღვლილი.

მრავლისაგან მცირედის, მხოლოდ თითო ეპიზოდის მოთხრობის კონცეფცია დავითის ისტორიკოსთან გაბატონებული ხერხი ჩანს. ამის დამახასიათებელი მაგალითები მის თხზულებაში, გარდა აქ აღნიშნულისა, სხვაც არა ერთი მოიპოება.

განსაკუთრებით საგულისხმო ამ შემთხვევაში ის გარემოებაა, რომ უწყებულ მეთოდოლოგიურ კონცეფციას ზუსტი ანალოგი დავითის პირველ ანდერძშიც ეძებნება, იქ, დასაწყის ნაკვეთში, საუბარია იმ ქველმოქმედებისა და მოწყალების შესახებ, რომელსაც ღმერთი იჩენდა თურმე ყოველდღიურად დავითის მიმართ. ანდერძის მიხედვით, თვითონ „მეფემეფეთა“ (ღმერთი) ხელს უწყობდა და აძლევდა თურმე დავითს „საჭირველთა უჭირველად; ცხადთა, წინააღმდეგოთა განმგე-

<sup>59</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 333.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 347.

ობისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად“ და სხვ<sup>61</sup>. სწორედ ამასთან დაკავშირებით არსენ ბერი, როგორც ანდერძის შემდგენელი, აცხადებს: „რომელთაჲ კერძოჲ რაჲმე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა<sup>62</sup>. მართლაც, ამ შენიშვნის შემდეგ ანდერძში დაწვრილებით მოთხრობილია დავითის მიერ თავისი მტრების: ქვეყნის შემაწუხებელისა“ და „ღმისა არამრიდის“ ძაგანისა და მისი ძის „წინა-უქმო მკვდელთ-მოძღურის“ მოღისტოსის დამარცხება-დამორჩილების ეპიზოდიც<sup>63</sup>.

ისტორიული ამბის გაშუქების ასეთი ხერხი: ჯერ ზოგადი დახასიათება, ხოლო შემდეგ ნათქვამის დამადასტურებელი ერთი ნიშანდობლივი ეპიზოდის დაწვრილებით აღწერა, არ არის მხოლოდ სტილისტურ-ლიტერატურული მოვლენა, რომელიც, შესაძლებელია, ერთი და იგივე ისტორიული ეპოქის მწერალთა მთელი ჯგუფისათვის საერთო და დამახასიათებელი აღმოჩნდეს, არამედ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინდივიდუალური ხასიათის მეტოლოგიურ თავისებურებასთან, რომელიც ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ჩვეულებრივ არ მეორდება და საზოგადოდ გავრცელებული არ ჩანს. დავითის ისტორიკოსისათვის ესოდენ დამახასიათებელი მეტოლოგიური ხერხის მომარჯვება არსენ ბერის მიერაც და მისი წარმოჩენა ისეთ მცირე ზომის თხზულებაში, როგორიც დავითის ხსენებული ანდერძია, იმის მოწმობას წარმოადგენს, რომ მსჯელობის აღნიშნული ხერხი მწერალს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჭდარი და მის გარეშე თხზულების წერა მას, დიდი იქნებოდა თუ მცირე, წარმოუდგენელად მიაჩნდა. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, თვალსაჩინოდ აძლიერებს მოსაზრებას ამ ორი მოღვაწე-მწერლის იგივეობის შესახებ. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ისინი (დავითის ისტორიკოსი და არსენ ბერი) ერთნაირ შინაურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მეფე დავით აღმაშენებელთან და ზუსტად ერთნაირი იყო მათი მოღვაწეობის ხასიათიც (ორივე ერთი და იგივე უფლისწულის აღმზრდელი ჩანს) ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უთუოდ ერთსა და იმავე მწერალთან უნდა გვქონდეს საქმე.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია სამეფო კარზე დროის ერთსა და იმავე მონაკვეთისათვის ორი მოღვაწის არსებობა, რომელთაც სამივე აქ აღნიშნული თავისებურება ასეთი სიზუსტით და ასე ერთნაირად ახასიათებდეს. აუ გავიხსენებთ, იმ იდეურ-ლიტერატურულ-სტილისტურ ანალოგებსაც, რომელიც დიდხანია მკვლევართა მიერ დადგენილია, ცხადი განდება, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისიც“ არსენ ბერის კალამს განეკუთვნება. დავითის ისტორიაც იმ მწერლის ნახელავი ჩანს, რომელსაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლის წერა“ და დავითის ორივე ანდერძი დაუწერია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ძეგლის წერასა“ და ანდერძებში არსენი უფრო სხვისი (საეკლესიო კრება, მეფე დავითი) ნება-

<sup>61</sup> Ф. Ж о р д а н и я, Завещание царя Давида Возобновителя, тб., 1895, გვ. 10.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> ხსენებული მოტივი მკვლევარ ჯ. ო დ ი შ ე ლ ს ა ც შემჩნეული და გამოყენებული აქვს თავის დასახელებულ ნაშრომში, მაგრამ ის მას სტილისტურ მოვლენად მიაჩნია მხოლოდ, გაკვრით ეხება და ძალიან მოკლედ ჩერდება მასზე.





სურვილის გამოხატველი და გამფორმებელია. დავითის ისტორიაში კი დამოუკიდებელი ავტორი-შემოქმედელი ჩანს. მით უფრო, არსენ ბერი საისტორიო მწერლობაშიც საკმაოდ ცნობილი პიროვნება ჩანს. კორნ. კეკელიძის დაკვირვებით მას, გარდა აქ აღნიშნული თხზულებებისა, წმ. ნინოს ცხოვრების გადაკეთებაც მიეწერება<sup>64</sup>. ყველაფერმა ამათ ჩვენც იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ არსენ ბერი დიდი დავითის აღმზრდელი-მასწავლებელი, იმავდროს, მისი მეშატი-ანე-ისტორიკოსიც ყოფილა.

К. Г. ГРИГОЛИЯ

ОПЯТЬ ОБ АНОНИМНОМ ИСТОРИКЕ ЦАРЯ ДАВИДА

(Резюме)

В статье изложены доводы ученых относительно личности анонимного историка царя Давида.

Автор статьи разделяет единогласное утверждение ученых о том, что анонимный историк являлся современником и самым близким человеком царя Давида, очевидцем и соучастником событий, имевших место в царствование Давида Строителя.

Автор критически отвергает теорию об идентичности анонимного историка Давида и Иоанна Чимчимели, упоминаемого у историка царицы Тамар. Он склоняется к мнению той группы ученых, которая утверждает, что историком царя Давида Строителя следует считать его современника и сотрудника монаха Арсения и со своей стороны приводит свои соображения в пользу этого положения.

<sup>64</sup> კორნ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 309.

მიხეილ ჭავჭავაძის

XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

იესა მარსთავის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა

1659 წელს კახეთში მტრის წინააღმდეგ იფეთქა აჯანყებამ, რომელშიც თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო მონაწილეობდა. ამ აჯანყებამ ღრმა კვალი გაავლო ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და ცხოვრებაში და იგი დაჩაჩა როგორც კახეთის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენის აღმნიშვნელი თარიღი.

XVII ს. 50-იან წლებში ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. შაჰ-აბაზ პირველის შემოსევებისაგან გატეხილი და დაძაბუნებული კახეთი ჯერ კიდევ არ იყო წელში გამართული, როდესაც სპარსეთმა კვლავ ახალი იერიში მოიტანა — კახეთში თურქმენების ჩამოსახლება დაიწყო. ირანის შაჰმა გადააყენა გამაჰმადიანებული როსტომ მეფე და მის ადგილას განჯის მმართველი დანიშნა. ამ უკანასკნელმა აქტიურად მიჰყო ხელი თურქმენების ჩამოსახლების საქმეს.

მომთაბარე თურქმენი ტომები თანდათან მკვიდრდებოდნენ და იკავებდნენ იორ-ალაზნის ბარაქიან ჭალებს, ეს კი ქვეყნის ფიზიკურ არსებობას ეჭუჭრებოდა. ამ ეროვნული კატასტროფის საშიშროებამ აამხედრა კახეთი 1659 წელს. კახეთის სიკვდილის საშიშროებას, ამბობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, სახალხო ომი მოჰყვა<sup>1</sup>.

ისტორიის ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი რატომღაც შესაფერისად ვერ აისახა ჩვენს ისტორიოგრაფიაში<sup>2</sup>. სულ რამდენიმე სტრიქონით გამოხატეს ეს ფაქტი ვახუშტიმ, ფარსადან გორგიჯანიძემ და ბერი ეგნატაშვილმა. მხოლოდ ჰაგიოგრაფიულმა მწერლობამ შემოგვინახა ცნობები 1659 წლის აჯანყებისა და მისი სულისჩამდგმელების შესახებ. ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების „წამება“ დაწერა XVII საუკუნის გასულისა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ბესარიონ ორბელიშვილმა. თხზულების სათაურია: „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყება წამებისა მათისა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, მომთხილველი, III, 1953, გვ. 81.

<sup>2</sup> სამაგიეროდ ფოლკლორში მთელი ციკლია შექმნილი ბახტრიონზე და მის გმირებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც სპარსელი ისტორიკოსი მუჰამედ თაჰირი გამოირჩევა ცნობების სიუხვით. იხ. ვლ. ფუთურძე, მოჰამედ თაჰირის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954.

<sup>3</sup> გამოქვეყნებული მ. საბინინის მიერ, იხ. „საქართველოს სამოთხე“, გვ. 599—609.





ბესარიონ ორბელიშვილი უმცროსი თანამედროვეა თხზულებაში აღწერილი რილი ამბებისა და, მაშასადამე, თხზულება საიმედო წყაროა. ამიტომაცაა, რომ მან უდიდესი გავლენა მოახდინა შემდეგი დროის ისტორიკოსებზე და მწერლებზე.

1659 წლის აჯანყების მესვეურები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა და მათი მოხსენიების დღეც განსაზღვრა. ეს ინიციატივა, ჩვენი აზრით, დავით გარეჯის ლიტერატურულ ცენტრს ეკუთვნის.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც ვახტანგ VI ხელმძღვანელობით მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი რეფორმები ჩატარდა, როდესაც საქართველოს ეკლესიას განაგებდა ვახტანგ VI ძმა, ვახტანგის პოლიტიკის გამტარებელი სასულიერო წრეებში, დომენტი კათალიკოსი, ხოლო დავით გარეჯის შემოქმედებით ცენტრს, XVII—XVIII საუკუნეების ტონის მიმცემს მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ხელმძღვანელობდნენ ონოფრე მაჭუტაძე, ბესარიონ ორბელიშვილი და სხვ. ამ დროს იწყება ქართული საეკლესიო ცხოვრების აღორძინება, ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული მწერლობის აღმავლობა. საეკლესიო მწერლობაში ამ პერიოდში შემუშავდა გარკვეული შეხედულება, რომ ეროვნული ეკლესიის დაცვა-გადარჩენისათვის ქართველი წმინდანები უფრო „თვსნი“ არიან, ამიტომ მათი როლისა და საქმიანობის მამულიშვილური პოზიციებიდან წარმოჩინება მიჩნეულ იქნა დიდ პატრიოტულ საქმედ. ეს თვალსაზრისი წითელი ზოლივით გასდევს მთელ იმდროინდელ ჰაგიოგრაფიას. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ბესარიონ ორბელიშვილის სიტყვებს: „აწ მოვედით, მარტვრთ მოყუარენო, და შემოვკრბეთ ხსენებასა მათსა და გულსმოდგინეთ უბნობდეთ სიმხნეთა მათთა, არა თუ ძუელთა და აღრინდელთა მოწამეთათვს სიტყუა ჩემი, არცა შორთა და ჩუენგან უცხოთა ქვეყანათა შინა გამობწყინებულთათვს, რომლნი-იგი დაღაცათუ აღრინდელნი და უწანარესნი არიან წამითა და ადგილითა ჩუენგან შორს, არამედ წინაშე ყოველთა მხედველისა ახალ და ცხოველ არიან. და მარადის უახლესითა და უბრწყინვალესითა დიდებითა განახლებულ და ბრწყინვალე ქმნილ არიან და ვითარცა ხილული ესე მზე ყოველთათვს სწორად მახლობელ არს... ესე ახალნი მოწამენი ნამდვლვე ჩუენი და ჩუენთა ქუშყანათა შინა გამობრწყინებულნი“<sup>4</sup>.

გარეჯაში გროვდებოდა მასალები ქართველ წმინდანებზე, იწერებოდა და დგებოდა ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულები. დგინდებოდა ქართველ მოწამეთა ხსენების დღეები. დავით გარეჯის მესვეურებმა მათთან შემოქმედებით კონტაქტში მყოფ მწერლებს დაავალეს სხვადასხვა წმინდანებზე განგების შექმნა. ავტორთა შერჩევის დროსაც გარკვეული პრინციპი იყო დაცული. როგორც ჩანს, 1659 წლის გმირების განგების შედგენა დაუვალებიათ შალვა ერისთავის შვილიშვილისათვის — იესე ერისთავისათვის.

ბიძინა, შალვა და ელიზბარის ხსენების დღედ ხელნაწერთა უმრავლესობა იძლევა 18 სექტემბერს. XVIII—XIX საუკ. ხელნაწერების უმრავლესობაში ამ დღეზეა მათი განგება მოცემული. მაგრამ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომლებიც მათ ხსენებას 24 ივლისს მიუთითებს. ესენია: A—366—გულანის სადღესასწაულო ნაწილი 1714—1716 წლების; A—515—ეფთვიმე ბარათაშვილის სადღესასწაულო 1736 წლისა; H—970

<sup>4</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 600.

1742 წლის ხელნაწერი; A — 1048—1766 წლის ხელნაწერი; ლენინგრადული ფრაგმენტი 041E — 106 (E184) — XVIII საუკ. და სხვ.

ხელნაწერთა უმრავლესობაში, როგორც ვთქვით, ბიძინა, შალვა და ელიზბარის ხსენება 18 სექტემბერსაა. ბესარიონ ორბელიშვილის თხზულება ჩვენამდე ავტოგრაფის სახითაა მოღწეული. რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, თხზულებაში აღნიშნული არ არის მათი ხსენების დღე. „შესხმა“ უშუალოდ მოსდევს ლუარსაბ მეფის „მარტილობას“, რომელიც განკუთვნილია პირველი მარტის საკითხავად.

ამავე ხელნაწერში რამდენიმე ფურცლის წინ წარმოდგენილია საგალობლები, რომლებიც 18 სექტემბრის ქვეშაა და ამოღებულია სხვა კრებულიდან და ჩართულია აქ<sup>5</sup>. სხვა ხელნაწერში ყოველგვარი შენიშვნების გარეშე 18 სექტემბერი ბიძინა, შალვა და ელიზბარის ხსენების დღედ. ჩვენ ვერ ვხსნით, თუ რატომ მოხდა ამ წმინდანთა ხსენების დღის გაორება, მით უმეტეს, გაუგებარია, რომ 1714—1716 წლების ხელნაწერებში 24 ივლისი მათი ხსენების დღედ. აკოლუთის ავტორი — იესე ერისთავი, ე. ი. ის, ვინც მთელი განგება შექმნა, 18 სექტემბერზე წერს საგალობელს, — სცინაქსარული საკითხავების შემცველი ხელნაწერები უკლებლივ ყველა 18 სექტემბერს იძლევა მათი ხსენების დღედ, ხოლო ვრცელი „შესხმის“ ავტორი საერთოდ არცერთ დღეს არ მიუთითებს<sup>6</sup>. ამ გაუგებრობის გამოა ალბათ, რომ საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერი № 488 საგანგებოდ შენიშნავს: „ამასვე დღესა ბიძინა დაჭრილისა, ამათი ხსენება და წამება ამას დღესა არს, ძმანო, და არა თუ ივლისსა კდ, ვისაც დაუწერია, ტყვილად დაუწერია. ივლისს არ არს, არამედ იმ სექტემბერს ეწამნეს“<sup>7</sup>.

ბიძინა, შალვა და ელიზბარის ჰიმნოგრაფიული კანონი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის დაკვეთით შეადგინა იესე ერისთავმა. ამიტომ იესე ერისთავის შემოქმედება სწორედ გარეჯის ლიტერატურული სკოლის ტრადიციების შესაბამისად უნდა იქნეს განხილული.

იესე ერისთავის დაწვრილებითი ბიოგრაფია ცნობილი არ არის, რამ-

<sup>5</sup> ძველი პაგინაციის მიხედვით შეიძლება იმ საგალობელთა კრებულის პირვანდელი სახის აღდგენა, რომელიც S—3269-შია გამოყენებული.

<sup>6</sup> აქ შეიძლება ითქვას, რომ რადგანაც S—3269-ში ვერ საგალობლებია (რომლებსაც ხსენების დღე უზის) და შემდეგ ვრცელი საკითხავი, ამიტომ ბესარიონმა აღარ ჩათვალა საჭიროდ დღის მითითება. მაგრამ ეს ახსნა მთლად მართალი ვერ იქნება, რადგანაც სხვა შემთხვევაში ბესარიონი ასე არ იქცევა.

<sup>7</sup> ხელნაწერი „აღწერილობის“ მიხედვით შეცდომით XVII საუკუნითაა დათარიღებული. დიმ. ფურცელაძის აზრით, რომელიც 1797 წლის ერთი ხელნაწერის („ჟამნი“) მონაცემებს იყენებს «мученическая смерть Бидзины, Элизбара и Шалвы, последовала 18-го сентября, 1664 году». რაც შეეხება მათი ხსენების დღეს, იგივე ავტორი გვაძინებს: «Церковь грузинская причислила мучеников к лику святых и установила праздновать память их в 18-го сентября. Установление это последовало еще при жизни супруги Бидзины, во второй половине XVII столетия». იხ. О праздниках, установленных православною груз. церковью, Тиф., 1862, стр. 146. ავტორი ეყრდნობა „წამების“ ადგილს: „ხოლო შემდგომად ამისა წარხდეს წელნი არა მცირედნი, ცოლმან წმინდისა შალვასმან ღუთისმოყუარემან ქეთევან და ძემან ერისთავმან დავით, წარგზავნეს კაცნი სარწმუნონი მუნ, სადა იგი დაკრძალულ იყუნეს გუამნი იგი წმიდათანი. ამოიღეს იგინი... და მოიხუნეს კართლად და დასხნეს ერთსა სამარხოსა შინა იკორთას“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 609).



დენიმე სტრატეგონი მიუძღვნეს მას კ. კეკელიძენ<sup>8</sup>, ლ. მენაბდე<sup>9</sup> და დ. გვრიტიშვილი<sup>10</sup>. ლ. მენაბდე იესეს შესახებ ლაპარაკობს ახალგორის კულტურული კერის დახასიათებისას, რადგანაც იესე ქსნის ერისთავთა შტოს ეკუთვნოდა და მათი რეზიდენცია იყო ახალგორს. ხოლო დ. გვრიტიშვილი ქსნის საერისთავოს, როგორც პოლიტიკური ერთეულის, დახასიათებისას ასენებს იესეს. იგი განსაკუთრებით ჩერდება იესეს ძმის — შანშეს როლზე. იესე, როგორც მისი საგალობლის აკროსტიქიდან ჩანს, ყოფილა 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი მესვეურთაგანის შვილიშვილი, შალვა ერისთავის ძის ძე „იამბიკონი, რომლისა თავნი იტყვიან: „ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“.

შალვა წამებულის შვილს ერქვა დავითი, ამ დავითის შვილი უნდა ყოფილიყო იესე, იესეს ვაჟსაც დავითი ერქვა, რომელიც 1753—1774 წლებში განაგებდა ქსნის საერისთავოს<sup>11</sup>. იესეს უშუალო მემკვიდრენი ყოფილან XIX საუკ. გამოჩენილი ქართველი დრამატურგები და საზოგადო მოღვაწენი გიორგი და დავით ერისთავები<sup>12</sup>.

იესე ყოფილა ერისკაცი, იგი ძმა იყო ცნობილი მემამობისა და XVIII ს. ქართული პოლიტიკური ცხოვრების აქტიური წევრთაგანის შანშე ერისთავისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოდა ირანის პოლიტიკურ კურსს. დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა ძმასთან — იესესთან ერთად წასულიყო სპარსეთში და შაჰს ხლებოდა. პაპუნა ორბელიანის მოხდენილი თქმით, „ქსნის ხევის სანაცვლოდ დაიმკვიდრა ხორასანი“<sup>13</sup>.

1745 წელს გაუთავისუფლებიათ ძმები შანშე და იესე ტყვეობიდან და წამოსულან სამშობლოსაკენ, მაგრამ გზაზე იესე გარდაცვლილა<sup>14</sup>.

იესეს საგალობლები დაუცავს ბესარიონ ორბელიშვილის ჰაგიოგრაფიულ კრებულს S—3269. სხვა, რომელიც ხელნაწერიდან ამოღებულია იესეს პიმნები და ამ კრებულშია ჩაკრებული. ეს ჩანს თუნდაც იქიდან (თავი რომ დავანებოთ განსხვავებულ ჯელს), რომ ხელნაწერს შემოუნახავს ძველი პავინაცია.

იესეს პიმნები ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიული ტრადიციების მიხედვითაა შეთხზული. ძირითადი მოტივი საგალობლებისა ეროვნულ-პატრიოტულია, რისთვისაც გამოყენებულია რელიგიურ-პათეტური ტონი.

<sup>8</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 244, შენ. 1.

<sup>9</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი, I, 1963, გვ. 261—264.

<sup>10</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 312—326.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 367.

<sup>12</sup> გიორგი ერისთავს შეუდგენია გენეალოგიური შტო (საბუთი დაცულია ცენტრარქივში ფ. 215 № 755, რომლის მიხედვით ასეთი სურათია: „დავით ერისთავი (შალვას ძე, მ. ქ.) იესე-დავით-როსტომ-დავით-გიორგი-დავით“. ცნობა პირველად მიაკვლია და გამოაქვეყნა ამბერკი გაჩეჩილაძემ. იხ. ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1952, გვ. 4.

<sup>13</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავი კართლისა, ქართლის ცხოვრება, ნ. ჩუბინაშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 347.

<sup>14</sup> დ. გვრიტიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 326; ლ. მენაბდე, დასახ. წიგნი, გვ. 263; კ. კეკელიძე პლ. იოსელიანზე დაყრდნობით იესეს გარდაცვალებას ღებს 1739 წლით. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 341, სქოლ. 5.

გალობები საინტერესოდაა აგებული. ცალკეული გმირისადმი მიძღვნილია ზოგჯერ ცალკეული ტროპარები, ოდები, ზოგჯერ კი სამთავეს ქება მოცემულია ერთ გალობაში, ოდაში და თითო პიროვნებას თითო ტროპარი ეძღვნება. პირველ შემთხვევაში მითითებულია: „ოხითა შალვას“, „სხვა ოხითა (ბიძინასი)“, „ოხითა ელიზბარისი“, ან „იბაკო შალვასი“, „იბაკო ელისბარისი“ და ა. შ.

მეორე შემთხვევის მაგალითისათვის დავიმოწმებთ საგალობელს: „ქრისტე ღმერთო, სიბრძნეო ღმრთისაო, მომეც მე სიბრძნე სიტყვსა და აღახუცნ ბაგენი ჩემნი გალობად და შესხმად ქებისა მათისა, რათა ღირსად უგალობდე წმიდათა ამათ მეოხებითა ღმრთისმშობლისათა, მოწყალე.

რომელმან შეგკრიბნათ თქუენ მეოხად ჩუენდა და მტერთა ჩუენთა მომსრეველად, სამნი ეგე ვარსკულაენი განმანათლებელად ეკლესიათა ქართლისათა, შალვა, მოყუასით შენითურთ შეგვწყალენ ჩუენ ყოველნივე, რომელნი ვაქებთ წსენებასა თქუენსა.

იაკობისებრ დაქრა თავს-იღვე სასურველისა მის შენისა ქრისტესთვის და მსგავსად მისსა ლახურითა განგურემულ იქმენ, სანატრელო ბიძინა, ამისთვის უგალობთ წყალობასა შენსა, მეოხ გუეყავ პატივისმცემელთა შენთა.

სპარსთა ქუეყანაჲ შეღება სისხლმან შენმან, ელისბარ, და სიბნელე ცოდვისა ჩუენისა განაქარვა და გვქსნა ხილულთა მათ უხილავთა მტერთაგან და მოგუანიჭა ჩუენ ცხორებაჲ უცვალებელი, ამისთვის სიმართლედ გადიდა მაცხოვარმან.

ტაძარო ქრისტესო, შეურყეველო ზღუდეო ქრისტეანეთაო, და საკუთარო მფარველო და მოღუაწე ქართველთა ერთაო, მეოხ გუეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, რომელნიცა უგალობთ, რამეთუ დიდებულ არს“.

იესე ერისთავი საგანგებოდ უსვამს ხაზს ბიძინა, შალვა და ელიზბარის დამსახურებას მშობლიური ხალხისა და ეკლესიის წინაშე. მათ ვაჟაკურ სიმტკიცესა და შეუვალობას, პირდაპირობას და სამშობლოს წინაშე თავდადებას მიიჩნევს დიდ ეროვნულ და პოლიტიკურ ფაქტად. ამიტომ ავტორი ბიძინა, შალვა და ელიზბარის მოწამებრივი სიკვდილიდან წინა პლანზე წამოსწევს ისეთ მომენტებს, რომლებიც მკითხველზე და მსმენელზე მეტ ეფექტს მოახდენს.

ჰიმნებში 1659 წლის კახეთის ეროვნული მნიშვნელობის მქონე აჯანყების მანიშნებელი რაიმე ფაქტი თითქმის არაა. ასევე არაა დასახელებული სამეულის საქმიანობა და დამსახურება შეთქმულების მოწყობაში. საგალობლებში ხაზგასმულია წამების სცენები, ქრისტიანობისადმი ურყევი ერთგულების მაუწყებელი მომენტები. ავტორი სიქადულით აცხადებს, რომ „წინაშე სპარსთა... არა შეშინდის“, მიიღეთ მოწამებრივი სიკვდილი, რითაც „აწ ყუავის დღეს ქართველთა ეკლესია და განსცხრების კრებული მკედრობათა და იხარებს ერი მორწმუნე და გვრგვონოსან იქმნებიან შვილნი შენნი სისხლითა შენითა, შალვა, ზღუდეო და მფარველო ქართველთა ერთაო“.

იესე ერისთავის საგალობლებში ჩვეულებრივია პოეტური თქმები (მაგ. „ლამპრითა ბრწყინვალითა აქ განშუენდების ქართველთა ეკლესია და შეიმკუების, ვითარცა სძალი, შემკული ქორწილსა თვისსა“) და შედარებები. ფრაზა ლაკონური და დახვეწილია, რაც ავტორის დახელოვნებასა და ოსტატობაზე მიუთითებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საგალობლებში შეინიშნება





სტერეოტიპურ გამოთქმათა მსგავსება. მაგ. „ეკლესია მორწმუნეთა იხარტება და განშუენდების სისხლითა მაგით... და შეიმკუების გალობითა“ (ლაღალ-ვყავსა). „აწ განშუენდების ქართველთა ეკლესია და შეიმკუების, ვითარცა“... (კურთხეულხარსა). „აწ ყვავის ღღეს ქართველთა ეკლესია და განსცხრების კრებული“ (მესმასა).

იესე ერისთავის საგალობლებს რამდენადმე შეხებია რედაქტორის ჩაღ-ხი. საქმე ისაა, რომ იესეს ბიძინასი და შალვას როლი უფრო მეტად მიუჩ-ნევია ელიზბართან შედარებით, მეტი აქცენტი გაუკეთებია მათზე. რო-გორც S—3269 ხელნაწერიდან ჩანს, ეს ფაქტი იმთავითვე შეუნიშნავს რე-დაქტორს და სათანადო ღონისძიებაც ჩაუტარებია. მხოლოდითი რიცხვი შე-უცვლია მრავლობითით და ამით საგალობელი, განკუთვნილი მხოლოდ ბი-ძინასადმი ან შალვასადმი, გადაკეთდა საგალობლად სამივე გმირისადმი. რე-დაქტორი, ჩანს, ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომელიც გამოთქმუ-ლია „წამების“ ვრცელ რედაქციაში... „ხოლო პირ სიტყუათა ამათ იყო წმიდა ბიძინა და იგი მიუგებდა ყოველსავე. ხოლო ნება — განხრა-ხუა სამთავე ერთი იყო და სწორი, რომელთაცა ურ-თადცა და სწორად იღუაწეს და სწორადცა მიიღეს გკრგუნნი“<sup>15</sup>. რედაქტორის მიერ ჩატარებული სამუშაოს საილუსტრა-ციოდ მოვიტანთ თითო ნიმუშს:

**იყო**

**რედაქტორს გაუკეთებია**

ა) „მოვედით ღღეს, ერნო ქარ-თველნო, ბრწყინვალედ ქებაა შეუ-თხზათ ღირსა ქებისა და ქრისტესა ჩუენსა უგალობდეთ, რომელმან ესევეითარი მოთმინებაა მოსცა მოწამესა თვისსა ბიძინას, რამეთუ მისთვის ტან-ჯვანი თავს ისხნა“...

„მოვედით ღღეს, ერნო ქართველ-თანო, ბრწყინვალედ ქებაა შეუთხ-ზათ ღირსთა ქებისათა და ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა უგა-ლობდეთ, რომელმან ესევეითარი მოთმინებაა მისცა მოწამეთა თვისთა — ბიძინას, შალვას და ელისბარს, რამეთუ მისთვის ტანჯვანი თავს ისხნეს“...

ბ) „ემბაზისაგან წმიდისა აღმოს-ცენდი ყუავილი ნათლისა და ჰნათობ ეკლესიათა ჩუენთა მსგავსად მთიებისა და იდიდები წლითი-წლად ჩუენ მიერ, დიდები-თა მით დაუსრულებელთა და ევე-დრები დაუცხრომლად ჩუენ ყოველთათვის, ღუაწლისა მძლეო შალვა“.

„ემბაზისაგან წმიდისა აღმოს-ცენდით ყუავილი ნათლისა და ჰნათობთ ეკლესიათა ჩუენთა მსგავსად მთიებისა და იდიდე-ბით წლითი-წლად ჩუენ მიერ, დიდებითა მით დაუსრულებლითა და ევედრებით დაუცხრომლად ღმერთსა ჩუენ ყოველთათვის“.

იესე ერისთავის საგალობლის ტექსტში ჩასწორებები, ჩვენი აზრით, ბე-სარიონ ორბელიშვილმა შეიტანა. ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ საგალობ-ლები მოთავსებულია ბესარიონის კრებულში (S—3269), რომლის შედგენა-რედაქტირება ეკუთვნის თვით ბესარიონს და, რაც მთავარია, ჩასწორებების

<sup>15</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 604.

ხელი არის ბესარიონის ხელი (მდრ. იქვე ბესარიონის ავტოგრაფი). ასეთივე ჩასწორებები მას სხვა შემთხვევაშიც ჩაუტარებია (მაგ. A—170).

საგალობლები შემდეგ გავრცელდა ჩასწორებული რედაქციით.

იესუ ქსნის ერისთავის საგალობლებს დაწერის თარიღი არ უზის, მაგრამ მისი დაახლოებით დათარიღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. აქ პირველ რიგში დგება საკითხი სვინაქსარულ საკითხავთა და საგალობლების ურთიერთმიმართების შესახებ.

1659 წლის გმირების შესახებ არსებობს ორი პატარა სვინაქსარული საკითხავი, რომლებიც ჩართულია განგებაში, ერთი მათგანი შედარებით უფრო ვრცელია, ხოლო მოკლე მთლიანად ვრცელზეა დამოკიდებული. ამიტომ, ფაქტიურად, ერთი საკითხავის ორი ვარიანტია.

სვინაქსარულ საკითხავთა ავტორი ჯერ-ჯერობით უცნობია, ე. გაბიძაშვილს, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საკითხავები და გამოაქვეყნა კიდევ<sup>16</sup>, მიაჩნია, რომ საკითხავების ავტორი XVIII საუკ. პირველი ნახევრის მოღვაწეა, რომელმაც საკითხავები დაწერა 1718 წლის შემდგომ<sup>17</sup> და რომ სვინაქსარული რედაქცია „ვრცელ ცხოვრებაზე ადრე უნდა შექმნილიყო“<sup>18</sup>. ეს უკანასკნელი დასკვნა ეყრდნობა ბესარიონ ორბელიშვილის მუშაობის მეთოდს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორის ბოლო დებულება მთლად გასაზიარებელი არ უნდა იყოს შემდეგი მოსაზრებების გამო.

ბესარიონ ორბელიშვილის მუშაობის ხასიათი ცნობილია. იგი ყოველ საჭირო შემთხვევაში ჭარბად იყენებს არსებულ წყაროებს. მაგრამ ჩვენ რამდენადმე ტენდენციური გვეჩვენება ე. გაბიძაშვილის კატეგორიული დებულება: „...ბესარიონ ორბელიშვილს არც ერთი ისეთი დასახელების თხზულება არ შეუქმნია, რომელიც მანამდე მოკლე სახით არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაჟდენ პირველმოწამის მარტივობას“<sup>19</sup>. მაშასადამე, ლუარსაბის, არჩილს, შალვა, ბიძინა და ელისბარის და ისე წილკნელის მოკლე საკითხავები, ავტორის აზრით, არსებობდა ორბელიშვილის თხზულებათა ადრე. ეს დასკვნა ავტორის საკუთარი მსჯელობის შემდეგ გამოაქვს ყველა ცალკე შემთხვევაში. მაგრამ ჩვენი აზრით, არც ლუარსაბის სვინაქსარული საკითხავია XVII საუკუნის, რადგან ხელნაწერის A—683 თ. ყორდანიასეული დათარიღება მცდარია, არც ისე წილკნელის საკითხავია ბესარიონის შრომაზე ადრეული, და არც ბიძინა, შალვა და ელისბარის საკითხავია ვრცელ რედაქციაზე ადრეული. ე. გაბიძაშვილი თვითვე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ბესარიონი საერთოდ სრულებით არ იყენებს ხსენებულ მოკლე რედაქციის ცხოვრებებს, არამედ მათგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ, ვრცელ ცხოვრებას“<sup>20</sup>. მაშრა ხდება? ბესარიონი, როგორც წესი, და ეს მისი მუშაობის მეთოდია, ყოველთვის იყენებს, და ჭარბადაც;

<sup>16</sup> ორივე ტექსტი გამოაქვეყნა ე. გაბიძაშვილმა, იხ.: ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, გვ. 437—440.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 311.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 312.

<sup>20</sup> ე. გაბიძაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 312.





წინა ავტორთა თხზულებებს<sup>21</sup>, მთელ გვერდებს იწერს ზოგჯერ, ხოლო სხვაგვარად შემთხვევაში უგულვებელყოფს სპეციალურ საკითხავენს. ისმის ბუნებრივად კითხვა, რატომ? იმიტომ, რომ მოკლე სვინაქსარული საკითხავეები იწერებოდა (რამდენადმე გამოხატულია ლუარსაბის მარტვილობა) თითქმის ბესარიონის თხზულებათა პარალელურად, ე. ი. იწერებოდა იმ დროს, როდესაც, ჩვენი აზრით, ბესარიონ ორბელიშვილის მიერ ივსებოდა ქართული ავოგრაფიული კრებულის მეორე რედაქცია, როდესაც ბესარიონი თვით წერდა ქართულ წმინდანებზე ვრცელ ცხოვრებებს, ამიტომაც, ჩვენი აზრით, რომ ვრცელსა და მოკლე ცხოვრებებს შორის უშუალო, პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის არ არის.

ვინ შეიძლება იყოს სვინაქსარული საკითხავის ავტორი? ჩვენი აზრით, ავტორად შეიძლება ვივარაუდოთ იესე ქსნის ერისთავი. ჩვენ ვემყარებით შემდეგ გარემოებას. იესე ერისთავს დაავალეს საკუთარი პაპის და მისი თანამებრძოლების შესახებ შეედგინა განგება, დაეწერა კანონი. სვინაქსარული საკითხავი, როგორც განგების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი, ჩართულია საგალობელში და იკითხება მეექვსე გალობის შემდეგ. ვინც დაწერა საგალობელი, ლოგიკური იყო, მასვე დაეწერა საკითხავი (რა თქმა უნდა, ხდებოდა სხვანაირადაც); ამის თქმის უფლებას იძლევა ხელნაწერთა მონაცემებიც. საკითხავი და საგალობლები პირველად ჩნდება ერთ ხელნაწერში, კერძოდ ბესარიონის კრებულში (S — 3269). არავითარი მონაცემი, რომ სხვა ხელნაწერში იყოს ან საგალობელი, ან საკითხავი ცალ-ცალკე, არაა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ იესეს კალამს ეკუთვნის ბიძინა, შალვა და ელიზბარის სვინაქსარული წამების ტექსტიც.

ჩვენი დებულების დასამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა ურთიერთობაშია საგალობლისა და საკითხავის ფაქტურა ერთმანეთთან. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ საგალობელში ფაქტები საერთოდ ძალიან ცოტაა, მით უმეტეს ისეთი, რომელიც სვინაქსარულშიც დაიძებნებოდა.

პირველი, საკითხავის სათაური და საგალობლის სათაური სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, ორივეს მიხედვით ელიზბარი და შალვა ძმები არიან. ამით ორივე ესენი სხვაობენ ვრცელი რედაქციისაგან, სადაც შალვა ელიზბარის ძმისწულადაა გამოყვანილი<sup>22</sup>. საგალობელში სხვა ადგილასაც არის ნათქვამი ამის შესახებ: „ვდღესასწაულობდეთ, ერნო, და ვიხარებდეთ დღესასწაულსა ორთა ამას ძმათა ქრისტეს მოწამეთასა შალვას და ელისბარს“...

მეორე, საგალობელში, ნათქვამია, რომ „ერმან უსჯულომან, ბილწმან, შეგიპყრეს უმსჯავროდ და წარგიყვანეს წინაშე სპარსთა მეფისა...“ დახლოებით ასევეა ეს ამბავი გადმოცემული სვინაქსარულშიც: „ზაკვთ შეიპყრნა წმინდანი ესე და წარგზავნა წინაშე სპარსთა მეფისა“...<sup>23</sup>. სამართლიანობა

<sup>21</sup> მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, 1959, საქანდი-დატო დისერტაცია, გვ. 46—62.

<sup>22</sup> შდრ. ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 313.

<sup>23</sup> იხ. იქვე, გვ. 43.

მოითხოვს, ითქვას, რომ საგალობლის სხვა ადგილას ცოტა განსხვავებულად არის ეს ადგილი: „მიხუჭდნით დაკლვად, ვითარცა კრავნი, და თავს ისხენი წყალობანი“.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ისეთ ადგილებზე, რომლებიც მოთხრობილია როგორც მოკლე, ასევე ვრცელ ცხოვრებებში, მაგრამ ერთმანეთისაგან საგრძნობლად სხვაობენ. როგორც ვნახეთ, საგალობელი სვინაქსარს უკერს მხარს.

მაშასადამე, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და სვინაქსარ-გალობათა ავტორი ერთი პირია — იესე ერისთავი, მაშინ ცხადია, რომ ისინი დაწერილია ერთდროულად. ეს კი უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის ოციან წლებში, რადგანაც A—425, რომელიც 1718 წელსაა გადაწერილი და რომელშიც თავმოყრილია ქართველ წმინდანთა საკითხავ-საგალობლები, ბიძინა, შალვა და ელიზბარის შესახებ არც სვინაქსარულ საკითხავს<sup>24</sup> იცნობს და არც საგალობელს.

აქ დგება ერთი საკითხი, რომელიც საგანგებო აღნიშვნის ღირსია. საინტერესოა იესე ერისთავი, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნებთ ბიძინა, შალვა და ელიზბარის სვინაქსარულ საკითხავებს, როგორ იყენებს წინა ავტორთა ნაშრომებს. გაირკვა, რომ იესეს გამოუყენებია და თავის განგებაში მთლიანად ჩაურთავს ნიკოლოზ თბილელის, სულხან-საბა ორბელიანის ძმის, იბაკო (კმა ა).

„მოწყლული სურვილითა მეფისათა,  
არა რიღებდა ტანჯვასა თესთა ვორცთასა,  
მსგავსადვე იაკობისსა ასოეულად დაჭრილთა,  
მოდით, კრებულნო მორწმუნეთანო,  
და შევეუთხზათ ქება ღირსსა ქებისასა  
რათა მეოხ იყოს ქრისტეს მიმართ,  
შეწყალებად სულთა ჩუნეთათჳს“.

ნიკოლოზ თბილელის ავტორობა საგალობელზე დადგინდა ანტონ კათალიკოსის რედაქციის სადღესასწაულოს მიხედვით. ხელნაწერ S—1464-ში (73v) პირდაპირაა მითითებული ავტორი. ნიკოლოზ თბილელს სხვა მოწამეებზეც აქვს ტროპარები დაწერილი და ზოგიერთი მათგანი მაგ. ქეთევან დედოფალზე შეტანილია ჭერ კიდევ დომენტი კათალიკოსის აგიოგრაფიულ კრებულში A—130-ში<sup>25</sup>.

მაშასადამე, იესე ერისთავი ბიძინა, შალვა და ელიზბარის ცანგების შედგენის დროს იყენებს წინა ავტორთა ნამუშევრებს.

იესეს კალამს ეკუთვნის საგალობელი ისე წილკნელის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“<sup>26</sup>. საგალობლის კიდურწერილობა იძლევა: „ქსნის ერისთავის შვილი იესე, ვადიდებ წმინდას იესეს, მადიდებელი მისი“.

ისე წილკნელისადმი იესე ერისთავს მიუძღვნია არა ჰიმნოგრაფიული კანონი, ლიტურგიკული საგალობელი, არამედ პრაქტიკული დანიშნულებისა-

<sup>24</sup> შდრ. ე. გაბიაშვილის დასახელებული წიგნი.

<sup>25</sup> ნიკოლოზის ტროპარი ასევე ჩართულია გრიგოლ დოდორჭელის სახელით ცნობილ ჰიმნებში.

<sup>26</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 211—212.



გან თავისუფალი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ლექსი, რომელშიც ავტორმა თავისი განწყობილებები გადმოსცა.

თავისთავად „ლექსი“ რთული აკროსტიქითაა შედგენილი. ყოველი სტრიქონის დასაწყისი და ბოლო ასო კიდურწერილობისაა, ამავე დროს, პირველი 18 სტრიქონის ბოლო ასოები არის მომდევნო 18 სტრიქონის დასაწყისი ასოები. ეს ტექნიკური სირთულე, რა თქმა უნდა, თავის დაღს ასვამს ისედაც არც თუ მთლად მაღალ პოეტურ ნაწარმოებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიური აკროსტიქით დაწერა მარინე-მაკარიძე ბაგრატიონმა ღვთისმშობლის შესახებ და დაურთო სულხან-საბას ლეჟიკონის ერთ-ერთ ნუსხას (H—1740).

იესე წილკნელის შესახებ ქართულ ჰაგიოგრაფიაში ბევრი რამ ცნობილი არ არის. ამ ხარვეზს ვერც XVIII ს. დაწერილი ჰაგიოგრაფიული ძეგლი ავსებს. იესე ერისთავის ჰიმი ფაქტობრივი მონაცემების თვალსაზრისით თითქმის არაფერს შეიცავს. იგი ამალღებულ ტონით დაწერილი შესხმაა, რომელშიც ძალუმად ჩქეფს პატრიოტი ჰიმნოგრაფის განწყობილება.

იესე ერისთავის შემოქმედებას მე-18 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში საბატიო ადგილი უჭირავს. მისი პოეტური შემკვიდრება ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციებზეა დამკვიდრებული, მის განვითარება-გავრცელებას წარმოადგენს<sup>27</sup>.

[224r] თა სეკდენბერსა იწ. წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველ ელისბარ ქსნის ერისთვისა და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა დიდებულისა მოწამისა ბიძინა კახისა\*.

### უ ფ ა ლ ო , ლ ო ყ ა ქ ო დ მ ქ ნ ნ ო

ვაქებდეთ დღეს ჩუენ, ყოველნი ერნი ქართველთანი, ქრისტესა, რომელმან მოგუცა მეოხად სულთა ჩუენთა მოწამე ღირსი ბიძინა, ქრისტესთვის განკაფული და წურილ-წურილად დაჭრილი, ვითარცა კრავი უმანკო, და განაქიქა სპარსთა მეფისა ცუდი და ამაო და უკეთური ზრახვაჲ მისი და მეოხ არს სულთა ჩუენთათვის.

ვითარცა რაჲ მარგალიტთა და თუალთა პატიოსანთა ბრწყინვალეებითა შეგამკო შენ ქრისტემან მრავალ-სახეთა მადლთა მიერ, ბიძინა დიდებულო, რომლისათვისცა ჩუენცა შენ მიერ მოქადული ესე ერი ქართველთა შევთხზავთ გკრგვნსა ქებისასა, ღირსო, და ღმერთსა ვადიდებთ აწ მოცემად ჩუენ-და შენდობისა.

ნაწევარნი ასოთანი დაქსნდებოდეს რა, მოწამისა სულისა საკრველნი მტკიცედ განმტკიცებოდეს და ბრწყინვალედ გამოჩნდებოდეს ძალი სიტყვისა ამის. ყოვლად ვერარამან განამაშოროს სიყუარულსა ქრისტეს ღმრთისასა ამისთვის, ვითარცა რა მსხუჭრბლი წმიდაჲ შეიწირა დიდებული ზეცისა მას სასუფეველსა.

<sup>27</sup> იესეს საბას ლეჟიკონის დასაწყისი ასოების სახელწოდებანი გაურითმავს. ეს არაა ერთი მთლიანი ნაწარმოები, რომელიც შეკრული იყოს ერთი კომპოზიციითა და შინაგანი კავშირით. მით უმეტეს, იგი არაა ჰიმნოგრაფიული ხასიათის თხზულება.

\* ტექსტი ქვეყნდება XVIII ს. ხელნაწერის S—3269-ის მიხედვით.



სახუანი ელისბარისა და შალვასნი, კ<sup>ე</sup> დ. რაქამს  
მოწყალე.

რაქამს მოწყალე ექმნა დამბადებელი დაბადებულთა მათ თვსთა, დღეს ღირსთა მისთა ელისბარ და შალვა, დათრგუნეს ბრძანებაჲ მეფისა და უშიშ ექმნეს სატანჯველთა მძვნეარებასა, ახოვანი მკედარნი ქრისტეს ღმრთისანი, რომელთა დაუტევეს მამული, სიმდიდრე, ნათესავნი და თვსნი მათნი სახელისათვს ღმრთისა მათისა და აღირჩიეს ზეცისაჲ იგი სუფევამ და ევედრებოან უფალსა ცხორებისათვს სულთა ჩუენთასა.

ვითარცა მსხუტრპლნი სიტყვერნი და სათნონი, ძღუნად მიერთუტნით ქრისტესა, ელისბარ და შალვა. და მან დაგსხნა ზეცასა დიდებით, რომელთა მისთვს ყოველივე მოითმინეთ და შეურაცხყვეთ სატანჯველთა იგი სიმწარე და გუტმანი და ახოვანად თავს-იდევით, ღირსნო, დაჭრა უწყალოდ ბოროტთა მათ მკეცთავან სისხლის მკამელთა მათ მძვნეარეთა და კაცის მკლველთა უწყალოთა მტარვალთა და აწ გალობით აქებთ ღმერთსა, ჩუენ ყოველთასა მეოხ გუეყვენი, ღირსნო, ცხორებად სულთათვს.

განსცხრებოდინ დღეს ერთი ქართველთა და იშუტზდ დღესასწაულთა შვილთა თქუენთასა, რომელთა დასცეს მტერი მოშურნე\* და ახოვანად წინა-აღუდგეს მეფესა ახოვანი, მკნენი და უშიშითა წმითა დადადებდეს ესრეთ: არა თავს-ვიდებთ\*\* ჩუენ, მეფეო, ყოვლად უკეთურსა მას ბრძანებასა შენსა და არცა ვისმინეთ გებად კერბთა ყრუთა, რამეთუ ღმერთსა ჩუენსა თაყუანის-ვსცემთ ჩუენ და არა ხატსა შენსა, რათა შეიწყალნეს მან სულნი ჩუენნი.

დიდებამ ბიძინასი, გგ<sup>ე</sup> ი, მჯდომარე

ქრისტეს მცხნელისა ახოვანსა მოწამესა და ღმრთის მსახურებისა ძლიერსა, უძღვევლსა ვაქებდეთ წადიერად ყოველნივე ბიძინას გალობითა და შესხმითა სულიერითა, რომლისა მიერ იძლია მძღავრებაჲ მტერთა და უძღურთა კურნებაჲ უხუტზბით მოენიჭა ღმრთისა მიერ ყოვლისა მპყრობელისა, რომელი აღიდა ასოთა მათ მისთა მიერ უბიწოთა, რომელ თავს-ისხნა ტანჯვანი და მოლუაწებაჲ მისი განითქუა ბრწყინვალედ [224v].

სტიქარონნი, კ<sup>ე</sup> ა

მოვედით დღეს, ერნო ქართველთანო, ბრწყინვალედ ქებაჲ შეუთხზათ ღირსთა ქებისათა და ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა უგალობდეთ, რომელმან ესევეითარი მოთმინებაჲ მოსცა მოწამეთა თვსთა — ბიძინას, შალვას და ელისბარს, რამეთუ მისთვს ტანჯვანი თავს-ისხნეს, ხოლო მის წილ ღმერთმან დიდებისამან გვრგვნი უოხტნო მიანიჭა მათ და აწ მის წინაშე ღირსად იხარებენ და ითხოვენ მოტვეებასა ცოდვათა ჩუენთასა.

ანდამატისა უმტკიცესნო მოთმინებითა, ვინ შეუძლოს ღირსად ქებად, მოწამეო, რამეთუ ქუეყნისა ამისთვს დაითმინეთ გუტმანი სასტიკთა განსადღელთანი და მიხუტლით დაკლვად, ვითარცა კრავნი, და თავს-ისხენით წყა-

\* წერებულა სხვა სიტყვა, წაუშლიათ.  
\*\* წერებულა სხვა სიტყვა.





ლობანი მსგავსად გიორგისა და ითხოვთ ღმრთისაგან მშველობასა ერთა ველთათვის, ყოვლად ქებულნო.

ღუაწლი კეთილი მოიღუაწეთ სარწმუნოებისათვის, ღუაწლით შემოსილნო ქრისტესნო, ყოვლად ქებულნო, და მძლავრთა უღთობასა ამხილეთ ძლიერად და გვრგვნი ძლივისა ღმრთისა მიერ მოიღეთ და მსხუტრბლად სრულად მისა შეიწირეთ და მეოხებითა თქუენითა ჩუენ ყოველთა მოგუამდლებთ ცოდვათა შენდობასა და დიდსა წყალობასა.

დიდებამა

ესე რა გამობრწყინდა დღესასწაული შუშნიერი მოწამეთა და გამოჩნდეს ორნი ესე მნათობნი ქუტყანას ჩუენსა ელისბარ და შალვა, ვითარცა ორნი ვარსკულავნი, განმანათლებლად ჰაერთა ქართლისათა, ორნი ძმანი მოწამე-[225r]ნი ყოვლად დიდებულნი, რომელთა თავს-იდევს მსახურებად ღმრთისა უცბოსა, არამედ ხადოდეს ღმერთსა მამათა თვსთასა, ვითარცა სამნი ყრმანი საკვილსა მას შინა, და იტყოდეს: შე-მცა-წირულ ვართ ღმრთისა ჩუენისა, მე[უ]ფეო, რამეთუ ხატსა შენსა არა ვმსახურებთ, არამედ ღმერთსა მხოლოდ თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ.

ოხითა, შალვასი, კ<sup>ა</sup>ეა

წყალობანი იგი უფლისა წმიდათა შენთანი, რომელნი შენთვის ისხნეს, მიხუტნ აწ მეოხებად ჩუენთვის და ყოველნი სენნი ჩუენნი განკურნენ, კაცთმოყუარე, გვედრებით.

სხუამა ოხითა კ<sup>ა</sup>ე გ. [ბიძინასი]

ჩუენთვის ტარიგად უბიწოდ დაკლულისა ქრისტესა შესწირე თავი შენი სასტიკთა ტანჯვათა თავს-დებითა, ქართველთა დიდებო და მოწამეთა შორის საჩინოო მნათობო სანატრელო ბიძინა, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ცხოვრებად ჩუენ მაქებელთა შენთა.

სხუამა ოხითა, კ<sup>ა</sup>ედ, ელისბარისი

მარგალიტსა შუშნიერსა და ვარსკულავსა განთიადისასა და ყუავილსა მრავალფერსა, ქართველთა ეკლესიათა სურნელ-მყოფელსა, ნათესავთა თვსთა გვრგვნსა და სიქადულსა, დიდსა მოწამესა ელისბარს შევამკობდეთ გალობითა სულიერითა, რათა მეოხ იყო ქრისტეს მიმართ სულთა ჩუენთათვის.

[225r] გალობანი შუადამისანი იამბიკონი, რომელსა თავნი იტყვიან: „ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“.

უგალობდითს<sup>ა</sup> კ<sup>ა</sup>ე ბ გ<sup>ი</sup>. ზღუამე მევამული კუტრთხმან.

ქრისტე ღმერთო, სიბრძნეო ღმრთისაო, მომეც მე სიბრძნე სიტყვსა და აღახუტნ ბაგენი ჩემნი გალობად და შესხმად ქებისა მათისა, რათა ღირსად უგალობდე წმიდათა ამათ მეოხებითა ღმრთისმშობლისათა, მოწყალე.

რომელმან შეგკრიბნათ თქუენ მეოხად ჩუენდა და მტერთა ჩუენთა მომსრველად, სამნი უგე ვარსკულავნი განმანათლებლად ეკლესიათა ქართლისათა, შალვა, მოყუასით შენითურთ შეგვწყალენ ჩუენ ყოველნივე, რომელნი ვაქებთ კსენებასა თქუენსა წმიდასა.



იაკობისებრ დაჭრა თავს-იდევ სასურველისა მის შენისა ქრისტესთვის და მსგავსად მისსა ლახურითა განგურემულ იქმენ, სანატრელო ბიძინა, ამისთვის უგალობთ წყალობასა შენსა, მეოხ გუეყავ პატივისმცემელთა შენთა.

სპარსთა ქუეყანაჲ შედება სისხლმიან შენმან, ელისბარ, და სიბნელე ცოდვისა ჩუენისა განაქარვა და გვკსნა ხილულთა მათ და უხილავთა მტერთაგან და მოგუანიჭა ჩუენ ცხორებაჲ უცვალებელი, ამისთვის სიშართლედ გადიდა მაცხოვარმან.

ტაძარო ქრისტესო, შეურყეველო ზღუდეო ქრისტეანეთაო და საკუთარო მფარველო და მოღუაწეო ქართველთა ერთაო, მეოხ გუეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, რომელნიცა უგალობთ, რამეთუ დიდებულ არს.

გ ა ნ ძ ლ ი ე რ დ ა ს ა . სამებაო წმიდაო

ემბაზისაგან წმიდისა აღმოსცენდით ყუავილი ნათლისა და ჰნათობთ ეკლესიათა ჩუენთა მსგავსად მთიებისა და ილიდებით წლითი-წლად ჩუენ მიერ დიდებითა მით დაუსრულებელითა და ევედრებით დაუცხრომელად ღმერთსა ჩუენ ყოველთათვს\*.

სარგებელი წამებისა უნაკლულად აღასრულე ქრისტესთვის, მოწამეო ბიძინა, და მიიწიე წინაშე ღმრთისა და ჰსუფევე მარადის მის თანა და ევედრები დაცვად მეფისა, ღმრთის-მოყუარისა ერისა და ქალაქისა ჩუენისა.

მოწამეთა საცხენებელი მოიწია დღეს ელისბარ ყოვლად სანატრელისა და იხარებენ ყოველნი მორწმუნენი დიდსა ამას დღესასწაულსა და უფროსად მოხარულ არს ერი ქართველთა, რამეთუ უმეტესად გვწოდს ჩუენ მორწმუნეთა სიწმიდისა შემოსად.

ორითა მით ბუნებითა აღიარეთ ქრისტე წინაშე სპარსთა მეფისა — ღმრთად სრულად და კაცად სრულად, წმიდანო მოწამენო, და არა შეშინდით ზარისა მისგან და იტყოდეთ: მას ვადიდებთ, რომელიცა დიდებულ არს დიდებით — ქრისტე ღმერთი ჩუენი.

წინააღმდგომთა ჩუენთა ურწმუნოთა დამცემელად გიცნობთ შენ, დედაო ღმრთისაო, მორწმუნენი ერნი, ქართველთა სასოო და სიქადულო ჩუენო, წმიდათა ამათ მეოხებითა შენ ჩუენ, თაყუანისმცემელნი შენნი და ძრწოლით მგალობელნი.

მ ე ს მ ა ს ა , რ ა ე ა მ ს წ წ ყ ლ

აწ ყუავის დღეს ქართველთა ეკლესია და განსცხრების კრებული მკედრობათა და იჭარებს ერი მორწმუნე და გვრგვინოსან იქმნებიან შვილნი შენნი სისხლითა შენითა, შალვა, ზღუდეო და მფარველო ქართველთა ერთაო.

მოწამეთა სიქადულსა ქრისტესა შესწირე თავი შენი და სასტიკთა ტანჯვათ თავს-იდებდი და ახოვნად მოითმენდი, † საკვრველო. [225v] მოწამეო ბიძინა, მოგვკსენენ ჩუენცა წინაშე ღმრთისა შენისა, რათა ღირს ვიქმნეთ და მას ვადიდებდეთ.

ეჰა, ქართველთა სიქადულო და მეფეთა ჩუენთა გვრგვინო და ყოველთა მორწმუნეთა სამკალო და შროშანო შუენიერო და ვარსკულავო ბრწყინვალეო, განმანათლებლო სულთა ჩუენთაო, მკნეო ელისბარ, მეოხ გუეყავ ჩუენ.

\* ერთი სტრიქონი წაშლილია.





ორნატი ღმრთისმსახურებისა მორწყევით მკნენო მოწამენო, სისხლით  
მაგით თქუენითა ქართლსა შინა და აღმოაცენეთ ნაყოფი მართლმადიდებლო-  
ბისა, რომლითა აწ ვიხარებთ და გვეედრებით, მფარველ გუეყავ თქუენ  
მიერ მსასობელთა.

შენ, მ ქალწულო, რამეთუ შენ მიერ საკუთარ ღმრთისა წოდებულ  
ვართ ჩუენ დღეს ერი ესე ქართუელთა და მუნ მიერ მოგკლიეს ბეჭედი ნათ-  
ლისღებისა, შენ დაგვფარენ განსაცდელთაგან, უბიწოო მარიამ, დედაო  
ღმრთისაო.

ღ ა მ ი თ გ ა ნ ი ს ა ა . შ ე ნ დ ა ა ლ ე მ .

ახალსა ამას მოწამესა შალვას ძღუნად სურნელად შევსწირავთ ქრისტესა  
ღმერთსა ტომნი და ნათესავნი მისნი და ვითხოვთ ჩუენ მისგან ქსნასა ყო-  
ველთა ჭირთა და ურვათაგან უღირსნი მონანი შენნი.

ლახურითა მით რა განიგურიმე, ღირსო, და დაჭრა თავს-ისხენ, სა-  
ნატრელო ბიძინა, და სტადიონსა შინა კმამალად და სიხარულით დაღადება-  
ნი: ვერარამან განმამოროს მე სიყუარულსა ქრისტესსა.

ვნატრით და ვაქებთ მარჯუენესა შენსა წმიდასა, რომლითა მოსრა ერი  
უსჯულო და სარწმუნოებით ვითხოვთ შენგან ქსნასა ყოველთა ჭირთა და  
განსაცდელთაგან, ელისბარ, მნათობო სულთა ჩუენთაო.

ახოვანთა და მოწამეთა ძმათა ვაქებდეთ სამთა მათ მნათობთა ქართლი-  
სათა, რამეთუ უსჯულოთა სიციბილი დათრგუნეს ძალითა ჯუარისაჲთა, ამისთვის  
ღირს იქმნენს გვრგვნსა უხრწნელებისასა.

შიშუტლ და გლახაკ ვართ საფარველისაგან შენისა, ქალწულო წმიდაო,  
შენ გიგალობთ და შეგივრდებით, რათა დაბფარო სიშიშულე ჩუენი, რომე-  
ლი ცოდვითა განგუშძარკუა სამოსელი ნათლისა.

ღ ა ლ ა დ ვ ყ ა ვ ი ს ა , მ უ ც ლ ა დ ი ღ ო ი ო ნ .

ეკლესია მორწმუნეთა იხარებს და განშუშნდების სისხლითა მაგით შე-  
ნითა და ყუავილოვან და სურნელ იქმნების, მოწამეო შალვა, და შეიმკუჭბის  
გალობითა შენითა, გადიდებთ ჩუენ წადიერად და მეოხ გუეყავ ჰატივისმცე-  
მელთა შენთა.

იქადგა ლუაწლი და მოთმინება შენი, წმიდაო ბიძინა, ყოველთა მორწ-  
მუნეთა შორის, და შენ მიერ ითხოენ ქრისტეს ღმრთისაგან დაცვასა და  
განსაცდელთაგან და ცოდვათა მოტევებასა და დიდსა წყალობასა, სანატრე-  
ლო, მკნეო, ლუაწლისა მძლეო.

წყალობათა ჩუენთა საცნობელ გუშქმნა სისხლი შენი მდინარე, მოწა-  
მეო ელისბარ, და კუალად განიბოცა ქუეყანაჲ ჩუენი ქართლისა და აღმოა-  
ცენა ყუავილი სარწმუნოებისა, რომელსა აწ სიხარულით მოვისთულებთ  
და მოვიღებთ კურნებასა.

ყუავის დღეს სარწმუნოებაჲ თქუენ მიერ ქართლსა შინა, წმიდანო მო-  
წამენო, და ფშვის სული სულნელთა, მეფენი და მთავარნი, მდიდარნი, გლა-  
ხაკნი ერთბამად იყნოსენ ყოველნი და წმიდა იქმნებიან ყუავილითა მით  
სარწმუნოებისათა.

აღგუადგინე დაცემულნი მტერთა ურწმუნოთაგან მავედრებელი ერი  
ესე, შენნი მორწმუნენი, ქალწულო მარიამ, რამეთუ სსუჲა მფარველი და

შესავედრებელი არავინ გკვის ჩუენ თვნიერ გარეშე შენსა, სასოო ჩუენო  
კურთხეულო.



კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ ს ა . ა რ ა შ ე შ ი ნ დ ე ს

ღმპრითა ბრწყინვალითა აწ განშუშნდების ქართველთა ეკლესია და  
შემიკუჭბის, ვითარცა სძალი შემკული ქორწილსა თვისსა, და ესრეთ დაღა-  
დებს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო.

ერმან უსჯულომან, ბილწმან, შეგიბყრეს უმსჯავროდ და წარგიყვანეს  
წინაშე სპარსთა მეფისა, ბიძინა, და გტანჯეს უწყალოდ და იტყოდი.

ძალითა ჭუარისაჲთა იქმენ ფრთოვან, სანატრელ, ელისბარ, და აღიწიე  
ფრთე-მადლობით სანატრელსა ცხოვრებასა და მუნ სუფევ და ევედრები ქრის-  
ტესა ღმერთსა ცოდვათა ჩუენთა მოტევებასა.

იქსენ ყოველი სოფელი წარწყმედისაგან და არა დაუტევე ობლად  
ბნელსა შინა უმეცრებისასა ქუეყანაჲ ესე ქართლისა, იესუ, ძეო ღმრთისაო,  
და ვღაღადებთ: მამათა ჩუენთა ღმერთო.

სიმტკიცესა ჩუენსა და სიქადულსა და ყოვლისა სოფლისა სიხარულსა,  
ყუავილსა ბრწყინვალესა, ჰაერთა განმასურნელებელსა ქალწულსა მარიამს  
ვადიდებთ სასოსა ჩუენსა.

აკურთხევდი თსა. ც ა მ ვ რ ც ე ლ ი

ძირთაგან კეთილთა მორჩი აღმოსცენდი, საყოფი შუენიერი და რტო-  
ფურცელ-ყუავილოვანი, სურნელი შესავედრებელი და მფარველი ყოველთა  
მორწმუნეთა, ამისთვისცა გაკურთხევთ და ქებით აღგამაღლებთ ერი მორწმუ-  
ნეთა აწ და უკუნითი უკუნისამდე.

ესე არს დღესასწაული, ბრწყინვალედ განათლებული, ნათლით შემოსი-  
ლი, დღე ესე შუენიერად სახილველი და ჩუენ მიერ ქებით საგალობელი და  
ამას ვადიდებდეთ ყრმანი, აკურთხევდით მას მღდელნი.

შემიკვების დღეს ეკლესია ქრისტესი გალობითა და იხარებს, ნეტარო,  
და მარადის ვევედრებით ღუაწლთა შენთა, ელისბარ, რათა ღირს ვიქმ-  
ნნეთ ჩუენცა ნაწილთა შენთა ზიარ-ყოფად; ყრმანი გაკურთხევენ შენ,  
მღდელნი გიგალობენ.

ესმა რაჲ კადნიერად ღუაწლი და მოთმინებაჲ თქუენი ანგელოზთა ცა-  
თა შინა, განკრვებულნი დაღადებდეს: დიდებაჲ ღმერთსა, რომელმან უძ-  
ლეველ გყოთ თქუენ, წმიდანო, და სუფევთ თქუენ მათ თანა და ევედრე-  
ბით სულთა ჩუენთათჳს მეოხებასა. [226r].

ნათლისა მის მშობლისა და განმანათლებელისა სეხნასა მარიამს, ნათ-  
ლისა საუნჯესა, უგალობდეთ დღეს ჩუენ, მორწმუნენო ქართველთა ერ-  
ნო, ადიდებდით და უფროსად აღამაღლებდით საყდარსა და პალატსა ღრუ-  
ბელსა სულმცირესა, ქალწულსა, წმიდასა დედასა მაცხოვრისასა.

ადიდებდი თსა. ნ უ მ ტ ი რ მ ე

იმენე რა სახლი კლდესა ზედა შეუძრავსა, რომელ არს ქრისტე ღმერ-  
თი, და მას შინა დაემკვდრე, შალვა, და მუნ სუფევ უკუნისამდე და ევედ-  
რები მარადის ცოდვათა ჩუენთა მოტევებასა მეუფესა და დიდსა წყალობასა.

იესუ, მაცხოვარმან ყოველთამან, აღგიყვანა ზეცისა იჭრუსალიმსა და  
მუნ დაგამკვდრა შენ და შეგამკო ყუავილითა სურნელითა და ადიდა დღე-





სასწაული შენი, ბიძინა, ვითარცა შუშნის სიმკნესა შენსა და გვედრებთა მათაჲსა ითხოვე ჩუენთვს წყალობაჲ.

ერი, მორწმუნე და მაღიღებელი ქსენებისა და დღესასწაულისა მის შენისა, დაიფარე ყოვლისაგან განსაცდელისა და რომელთა სარწმუნოებით გარემოუცავს საფლავი შენი, და ვნატრით ღუაწლთა შენთა, ელისბარ, მოხედენ უძღურებასა ჩუენსა.

სავედრებელი ესე გალობაჲ შეიწირე ჩუენ უღირსთა მონათა შენთაგან, სამებაო წმიდაო, და დაგვფარენ ყოვლისაგან განსაცდელისა უღი[რ]სნი ესე გლახაკნი მონანი შენნი მეოხებითა მოწამეთა შენთათა.

ენაჲ მეტყუელი კაცთა ვერ შემძლებელ არს ღირსად ქებისა მის შენისა, რამეთუ იქმენ, ღირსო, შენ შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა, უხრწნელო, უბიწო, ამისთვისცა ვადიდებთ და აღვამაღლებთ ჩუენ უკუნისამდე.

ა გ ო, წ ა რ დ გ ო მ ა ა

მეუფისა საუკუნოჲსა მკედარ იქმენ, ბრძენო, და საჭურველითა მით სარწმუნოებისათა სძლიეთ სპარსთა წყობასა უკეთურსა, ამისთვისცა ქრისტესგან მოიღე გვრგვნი და მით განშუშნდი, ნეტარო, და ითხოვე მისგან მოტყუებასა ცოდვათა ჩუენთასა, რომელნი დღესასწაულსა შენსა აღვასრულებთ.

ს ხ უ ა ა შ ა ლ ვ ა ს ი. ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე დ, კ მ ა ა ა

ვდღესასწაულობდეთ, ერნო, და ვიხარებდეთ დღესასწაულსა ორთა ამათ ძმათა ქრისტეს მოწამეთასა—შალვას და ელისბარს, გალობათა ყუავილითა შევამკობდეთ, რამეთუ ესენი მეოხად ჩუენდა და დიდებად ქუეყნისა ჩუენისა არიან და ევედრებიან უფალსა დაცვად ერისა და ქალაქისა მათისა და მეფისა ღმრთისმოყუარისა განძლიერებად.

ს ხ უ ა ა გ

დღეს ქსენებასა შენსა აღვასრულებთ, ნეტარო, შემოკრებულნი ერნი, მოწამეო ქრისტესო, და ღმერთსა ვადიდებთ, რომელმან მოგანიჭა ძლიერად მოთმენა სატანჯველთა და მით მკვდრ გყო ზეცათა სასუფეველსა და აწ ანგელოზთა თანა იხარებ და ქრისტესა ევედრები, ნეტარო ბიძინა, ცხორებად ჩუენდა.

II გალობა

უ გ ა ლ ო ბ დ ი თ ს ა დ. გ ი გ ა ლ ო ბ თ შ ე ნ, უ ფ ა ლ ო ღ მ ე რ თ ო

გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან განაძლიერე მოწამე შენი ბიძინა, ოხითა მისითა დაგვფარენ ჩუენ განსაცდელთაგან. სპარსთ მეფემან ინება განშორება შენი ქრისტეს სიყუარულისაგან და გარდაქცევა, ხოლო შენ ეგე, ვითარცა კლდე უძრავი, ყოვლად წმიდაო.

მოდით, მოყუარენო მოწამეთანო, და ვადიდებდეთ ღმერთსა ჩუენსა, რომელმან, ადიდნა ესენი, ელისბარ და შალვა, მკნენი მვედარნი, მეუფისათვის ტანჯულნი.

ვედრებად ნუ დასცხრები, ღმრთისმშობელო, მისსა, რომელი შენგან გამოგვბრწყინდა ჩუენ, რათა გვკსნეს მორწმუნენი განსაცდელთაგან, ვითარცა მოწყალე არს.

## გ ა ნ ძ ლ ი ე რ დ ა ს ა . მ შ უ ლ დ ი ძ ლ ი ე რ

ქრისტეს ღმრთისათვის დაითმინე წულილ-წულილად დაჭრა უსჯულოთა მკედართაგან, ხოლო შენ კადნიერად იტყოდი: ქრისტე არს სიქადული ჩემი.

სიმკნე ზეცით შეიმოსე შენ ქრისტეს ღმრთისაგან, უძლეველო მოწამეო ბიძინა, და მით განეწყვე ღმრთისმბრძოლთა მათ სპარსთა და აოტენ ბანაკნი მათნი.

ალიწინით თქუნ, ნეტარხო, ზეცისა სიხარულსა, ელისბარ და შალვა, და დაემკვდრენით მრჩობლთა სიხარულთა და მეოხად ჩუენდა გამოსჩნდით.

გიხაროდენ, ქალწულო უბიწოო, რომელმან დაიტეი სიტყუჲ ღმრთისაჲ, საშოსა შენსა და გვშევ ჩუენ ღმერთი და კაცი ჭორციელად გამოუთქმელად.

ი ბ ა კ ო ჲ შ ა ლ ვ ა ს ი , დ გ ო , ა რ ა დ ა ა კ ლ დ ი .

გიხაროდენ, მოწამეო, რომელმან მეორედ მიიღე ნათლისღებაჲ სისხლითა შენითა და განსწმიდე სული შენი და სურნელ იქმენ, ყუავილო შეუენიერო და ბრწყინვალეზო მორწმუნეთა ქართველთაო, შალვა და მეოხო, დამცველო სულთა ჩვენთაო.

ს ხ უ ა ჲ ი ბ ა კ ო ჲ ე ლ ი ს ბ ა რ ი ს ი დ გ ო

ვითარცა ორნი მართუჭნი განერენით საბრკეთა მონადირეთასა და ალიფრინეთ ფრთე-მალლობით სამყაროდ მიმართ ცისად და მიისწრაფე და მიიწიე სასურველისა მის თქუენისა ქრისტესა. დიდებაჲ განძლიერებულსა თქუენსა, დიდებაჲ გკრგვოსან მყოფელსა თქუენსა, დიდებაჲ, რომელმან ესრეთ გადიდნა თქუენ.

ი კ ო ს ი

ვითარითამე შესხმითა ვაქებდეთ, ანუ ვითარითამე გალობითა უგალობდეთ [226] ყოვლად დიდებულთა ამათ? რამეთუ ვერ ძალ-მიც აღებად პირისა ჩემისა და აღმოთქმად ქებულებისა მათისა, ნუუკუე მამხილოს მე უძლურებამან ჩემმან და დაქსნილობამან გონებისა ჩემისამან არა მიტეოს თქუემად, არამედ აწ მით შემწედ ჩემდა მოვხადო და მიუძღუნაო ქებაჲ ღირსთაჲ ქებისათა, რამეთუ ესენი გამოჩნდეს, ვითარცა ორნი მთიებნი და განიოტეს ბნელი წყუდიადი და გამოგვბრწყინდეს ჩუენ, ვითარცა ნათელი ბრწყინვალე და განანათლეს ქუეყანაჲ თუსი განათლებულთა, არამედ ჩუენ ქრისტეს მიმართ ღალადვყოთ: დიდებაჲ შენდა, რომელმან ესენი ესრეთ აღიდენ.

მ ე ს მ ა ს ა . ც ა ნ ი შ უ ე ნ ი ე რ ე ბ ა მ ა ნ შ ე ნ

თავსა შენსა დაიდგ გკრგვნი, მოწამეო, და წინაშე უფლისა მიხუჭდ განბრწყინვებული და ესრეთ უღალადებდი: დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

ოდეს მოიღე ძლევა მეუფისა ქრისტესგან და არა ჰყოვნე და არცა დრო ეც მიზეზსა, ვითარცა მერკვრი ივლიანეს ზმ, მსგავსად მისა იქსენ ქუეყანაჲ ესე.



განათლებლით ზედვითა ზეგარდამოთა უფლისადათა, შეუნიერნო მოყუ-  
ნო და ძმანო შეყვარებულნო მამისა მის სახიერისანო, რომელმან ღუაწ-  
ლითა შეგამკო თქუენ.

ცათა დაუტევნელი დაიტევ საშოსა შენსა და უზეშთაეს ბუნებათა  
გვშევ ჩუენ, ამისთვ სარწმუნოებით ვიტყვთ: დიდებაა ძალსა შენსა.

ღ ა მ ი თ გ ა ნ ს ა . გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ო ჩ უ ე ნ ო

ტომნი და ნათესავნი, მორწმუნენი მეფენი დღესასწაულსა შენსა, ბიძი-  
ნა, აღიდებენ და უგალობენ ღმრთივ ბრწყინვალესა ღუაწლსა შენსა.

საყდარსა დიდებულსა, საფლავსა წმიდისა მის მამისა ამბასსა განმრავლ-  
და კრებული უკეთურთა, ხოლო შენ განაქარვე, ვითარცა მტუერი.

რავამს-იგი წარგუჭთეს თავი თქუენი უღთოთა, სანატრელნო, შეიწირნა  
სისხლნი თქუენნი ქრისტემან და გკრგვნიოსან გყოთ გკრგვნითა საფლავისათა  
— ესაია გქადაგა ქალწულად და მშობელად ევმანოელისა ღმრთისა, წმიდაო  
და დედაო იესუ ძისა ღმრთისაო.

ღ ა ღ ა დ ე ყ ა ვ ს ა . რ ო მ ე ლ მ ა ნ დ ა ს ც ვ ე ნ

ზღუდა სოფლისა ამის განვლე სისხლითა წამებისათა და წინაშე უფლისა  
მიხუჭდ ბრწყინვალედ.

ოდეს სრულ იქმნა ყოვლად სანატრელი ბიძინა, ზეცით ნათლითა განა-  
თლდებოდა.

ბრწყინავთ თქუენ, ვითარცა ანგელოზნი ნათლისანი, და განანათლებთ  
ქუეყანათა ქართლისათა, სამგზის სანატრელნო.

რომელმან გვიშევ მქსნელი ყოველთა და ცხოვრების მომცემელი, მა-  
რიამ ქალწულო, მეოხ გუეყავ ჩუენ.

ი კ ო ს ი

აღახუჭნ აწ ბაგენი ჩემნი უქმნი და ენა ბრგუნელი შეტყუჭლ ყავ  
შესხმად შეუნიერისა ღუაწლისა შენისა, რამეთუ მხიარულად შემოკრებულ-  
ნი ერი ქართველთა ხოროსა განაწყობენ შენ მოწამისა ჭეშმარიტისა და  
საკვრველებათა ზოგად მიუთხრობენ, რამეთუ ქრისტეს საშწყსოთა დამთრ-  
გუნველნი სპარსნი განაქიქე და ძღვევა მალლით შეიმოსე, ბიძინა, ყოვლად  
დიდებულო, ღუაწლისა მძლეო, რათა მეოხ იყო ჩუენ ყოველთათვს.

კ უ რ თ ხ ე უ ლ ა რ ს ა . მ ა მ ა თ ა ჩ უ ე ნ თ ა ღ მ ე რ თ ო

შენ დაიცევ ქუეყანა საქართველო, ბიძინა, მიმძღავრებული მტერთა-  
გან, რათა ესრეთ ვიტყოდეთ: მამათა ჩუენთა.

უსჯულონი იზრახდეს სარწმუნოებისაგან განყენებასა შენსა, სანატრე-  
ლო, ხოლო შენ კადნიერად ღაღადებდი: მამათა ჩუენთა.

რომელმან განანათლენ დღეს მოწამენი შენნი, ელისბარ და შალვა, ნათ-  
ლითა ღმრთაებისათა ვნებათაგან იქსენ, ჟურთხეულ ხარ შენ, ღმერთო.

შენ, მარიამ ქალწულო, უზეშთაეს გამოსჩნდი ქერობინთა და მას ზედა  
მჯდომარე, იტვრთე მკლავთა ზედა, ვედრებად, ნუ დასცხრები სულთა ჩუენ-  
თათვს.

ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ს ა . მ ქ ს ნ ე ლ ო ყ ო ვ ე ლ თ ა ო

იაკობის მსგავსად დაიჭრებოდი, ხოლო შენ იტყოდი მალლითა კმითა:  
ქრისტეს ღმრთისათვს მოგვუდები, და მას უღალადებ — აკურთხევდით.

ოდეს ღმერთიან მცხნელმან ჩუენთვს სიმდაბლით ჯერ-იჩინა კიცუსა ზედა დაჯდომა, ეგრეთვე შენ აღვსუშს ვირსა ზედა, ხოლო შენ დაღადებდი: საქმენი უფლოსანი უფალსა.

საცთური ამო ღმერთთა მტყუართა შეურაცხ-ყავთ, ბრძენო, და არა უგეთ, არამედ ხადოდეთ უფალსა და ესრეთ იტყოდეთ: აკურთხევდით.

მოციციოთხვიდა შენ ზეციით მოსრული მთავარანგელოზი და გეტყოდა შენ: გიხაროდენ, მიმადლებულო, ღმერთი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ შორის დედათა.

ა დ ი დ ე ბ დ ი თ ს ა . შ ო ბ ა მ შ ე ნ ი უ ხ რ წ ე ლ ი

მძლავრისა იგი სილაღე არად შერაცხე შენ, წმიდაო, და დაუტევენ ყოველივე სოფლისა ამის საშუშბელნი და ერთი ღმერთი ხოლო შეიყუარე და მისთვის დაიკალ, ვითარცა კრავი, ყოვლად წმიდაო.

აღსრულებასა ღირს იქმენ მახვლითა, მოწამეო ქრისტესო, და მოსაგებელად მოგცა მადლი კურნებათა, მკე[და]რო ახოვანო, ჩუენთვს ვედრებად ნუ დასცხრები წინაშე ღირსო, უფლისა მიმართ.

განკვრდეს დღეს ანგელოზთა მკედრობანი სიმჟნეთა თქუენთა, რაყამს ღმერთი თქუენ მიერ აღსაარებულ იქმნა, ელისბარ და შალვა, და დაიდვიო გვრგვნი ძღვევისანი, ამისთვის სამართლად გადიდებთ თქუენ.

მაცხოვრისა და შემოქმედისა უთესლოდ მშობელო, გევედრებით გვკსნენ მეოხებითა შენითა ჭირთა და განსაცდელთაგან, სძალო ყოვლად წმიდაო, ქალწულებით მშობელო უთესლოსაო.

გ ა მ ო ა ვ ლ ი ნ ე , ჯ მ ა მ ა გ ო

ღუაწლთა შინა ახოვანსა და საკვრველისა ნიშებითა შეუენიერისა სიკეთითა, წამებისა ბრწყინვალეებითა ბიძინას აწ გალობითა და საღმრთოთათა ჩუენ ყოველნი ერთობით შევასხმიდეთ.

ს ხ უ ა მ დ .

მოვედით ყოველნი და სულიერად ვდღესასწაულებდეთ დღესასწაულსა და გალობათა შესხმითა ვადიდებდეთ ბიძინას თანა მეგობარსა და მეშწყობრესა მათსა და ვითხოვოთ შენდობამ ბრალთა ჩუენთა.

ა ქ ე ბ დ ი თ ს ა ა . შ ე ნ ს ი ტ ყ უ ა მ

საქართველოთ აღმოსცენდა მოწამე დიდებული და ყოვლად სანატრელი, სულთა ჩუენთა მეოხი, მფარველი და კელის ამბყრობელი, რომელმანცა მძლავრსა მას უსჯულოებამ ამხილა და განაქიქა მათი იგი მძლავრება.

მოვედით, ერნო, ვაქებდეთ შესხმითა საღმრთოთათა ქრისტეს ღმრთისა მკედართა ახოვანთა ბიძინას, ელისბარს და შალვას, რომელთაცა შემუსრნეს წინააღმდგომნი და სარწმუნოებით ვკმობდეთ მათდა მიმართ: მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათვს.

თვსნი თქუენნი იხარებენ კსენებასა და გარემო სოფლები შეკრებებიან ერთბამად დღესასწაულსა ამას ბრწყინვალესა და ერთ-კმობით უგალობენ ღმრთისათვს, ღირსნო, დიდებულნო ღუაწლისა მძღენო.



დიდება ბ. დღეს ქრისტე იშვების

სიჩხოთგან განმდიდრდით სარწმუნოებით, სპარსთა მიმართ ასპარეზი მოლუაწებისა განელეთ და ღმრთისა თანა მიისწრაფეთ, ყოვლად ქებულნი, ანგელოზნი განკვრდეს ღუაწლთა თქუენთა და ჩუენ განკვრეულნი ღმერთსა უგალობთ, რომელმანცა განგაძლიერნა თქუენ და სრულ-ყო წამება თქუენი და ანგელოზთა თანა აღგრაცხნა და ვიტყვთ: დიდება მაღალთა შინა.

М. Н. КВАТАРИЯ

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ГИМНОГРАФИИ XVII—XVIII вв.

Гимнографическое деятельность Иесе Эристави

(Резюме)

В статье рассматривается гимнографическое творчество Иесе Эристави. Иесе Эристави известный гимнограф XVIII века. Его перу принадлежит песнопение в честь руководителей кахетинского восстания 1659 года — Бидзины, Шалвы и Элизбара. В труде определяется место Иесе Эристави в истории грузинской гимнографии и публикуется текст песнопения по рукописи S—3269.

---

ელისო აბრამიშვილი

ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) წერილები კირიონ  
საძაგლიშვილისადმი

ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ჰუმბლიცისტის ალ. ყიფშიძის წერილები 1909—1913 წლებით თარიღდება. წერილები გაგზავნილია თბილისიდან სანაქსარში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა რუსეთის სინოდის მიერ დევნილი დევნილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი (შემდეგში საქართველოს კათალიკოსი).

როგორც ცნობილია, სანაქსარში ყოფნის დროს კირიონმა დაასრულა თავისი წიგნი „Культурная роль Иверии в истории Руси“, რომლის რედაქტორობა და გამოცემა მან ალ. ყიფშიძეს მიანდო. ყიფშიძის წერილები ძირითადად სწორედ ამ წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების ისტორიას შეიცავს<sup>1</sup>.

გარდა ამისა, ეს წერილები, ერთის მხრივ, გვიჩვენებს, თუ რა მტკიცე მეგობრული ურთიერთობა არსებობდა ამ ორ ქართველ საზოგადო მოღვაწეს შორის, ხოლო, მეორეს მხრივ, ისინი დიდ დახმარებას გვიწევენ ფრონელის პიროვნების შესწავლაში. ეს გარემოება კი უთუოდ ანგარიშგასაწევი, რადგანაც ალ. ყიფშიძის შესახებ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში საკმაოდ ღარიბი ცნობები მოგვეპოვება.

უაღრესობამდე კეთილსინდისიერი და ჰატიოსანი მუშაკი, ძალზე დაკვირვებული და ფრთხილი რედაქტორი, თავდადებული და საიმედო მეგობარი, — ასეთად წარმოგვიდგება ალ. ყიფშიძე თავისი წერილების მიხედვით.

ყიფშიძე კარგად გრძნობდა, თუ რა საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრებოდა მას, როგორც რედაქტორს. საქმე ეხებოდა არა მარტო უსამართლოდ დევნილი მეგობრის სახელის ავტორიტეტს, არამედ ქართული კულტურის ავტორიტეტსაც. ამიტომაც იყო, რომ იგი ასეთი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა თავისი მოვალეობის ასრულებას. ის ერთნაირად ზრუნავდა ყოველ წვრილმანზე: არჩევდა შესაფერის ქალაქს, ლამაზ ასობებს, ყდას, გულმოდგინედ აკვირდებოდა ტექსტს და ზოგჯერ, ავტორთან შეთანხმებით, შეჰქონდა მასში შესწორებები; გარდა ამისა, ანგარიშობდა წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებით გაღებულ თანხას, დაბოლოს, ზრუნავდა მის გასაღებასა და გავრცელებაზეც.

როგორც წერილებიდან ჩანს, ალ. ყიფშიძემ კირიონის წიგნის კორექტორობა გიორგი ლასხიშვილს მიანდო.

<sup>1</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. ელ. აბრამიშვილი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი (მიმოხილვა), „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 360—362.





1909 წლის 17 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ფრონელი სწერს კირიონს: „კორექტორად მოვიწვიე გ. ლასხიშვილი, სასყიდელს ჩვეულზე ბრავს მივცემ. გულიანად იმუშავენ, სტილსაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ, მეც თვალყურს ვადევნებ, რამდენადაც დრო ნებას მომცემს“.

მართლაც, გ. ლასხიშვილი მთელი გულისყურით მოჰკიდებია თავისი მოვალეობის ასრულებას. ის მუყაითად ადევნებდა თვალს არა მარტო წიგნის კორექტურულ შეცდომებს, არამედ, როგორც ჩანს, ალ. ყიფშიძის ერთად აძლევდა ავტორს ძალზე საგულისხმო რჩევა-დაბრკებებს.

ამ მხრივ საყურადღებოა ფრონელის 1910 წლის 27 აპრილით დათარიღებული წერილი. აი, რას სწერს ალ. ყიფშიძე ამ წერილში კირიონს: „მარტოს წინააღმდეგ და სომხების შესახებ სასტიკი ადგილებია. მშვენიერ სამეცნიერო წიგნს ეს ადგილები ლაზათს უკარგავენ. მეც და გიორგი ლასხიშვილიც იმ აზრისანი ვართ, რომ ეს ადგილები უხერხულია. მეოცე საუკუნეში და ჩვენს მდგომარეობაში შეუფერებელია. არც თქვენს წოდებას და სახელს შეეფერება. ორივენი გთხოვთ, ან სრულიად ამოშალოთ ეს ადგილები, ან ძრიელ შეასუსტოთ. წიგნის ღირსებასაც არას უმატებენ“.

ამავე წერილში ალ. ყიფშიძე სათანადო რჩევას აძლევს კირიონს ლექსიკონის შესახებ:

„მე და გიორგი იმ აზრისა ვართ, რომ, რადგან თვით ტექსტში საკმარისადაა მოყვანილი მაგალითები, საჭირო აღარც კი იყო დეტალიზაცია, ესე იგი, ვრცელი ლექსიკონის ბეჭდვა. ვაი თუ, ჯერეთ ამ სადავო სიტყვებმა აყალ-მაყალი გამოიწვიოს და შეასუსტოს კარგი შთაბეჭდილება, რაც ჩემის ფიქრით, წიგნმა უნდა მოახდინოს. მაინცდამაინც არ ავიხიბრდები, მხოლოდ გთხოვ, მოიფიქროთ და გადაწყვეტილი აზრი მაცნობე“.

რედაქტორისა და კორექტორის ასეთი შეთანხმებული მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1910 წლის მაისში გ. ლასხიშვილი დააპატიმრეს და კირიონის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით მთელი სიმძიმე ალ. ყიფშიძეს დააწვა.

„გწერ წიგნის ამბავს, — გვითხვლობთ ფრონელის 1910 წლის 6 ივნისით დათარიღებულ წერილში, — გიორგის დაჭერამ პირველ მაისს დავტრები ამირია. ველოდი, ან დღეს, ან ხვალ გაათავისუფლებენ მეთქი, მაგრამ არა გამოვიდა რა და მე მოვკიდე ხელი წიგნის ბეჭდვას. ორი კვირა დაიკარგა, ვიდრე წაღებულ დედნებს დამიბრუნებდნენ.“

ტექსტის ბეჭდვა დავამთავრე და შევუდექი ლექსიკონის ბეჭდვას. მალე გავათავებ...

საჩვენებლის ბეჭდვას მე თვითონ შევუდექი, სხვას ვერავის ვანდე. ვაითუ, ფულიც დახარჯო და რიგიანადაც ვერ გამოიკეთონ. სახელები ბევრია და დიდი დრო უნდება. დღეში ორ-სამ საათს ვანდომებ, დილის 7 საათიდან 9—10-მდინ. სხვა დრო არ მომეპოვება. უკვე ასი კაბადონი გავიარე. საჩვენებელი ერთი იქნება“.

სხვა წერილში ფრონელი წერს: „არ ვანგარიშობ იმას, რომ მე დავიჭირე უკანასკნელი 4—5 ფორმის კორექტურა და არც ვიანგარიშებ, ძალაც რომ დამატანო. არ ვიანგარიშებ აგრეთვე შედგენის შრომას“.

ასეთი მონდომებითა და ყოველგვარი ანგარების გარეშე მუშაობდა ალ. ყიფშიძე კირიონის წიგნის გამოცემაზე.

1910 წლის აგვისტოში წიგნის ბეჭდვა დასრულდა, მაგრამ ალ. ყიფშიძის ახლა მისი შენახვა და გასაღება გაუხდა საზრუნავად. ამ შემთხვევაშიაც იგი მისთვის ჩვეულ სიფრთხილესა და გულისხმიერებას იჩენდა: „ტარასის-თან<sup>9</sup> და სოსოსთან<sup>10</sup> შენახვა ორას-ორასი ცალისა სულ ტყუილი შრომაა და ხარჯვა, — წერდა ფრონელი კირიონს, — მე შუშბანდში მიწყვია და კარგადაც ინახება, სახლი საკუთარი მაქვს, — ოსობნიაკი (37 ნომერი, ქუჩა ყაზბეგისა, მეწვიე, როცა ჩამოხვალ ქალაქს, ვალი აქვს სახლს ბანკისა. 6.000 მ.), ეს ერთი, მეორეც ისაა, რომ მე უფრო მაგარი კაცი ვარ და შენახვა ვიცი. გიგასაც<sup>18</sup> კი არ მივეცი, ვიდრე შენი ბარათი არ მომივიდა. სოსოსა და ტარასის ვაითუ დასტაცონ. ჩვენი ქვეყანა მათხოვრებით აივსო და ვაი თუ, ვერც სოსომ და ვერც ტარასიმ ვერ გაუძლონ მოლიჭინებებს. მე ვერ გამიბუდავენ, მებათრებიან...“.

უზომო ენერგია შეალია აგრეთვე ალ. ყიფშიძემ კირიონის მდიდარი არქივის გადმოტანას სანაქსარიდან საქართველოში.

ფრონელის წერილები სხვა მხრივაც იქცევეს ყურადღებას. მათში მოწოდებულია მეტად საგულისხმო ცნობები ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებისა და საქმიანობის შესახებ. წერილებში მოხსენებულნი და რამდენადმე დახასიათებულნი არიან ამ საზოგადოების აქტიური წევრები: აქტივმე თაყაიშვილი, ბავლე თუმანიშვილი, დავით კარიჭაშვილი, სერგი გორგაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, გიგა ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი და სხვ.

წერილებიდან გარკვევით ჩანს, თუ როგორ ერთსულოვნად ზრუნავდა ქართველი ინტელიგენცია მშობლიური კულტურის აღორძინებისათვის.

I

17 ენკენისთვეს, 1909 წ.  
ტფილისით

თ ქ ვ ე ნ ი მ ე უ ფ ე ბ ა ვ !

გუშინ შევეუდექით ქრისტესა, ესე იგი, დავიწყეთ ბეჭდვა თქვენის თხზულებისა! წიგნი დაიბეჭდება კაზლოვსკის<sup>2</sup> ტიპოგრაფიაში, სადაც თქვენ გიცნობენ. შრიფტი სულ ახალი ჩამოსხმულია, ნახმარი არ არის. კლიუჩევსკის<sup>3</sup> წიგნი ვაჩვენე ტიპოგრაფიას.

ტიპოგრაფიას გავურჩიე 15 მანათად ერთი თაბახი, ესე იგი 16 კაბადონი. ცოტა ძვირია, მაგრამ დავყაბულდი, ვინაიდან სხოლიოები იქნება ბლომად, ამას გარდა შესწორებაც ბლომად მოუხდებათ. დამპირდნენ, ლამაზად დავბეჭდავთო.

კორექტორად მოვიწყვიე გ. ლასხიშვილი<sup>4</sup>, სასყიდელს ჩვეულებრივს მივცემ. გულიანად იმუშავენს, სტილსაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცივენ, მეც თვალყურს ვადევნებ, რამდენადაც დრო ნებას მომცემს. ფორმატი წიგნისა უკვე ავირჩიეთ. კოხტა წიგნი დადგება.

ამ დღეებში პირველ კორექტურას ვაახლებ ორიგინალით. ვგზავნი დაზღვეულს, რადგან მეშინიან დაკარგვისა.

როცა საჭირო იქნება, ტარასის<sup>5</sup> დავიბარებ. ანგარიშს დაწერილებით გაახლებ თავის დროზე...

წიგნის მალაზია „Новая речь“ კიკნაძისა მთხოვს — ნება მომეცით, საწყობი დაბეჭდილ წიგნისა ჩემთან იყვესო და წიგნს ზედ დავაწეროთ, რომ





ჩემთანაა საწყობით. მე ამის წინააღმდეგი არა მაქვს რა, ხოლო ვფიქრობ, რომ ასეთივე უფლება მივანიჭოთ წ. კ. საზოგადოებას და ესეც წიგნის ყდაზე აინიშნოს.

კაზლოვსკი ამბობს, რომ 1200 ცალი არ იკმარებსო. ორასი ცალი წაუმატეთო. ვაი თუ, მოვტყუვდეთ. ეს კაცი კი ამბობს, რომ ამგვარ წიგნს ბაზარი ექნება რუსულ საზოგადოებაშიო. ვნახოთ... ქალაქს ავიღებ სერგეევს ფირმის წარმომადგენლისაგან — მაქავარიანი.

ვფიქრობ, რომ ას თუ მანზე მეტი არ დაჯდება დაბეჭდვა.

სუფვედეთ ჯანსაღად, მხნედ და კეთილად.

თქვენი მოსიყვარულე  
ალექსანდრე ყიფშიძე.

P. S. ჩემი ადრესი: Дворянское Депутатское собрание, ул. Белинского, № 2. საშა.

## II

3 ღვინ. 1909 წ.  
ტფილისით

### თქვენო მეთუფებაჲ!

დღეს გაახელით პირველი კორექტურა და ორიგინალი. კორექტურული შეცდომებია, მაგრამ გასწორდება. თქვენ მარტო იმას მიაქციეთ ყურადღება, რომ გადარეული არ იყვეს ტექსტი. ერთ-ორ ალაგას ნიშნები დაესვი და გულიანად ჩააკვირდი. ნუ დაავიანებ, მალე ჩემ სახელზე გამოგზავნე, ან პირდაპირ ტიპოგრაფიაში Типография К. П. Козловского, Голловинский просп. № 12.

მე მითხრეს, რომ თქვენი სურვილი ყოფილა გარდასცეთ თქვენი ძვირფასი ბიბლიოთეკა და ფულების კოლექცია საეკლესიო მუზეუმს. ამის გამო თქვენთვის მოუწერია ებ. დავითს<sup>6</sup> და ე. თაყაიშვილს<sup>7</sup>, რომ ეგ განძი ჰქონდეს საქართველოს, ესე იგი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას<sup>8</sup>. საზოგადოება მოქმედებს აგერ მესამე წელიწადია, საბჭოში მეც ვარ, ბინაც რიგიანი ვიშოვეთ. თავად-აზნაურობა წყალობის თვალთ გვიყურებს და წრეულაც 1000 მ. შემოგვწირეს. ჩემის აზრით, ეს განძი, თუ შეწირვას, ჩვენს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას უნდა შეეწიროს. საეკლესიო მუზეუმში მისი მოთავსება ან შეწირვა, სახიფათოდ მიმაჩნია.

სიყვარულით მოგიკითხამ და გისურვებ მხნეობას და დღეგრძელობას.

შენი საშა

## III

14 ღვინ. 1909 წ.  
ტფილისით

### თქვენო მეთუფებაჲ!

500 მანეთი მივიღე. ტარასიმაც<sup>5</sup> მითხრა, როცა ფული დაჰკირდეს, შემატყობინე და მოგართმევო. როცა დამჰკირდება, ხუთგროშიანი ბარათით ვაცნობებ და ფულს მომიტანს. ასე რომ, ფულის მხრივ უზრუნველყოფილი ვარ.

დღეს გიგზავნი კიდევ კორექტურას. შეცდომებია თითო-ოროლა, მაგ-  
რამ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, გავასწორებთ. საქმე ისაა, ტექსტი არ  
იყვეს არეული. უმთავრესი საზრუნავი ესაა.

ძალიან შეშინიან, ვაი თუ, პირველ კორექტურაში ტექსტი ავრჩევ. ორი-  
გინალი ამ მხრივ დასაწუნია, ათასი ნახტომი აქვს და ძლივს ვპოულობთ—  
სად რა მივაყოლოთ. გულმოდგინედ გადაიკითხეთ კორექტურები და ყური  
მიაპყარით მხოლოდ ტექსტის თანდათანობას.

იყავით მხნედ და სულის სიმშვიდით  
თქვენი მოსიყვარულე ს ა შ ა.

IV

27 აპრ. 1910 წ.  
ტფილისით

კ ი რ ი ო ნ !

მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომას. მრავალს ბედნიერ დღეს დაგასწოროთ  
ღმერთმა.

გიგზავნი უკანასკნელ კორექტურას. მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ  
გამეორება არის და შეასწორეთ. იხილეთ გვერდი კორექტურისა 6 და 7 და  
ორიგინალისა: 1, 2 და 3. ალბათ, დაგავიწყდა და ეხლა მოსპე ეს გამეო-  
რება.

მარრის<sup>9</sup> წინააღმდეგ და სომხების შესახებ სასტიკი ადგილებია. მშვენი-  
ერ სამეცნიერო წიგნს ეს ადგილები ლაზათს უკარგავენ. მეც და გიორგი  
ლასხიშვილიც<sup>4</sup> იმ აზრისანი ვართ, რომ ეს ადგილები უხერხულია. მეო-  
ცე საუკუნეში და ჩვენს მდგომარეობაში შეუფერებელია. არც თქვენს წო-  
დებას და სახელს შეეფერება. ორივენი გთხოვთ ან სრულიად ამოშალოთ  
ეს ადგილები, ან ძრიელ შეასუსტოთ. წიგნის ღირსებასაც არას უმატებენ.

ლექსიკონის შესახებ. გიგზავნი პატარა ნიმუშს. ეს სიტყვები — ფრანგ-  
ბერნულ-ლათინურ-გერმანული, ცხადია, შემოსულია რუსულში არა *via*  
*georgiana*, არამედ დასავლეთიდან.

მე და გიორგი იმ აზრისა ვართ, რომ, რადგან თვით ტექსტში საკმარი-  
სადაა მოყვანილი მაგალითები, საჭირო აღარც კი იყო დეტალიზაცია, ესე  
იგი ვრცელი ლექსიკონის ბეჭდვა. ვაი თუ, ჯერეთ ამ სადავო სიტყვებმა  
აყალმაყალი გამოიწვიოს და შეასუსტოს ის კარგი შთაბეჭდილება, რაიც, ჩე-  
მის ფიქრით, წიგნმა უნდა მოახდინოს. მაინცდამაინც არ აგიხირდები, მხო-  
ლოდ გთხოვთ, მოიფიქრეთ და გადაწყვეტილი აზრი მალე მაცნობე.

ეს არის ახლა მივიღე თქვენი წერილი 22 აპრილისა და ლექსიკონის ნა-  
ხევარი. რაც წერილში წერია, იმის ასრულებას შევუდგებით. რაც გამოსაგ-  
ზავნი გაქვთ, ყველაფერი გამოგზავნე, რომ ყველაფერი აქა მქონდეს.

მამაოსთან<sup>10</sup> ვისაფილე ხუთშაბათს და მითხრა, თუ ფული დაგჭირდეს,  
მთხოვეო. ჯერ არა მჭირდება, ვინაიდან მიღებულიც არ დამიხარჯნია. სავსე-  
ბით (მივიღე 500 + 350 = 850 მ). როცა შემომაკლდება, მაშინ მივმართავ მა-  
მოს.

თქვენი სიკეთის მოსურნე და მოსიყვარულე ს ა შ ა  
ყ ი ფ შ ი ძ ე



კ ი რ ი ო ნ !

გწერ წიგნის ამბავს. გიორგის<sup>4</sup> დაჭერამ პირველ მაისს დავთრები ამი-  
რია<sup>11</sup>. ველოდი, ან დღეს ან ხვალ გაანთავისუფლებენ მეტეი, მაგრამ არა  
გამოვიდა რა და მე მოვკიდე ხელი წიგნის ბეჭდვას. ორი კვირა დაიკარგა,  
ვიდრე წალბულ დედნებს დამიბრუნებდნენ.

ტექსტის ბეჭდვა დავამთავრე და შევეუდექით ლექსიკონის ბეჭდვას. მა-  
ლე გავათავებ. დაბეჭდილია 24 თაბახი—384 კაბადონი. შენ რამდენი გაკ-  
ლია, აღარ მახსოვს, თუ გინდა, ერთს სავსე ცალს გამოგიგზავნი. ჩემთვის სა-  
ჭირო სია შენის ნაწერებისა, მალე გამოგიგზავნე.

საჩვენებლის შედგენას მე თვითონ შევეუდექი, სხვას ვერავის ვანდე,  
ფულიც დავხარჯოთ და რიგიანადაც ვერ გამოიკეთონ? სახელები ბევრია და  
დრო დიდი უნდება. დღეში ორ-სამ საათს ვანდომებ, დილის 7 საათიდან 9—  
10-ამდინ. სხვა დრო არ მომეპოვება. უკვე ასი კაბადონი გავიარე. საჩვენე-  
ბელი ერთი იქნება.

ლექსიკონის კორექტურას არ გიგზავნი, რა საჭიროა, რას მიუმატებ?  
კორექტურული შეცდომა თითო-ოროლა შემხვდა, მაგრამ არა ღირს მათი  
აღნიშვნა, რადგან უმნიშვნელოა.

ფულის საქმე ასეა: სტამბას მივეცი 480 მ. (24 თაბახი×20=480), მა-  
კვარიანს ქალაღისა—400 მ., ლასხიშვილს<sup>4</sup>—175 მ., სულ—1055 მ. მიღე-  
ბული მაქვს: შენგან—500 მან., ტარასისგან<sup>5</sup>—350 მ., მამოსავან<sup>10</sup>—150  
მ., სულ—1000 მ. ფული ჯერ არ მჭირდება.

გადასაბეჭდ ფურცლებს ამ დღეებში ავაწყობთ და გამოგიგზავნი. საჭი-  
რო აღარ იქნება კორექტურის გამოგზავნა.

ვფიქრობ, რომ ყველაფერი რიგიანად იქნება, დარდი ნუ გექნება.

შენი საშა.

P.S. როგორ ხარ?

რუსულად უშველებელი წიგნი დამაწერიენს თავადანაურებმა შესახებ  
ხიზნებისა და დროებით ვალდებულ გლეხების დახსნისა<sup>12</sup>. თუ გეინტერესე-  
ბა, ერთ ცალს გამოგიგზავნი.

VI

19 ივნისს, 1910 წ.

კ ი რ ი ო ნ !

ბოდიშს ვიხდი, რომ დეპეშაზე პასუხი ვერ მოგეცი. ტორგებია და  
მთელი ქართლ-კახეთის მამულები იყიდება. გავარვარებული თონეა და ვე-  
ლარ მოვიცალე.

გამოსავანნი კორექტურაც არ მქონდა. დღეს ხვალ გათავდება დაბრუ-  
ნებული ფურცლების ბეჭდვა. ამას გამოგზავნა არ უნდოდა. ტექსტი გა-  
თავდა, უკანასკნელი ფურცლები იყო გამოგზავნილი და შესწორებული  
თქვენგან.

გათავდა აგრეთვე ლექსიკონი, ამას რა გამოგზავნა უნდოდა: „აბა-  
ზი აბაზია, მანათად ხომ არ იქცევა“



დარჩა გეოგრაფიული სახელები. ამის პირველ კორექტურას დღეს გიგზაზანი. შენი ტექსტი მომწონს, ქართულ სიტყვას მოსდევს იგივე ლათინურის ასოთი. გასაღები რაღად უნდოდა? აკლია აღნიშვნა გუბერნიისა და მაზრისა. თუ გინდა, ჩავუმატებ, მე არ მეძნელება, ხოლო მომწერე.

შემდეგ ბოლოში დავუერთამ სარჩევს (оглавление) და ყდაზე შენის ნაწერების სიას. ამ ორ დღეში გავათავებ მაჩვენებელს, ძალიან დიდი გამოცდის.

როცა გადაბეჭდილი ფურცლები დასრულდება, სრულ ცალს მაშინ გაახლებ.

სხვა რაღაა საჭირო, ისიც შემატებინე. სია ნაწერებისა მალე გამოგზავნე. თუ მანდ არა გაქვს, აქ შევადგენ რომელიმე შენის წიგნიდან, ხოლო ასლები თუ რამეა, ის დაუმატე.

შენი ს ა შ ა.

VII

8 ივლ. 1910 წ.

კ ი რ ი ო ნ!

ამას წინად გაახელ პირველი კორექტურა გეოგრაფიული სახელებისა და აქამდისინ არ მიმიღია. არ ვიცი, რა დაემართა ამ კორექტურას. მაცნობე რამე.

დღეს გიგზავნი პირველ კორექტურას „დამატებათა“. კორექტურის განწორებას ნუ გამოეყიდები, შენ ტექსტი იხილე, კორექტურას მე მოვუვლი.

გიგზავნი აგრეთვე სრულს წიგნს: სათაურით, წინასიტყვაობით, გადაბეჭდილი ფურცლებით და ლექსიკონით.

საცა კორექტურა მე მეჭირა, შეცდომები არაა, გამოგიტყდები და ვიტყვი ვწ[ვ]ალებულიყა[ვ] და მე დამეჭირა კორექტურა... რა გაეწყობა.

შენ გიპოვნია 47 შეცდომა, მეც ვიპოვნე 75. ზოგი უბრალოა, მაგრამ მაინც შეცდომაა. წიგნის ბოლოს მოვაქცევ.

99-ზე კაბადონზე გაქვს მოხსენებული, რომ დამატებაში იქნება ნიმუში გალობისა. სადაა ეს ნიმუში?...

ველი აგრეთვე ნაწერების სიას...

მაჩვენებელი დავამთავრე, სულ გამოვიდა 12 1/2 თაბახი, ესე იგი 49 კაბადონი. ამის ბეჭდვას შევუდგებით დღეიდან და კორექტურას გაახლებ. სათაური იქნება ასეთი: Алфавитный указатель имен личных, названий географических и некоторых предметов, ბუტკოვის წიგნსა აქვს.

ვფიქრობ, რომ რიგიანად შევასრულე ეს საქმე.

გიგზავნი აგრეთვე დროებით ვალდებული გლენების შესახებ წერილს<sup>15</sup>, იგი ჩემი ნაწერია, ზიზნებისა კი ეკუთვნის გ. საყვარელიძეს<sup>16</sup>. გიგზავნი აგრეთვე სამს ანგარიშს და ორ პატარა წიგნაკს, ერთს ქართულს და ერთს რუსულს.

თუ თვალს გადაავლებ მაგ წიგნაკებს, მიხვდები რა დიდ საქმეს ვადგევარ, რა აუარებელი შრომაა საჭირო და ფული კი არაა. რა ქნას კარგმა მონარდემ, თუ ღუშაში არ მოუვა.



სხვა რაღა მოგწერო.

ჩვენი ყოფილი კორექტორი<sup>4</sup> ისევ მეტეხშია.

შენი საშა.

### VIII

9 ივლ. 1910 წ.

კირიონ! გუშინ გამოგიგზავნე წიგნი და კორექტურა. ნახევარ საათის შემდეგ მივიღე შენგან გეოგრაფიულ სიტყვათა კორექტურა, ხოლო ორიგინალი არ გამოგიყოლებია. საჭიროა ჩემთვის რეგორც ეგ ორიგინალი, ისე დანარჩენიც, რასაც მე კიდევ გამოგიგზავნი, რადგან მეორე და მესამე კორექტურის დროს მჭირდება ხოლმე ჩახედვა.

შენი საშა.

### IX

9 აგვ. 1910 წ.

კირიონ!

დასრულდა წიგნი. გიგზავნი უკანასკნელ ფორმებს.

დღესვე გავასწორე პირველი კორექტურა გადაბეჭდილი ფურცლებისა, სადაც ჩავაყერე მანდუდან მოსული ასოები. ვამჯობინე ტექსტში შეტანა. მაშასადამე, ზვალ-ზევ წიგნი სრულიად დამთავრდება. ამკინძავიც თავის საქმეს აკეთებს.

ეხლა საჭიროა შემდეგი განკარგულებანი: 1) ჩემის ფიქრით, 500 მ. მეყოფა, რომ ყველას გავუსწორდე. საჭიროა ეს ფული მალე იყვეს ჩემს ხელში; 2) რამდენი ცალი გამოგიგზავნო მანდ მონასტერში; 3) წ. კ. ს. საწყობი დაიტეეს მხოლოდ 200 ცალს (ასი საწყობში და ასი მალაზიასში); 4) ვის დავურიგო წიგნი უფასოდ შენის სახელით (საცენზურო კომიტეტს, სტამბას წესისამებრ მიეცემათ); ისურვებთ, რომ რედაქციებს მივსცე, თუ არა? სატანტო ქალაქების რედაქციებისთვის, ვის მივანდოთ ზრუნვა? მე დიდად გამოვირდება ეს საქმე, დრო არა მაქვს; 5) რაც დარჩება, ის სად მოვათავსოთ? ტარასი ვერ შეინახავს თავის მონასტერში, ან მამაო?

ყველაფერი ეს წვრილმანია, მაგრამ ზრუნვა უნდა. ფასი ძვირად მეჩვენება, მაგრამ შენი სურვილი იყო და აღარ ავხირდი. მალაზიებს რამდენს უთმობ, 20, 25 თუ 30%-ს?

იყავით კარგად და მხნედ.

შენი საშა.

პეტერბურღს როდის წახვალთ, ან რისთვის?

საშა.

### XI

24 აგვ. 1910 წ.

კირიონ!

ეს არის ეხლა მივიღე შენი ბარათი. შესწორებას ვეღარ შევიტან, რადგან წიგნის ბეჭდვა დამთავრდა და გუშინ წინ საცენზურო კომიტეტს კიდევ გავუგზავნე 15 ცალი.

ასოები ბოლოს კი არ მოვათავსე, როგორც წინაღ ვფიქრობდი, შიგნით ტექსტში შევიტანე, ამისათვის გადავაბეჭდინე 97 და 111 გვერდები. წიგნის აკინძვაც ამ დღეებში ვათავებდა.

თუ ამ დღეებში მამაო<sup>10</sup> ფულს გადმომცემს, დავურიგებ ყველას, ვისაც რა ეკუთვნის და სრულ ანგარიშს წარმოგიდგენ.

საჭიროა ის განკარგულება, რასაც წინა წერილით გთხოვდი.

შენი საშა.

X

10 მარტამ. 1910 წ.

ტფილისით

კ ი რ ი ი ნ!

წიგნის ბეჭდვას ვათავებ. დღეს ჩამაბარეს 26 ფორმა (401—416 კაბადონი), ზვალ-ზეგ მომიტანენ 27 ფორმას (416—432). შათათამდის, ესე იგი 14 მარტამობისთვისმდე, დანარჩენსაც. ამ ფორმებსაც მაშინვე გააზლებ.

ვშიშობ არ შემავიანოს სლოვოლიტნიამ, რომელსაც შევუკვეთე ასოები რომ გამომიგზავნე. არც ვიცი, ამ საქმეს როგორ გამოვაწყობ. დაბეჭდილ ასოებზე დაკვრა არ გამოდის კარგად. ისევე ისა სჯობიან, წიგნის ბოლოში მოვაქციო სადმე.

დღესვე მკაზმავს დავურიგდი და უკვე გადავეცი ასაკაზმად დაბეჭდილი ფორმები. ცალში ვაძლეე 6 კაპეიკს. დაიჭერს 121 მ. 20 კაპ. ჩემის ფიქრით, ძვირი არ არის. შეიკერება ძაფით და კარგი სახმარი იქნება წიგნი.

ახლა ფინანსიური მხარე საქმისა. ასი თუმანი უკვე წავიდა, როგორც გწერდი. მიჭირდება კიდევ ჭერჭერობით 500 მანათი დაახლოვებით:

- 121 მ. 20 კაპ. მკაზმავს,
- 120 მ. ტობოგრაფიას,
- 120 მ. ქალაქის,
- 55 მ. ჩემია დახარჯული.
- 50 მ. ეკუთვნის ლასხიშვილს<sup>4</sup>.

466 მ. 20 კაპ. კიდევ რამე გამოჩნდება წვრილმანები.

არ ვანგარიშობ იმას, რომ მე დავიჭირე უკანასკნელი 4—5 ფორმის კორექტურა და არც ვიანგარიშებ, ძალაც რომ დამატანო. არ ვიანგარიშებ აგრეთვე მაჩვენებლის შედგენის შრომას...

თუ მამაოსთან<sup>10</sup> ვაქვს რამე ფული, მივმართავ და ის მომცემს, თუ არა და მანდედან უნდა მომანდო 500 მ. დაწერილებით ანგარიშს წიგნის დასრულებისას შევადგენ და მოგართმევ.

ცომაია<sup>17</sup> გავიცანი, კარგი ყმაწვილი ყოფილა, მომეწონა, ვეცდები სტიპენდია ვუმოგნო.

იყავი კარგად და ბედნიერად.

შენი საშა.



კ ი რ ი ო ნ !

დასრულდა წიგნის ბეჭდვა. გაზეთებს უკვე დავურიგე და მათ მცირე შენიშვნებს გიგზავნი, ამასთანავე 500 მ. ფუშინ გადმომცა მამაოში<sup>10</sup> და დღეს დავარიგებ მოვალეებში. ანგარიშს ამ დღეებში შეგიდგენ.

წიგნები ჩემს სახლში გადმოვიტანე და მთელი გალერეა იმათ დაიჭირეს. 200 ც. უკვე წ. კ. ს. მალაზიას ჩავაბარე.

ახლა ველი შენგან იმ განკარგულებას, რომელზედაც გწერდი, ესე იგი რამდენი გამოგიგზავნო, სად, რუსეთში ვის ანდობ გაყიდვას და სხვა... ველი პასუხს.

შენი საშა.

XIII

კ ი რ ი ო ნ !

შენი განკარგულება აგრე რიგად არ მომეწონა. აი მიზეზი: წ. კ. საზოგადოებას ჩავაბარე 200 ცალი. საწყობში იმეტი ადგილი აღარ არის. როცა ეს გასაღდება, კიდევ გადავცემ.

ტარასისთან<sup>11</sup> და სოსოსთან<sup>10</sup> შენახვა ორას-ორასი ცალისა, სულ ტყუილი შრომაა და ხარჯი. მე შუშაბანდში მიწყვია და კარგადაც ინახება, სახლი საკუთარი მაქვს — ოსობნიაკი (37 ნომერი, ქუჩა ყაზბეგისა, მეწვიე, როცა ჩამოხვალ ქალაქს, ვალი აქვს სახლს ბანკისა 6000 მ), ეს ერთი, მეორე ისაა, რომ მე უფრო მაგარი კაცი ვარ და შენახვა ვიცი. გიგასაც<sup>18</sup> კი არ მივეცი, ვიდრე შენი ბარათი არ მომივიდა. სოსოს და ტარასის ვაი თუ დასტაცონ. ჩვენი ქვეყანა მათხოვრებით აივსო და ვაი თუ ვერც სოსომ და ვერც ტარასიმ ვერ გაუძლონ მოლიჭინეებს. შე ვერ გამოიხედავენ, მეხათრებიან...

ამისხენი, რა აზრი აქვს შენთან გამოგზავნას, მონასტერში? მანდ გამოგიგზავნი კარგ ქაღალდზე დაბეჭდილს და თუ გინდა 100 ცალს.

ჩემის ფიქრით, უნდა მოაწყო პეტერბურგს და მოსკოვს წიგნის გაყიდვის საქმე მალაზიაში, შემდეგ მომწერე რამდენი ცალი სად გავგზავნო, მორჩა და გათაუდა...

მე ასე ვფიქრობ და ახლა როგორც გსურთ, ისე მოვიქცევი.

დღეს დავაბეჭდვინებ პეტარა დამატებას და ორის-სამის დღის შემდეგ გაახლებ 20 ცალს კარგ ქაღალდზე და 100 ცალს მდარეზე.

პასუხს ნუ დამიგვიანებ.

შენი საშა.

ანგარიში ვერ დავამთავრე, რადგან გიორგი<sup>4</sup> ვერ კიდევ ციხეშია, ერგება კიდევ ფული, არ ვიცი რამდენი. ეს მამბრკოლებს.

საშა.

## კ ი რ ი ო ნ!

გიგზაენი დუბლიკატს ნაკლადნოსისას. სულ არის 100 ცალი ჩვეულებრივი, ხოლო ოცი ცალი კარგ ქალაღღზეა. კარგს ისედაც ეტყობა და მაინც ზედნიშნები გავუყუეთე „კ“, ესე იგი კარგი. შიგ ჩავდე შეცდომის გასწორება. მე ვერ ვუპატრონე და მდარე ქალაღღზეა. მანდ დააბეჭდვინე კარგ ქალაღღზე და ისე ჩააკერე.

რუსეთში გაყიდვაზე შენ იზრუნე. მე ვერას გავხდები აქედან.

ქართულ გაზეთში იბეჭდება განცხადება, ხვალ-ზეგ რუსულშიც მივიტან.

თითო ცალი მივართვი ყველას, ვისთვისაც იყო დანიშნული. დამრჩა თითო-ოროლა და ამათაც დავუთრივებ.

საქართველოში გაყიდვას ხელს უშლის დიდი ფასი. ხომ იცი, ჩვენი პუბლიკა, თუ არ იაფი, წიგნს ვერ იყიდის. უფრო რუსები ყიდულობენ. რუსულ მაღაზიებს ვერ ვაძლევ, მეშინიან. თუ მეტყვი, გავბედავ.

შენი საშა.

## XV

25 გიორგ. 1910 წ.

## კ ი რ ი ო ნ!

სადა ხარ, შენი აღარაფერი არ მესმის: თუ პეტერბურგში წახველ, აქამდისან როგორ ვერ მოახერხე წიგნების გაყიდვის საქმე?

შენის შინაური მუზეუმის და კოლექციის გამოგზავნის საქმეც შეფერხდა, რადგან შავ პირუბანელმა შაქრო მდივანმა<sup>19</sup> უარი სთქვა ნივთების მიღებაზე. ალბათ, იფიქრა — კარიერა გამიფუჭდებაო...

გიგზაენი სრულს ანგარიშს დახარჯული ფულისას, ხოლო დოკუმენტებს აქ ვინახავ. თუ მომწერ, იმათაც გაახლებ.

№ 1 — კახლოვსკის ტიპოგრაფიას —	480 მ.
№ 2 — მასვე —	147—50
№ 3 — მასვე —	3—“
№ 4 — მასვე —	4—50
№ 5 — სერგეევს — ქალაღღი —	340—03
№ 6 მასვე	61—20
№ 7 — მასვე	85—84
№ 8 — ბარსეგოვს (აკაზმვა)	130—“
№ 9 — წ. კ. საზ. ასის ცალის გამოგზ.	4—47
№ 10 — განცხადება „დროება“	4—“
№ 11 — გ. ლასხიშვილს	192—“
№ 12 — წვრილმანი	10—80

---

1463—34



მიღებული მაქვს:

1 კირიონისაგან	—	500 მ.
2 ტარასისაგან	—	350 მ.
3 იოსებისაგან	—	150 მ.
4 მისგანვე	—	500

სულ — 1500 მ

დარჩა ჩემთან 36—66 კ.

რაც ფული შემოვა წიგნების გაყიდვიდან ჩემთან, ამას ცალკე შეგინახამ, ხოლო რაც წ. კ. საზოგადოებაშია, იქ იყვეს და, როცა მოისურვებთ, მაშინ, გაიტანეთ.

იყავით კარგად.  
მომწერეთ წერილი.

შენი საშა.

XVI

18 დეკ. 1910 წ. ტფილისი

ძლივს! შენი ბარათი მოვიდა დღეს, 18 დეკემბერს. გწერ ეხლავე ამ ღია წერილს. წუხელის ტარასის<sup>5</sup> 15 ცალი გავუგზავნე გასასყიდად და ანგარიშიც იმან ჩაგაბაროს. წ. კ. მაღაზიაში გაიყიდა 120 ცალი, ფული არ ამიღია. ვისგანაც მოთხოვნა მომივა, მე თვითონ გავუგზავნი წიგნებს ფასდაღებით. იყავი კარგად.

შენი საშა.

XVII

13 აპრილს 1911 წ.

ტფილისით

კირიონ!

მივიღე შენი სააღდგომო მოლოცვა. აქედან ვსცანი, რომ შენ, ჯერ ერთი, ცოცხალი ყოფილხარ და, მეორე ისა, რომ ძველებურად ვახსოვარ. მეც ვილოცამ ქრისტეს აღდგომას და კარგად ყოფნას.

სრულიად აღარას მწერ — სადა ხარ, რას აკეთებ, რას ფიქრობ და მომავალს როგორ უყურებ? კერძოდ, წიგნებს რას უპირობ? აქ წიგნების ვაჭრობა სუსტია — 300 ცალი წ. კ. მაღაზიას გადაეცი, საკომისიოდ 30% იღებენ. უკვე 300 მან. ფული მომცეს, რომელიც ჩემთან ინახება და, როცა მაცნობებ, გაახლებ წვრილად. 30 მან. მეც გავყიდე, 15 ცალი ტარასის<sup>5</sup> მივეცი, 21 ცალი სოლიკო მაჩაბელს გავუგზავნე გასასყიდად განჯაში. აი, სულ ესაა აქაური ვაჭრობა.

როგორ მოაწყე მანდაური ვაჭრობა, არაფერი ვიცი, რადგან არას მწერ.

კირიონ! შენი შინაურის მუხეტუმის აქ გადმოტანა დაიხლართა. ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების საბჭო, რომლის წევრად მეც ვახსოვარ, ამ საქმის დახლართვაში არაფერ შუაშია, როგორც მე, აგრეთვე ალ. ივ. სარაჯიშვილი<sup>20</sup>, დ. კარიჭაშვილი<sup>21</sup>, მ. ჯანაშვილი<sup>22</sup>, ს. გორგაძე<sup>23</sup> და ექვთ. თაყაიშვილი<sup>7</sup> სულით და გულით ვართ მოწადინებული, რომ შენი

მუზეუმში ჩვენს საერთო ეროვნულს მუზეუმს ამშვენებდეს შენის სახელით დაივიწყე შაქრო მდივანი...<sup>19</sup>.

ჩვენი მუზეუმში კონტად და მკვიდრად მოწყობილია ტფ. ქართულ გინაზიაში, სადაც ორი უშველებელი ოთახი დაგვიტოვებს<sup>24</sup>. დ. ზ. სარაჯიშვილმა<sup>25</sup> საბოლოოდ გადასწყვიტა ავეიშენოს მუზეუმში, რისთვისაც გადასდო 100.000 მან. ჯგემას ადგენს მისი მეგობარი არქიტექტორი ბერლინი<sup>26</sup>, ეხლა ადგილის მოენახეა საქმე. პავლუშა<sup>27</sup> გვაჩუქა ერთი დესეტინა მიწა (გივას<sup>18</sup> გვერდზე), ვაკეში, მაგრამ სიშორის გამო იქ ვერ ვბედავთ აშენებას. ავიჩინეთ მშვენიერი ადგილი წყნეთისა და ოლღის ქუჩის დასაწყისში, მშვენიერი და თვალსაჩინო ადგილია. ეს ბინა ეკუთვნის გ. ქართველიშვილის<sup>28</sup> ქალს, პოლკოვნიკ წილოსანის მეუღლეს<sup>29</sup>. ამ დღეებში დაბრუნდება ეხზევიდან და საქმეს დავაშთავრებთ, ასე რომ, იმედი გვაქვს ამ შემოდგომაზე შევუდგეთ აშენებას. როგორც ჰხედავ, საქმეს მხნედ ვაწარმოვებთ და მუზეუმში ძალე გვექნება...

კირიონ, საისტორიო საზოგადოების საბჭოში<sup>30</sup> დავალებით მე გადავსწყვიტე ამ ზაფხულს გეწვიო მონასტერში<sup>31</sup>, თან გნახამ და თან მუზეუმსაც სანდო კაცს ჩააბარებ. რას იტყვი?..

შენი ერთგული და მარად მოსიყვარულე ს ა შ ა.

XVIII

16 ივნ. 1911 წ.

ჩემო კირიონ!

მასიამოვნა შენმა წერილმა, ვსცანი, რომ კარგად ყოფილხარ და ეპარქიასაც ძალე მიიღებ.

რაც შეეხება მამულის შექმნას მღვდ. ზაქარიასაგან<sup>32</sup>, ეგ ჩემს კისერზე იყვეს, ზოლო იცოდე, რომ შეიძლება თაქთაქიშვილმა და წურიეცებმა ნედლიმკა შეიტანონ და ტორგებიდან მოხსნან მამული<sup>33</sup>. ს. ქვემო ხვითში გვაქვს დარჩენილი ორი მამული თაქთაქიანთი, ერთი 67 დესეტინა, თავნი ვალი — 2927 მ. 33 კ., ნედლიმკა 966—40 კ., მეორე — 62 დეს. თავნი ვალი 1962 მ. 15 კაბ., ნედ. 434 მ. 50 კაბ. თუ შენ მიერ დასახელებული მამულები მოხსნეს ტორგიდან, მაშინ ერთ-ერთი ჩემ მიერ აღნიშნული მამული იყიდოს, რომელიც მოეწონება, რადგან ამ მამულის გაყიდვა ჩემს ხელშია, ვეცდები შელაგათი მივცეთ.

ეთნოგრაფიისა და ისტორიის საზოგადოებაში საბჭოს წევრი ხომ ვარ და ახლა მდივნობაც მე დამაკისრეს, რადგან საქმის ვითარება ამას თხოულობდა, ასე, რომ, შენი სურვილი უკვე ასრულებულია. ამ დღეებში ოფიციალურ ქაღალდს გაახლებთ შესახებ შენის მუზეუმისა.

მუზეუმის საქმე ასეა: დ. ზ. სარაჯიშვილი<sup>25</sup> გვიტოვებს მუზეუმის ასაშენებლად 100.000 მანეთს ანდერძით. დავითი სიკვდილის პირზეა, ამ დღეებში გარდაიცვლება. თავდაზნაურობამ უკვე შემოგვწირა 5000 მან<sup>35</sup>. — წუხელის კრებამ მიიღო ეს დადგენილობა. იმედია, წელსვე კიდევ მოგვცემენ 3.000—4.000 მან. ეს დღევანდელ კრებაზე გადაწყდება. ზომ ხედავ, რა თანაგობობაა და ნუთუ შენი წვლილი არ უნდა ყოფილიყო ამ დიდებულ საქმეში, ამას ვერ წარმოვიდგენდი... შენი მუზეუმში შენისავე სახელით უნდა უსათუოდ ამშვენებდეს ჩვენს მუზეუმს.





დაახლოებით 400 მანეთამდე მექნება შენი ფული წიგნებისა — ჯერ სტაციით არ მინაგარიშნია. როგორც მწერ, ამ ფულიდან მოვასხარებ საჭირო თანხას (200 მ.) მლ. ზაქარიას<sup>32</sup>.

იყავით კარგად, პასუხს ნუ აგვიანებთ ზოლმე.  
შენი საშა.

XIX

30 ივნისს 1911 წ.  
ტფილისით

კ ი რ ი ო ნ!

ტარასიმ<sup>31</sup> მითხრა, რომ გჭირდება 30 წიგნი და გამოგიგზავნე. გაახლებ ნაკლადნოს. მანდ აღნიშნულ ფასს: 1—04 კ. რკინის გზას და 50 კაპ. რატინს-1—54 კ. მიემატა 70 კაპეიკი ყუთისა, თოკისა და სხვა, სულ დაჯდა 2—24 კაპ. დაზღვ. წერილის 15 კ. დამატებით.

მღვდელი ზაქარიას<sup>32</sup> იყო ჩემთან, ტარასიმ მოიყვანა. წურივემა და ს. თაქთაქიშვილმა ტორგამდისინ არ მიიყვანეს საქმე, შეიტანეს ფული, ასე რომ, შენი სურვილი ვერ განხორციელდა. ირაკლის სურათი მივიღე, დიდად გმადლობ. ჩარჩოს ვუკეთებ და სასტუმროში დავკიდებ. პირს გადავადლებინებ და ჩვენს მუზეუმს მივართმევ.

იყავით კარგად და მხნეთ.  
შენი საშა.

XX

16 ივნ. 1911 წ.

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდისინ არ გაცნობე ჩემის მგზავრობის ამბავი<sup>37</sup>. იმედი მაქვს, რომ შემინდობ უზრდელობას და მამატივებ. საგურამოს საქმე ისევ აწეწილ-დაწეწილი დამხვდა, რომ ზედ გადავაკვლი. ცოტათი ამჟამად მოვაგვარე. სოფლადაც ორჯერ-სამჯერ მომიხდა წასვლა მამულების გასასყიდად და აბა, რაღა დრო დამრჩებოდა?

ვიმგზავრე რიგიანად / და შინ მშვიდობით ჩამოვედი.

ჩამოვიტანე ვერცხლის და ოქროს ფული და ჩაებარე მუზეუმს. დანარჩენი ნივთები ჯერ არ მოსულა. იმედია, ამ დღეებში მივიღებ.

იალტაში სალამოს ცხრა საათზე მივედი და სწორედ იმ დროს გამომერწყო ის წყეული ჯიბლიბო. იძულებული ვიყავი კაიუტაში ვმჯდარიყავ და მებანა თვალი, ასე რომ, დუმბაქე<sup>38</sup> ვეღარ ვნახე. ეხლა კარგად ვარ, ჩიტვიით.

ტარასი<sup>35</sup> ვნახე და ყველაფერი ვუთხარი აგრეთვე, რომ ღვინის ფული მან და სოსომი<sup>36</sup> უნდა გადინადონ მეთქი შენის აქ დარჩენილის ფულით. წ. კ. საზოგადოებაში გაყიდულია სულ შენი წიგნი 309 ცალი. წინად მომცეს 300 მ. ეხლა გამოვიტანე 348 მ. 90 კ. ეს ფულიც კასსაში შევა ამ დღეებში და სარგებელი ექნებათ 1 ღვინობისთვის დან მეთორედ შეტანილს, ხოლო პირველად შეტანილს — 300 მ. ამ წლის 1 თებერვლიდან. ეს დაიხსოვო.



როცა მანდედან წამოღებულ ნივთებს მივიღებთ, შესაფერ ოფიციალურ ქაღალდს მაშინ გაახლებთ.

შენი საქმე როგორ მიდის კიევის ამბების შემდეგ?

შენი საშა.

მომიკითხე მ. პავლე და ჩემი ნაცნობი პატარა ქალები, რომელთაც ისეთი დიდი ამაგი დამდეს.

XXI

3 ღვინ. 1911 წ.  
ტფილისით

კ ი რ ი ო ნ!

19 აგვისტოს გამოგზავნილი ნივთები სევასტოპოლიდან ძლივს ენკენის-თვეს ჩამოვიდა ტფილისს. ამბის გასაგებად ხუთჯერ მყავდა სადგურზე კაცი გაგზავნილი. ნივთები დავაბინავე ჩვენს მუზეუმში 30 ენკენისთვეს და მოვისვენე. ცოტა შიშმა ამიტანა. დაკარგვისა შემეშინდა... ვინ იცის, რა არ მოხდება.

ყუთი და კალათი ჯერ არ გაგვიხსნია. აი, მიზეზი. ქართულ გიმნაზიაში ორი დიდი ოთახი გვეჭირა, გაივსო ნივთებით და ვითხოვეთ შესამე. კომიტეტმა გვითხრა, რაკი ამოდენა შენობა გინდებათ, მაშინ აიღეთ მეოთხე სართული და რამდენიც გინდათ, იმდენი დაიჭირეთო. გადავწყვიტეთ ავიღოთ მეოთხე სართული. ამ კვირია ავალთ ზევით და ყუთსა და კალათსაც მაშინ გავეხსნით.

ენკენისთვე გავიდა და შენზე არა ისმის რა. როგორაა საქმე?

მანდ რომ გულაპარაკე — ცალკე ოთახისათვის იზრუნე-მეთქი შენის სამუზეუმო ნივთების დასაბინავებლად — არ დაიფიქრო ამაზე ფიქრი. სამუზეუმო ადგილი ავიჩინეთ, ფასშიაც მოვრიგდით 60.000 მანათად<sup>24</sup> და ამ მცირე ხანს გავათავებთ საქმეს. სააშენებლო თანხას — 150.000 მან. სარაჯიშვილს<sup>25</sup> შემეკვიდრენი გადმოგვცემენ.

იყავით კარგად.

შენი საშა.

XXII

13 ღვინ. 1911 წ.  
ტფილისით

კ ი რ ი ო ნ!

შენგან წამოღებული ნივთები ჯერ არ გაგვიხსნია და ისევ შეკრული ალაგია. მიზეზი ისაა, რომ ორი დიდი ოთახი, სადაც აქამდისინ მუზეუმში იყო მოთავსებული, სულ გაივსო. ვთხოვეთ შესამე ოთახიც, მაგრამ იგი აღარ მოგვეცეს, ჩვენ გვჭირდებაო და დავვითმეს მეოთხე სართულში ორი ისეთი დიდი დარბაზი, რომ ცხენის ჯირითი გაიმართება. კვირას, 16 ღვინობისთვის, ზევით გადავდივართ და მანდედან მოტანილს ნივთებსაც მაშინ ამოვალაგებთ ყუთებიდან.

შენი წერილების ნაწყვეტები, სადაც გატყობინებენ, რომ ჩვენის მუზეუმისათვის ახალი ძვირფასი ნივთები შეგიძენია, საბჭოს წავუკითხე და ფრიად ისიამოვნეს. მაღლობას თავის დროზე გაახლებთ.





ლებპერი რომ გვითმობს დუბლიკატებს, ეს ფრიად სასიამოვნოა. საფერ ქალაქსაც გავგზავნით, მაგრამ აი, რა უნდა გაუწყო: ამ უმად ტფილისში აგებენ კავკასიის მუზეუმისათვის დიდ შენობას. მუზეუმის გამგეა პოლკოვნიკი კაზნაკოვი<sup>40</sup>. ბ-ნს პოლკოვნიკს არ მოსწონს, რომ ჩვენ ქართველები ცალკე მუზეუმს ვაშენებთ, ნივთებს ვიძენთ და საარქეოლოგიო ნივთებს ვაგროვებთ. გაყოფას და განცალკევებას რა აზრი აქვსო, ერთად ვიმუშაოთო. სარაჯიშვილის<sup>25</sup> თანხაც ჩვენთან უნდა იყვესო... ამას გარდა, ქართველებს ღონე და ძალა არ შეგწევთ, ხალხიც არა ჰყავთ, რომ მუზეუმს მოუპროვონო. ყველა ამის გამო ბ-ნმა კაზნაკოვმა, რაკი ჩვენ ჩვენი არ დავიშალეთ, თითქმის მტრულად დაუწყო ცქერა ჩვენს განზრახვას.

როგორც ჩანს, კაზნაკოვს მოქიშპესი ეშინია. ჯერჯერობით საენო არა განუზრახავს რა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საარქეოლოგიო კომისია შეეკითხება კაზნაკოვს — მოგვცეს თუ არა ლებპერმა დუბლიკატები და კაზნაკოვი უარს მიწერს.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვგზავნით თხოვნას, თუმცა კი იმედი დავგვეკარგა თხოვნის ასრულებისა.

იყავით კარგად და ბედნიერად.

შენი საშა.

XXIII

1 დეკემბერს 1911 წ.

ტფილისი

კ ი რ ი ო ნ!

მოუცლელობისა გამო ვერ მოგწერე აქამდისინ წერილი. ბოდინს ვიხდი. მივიღე ორი ნაკლადნოი, ერთი ბერელაშვილს გავუგზავნე, ხოლო მეორე მუზეუმს. სარაჯიშვილი<sup>20</sup> და თაყაიშვილი<sup>7</sup> ალტაცებაში მოვიდნენ უკანასკნელის ძღვენით. რასაც იწერები შესახებ შენის სამუზეუმო ნივთების დალაგებისა, ყველაფერს ისე აფისრულებთ როგორც გვწერ და თხოვლობ. ხოლო თუ გვაჩქარებ, ჩვენში არავინაა მოცლილი, რომ მარტო მაგ საქმეს შესწიროს თავი.

ეს ერთი კვირა იქნება, რაც მუზეუმი ავიტანეთ ქართული გიმნაზიის მეოთხე სართულში და მხოლოდ ამ ერთი კვირის წინად გავხსენით ჩემ მიერ წამოღებული შენი ნივთები. ბინა ეხლა დიდი და მშვენიერი გვაქვს, ცხენი გაკენდება. ჩვენს და წ. კ. ს. მუზეუმს ერთად ვათავსებთ. ამ დღეებში მე გადმომცა წ. კ. გამგეობამ ვეჭილობა, რომ ვიყიდო ადგილი — 4000 საყენი სვანძისაგან სამუზეუმოდ. ღირს 60.000 მ.<sup>41</sup> სარაჯიშვილის ფული როცა მოგვეცემა, მაშინ შევუდგებით შენობის აგებას ნაყიდ ადგილზედ და შენთვის ცალკე პატარა ზალა იქ იქნება.

გწყენია, რომ მდივნობას თავი დავანებე. მაშ, რა ვქნა, რომ ამოდენა საქმეს ვერ ავდივარ. საბჭოს წევრად ზომ ისევ ვარ და მამასადაძავე, შენს სურვილებს ფრთხილად ვადევნებ თვალყურს.

ამ დღეებში გაცნობებთ მოკლედ, რომ ნივთები მივიღეთ, ხოლო შემდეგისათვის დაწვრილებით მოგწერთ...

გუშინ ტარასიმ<sup>5</sup> ორი წიგნი მომიტანა შენის სახელით და დღესვე გადავცემ მუზეუმს. ტარასისვე მივეცი გუშინ ორი აღმასრულებელი ფურცელი ათონისა.

ტარასისვე მივეცი ამას წინად 64 მ. შენის ფულიდან ბერელაშვილისთვის.

შესახებ შენის ბიბლიოთეკისა ამას მოგახსენებ: ნოტარიუსს შეადგენინე „დარსტვენაია ზაპისი“ ჩვენის საზოგადოების სახელზე Груз-ობ-во истории и этнографии. წარუდგინე ნოტარიუსს კატალოგი. ამ ქალაქის შედგენის შემდეგ ჩენი საზოგადოება გაახლებთ ოფიციალურ ქალაქს, სადაც იქნება მოხსენებულნი, რომ სასარგებლოდ და სახმარად თქვენთან ვტოვებთ ბიბლიოთეკას.

გოგებაშვილს<sup>42</sup> ვაცნობე რასაც იწერდი...

P. S. მალაქიამ<sup>43</sup> ავაფცქვნა წიგნები? შენმა საქმემ რად დაიძინა? რატომ არას იწერ... იყავ კარგად. მოგიკითხავ სიყვარულით.

შენი საშა.

#### XXIV

10 დეკ. 1911 წ.

ტფილისით

კ ი რ ი ნ!

ოფიციალურად უკვე ვაცნობეთ, რომ შენი მუზეუმი მივიღეთ სავსებით იმ პირობით, რაც პირობანი შემოგვითვალე. ამ ქალაქს უკვე მიიღებდი.

სიტყვას მოკლედ ვსჭრი, რადგან თავს დამესია აუარებელი გლახობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გამოგიგზავნის ბეჭედს და ამ ბეჭდით დადალე ყოველი წიგნი. თუ შესაძლებელია და მოსახერხებელი, გადაარჩიე შენი ბიბლიოთეკა და რასაც შეეღვი, ის წიგნები ესლავე ნაწილ-ნაწილ გამოგზავნე.

შენი წიგნები და ნივთები, როგორც გწერდი, ცალკეა მოთავსებული ორს შკაფში: ერთი დიდია, ხუთ თუმნად ღირებული, ხოლო მეორე დაბალი, 30 მანათიანი. ეს ნივთები ღირსია, რომ კარგ შკაფებში იყოს მოქცეული. თითო ასეთი შკაფი ღირს 120 მ. და ჩვენ კი კოტრად ვართ...

იყავით კარგად.

მოგილოცავ მომავალ ბედნიერ დღეებს.

შენი საშა.

#### XXV

27 თებ. 1912 წ.

ტფილისით

კ ი რ ი ნ!

წიგნები მივიღეთ. დავიხოცეთ ყუთის ათრევაზე მეოთხე სართულში. ექვსი მუშა ეჭაჭტურებოდა.

სურათი ვნახეთ და გავადიდებინეთ ისე, როგორც საჭიროა. ჩარჩოებსაც შევუკვეთამთ ორს, ერთს ჩვენთვის, ერთს ნიქოზისთვის. ფასს შენი თანხიდან ვადვიხდით, რადგან შენგან ინება დართულია და უკვე განვუცხადე საბჭოს.



რატომ არას მწერ შენსას. ნუთუ, გაიყინა შენი საქმე? ე გერმოგენს ხომ მოგაშორეს, ახლა რაღას ელის საბლერი?<sup>45</sup>

იყავი კარგად.

შენი საშა.

P. S. გაზეთი და ყურნალი ზომ მოგდის?

საშა.

შენ მიერ შეგროვილ სიტყვებს ვბეჭდამთ. ერთი კორექტურა უკვე გავასწორე. რამდენსამე სიტყვას ახსნა არა აქვს. რატომ?

X XVI

20 მარტს, 1912 წ.

კირიონ! ორი სურათი გადავალებინე ფოტოგრაფ მიშჩენკოს, თითოში თუმანი მივეცი. ერთი ჩვენს მუზეუმს, მეორე ნიქოზს — ჩარჩოები შევუყვეთე შედევრტს, თითო 8 მან. 75 კაპ., სულ ხარჯი იქნება გაწეული შენის თანხიდან თანახმად შენის სურვილისა. იყავი კარგად. აღდგომას გილოცავ.

შენი საშა.

X XVII

10 აპრ. 1912 წ.

კირიონ! სურათები უკვე ჩამაბარეს, ძალიან კარგად არის შენი სახე გამოსული. ერთი სურათი მუზეუმს გადავეცი, ხოლო მეორეს მე ვინახავ. საჭიროა, რომ ვისმეს დაავალო წაიღონ ეს სურათი ს. ნიქოზს და ბიბლიოთეკაში ჩამოჰკიდონ. —

შევუყვეთე აგრეთვე ორი კარგი შკაფი შენის ბიბლიოთეკის და მუზეუმის ნივთების მოსათავსებლად. დაჯდება 140 მ. ხომ არ გამიწყობები ამაზე? შენი საშა.

სურათები დაჯდება სულ 35 მ.

X XVIII

11 ივლ. 1912 წ  
ტფილისით

კ ი რ ი ო ნ !

აქეთ-იქიდან მესმის, რომ ცოცხალი ხარ და კი აღარას მწერ... როგორ ხარ, ან შენი საქმე როგორ მიდის?..

ისიც შევიტყე, რომ ღიდად შეგისწორებია „Культ. роль“ და ამზადებ მეორე გამოცემას.

ეს ყველა კარგი, მაგრამ პირველი გამოცემა ჯერ არ გაყიდულა და თუ მეორე გამოვა, პირველს ვინლა იყიდის? რაკი რუსეთში არ მოხერხდა მისი გაყიდვა, აქ რაც გაიყიდა, გაიყიდა. სიძვირემ ბევრს შეუშალა ხელი და ვერ იყიდა.

მე ვფიქრობ, ფასს დავუკლოთ და უეჭველია, რომ დაკლებულ ფასში 300—400 ცალს კიდევ გავყიდით. რას იტყვი?

მანათ ნახევრად რომ გავყიდოთ, ცალზე დაგვრჩება 1—50 კაპ.—30% 1 მან. 5 კაპ. შოგებას ნუ გამოვეყიდეებით. დანახარჯი მანც (1500 მ.) დავიბრუნოთ.

შენი აზრი მაცნობე.

შენი ს ა შ ა.

XXIX

14 ივლ. 1912 წ.  
ტფილისი

კ ი რ ი ო ნ!

სამი დღის წინად გაახელი პატარა ბარათი. ერთი საათის შემდეგ მივიღე შენი წიგნი, 6 ივლისის თარიღით.

შენ მიერ შეყრეფილი სიტყვები უკვე დაბეჭდილია; თუ წიგნი არ გამოგიგზავნენს, მიზეზი სულ უბრალოა. ჯერ არ გამოსულა კრებული. რაღა თქმა უნდა, რომ მაშინადვე მიიღებ, როგორც კი გამოვა. ასეთს უხერხულობას ვინ იკადრებს?..

დღესვე ავასრულებ შენს თხოვნას და დავიკვეთავ ორს ცალს ი. ჭავჭავაძის<sup>46</sup> თხზულებისას, ფულსაც თავის დროზე გადვიხდი. —

ნაცნობები ბევრი მყავს, მთავრად უცნაური ნაცნობებია. ან ტეტია და ბეჩავი ქართლ-კახელი გლეხი, ადგილ-მამულის მონატრული, ან თავადაზნაური, მოტრფიალე იმისა, რომ მალე გაპყიდოს და მოიშოროს თავიდან ტვირთი — მამული, რომლის მოვლის თავი აღარა აქვს. ამ ორ ჯგუფს, სამწუხაროდ, სრულიად არ შეუძლიან ბინა უშოვნოს და ადგილი მისცეს ვარო ზუმიევისას. სხვაგან მე საით უნდა მივდგე-მოვდგე, ვერც კი წარმომიდგენია. რაც უნდა დიდი შრომა დასჭირდეს შენს მომავალს თხზულებას და მის დაბეჭდვას, თუ მე მომანდობ, სიხარულით ვიკისრებ და არ დაგზარდები, ხოლო ვარო ზუმიევისას ვერაფერში გამოვადგები. უძლური ვარ ამისთანა საქმეებში.

გამოცანები და ანდაზები მალე გამოგზავნე... რაც უნდათ, ისა სთქვან.

უკვე დაბეჭდილ შენს სალექსიკონო მასალაში თითო-ოროლა სიტყვა აუხსნელი დარჩა. მეც ვერ გავბედე ახსნა, რადგან შენგან მონდობილი არა მქონდა რა. რად მოხდა ესა?

შენი ერთგული ს ა შ ა.

XXX

2 მაისს 1913 წ.

ჩ ე მ ო კ ი რ ი ო ნ!

ყოჩნალ „კლდის“<sup>47</sup> ახალგაზრდა თანამშრომელნი დიდის სიამოვნებით გაახლებენ თავიანთ ყურნალის კომპლექტს (ამ წლის ნომრებს). ყურნალი პროგრესიულია და რაც უფრო სასიამოვნო იქნება შენთვის და არის ჩემთვის, ეს ახალგაზრდანი მამულისშვილურის გრძნობით არიან გამსჭვალულნი. კარგს ინებებთ, რომ ხანდისხან თქვენის ნაფიქრით და ნაზრევით ხელი გაუმართოთ ყურნალს. ფრიად საინტერესო იქნება ყურნალისთვის შენი წერილები შესახებ ჩვენი წარსულის კულტურისა, დიდებისა, ლიტერატურისა





და მეცნიერებისა. თანამედროვე ცხოვრების სიავესაც რომ გაჰკრათ მე კალამი, არც ეგ იქნება ურიგო. მაგ. ჩვენი ეკლესიის ბედს, მსოფლიო საეკლესიო კრებებს და სხვას, რასაც შენ თვითონ დაინახავ საჭიროდ. პირველ სანიტრალს წერილს მოაწერე ხელი და სხვას, თუ იგი სასიამოვნო არ იქნება ვისთვისმე, ფსევდონიმით შეამკე. როგორც შენ თვითონ იხილავ, მე მუდმივ ვთანამშრომლობ. უკრნალი ნიეთიერად გაჭირვებას განიცდის, მაგრამ მხნედ ებრძვიან გარემოებას და გულს არ იტეხენ.

როგორა ხარ, რას აკეთებ და რატომ აღარას მწერ? დიდი ხანია შენგან წერილი აღარ მიმიღია.

შენი საშა ყიფშიძე.

შენიშვნები

წერილების ავტორი:

ყიფშიძე (ფრონელი) ალექსანდრე თეოდორეს ძე (1861—1916) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი.

სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1884 წ. აღ. ყიფშიძე შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1888 წელს დაამთავრა. იმავე წელს იგი დაბრუნდა საქართველოში.

აღ. ყიფშიძე მსახურობდა სახაზინო პალატაში, საგუბერნიო საქმეთა სამმართველოში, საგლეხაკო საქმეთა საკრებულოში, მომრიგებელ მოსამართლედ ახალციხეში და სხვ.

1905—1906 წლებში ალექსანდრე დანიშნულ იქნა ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ. ხოლო 1906 წლიდან სიცოცხლის დასრულებამდე იგი მუშაობდა თბილისის დეპუტატთა საკრებულოსთან დაარსებულ „საადგილმამულო კომისიაში“ მმართველად.

აღ. ყიფშიძე აქტიურ თანამშრომლობას ეწეოდა იმდროინდელ ქართულ პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „სახალხო ფურცელი“, „კლდე“, „ნაკადული“).

ღარდა პუბლიცისტური წერილებისა, აღ. ყიფშიძეს ეკუთვნის ისტორიული ხასიათის მონოგრაფიები: „მთიულეთი 1804 წ.“, „ამბოხება კახეთისა“, „დიდებული მესხეთი“, „მთის არწივი შამილი“ და სხვ. (იხ. „ლიტერატურის მატიანე“, № 3—4, „ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დღიურები“, პუბლიკაცია და შენიშვნები გიორგი ნათაძისა; გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, ტფ., 1934 წ., გვ. 83; შ. გოზალიშვილი, „ალექსანდრე თეოდორეს ძე ყიფშიძე (ფრონელი)“, კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, III, თბ., 1968 წ., გვ. 117—122); აღ. ყიფშიძის ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის კირიონ საძვალღიშვილს არქივში, №№ 1136—1165; მოხსენებულია ამავე არქივში, №№ 28, 201, 268, 273, 295, 337, 380, 387, 101, 102, 106, 108, 118, 121, 127, 136, 138, 139, 140, 143, 148, 455, 174, 181, 500, 1396, 1398, 1408, 1411, 1414, 1422, 1423, 1427, 1169, 1171, 1261, 1304.

ადრესატი:

კირიონ (გიორგი) იერემიას ძე საძვალღიშვილი (1855—1918) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი.

სწავლობდა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიაში.

1880 წ. კირიონი დაინიშნა ოდესის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წ. დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1896 წ., ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ, კირიონი აღიკვეცა ბერად და დაინიშნა ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვრად.

1898 წ. იგი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად, ხოლო 1901 წ. — გორის ეპისკოპოსად.

1901 წლიდან იწყება კირიონის დევნა მეფის რუსეთის სასულიერო მთავრობის მიერ. 1902 წ. კირიონი გადაჰყავთ კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში, 1903 წ. — ხერსონში, 1904 წ. — ორიოლში. 1906 წელს იგი მოღვაწეობს სოხუმში. 1907 წ. მას კვლავ აგზავნიან კოვნოში. 1908 წ. კირიონს ითხოვენ უეპარქიოდ და გზავნიან კურიაჟის მონასტერში, ხოლო კურიაჟიდან — სანაქსარის უდაბნოში; სანაქსარის უდაბნოდან კირიონი გადაჰყავთ ხერსონესის მონასტერში, სადაც იგი 1917 წ.-მდე მოღვაწეობდა. ამავე წელს კირიონს დაუბრუნეს ეპარქიის მმართველობის უფლება და ჩააბარეს მას ვიტებსკის ეპარქია.

1918 წ. კირიონი აკურთხეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

კირიონის შრომებია: «Краткий очерк грузинской церкви и экзархата за XIX столетие», «Культурная роль Иверии в истории Руси», «Состояние Кавказа в Абхазии в первой четверти XIX столетия и попытка организации в ней миссионерского дела в 1831—1884 годах», «Мцхетский храм и его реставрация», «Санаксарские этюды», «Литературный первоисточник Киево-Печерского Патерика» და სხვა (იხ. მ. ჯანაშვილი, კირიონი, თბ., 1917 წ., ელ. აბრამიშვილი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი (მიმოხილვა), „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 356—380).

#### შენიშვნები

1. ივულისხმება კირიონის წიგნი „Культурная роль Иверии в истории Руси“, 1910 წ.

2. კ ა ზ ლ ვ ს კ ი — კ. პ. კოზლოვსკი — გამოქვეყნებული ტიპოგრაფია მოთავსებული ჰქონდა გოლოვინის (ამჟამად ლენინის) პროსპექტზე, № 2.

3. კ ლ ი უ ჩ ე ვ ს კ ი — ვასილ ოსიპის ძე (1841—1911) — ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი წიგნებისა: „Краткое пособие по русской истории“, „Курс русской истории“ და სხვ.

4. გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი — ლასხიშვილი გიორგი (1866—1931) — საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი. თანამშრომლობდა „მოამბეში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელში“. მისი რედაქტორობით პარიზში გამოდიოდა გაზ. „საქართველო“. წერდა „ლალის“ ფსევდონიმით (იხ. მისივე „მემუარები“, თბ., 1934 წ.).

5. ტ ა რ ა ს ი — კანდელაკი ტარასი (გიორგი) იაკობის ძე (დაიბადა 1871 წ.) — სასულიერო პირი, არქიმანდრიტი. ამავე დროს ის ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობასაც. იგი იყო ქართული საისტორიო-საეთნოგრაფო





საზოგადოების წევრი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი.

ტ. კანდელაკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კირიონთან. 1903—1908 წლებში ის თან ახლდა კირიონს ხერსონში, ორლოვში და სოხუმში. 1914 წ. ტ. კანდელაკი მივლინებულ იქნა თურქეთის ფრონტზე 432-ე ლაზარეთის მღვდლად (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კირიონისა და ტ. კანდელაკის პირადი საარქივო ფონდი; კალისტრატე ცინცაძე, „Из моих воспоминаний“, გვ. 385 (ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი, № 107); „საქართველოს სიძველენი“, ტ. IV, თბ., გვ. 106, 143).

6. ეპ. დავითი — ეპისკოპოსი დავით (ეფრემ) ოქროპირის ძე კაჭახიძე (დაიბადა 1872 წ.) — სასულიერო პირი. 1905 წ. — არქიმანდრიტი, 1926 წ. — მიტროპოლიტი. ამავე დროს ის ეწეოდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1905—1906 წლებში დ. კაჭახიძე იყო ვიტებსკისა და დონის სასულიერო სემინარიების რექტორი. კაჭახიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში (იხ. კ. ცინცაძე „Из моих воспоминаний“, გვ. 372 (ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი, № 107).

7. ე. თაყაიშვილი — ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი (1863—1953) — ისტორიკოსი, არქეოლოგი, საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (იხ. ი. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, 1948 წ.; „კომუნისტი“, 1953 წ. 24/11, (ნეკროლოგი); „ზარია ვოსტოკა“, 1953 წ., 24/11 (ნეკროლოგი); რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე, „ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1962 წ.; „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“, სტატიების კრებული, თბ., 1966 წ.).

8. ექვთ. თაყაიშვილისა და ეპისკოპოს დ. კაჭახიძის ეს წერილი იხ. კირიონი, № 723. (წერილი დაწერილია 1909 წ. 25 ივლისს).

9. მარრი — ნიკო მარი (1864—1934 წ.) — ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (იხ. В. А. Миханкова, „Николай Яковлевич Марр“, М.—Л, 1949).

10. მამაო — იგულისხმება იოსებ ჩიჯავაძე — მღვდელი, საზოგადო მოღვაწე, უშრნალ „სიტყვის“ რედაქტორი, ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, კირიონის უახლოესი მეგობარი.

მისი და კირიონის მიწერ-მოწერა იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, №№ 1193—1285 და 198—408.

11. 1910 წლის მაისში დააპატიმრეს გ. ლასხიშვილი, როგორც სოციალისტ-ფედერალისტი (იხ. მისივე „მემუარები“, თბ., 1934, გვ. 268—273).

12. ალ. ყიფშიძეს, ალბათ, მხედველობაში აქვს თავისი წიგნი „Прекращение хизанских отношения в Грузии“, რომელიც შემდეგ 1914 წელს გამოვიდა.

13. ბუტკოვი — პეტრე გრიგოლის ძე (1775—1875) — რუსული დამწერლობის მკვლევარი, მეცნ. აკადემიის წევრი 1841 წლიდან.

14. ალ. ყიფშიძეს უთუოდ მხედველობაში აქვს ბუტკოვის წიგნი „Материалы для новой истории Кавказа с 1872 по 1803 г.“.



15. საფიქრებელია, რომ აქ ლაპარაკია ალ. ყიფშიძის შრომაზე „კანონგლეხთა და სოფელელთა და ბატონთა და მეპაპულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა და ნედელის დახსნათა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისის, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიებში“, რომელიც გამოვიდა 1913 წელს ქართულ და რუსულ ენებზე.

16. გ. საყვარელიძე — გაბრიელ ბეჟანის ძე საყვარელიძე — მსახურობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკში (იხ. „კავკასკი კალენდარი“, 1910 წ., გვ. 140).

17. ცომიაია — სამუელ ცომიაია, ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, ამავე დროს მასწავლებელი.

ს. ცომიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კირიონთან. 1907—1911 წლებში, როდესაც სამუელი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, კირიონი მას ხელმძღვანელობას უწევდა სწავლაში და ამავე დროს მატერიალურადაც ეხმარებოდა (იხ. ს. ცომიას წერილები კირიონისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, №№ 1289—1309).

18. გიგა — გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე (1858—1921), ალ. ყიფშიძის ძმა — საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მთარგმნელი, „იმედის“, „ივერიის“, „დროებისა“ და „მოამბის“ უახლესი თანამშრომელი.

გ. ყიფშიძემ კირიონთან ერთად დაწერა „სიტყვიერების თეორია“, რომელიც პირველად 1908 წ. გამოიცა (იხ. გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, თბ., 1934 წ. გვ. 83, 207, 229, 292, 304; სოფ. მგალობლიშვილი, „მოგონებები“, თბ., 1958 წ., გვ. 197, 266; ს. ცაიშვილი, „გრიგოლ ყიფშიძე“ — წიგნაკში „სახალხო განათლების მოღვაწეები“, 1954 წ., მისივე წერილი წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული II, 1955 წ.).

19. შაქრო მდივანი — ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი წევრი.

შ. მდივანზე განაწყენებულ კირიონს ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ თავისი პირადი მუზეუმი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის არ მიეტოვებინა.

20. ალ. ივ. სარაჯიშვილი — ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1851—1914) — საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, წლების განმავლობაში გაზ. „ივერიის“ გამომცემელი და რედაქტორი, წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ფუძემდებელი, ჯერ ხაზინადარი, ხოლო შემდეგ, 1912—1913 წლებში, ამ საზოგადოების მუზეუმწიგნსაცავის გამგე (იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. IV, 1914—1915 წწ. გვ. 1—4; ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 171).

21. ი. კარიჭაშვილი — დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი (1862—1927) — საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ისტორიკოსი და მასწავლებელი, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა აქტიური წევრი (იხ. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1927 წ., ტ. III; გ. გამყრელიძე, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.; ს. ცაიშვილი, სახალხო გა-





ნათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1955 წ.).

22. მ. ჯანაშვილი — მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი (1855—1932) საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ისტორიის, საეკლესიო ისტორიისა და ქართული ლიტერატურისა და ენის მკვლევარი, 1897—1926 წლებში ქართული საეკლესიო მუზეუმის გამგე, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი, ავტორი წიგნებისა: „საინგილო“, „ქართველები და ქართველური ენა“, „ქართული გრამატიკა“, „საქართველოს ისტორია“ და სხვ. მრავალი; მ. ჯანაშვილმა გამოსცა აგრეთვე ისტორიული და ლიტერატურული საბუთები (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის კრიტიკოსები: მოსე ჯანაშვილი, „მნათობი“, 1944 წ. № 12; შ. ძიმიგური, მოსე ჯანაშვილი, როგორც ქართული ენის მკვლევარი, „მნათობი“, 1944 წ. № 4—5; ავტობიოგრაფია ეურნ. „განათლების მუშაკში“, 1927, № 4; „მოსე ჯანაშვილი“, კრებ., უნივერსიტეტის გამოცემა, 1956 წ.).

23. ს. გორგაძე — სერგო რომანის ძე გორგაძე (1876—1929) — საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და ფილოლოგი, ავტორი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების, საენათმეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელი.

ს. გორგაძე იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი, 1907—1908 და 1912—1913 წლებში ის ითვლებოდა ამ საზოგადოების მდივნად, ხოლო 1909—1911 წლებში — მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად (იხ. ს. ჯანაშია, სერგო გორგაძე, ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1929, № 6—7; გ. გამყრელიძე, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.).

24. ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია მოთავსებული იყო ამჟამინდელ უნივერსიტეტის შენობაში. 1808—1809 წლებში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი მუზეუმისათვის დაიკავა ამ შენობის მარჯვენა ფრთის მე-2 სართულზე ერთი ოთახი. შემდეგ წლებში მუზეუმი მოთავსებული იყო ამავე შენობის მე-4 სართულზე.

25. დ. ზ. სარაჯიშვილი — დავით ზაქარაის ძე სარაჯიშვილი (1846—1911) — საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ქართველმა ინტელიგენციამ განიზრახა ქართული მუზეუმის აშენება. შეიქმნა საამშენებლო კომისია, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა. კომისიამ მატერიალური დახმარებისათვის მიმართა დ. სარაჯიშვილს, რომელიც ამ დროს საოპერაციოდ საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა. გამგზავრების წინ დ. სარაჯიშვილმა დაწერა ანდერძი, რომელშიც იგი პირობას იძლეოდა, რომ საკუთარი ხარჯებით ააშენებდა მუზეუმს (იხ. ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 170—171, № 12, იგვ. 175—176; 1959, № 1, გვ. 169; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 972).

26. ივლისისხმება არქიტექტორი ზასომი (იხ. ექვთ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 975).

27. პავლე შა — თუმანიშვილი პავლე იოსების ძე — საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დამ-



ფუძნებელი, 1909—1911 წლებში ამ საზოგადოების წამდელი წევრი, ხოლო 1912 წლიდან — ამ საზოგადოების მხრუნველი.

3. თუმანიშვილმა ქართულ საისტორიო საზოგადოებას გადასცა უამრავი ნაბეჭდი წიგნი, ხელნაწერი, ალბომი და გაზეთები: „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ზაკაკაზიე“, „კავკაზსკაია რეჩ“.

გარდა ამისა, პ. თუმანიშვილმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად შესწირა 1 დესეტინა მიწა ვაკეში, სათავადაზნაურო ვიმნაზიის მახლობლად („ძველი საქართველო“, ტ. III, გვ. 42, 126, 142; ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 168—170, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 972).

28. გ. ქართველიშვილი — გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი (1827—1901) — საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და ხაზინადარი, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი (იხ. ნ. ურბნელი, „გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი“ (ნეკროლოგი), „ივერია“, 1901, № 210; „საქართველოს კალენდარი“, 1903 წ., გვ. 460—461).

29. ბერლინიდან დაბრუნებულმა დ. სარაჯიშვილმა პ. თუმანიშვილის მიერ შემოწირული მიწა მუზეუმის ასაშენებლად ადგილად დაიწუნა და ურჩია საზოგადოებას, რომ შეეძინათ ქ-ონ წილოსანისაგან ის მიწა, რომელიც ოლღას ქუჩისა და წყნეთის ქუჩის შუა მდებარეობდა. იმ ხანებში წილოსანი ენევეაში იმყოფებოდა. მისმა ვეჟილმა ნ. ქართველიშვილმა საზოგადოებას აცნობა, რომ წილოსანს განზრახული აქვს ამ მიწის გაყიდვა და რომ ის ერთი თვის შემდეგ დაბრუნდება ენევიდან. გავიდა რამდენიმე თვე და წილოსანი კი არ ჩანდა. მაშინ ექვთ. თაყაიშვილმა და გ. ყაზბეგმა ამ საქმის თაობაზე მისწერეს წერილი წილოსანს ენევაში, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

როდესაც წილოსანი ენევიდან დაბრუნდა, მან უარი განაცხადა ამ მიწის გაყიდვაზე (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 972).

30. 1911 წ. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წევრები იყვნენ: საზოგადოების თავმჯდომარე — ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი — დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი, საზოგადოების ხაზინადარი და მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი — ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, საზოგადოების მდივანი — სერგეი ნესტორის ძე კვაბაძე, საბჭოს წევრები: მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილი, მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე, იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე, სერგეი რომანის ძე გორგაძე (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. III, გვ. 87).

31. იგულისხმება სანაქსარის მოწასტერი სანაქსარის უდაბნოში (ტამბოვის გუბერნია), სადაც კირიონი იმყოფებოდა 1909 წლიდან 1912 წლამდე.

32. მღვდელი ზაქარია — ზაქარია საძაგლიშვილი (?) (იხ. მისი წერილები კირიონისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, №№ 1051—1058).

33. თაქთაქიშვილისა და წურთიევის (წურინოვის) მამულის გაყიდვა, როგორც ჩანს, არ შემდგარა (იხ. ტარასი კანდელაკის წერილი კირიონისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, № 1421).





34. ალ. ყიფშიძე საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მდივანი იყო 1911 წლის ივნისიდან იმავე წლის დეკემბრამდე.
35. მას შემდეგ, რაც წილოსანმა უარი განაცხადა მიწის გაყიდვაზე, მუზეუმის საამშენებლო კომისიამ თხოვნით მიმართა თბილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, რათა მიეცათ მუზეუმის ასაშენებლად თავისუფალი ადგილი ფრეილნის ქუჩაზე. თავდაზნაურობამ უარი განაცხადა ადგილის დათმობაზე, სამაგიეროდ, შეპირდა კომისიას, რომ ამ საქმისათვის მისცემდა 50.000 მანეთს 5 წლის განმავლობაში. 1911 წ. თავდაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ მუზეუმის საამშენებლო კომისიას 5.000 მან. გადასცა (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, №№ 972, 973).
36. იგულისხმება ერეკლე II-ის სურათი.
37. წერილში ლაპარაკია ალ. ყიფშიძის გამომგზავრების შესახებ სანაქსარიდან თბილისში.
38. დუ შბაძე — ივანე დუმბაძე — იალტის გუბერნატორი (იხ. ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 168).
39. იმ ხანებში მუზეუმის საამშენებლო კომისიას გადაწყვეტილი ჰქონდა შეეძინა მიწა „ფიქრის გორაზე“, რომელიც 60.000 მანეთად იყიდებოდა (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აქვთ თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, №№ 972, 973).
40. კ ა ზ ნ ა კ ო ვ ი — ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვი (იხ. „კავკაზსკი კალენდარი“, 1910, გვ. 37, 137).
41. იგულისხმება ადგილი „ფიქრის გორაზე“, რომელიც ეკუთვნოდა სვანიშვილს და არა სვანიძეს (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, №№ 972, 973).
42. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი — იაკობ გოგებაშვილი (1840—1912) — ცნობილი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე (იხ. „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ.; „იაკობ გოგებაშვილი“, საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1940; დავით ქასრაძე, „იაკობ გოგებაშვილი“, ბიოგრაფია, 1940; დ. ლორთქიფანიძე, „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი“, 1948; გ. თავიშვილი, „იაკობ გოგებაშვილი“, 1949; იაკობ გოგებაშვილი“, საიუბილეო კრებული, 1960 წ.).
43. მალაქია ბოლქვაძე — საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა ძირითადად გაზ. „ივერიაში“, სადაც იგი ათავსებდა წერილებს სხვადასხვა აქტუალურ და საპრობოროტო საკითხებზე. ის იყო ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, №№ 499—519 (მალაქია ბოლქვაძის წერილები კირიონისადმი)).
44. გ ე რ მ ო გ ე ნ ი — არქიმანდრიტი, საეგზარხოსოს ოფიციალური ორგანოს „საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო მოამბის“ რედაქტორი, ერთხანს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, შემდეგ სარატოვის ეპისკოპოსი (ЦГИАЛ, Ф. 769, оп. 205, ед. хр. № 708 (1898—1910)).
45. ს ა ბ ლ ე რ ი — ვ. კ. საბლერი — სინოდის ობერ-პროკურორი, როგორც ჩანს, საბლერი თანაგრძნობით ეკიდებოდა კირიონს (იხ. ცსსა, კირიონ II, საქ. № 32, გვ. 9 ც 10; გვ. 20—21, 93).

46. „კლდე“ — 1912—1915. ყოველკვირეული, საზოგადო, ეკონომიურ და სალიტერატურო ჟურნალი. თბილისი, ქართველი ნაციონალისტების ორგანო.

Э. М. АБРАМИШВИЛИ

ПИСЬМА АЛЕКСАНДРА КИПШИДЗЕ (ПРОНЕЛИ) К КИРИОНУ САДЗАГЛИШВИЛИ

(Резюме)

Опубликованные нами письма известного грузинского общественного деятеля Ал. Кипшидзе датируются 1909—1913 годами. Письма направлены из Тбилиси в Санаксар, где в то время находился изгнанный русским синодом историк и общественный деятель епископ Кирион Садзаглишвили (впоследствии католикос Грузии).

Известно, что в бытность в Санаксаре Кирион закончил свою книгу «Культурная роль Иверии в истории Руси», редактирование и издание которой он поручил Ал. Кипшидзе. Письма Пронели в основном содержат историю издания и распространения данного труда.

Означенные письма, с одной стороны, дают нам представление о существующих между этими двумя грузинскими деятелями тесных дружеских отношениях, а, с другой, помогают нам в изучении личности Ал. Кипшидзе.

Одновременно в письмах содержатся весьма ценные данные о работе Грузинского историко-этнографического общества.



ცისანა აბულაძე

მეთვრამეტე საუკუნის ორი თურქული ფირმანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში დაცულია რამდენიმე ათეული თურქული ფირმანი, რომელიც „გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დავთრის“ შემდეგ ძირითადი წყაროსა და საფუძვლად საქართველოს, თურქეთთან ახალციხის ანუ გურჯისტანის ვილაჟეთად წოდებული მხარის, სოციალურ-ეკონომიური ყოფის გამოსაკვლევად, ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებისა და განმტკიცების წარმოსადგენად, თურქული სამხედრო-ლენური სისტემის შესასწავლად.

აღნიშნულ დოკუმენტთან ვაჭვეყნებთ ორ ფირმანს<sup>1</sup> — Tur d 3 და Tur d 4. ფირმანები მეთვრამეტე საუკუნისაა. გაცემულია სულთნების — მაჰმუდ ხანისა (1730—1754) და მუსტაფა ხანის (1757—1774) მიერ. ეხება „დაეთარში“ ფიქსირებულ გეოგრაფიულ პუნქტებს: ადიგენი, ალთუნკალა, წრე, ფლატე.

დოკუმენტები 1933 წელს შემოუწირავს ადიგენის მცხოვრებს სულეიმან ერისთავს. თბილისში ჩამოუტანია და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის გადაუცია ამავე მუზეუმის თანამშრომელს გ. ბოჭორიძეს.

**Tur d 3.** ზომა: 77×52 cm; სტრიქონთა რაოდენობა: 8; ქაღალდი: სქელი, მოყვითალო, კვირნიშნისანი; ხელი: იენი დნენი; მელანი: შავი, წითელი; მეორე, მეოთხე, მეექვსე სტრიქონების ბოლო და მესამე, მეხუთე, მეშვიდე სტრიქონების დასაწყისი დაწერილია სინგურით, სინგურითვეა გამოყვანილი მუსტაფა ხანის თელრა.

დოკუმენტის მხატვრული გაფორმებისა და მისი ყალბისმქნელთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით სტრიქონები გაზიდულია ბოლომდე, რაც მიღწეულია უკანასკნელი ასოს მოქნეულ დახრილ ხაზად ქაღალდის კიდემდე გაგრძელების გზით. სადაც ასოს გრაფიკული გამოსახულება ამის შესაძლებლობას არ იძლევა, ჩაწერილია هو-ს მსგავსი მოხაზულობა, რომელშიც و გრძელდება. ასეა სხვა ფირმანებშიც.

დოკუმენტის verso-ზე აღნიშნულია მისი დაწერის თარიღი: ١٣ محرم الحرام سنة احدى و ثمانين و مائة و الف (=1769 წლის 11 ივნისს),

<sup>1</sup> ფირმანები Tur d 1 და Tur d 2 დაიბეჭდა „მრავალთავში“, იხ. ც. აბულაძე, ორი თურქული ფირმანი: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 393—401.





Large, highly decorative calligraphic flourish or signature in black ink, featuring complex loops and a grid-like pattern at the bottom.

Small calligraphic inscription on the left side, possibly a name or title.

Main body of handwritten text in Persian script, written diagonally across the page. The text is dense and appears to be a historical document or a collection of notes.

Small calligraphic flourish or signature at the bottom left of the page.

ბრძანებად ამ დროსაა გაცემული, შდრ. ტექსტი و ثمانين و مائة ...  
 مائة و الف محرم الحرامك اوننجى كونى تاريخيله حكم شريفم و زادكدن ..  
 verso-ზეა სხვადასხვა ზომის ორი ხელრთვა (kuyruklu umza), ნასხით დაწერილი  
 სიტყვა سليح 'იარაღი' და ციფრები 181/1833.

**Tur d 4.** ზომა: 52 1/2 X 47 1/2cm; სტრიქონთა რაოდენობა: 8; ქალალ-  
 დი: სქელი, მოყვითალო, უჭვირნიშნო; ხელი: იენი დნენი; მელანი: შავი,  
 წითელი; მხატვრულად გაფორმების მიზნით მეორე, მეოთხე და მეექვსე სტრი-  
 ქონების ბოლო სიტყვები, მესამე, მეხუთე და მეშვიდე სტრიქონების დასა-  
 წყისი დაწერილია წითელი მელნით. წითელი მელნითვეა შესრულებული მაკ-  
 მულ ხანის თულრა.

ბრძანება მამულის ბოძებისა გაცემულია 1154 წლის შა'ბანის 23-ს:

سنه اربع و خمسين و مائة و الف شعبانك يكرمي اوننجى كونندن ...  
 ფირმანი კი, როგორც საბუთის verso-ზეა აღნიშნული, დაწერილია 1154 წლის  
 შა'ბანის თვის 27-ს-ა-الف و مائة و خمسين و اربعة شعبان سنه اربعه  
 (=1741 წლის 8 ნოემბერს). verso-ზეა ორი სხვადასხვა ზომის ხელრთვა და  
 სიტყვა همتى 'დიდსულოვნება'.

ფირმანი განუახლებია, როგორც ჩანს, ოსმან მესამეს (1754—1757)  
 1755 წლის დეკემბრის 31-ს. იხ. მინაწერი დოკუმენტის მესამე სტრიქონის  
 თავზე შუა ადგილას: جلوس اولمشدر في 27 ر 1169  
 დოკუმენტი რესტავრირებულია.

Tur d 3

[1] هو المعين

[2] طغرا [مصطفى خان بن احمد مظفر دائما

[3] نشان شريف عاليشان سامى مكان سلطانى و طغراى غراى جهانستان  
 خاقانى حكى اولدر كه [4] دستور مكرم مشير مفخم نظام العالم سابقا چلدر واليسى  
 وزيرم حسن پاشا ادام الله تعالى اجلاله سده سعادتme مكتوب كوندروب التون قلعه  
 سنجاغنده و ناحيهسنده اديكون نام قريه و غيريدن اون [5] يدى بيك افچه تيماره  
 متصرف اولان محمد بلاولد فوت اولوب تيمارى محلول و ارباب استحقاقدن متوفى  
 مرقومك قرنداش اوغلى اورته بويلو الا كوزلو اچق قاشلو رافع توقيع رفيع الشان  
 خاقانى سليمان طاهر يرلر و محل [6] تيمار اولديغى لواء مزبور الاى بكيسى وزير  
 مشار اليه طرفته اعلام اتمكله تيمار مزبور متوفى مرقومك محلولندن قرنداش اوغلى  
 مزبور سليمان طاهره ويرمك بابنده عنایت رجاسنه وزير مشار اليه عرض ايلدى كه  
 اجلدن سنجاغينده [7] ساكن اولوب الاى بكيسى بيراغى التنده سفره اتمك شرطيه  
 تيمار مزبور قرنداش اوغلى مزبور سليمان طاهره توجيه اولنمق ايچون سنه احدى  
 و ثمانين و مائة و الف محرم الحرامك اوننجى كونى تاريخيله حكم شريفم ويرلدكدن





უგზავნა. ალთუნ კალას<sup>4</sup> სანჯაყში და ნაჰიჯეში, ადიგუნის<sup>5</sup> სახელით ცნობილ კარიჯესა და სხვა ადგილებიდან 17000 ახჩა (შემოსავლიანი) თიმშარის მფლობელი მაჰმუდი უშვილოდ გარდაიცვალა და თიმშარი უპატრონოდ დარჩა.

პატივსაცემ პირთაგან მაღალი სამეფო თევკრის მქონეა ხსენებული გარდაცვლილის ძმისშვილი, საშუალო სიმაღლის, ჭრელთვალება, შორი-შორ დაახლოებული წარბების მქონე სულეიმან ტაჰირი. აღნიშნული ლივის, რომელშიც თიმშარის მიწა და ადგილია, ალაჰ ბეგმა ზემოხსენებულ ვეზირს აცნობა, რომ ხსენებული გარდაცვლილის აღნიშნული თიმშარი, რადგან უპატრონოდაა დარჩენილი, გადაეცა მის ძმისშვილს ხსენებულ სულეიმან ტაჰირს. წყალობაზე თხოვნა მოგვახსენა ზემოხსენებულმა ვეზირმა. იმისათვის რათა, სანჯაყში (სადაც თიმშარია) დსახლებისა და ალაჰ ბეგის ბაირაღქვეშ სალაშქროდ გასვლის პირობით, აღნიშნული თიმშარი ებოდოს ზემოხსენებულის (მაჰმუდის — ც. ა.) ძმისშვილს — სულეიმან ტაჰირს, ათას ას ოთხმოცდაერთი წლის დიდებული მუჰარემის ცამეტს<sup>6</sup>, რადგანაც ფირმანი გამოვიდა, ჩემი წმინდა ბრძანების შემდეგ, თეზქერეც უნდა გაიცეს. ხსენებული 17000 ახჩა [შემოსავლიანი] თიმშარი, როგორც განმარტებულია, ხსენებულ სულეიმან ტაჰირს ვუბოძე და მივეცი, რაც აქვე იხსენიება

სოფელი ადიგუნი ექვემდებარება სოფელი წრე<sup>7</sup> ექვემდებარება ხსენებულს  
ალთუნ კალას

6000

11000

და ვბრძანე, რომ ამიერიდან მის ხელში იყოს და მის გამგებლობაში იყოს, ისე რომ უხვად კეთილი და საქებარი სიბეჯითის (გამოსაჩენი) სამსახურებრივი მოვალეობანი ძლევამოსილი ჯარისადმი მაღალი სამეფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ და პატივისცემით აღასრულოს. ამ საქმეში ნურც ერთი ქმნილება ნუ დააბრკოლებს და წინააღმდეგობას ნუ გაუწევს, ნუ ჩაერევა და წინ ნუ აღუდგება. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს მიენდეთ.

[დაიწერა] კეთილადდაცულ სტამბოლში.

<sup>4</sup> ალთუნ კალას — ქართული ოქროს ციხის თურქული თარგმანია. მდებარეობს ადიგუნის რაიონის სოფ. შოყას ზემოთ. თურქულ დოკუმენტურ წყაროებში ალთუნკალას მეორე სახელიად შოყა არის მოცემული: رباط التون قلعه نام ديكر شوقه იხ. „დავთარი“ (I, 9, 109; II, 10, 112, III 153). ვრცლად იხ. ს. ჯიქია, „დავთარი“, წიგნი III, გვ. 153—154; მისივე, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 91, თბ., 1960, გვ. 161—185.

<sup>5</sup> ადიგუნი — გადათურქულებული ფორმაა ქართული ადიგუნი, ახლანდელი ადიგენი — მხელი სარაიონო ცენტრია მესხეთში.

<sup>6</sup> 1769 წლის 8 ივნისი.

<sup>7</sup> წრე — თურქული ტრანსკრიფციით چري, 'ზირე' სოფ. გორგულთან ერთად შედის ადიგუნის სასოფლო საბჭოში. იხ. ს. ჯიქია, „დავთარი“, წიგნი III, გვ. 161; Грузинская ССР, Административно-территориальное деление, თბ., 1960, გვ. 18.



[1] طغرا] محمود خان بن مصطفى مظفر دائما

[2] نشان شریف عالیشان سامی مکان سلطانی و طغرای غرای جهانستان خاقانی حکمی اولدر که [3] التون قلعه سنجاغنده و ناحیه سننده پلات نام قریه و غیریدن اون بیک آقچه تیماره متصرف اولان درویش بافرمان مامور اولدوغی اخسخه قلعهسی محافظسننده و سایر خدمت علیهمده ناموجود و ترک خدمت [4] ایدوب تیماری اولوجهله محلول اولمغله اورته بویلو الا کوزلو اچق قاشلو رافع توقیع رفیع الشان خاقانی اسعده دستور مکرم مشیر مفخم نظام العالم چلدر والیسی وزیرم یوسف پاشا ادام الله تعالی اجلاله نك عرضی [5] و لوا مزبور الای بکیسی اعلامیله سنه اربع و خمسين و مائه و الف شعباننک یکرمی اوچنجی کونندن دستور مکرم مشیر مفخم نظام العالم ارضروم جانبی سرعسکری وزیرم نعمان پاشا ادام الله تعالی اجلاله طرفندن [6] توجیه اولنوب تحویل حکمی ویرلمکله سنجاغنده ساکن اولوب الای بکیسی بیراغی اتننده سفره اشمک شرطیله ذکر اولنان اون بیک آقچه تیمار وجه مشروح اوزره مرقوم اسعده توجیه اولنوب [7] وزیر مشار الیهنک تذکرهسی موجبجه \* ویردومکه ذکر اولنور و شرح و عیان و تفصیل و بیان قلتور

قریه پلات تابع  
التون قلعه

۱۰۰۰۰

و بیوردومکه بعد الیوم تحت یدنده اولوب تصرف قیلوب شولکه\* و ظایف [9] خدمات مبروره موفوره و مساعی مشکوره عساکر منصوره در بر موجب دفتر خاقانی بیقصور مرعی و مودی قیله اولبابده افراد افریده دن کائنا من کان و کیف ما کان و سببا من الان سیاب [10] و نوعا من الانواع و وجها من الوجوه کمسنه مانع و دافع و مافع و مداخل و معارض قیلمیه لر شویله بله لر علامت شریفه اعتماد قیله لر

بمقام

قسطنطنیه المحروسه

[თურღა:] მამულ ნან მუსტაფას ძე—მარადის გამარჯვებული

პატიოსანი, მაღალირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი უზენაესი თურღის ბრძანება ის არის, რომ ალთუნ-კალას სანჯაყსა და ნაჰიეში ფლატედ<sup>8</sup> სახელდებულ კარიეგსა და სხვა ადგილებიდან 10000 ახჩა შემოსავლიანი თემარის მფლობელი დერვიში ფირმანით განსაზღვრულ ვალდებულებებს ახალციხის დაცვასა და სხვა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს დროზე არ ასრულებდა, სამსახური დატოვა, ამის გამო თემარი უპატრონოდ დარჩა.

პატიემოსილი დესთურის, დიდებული, ქვეყნისმომწყესრიგებლის, ჩილდირის ვილშაფეთის ჩემი ვეზირის — იუსუფ ფაშას<sup>9</sup> — ხანგრძლივ ჰყოს მაღალმა ალლაჰმა დიდება მისი — არზითა და ხსენებული ლიეის ალაბეგის შეტყო-

\* ტექსტშია **كى**

<sup>8</sup> ფ ლ ა ტ ე — თურქული ტრანსკრიპციით **پولات** მდებარეობს ადიგენის რაიონში. შედის მლაშეს სასოფლო საბჭოში. ვრცლად იხ. ს. ჯ ი ქ ი ა, „დავთარი“, წიგნი III, გვ. 158.

<sup>9</sup> ი უ ს უ ფ ფ ა შ ა — ისპაკ ფაშას შვილია, ირანზე ლაშქრობაში გამოიჩინა თავი, რისთვისაც მიიღო ბეგლარბეგის ჩინი. იხ. ტ რ ი ა, დასახ. წიგნი ტ. IV, გვ. 663.



ბინებით მაღალი სამეფო თევზი უბოძებია ათას ას ორმოცდაათოთხმეტე წლის შაბანის ოცდასამს საშუალო ტანის, ჭრელთვალეზა, წარბებ-გაშლილი 'ესადისათვის პატიემოსილ დესთურს, უავგუსტიეს მუშირს, ქვეყნის მომწესრიგებელს, არზრუმის მხარის სერასქერს ჩემს ვეზირს ნა'მან ფაშას<sup>10</sup>, ხანგრძლივ ჰყოს მაღალმა ალლაჰმა დიდება მისი. თმმარის ბოძებაზე ბრძანების (حکم) გაცემით, იმ სანჯაყში (სადაც თიმარია) ცხოვრებისა და ალაჰ ბეგის ბაირალის ქვეშ სალაშქროდ გასვლის პირობით, ხსენებული 10000 ახჩა (შემოსავლიანი) თმმარი, როგორც უკვე იყო განმარტებული, ებოძა ხსენებულ 'ესადს.

გავეცი თანახმად შემოხსენებული ვეზირის თეზქერესა, რაც აქვე იხსენიება, ცხადდება და დეტალური ახსნა-განმარტებით იწერება:

სოფელი ფლატე ექვემდებარება ალთუნ-კალას  
10000

და ებრძანე, რომ ამიერიდან მის ხელში იყოს, მის გამგებლობაში იყოს, ისე რომ უზღვდ კეთილი და საქებარი სიბეჯითის (გამოსაჩენი) სამსახურებრივი მოვალეობანი ძლევაშისილი ჯარისადმი უნაკლოდ და პატივისცემით აღასრულოს შესაბამისად სამეფო დავთრისა. ამ საქმეში ნურც ერთი ქმნილება, ვინც არ უნდა იყოს და როგორადაც არ უნდა იყოს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს და რა სახითაც არ უნდა იყოს და რა გზითაც არ უნდა იყოს, ნურვინ იქნება ხელისშემშლელი და უარისმყოფელი. ნურვინ ჩაერევა და წინააღმდეგობას ნუ გაუწევს. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

[დაიწერა] კეთილადდაცულ კონსტანტინოპოლში.

Ц. А. АБУЛАДЗЕ

ДВА ТУРЕЦКИХ ФИРМАНА XVIII ВЕКА

(Резюме)

В статье публикуется текст и перевод с примечаниями двух турецких фирманов, хранящихся в Институте рукописей АН Грузинской ССР (Tur d 3, Tur d 4). Фирманы выданы турецкими султанами Махмудом (1696—1754) и Мустафой (1717—1774) и адресованы к неким Сулейману Тахиру и Эс'аду, для закрепления за ними прав владения тимара в окрестностях Адигвени и Алтункала с доходом 17000 и 10000 ахча.

Документы имеют определенное значение для изучения социальных отношений в Южной Грузии того времени, а также для разъяснения отдельных вопросов военно-ленной системы феодальной Турции.

<sup>10</sup> ნა' მან ფაშა — წარმოშობით კრიტოსიდანაა 1150 წ. (=1737—1738) შავი ზღვის სანაპირო ზოლის ბეგლარბეგი და ანატოლიის ვალი გამხდარა. 1151 წ. (=1738წ.) მინისტრის ტიტული მიუღია. 1152 წ. (=1739წ.) გაუნთავისუფლებიათ და მეორედ დაუნიშნავეთ 4<sup>კფ</sup>-ს ვალიდ და სერასქერად. 1154 წ. (=1741 წ.) ანატოლიის ვალი და იმ მხარის სერასქერი გამხდარა. აქედან 1159 (=1746წ.) გადაუყვანიათ. 1171წ. (1757—1158წ.) კონიის ვალია. აქვე გარდაიცვალა. ახასიათებენ როგორც მხნესა და გულად პიროვნებას, საზღვაო და სასაზღვრო საქმეების კარგ მცოდნეს. ს. კ. დასახ. წიგნი, ტ. IV, გვ. 569.



სარჩმვი

ილია აბულაძე, ქართული ფილოლოგია დასავლეთში . . . . .	5
გულნარა ნინუა, დიდი სჯულსკანონის სისტემატური ნაწილი . . . . .	12
უჩა ცინდელიანი, „რუთის“ წიგნის ქართული რედაქციები . . . . .	21
<u>ციალა ქურციკიძე, „გოდებაჲ იერემიასის“ ქართული რე-</u> <u>დაქციები</u> . . . . .	31
<u>ცაცა ჭანკიევი, „იერუსალემ“ და „ისრაელ“ სახელთა დაწერი-</u> <u>ლობისათვის</u> . . . . .	41
<u>ცაცა ჭანკიევი, პალესტინელ გადაწერ „იოვანეთა“ შესახებ</u> . . . . .	45
<u>ლაშარა ქაჯაია, ერთი წარმოშობის ორი პალიმფსესტის შესახებ</u> . . . . .	52
<u>ლილი ათანელიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე</u> <u>კრიპტოგრამის შესახებ</u> . . . . .	58
<u>ელენე მაჭავარიანი, მხედრული დამწერლობის ადრეული</u> <u>ნიმუშები</u> . . . . .	66
ბაქარ გიგინეიშვილი, ზურაბ სარჯველაძე, [ვა], [უა], [ვე], [უე] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისა- თვის ძველ ქართულში . . . . .	73
უჩა ცინდელიანი, ძველი ქართულის ლექსიკიდან: გა-რიალ- -ება  რიალი . . . . .	85
მაია რაფაეა, იოანე პეტრიწი მომდევნო საუკუნეებში . . . . .	93
ლილი ქუთათელაძე, ს.-ს. ორბელიანის კონფესიური შეხედუ- ლებანი მისი ლექსიკონის მიხედვით . . . . .	104
ლიანა ახოზაძე, თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულების „Φრიკსა და ოქროსმატყლოვანისათჳს ვერძისა“ წყაროს საკითხისათვის . . . . .	119
ია გაჩეჩილაძე, მიხეილ თუმანიშვილის მიერ თარგმნილი ლექსის „ელეგიას“ შესახებ . . . . .	126
კონსტანტინე გრიგოლია, ისევ დავითის ისტორიკოსის ვინაი- ბის შესახებ . . . . .	135
მიხეილ ქავთარია, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან . . . . .	157
ელისო აბრამიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) წერილები კირიონ სამაგლიშვილისადმი . . . . .	177
ცისანა აბულაძე, მეთვრამეტე საუკუნის ორი თურქული ფირმანი . . . . .	204

## СОДЕРЖАНИЕ

Г. А. Нинуа, Систематическая часть «Великого номоканона» . . .	19
У. Е. Цинделиани, Грузинские версии книги Руувь . . .	30
Ц. И. Курцикидзе, Грузинские редакции книги «Плачь Иеремии» . . .	40
Ц. А. Чанкиева, О написании слов „იერუსალემი“ «Иерусалим» „ისრაელ“ «Израиль» . . .	43
Ц. А. Чанкиева, О палестинских переписчиках по имени Иоване . . .	51
Л. Р. Каджаиа, О двух палимпсестах одного происхождения . . .	57
Л. А. Атанелишвили, О некоторых криптограмм грузинских рукописей . . .	65
Е. М. Мачавариани, Ранние памятники письма «Мхедрули» . . .	72
Б. К. Гигинейшвили, З. А. Сарджвеладзе, К взаимоотношению сегментов [va], [wa], [ve], [we] и [o] с сегментом в древнегрузинском языке . . .	84
У. Е. Цинделиани, Из древне-грузинской лексики . . .	92
М. А. Рапава, Относительно одной заметки к «комментариям» Иоанна Петрици . . .	103
Л. И. Кутателадзе, Конфессиональные взгляды Сулхана-Саба Орбелиани . . .	118
Л. Т. Ахобадзе, К вопросу источника сочинения царевича Теймураза «О фриксе и золотом Руне» . . .	125
И. К. Гачечиладзе, О переводном стихотворении М. Б. Туманишвили «Элегия» . . .	134
К. Г. Григолия, Опять об анонимном историке царя Давида . . .	156
М. Н. Кавтария, История грузинской гимнографии XVII—XVIII вв. . .	176
Э. М. Абрамишвили, Письма Александра Кипшидзе (Пронели) к Кириону Садзаглишвили . . .	203
Ц. А. Абуладзе, Два турецких фирмана XVIII века . . .	209



### МРАВАЛТАВИ, III

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე  
გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯ ი მ შ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი  
ტექნორედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ე ა  
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე  
კორექტორი მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 23.2.1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.8.1973;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 21.53;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.55;  
უე 01123; ტირაჟი 800; შეკვეთა 592;  
ფასი 1 მან. 83 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издат. «Мецинерება» АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

